

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



153.755/3



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბატა ბუბუხვილი

საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწერების საპროექტო

•მეცნიერება• 1 9 7 3



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ И ПРАВА



1973

П. В. ГУГУШВИЛИ

ВОПРОСЫ ВОСПРОИЗВОДСТВА НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

PROBLEMS OF REPRODUCTION OF POPULATION
IN GEORGIAN SSR

by

РААТА В. GUGUSHVILI

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА», ТБИЛИСИ, 1973
PUBLISHING HOUSE „MECNIEREBA“, TBILISI, 1973

პაატა გუგუშვილი



საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საპიტხები

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი — 1973

312

312. 1/9 (041)

8 907

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შექ-
ზე და თანამედროვე მსოფლიო დემოგრაფიული მეც-
ნიერების მიღწევათა შესაბამისად, შესწავლილია მო-
სახლეობის, როგორც ძირითადი მწარმოებლური ძა-
ლის აღწარმოების პროცესის, შობადობისა და მოკვდა-
ობის, ბუნებრივი მატების ტემპების, ეროვნული შედ-
გენილობის, ურბანიზაციის, სქესობრივ-ასაკობრივი
სტრუქტურის, საქორწინო ასაკის, ქორწინებისა და
განქორწინების, ოჯახისა და საზოგადოების, მოსახ-
ლეობის რიცხოვნობის აღწარმოების პროგნოზის და
შრომითი რესურსების, როგორც გეგმიანობის ერთ-
ერთი აუცილებელი პირობის, და სხვ. საკითხები.

ნაშრომი ეხმაურება დემოგრაფიის მსოფლიო
1974 წელიწადს.


K 153 455

1-8-3

M-607



გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.



ავტორისაგან

საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხებზე 1970—1973 წწ. რამდენიმე მოხსენება და ლექცია წავიკითხე სხვადასხვა დონისა და სპეციალობის აუდიტორიის წინაშე, რამაც დამარწმუნა, რომ შესწავლის საგნად აღებული პრობლემის მკითხველთა ფართო მასებისათვის გაშუქების მიზნით აუცილებელი იყო ამ მომეცა დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების შესახებ ზოგიერთი საერთო ხასიათის ინფორმაცია.

ქართული დემოგრაფიული ლიტერატურა ჯერჯერობით ძლიერ ღარიბია და რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის დინამიკის, სტრუქტურისა და კვლევის საგნად აღებული სხვა საკითხების, საერთოდ დემოგრაფიული პროცესების შესახებ მსჯელობა შედარებით ადვილად გასაგები ყოფილიყო, ვრცლად გამოვიყენეთ შედარებითი მეთოდი და ვეცადეთ საჭირო მასალა წარმოგვედგინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის თაობაზე, თანაც იმის მიხედვით, თუ სად და რა პრობლემა მეცნიერულად უფრო საფუძვლიანად შესწავლილი. ასე ვიქცეოდით მაშინაც, როდესაც კვლევის ობიექტის რიგი მოვლენის განხილვისათვის აუცილებელი ინფორმაცია არ მოგვეპოვებოდა და, მაშასადამე, მხოლოდ უცხოური საგარეუდებელი ანალოგიების მოშველიებით შეგვეძლო მისი რამდენადმე მაინც გაშუქება.

ეს წიგნი უკვე იბეჭდებოდა, როდესაც გამოქვეყნდა (იხ. გაზ. „იზვესტია“, 23.8.73, № 197) სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, მიმდინარე (1971—1975) ხუთწლიან გეგმაზე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების განხორციელების ღონისძიებათა ასპექტში, „ორსულობისა და მშობიარობის და ავადმყოფ ბავშვთა მოვლისათვის დახმარებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ“.

ამ დადგენილებით (ძალაში შედის 1973 წ. 1 დეკემბრიდან) გათვალისწინებულია ორსულობისა და მშობიარობისათვის მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე ქალებს დახმარება მიეცეს მთელი თვის ხელფასის ოდენობით. ასევე ფრიად გაუმჯობესებულია ავადმყოფ ბავშვთა (14 წ. ასაკამდე) მოვლისათვის საავადმყოფო ფურ-

ცელისა და დახმარების გაცემა, — რაც მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივი ზრუნვის მთელ სისტემაში კიდევ ახალი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა და რასაც, ცხადია, არ შეუძლია დადებითი როლი არ ითამაშოს საერთოდ პოპულაციის თვალსაზრისით.

მკითხველს ისიც უნდა მოხსენდეს, რომ რუსული რეზიუმე არ წარმოადგენს ამ ნაშრომის მარტოოდენ შეკუმშულ გადმოცემას. წინამდებარე წიგნის ნაწილი სტამბაში უკვე აწყობილი იყო, როდესაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭომ ჩვენ გვთხოვა დაგვეწერა სტატია, — საქართველოს სსრ მოსახლეობის შესახებ, — თემატიკური კრებულისათვის: „Проблемы народонаселения союзных республик“, რასაც ბეჭდავს მოსკოვური გამომცემლობა „Статистика“.

რუსული სტატიის მოცულობა ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ მან თავისთავად მიიღო ამ წიგნის რეზიუმის ხასიათი. ამასთანავე ამ სტატიის წერის დროს ჩვენ შეგვეძლო გამოგვეყენებინა სსრკ მოსახლეობის 1970 წ. აღწერის რიგი ისეთი მასალა, რაც მანამდე არ იყო გამოქვეყნებული. ამან და თვით რუსული სტატიის შემკვეთის მიერ შემოთავაზებულმა სქემამ გამოიწვია, რომ ზოგიერთი საკითხი, მაგალითად, შრომითი რესურსები, მოსახლეობის მიგრაცია და სხვ. რეზიუმეში უფრო ვრცლადაა გაშუქებული.

ცხადია, ავტორი კარგად ამჩნევს ამ ნაშრომის ნაკლოვანებებს, რომელთა დაძლევა საერთოდ მარქსისტული დემოგრაფიის თეორიული პრობლემების შესწავლილობის და თვით კვლევის კონკრეტული ნაწილისათვის აუცილებელ მასალათა მობილიზაციისა და ანალიზის არსებულ ვითარებაში შეუძლებელი აღმოჩნდა.

მაინც, ავტორი დარწმუნებულია, რომ ამ წიგნში აღძრულ საკითხებს ფართოდ უნდა გამოეხმაუროს ქართველი მკითხველი, რომლის ყოველი შენიშვნა და წინადადება მთელის გულისხმიერებით იქნება გათვალისწინებული შემდგომ მუშაობაში.

თქმა არ უნდა, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების დიდმნიშვნელოვანი პრობლემის დეკლარაცია საერთოდ ეროვნული პრესტიჟისა და სახელმწიფოებრივი ყურადღების დონეზე უნდა იყოს წარმოჩენილი და მიღებული.

საქართველოს სსრ მოსახლეობის აღზარდობის საკითხები

I

მიზნისა და მეთოდისათვის

1967 წ. დამდგეს „ლიტერატურნაია გაზეტამ“ წამოიწყო, ხოლო 1970 წ. დასაწყისიდან „ლიტერატურულმა საქართველომ“ გახსნა ფრიად მნიშვნელოვანი დისკუსია დევიზით: „რამდენი შვილი უნდა გყავდეს?“

უნდა ითქვას, რომ საკითხის ასე დაყენებამ იმთავითვე განაპირობა მისი განხილვის გეზი და მიღებული შედეგებიც. მაგრამ ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ დისკუსიის შეფასება; — გვინდა მხოლოდ ამ ასპექტში ზოგიერთი მასალა და მოსაზრება წარვუდგინოთ დაინტერესებულ მკითხველს საქართველოს მოსახლეობის ნაციონალური შედგენილობის დინამიკის, ქართველური მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპებისა და სხვ. შესახებ.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიული პროცესები, კერძოდ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები, ისეთი მრავალფაქტორიანი სოციალური ფენომენია, რომლის ბურჟილებში კანონზომიერებათა გამოვლინებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და პოლიტიკური მდგომარეობის სიღრმისეული პროცესების გათვალისწინება, არამედ ისტორიული წიაღსვლანი, ზოგჯერ ფრიად შორეული ფესვების ძიება, რამდენადაც აქ, ამა თუ იმ ზომით, მოქმედებენ არათუ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული და ახლა თითქოს მივიწყებული ზნეჩვეულებანი, ყოფიერებითი მომენტები და სხვ., არამედ საერთოდ ნაციონალური, რელიგიური და თვით რასობრივი წარმომავლობის ფაქტორებიც კი.

ამასთანავე თუნდაც უაღრესად კეთილშობილური სუბიექტური განწყობილების გამოცხადებით დემოგრაფიულ მოვლენებზე გავ-

ლენის მოხდენის ცდა ისევე ეფემერულია, როგორც ოცნებაში აშენებული კოშკები. პოპულაციის, ხალხთმოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპის შეცვლისათვის, ე. ი. მრავალშვილიანობის, როგორც მასობრივი მოვლენის დამკვიდრებისათვის, ანუ, თუ გნებავთ, მისი ძველი ტრადიციის რამდენადმე განახლებისათვის უწინარეს აუცილებელია თვით გამრავლების არსებული ტემპების ამოძრავებელი მექანიზმის აღმოჩენა.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ცივილიზაციის ვითარებაში, დოვლათთა და თვით ადამიანთა წარმოების, განაწილებისა და მოხმარების (მოსპობის) არსებულ დონეზე, — რაც იმავდროულად ხალხთა ურთიერთგავლენისათვის ამოძრავებულ ძალთა ჭიდილსაც განაპირობებს, მოსახლეობის, მაგალითად, გამრავლების საკითხი სხვადასხვაგვარ სიტუაციასთანაა დაკავშირებული და, ამდენადვე, სხვადასხვაგვარ შუქზე ნათდება არა მხოლოდ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ასპექტში, არამედ, აგრეთვე, დიდი და პატარა ქვეყნების, მრავალრიცხოვანი და მცირერიცხოვანი, თავისუფალი და არათავისუფალი ერების ცხოვრებასა და პერსპექტივაში.

არც ისე დიდი ხნის წინ არავინ მოელოდა, რომ მოსახლეობის გამრავლების ტემპი „დემოგრაფიული აფეთქების“ ხასიათს მიიღებდა. იუნესკოს ექსპერტ-დემოგრაფთა ვარაუდით, აფრიკისა და აზიის მოსახლეობის წლიური მატება 1950—1980 წწ. 0,7—1,3 პროცენტით განისაზღვრებოდა. მაგრამ მოკვდაობის დიდი შემცირების შედეგად, უკვე 1965 წ., განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის წლიურმა მატებამ 2,5% შეადგინა.

ამასთანავე 60-იან წლებში როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ინდუსტრიულ ქვეყნებში თავი იჩინა გაუთვალისწინებელმა დემოგრაფიულმა პროცესმა — შობადობის შემცირების გზით დაიწყო გამრავლების ტემპის დაცემა.

მოსახლეობის აღწარმოებას ანუ განახლებას განსაზღვრავს შობადობისა და მოკვდაობის ინტენსივობა. ამ აღწარმოების პროცესში სისტემატურად იცვლება ხალხთმოსახლეობის როგორც საერთო რიცხოვნობა, ისე ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა. ამ სტრუქტურული ცვლადობის წყარო და დასამყარია ოჯახი და ოჯახური მეურნეობა. მიუხედავად დიდი მიღწევებისა, რაც დემოგ-

რაფიას, სოციოლოგიას, ეთნოგრაფიას დღეისათვის გააჩნია, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ასპექტში ოჯახის სტრუქტურისა და ოჯახური მეურნეობის, როგორც თავისთავად უაღრესად მობილური სოციალური ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა ჯეროვნად არაა შესწავლილი.

დემოგრაფიული (პოპულაციის) პროცესი საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეტაპზე ყალიბდება, როგორც უაღრესად რთული, მრავალშენაკადებიანი მოვლენა, და, ამდენადვე, გაუმართლებელია ლაპარაკი არათუ ყველა ეპოქის, არამედ ერთი ეპოქის სხვადასხვა საზოგადოებათა (ნაციათა, სახელმწიფოთა) პოპულაციის უნივერსალურ კანონზე.



აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ტერმინი დემოგრაფია (გერმ. *Bevölkerung* — ხალხი, *ჟერმანო-ფერ*) შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიიარმა (Achille Guillard), რომლის წიგნი — „ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები ანუ შედარებითი დემოგრაფია“ (*Eléments de Statistique Humaine, ou Démographie Comparée*) — გამოიცა 1855 წ. ა. გიიარის განმარტებით დემოგრაფია ესაა „ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და სოციალური ისტორია“; ანუ, მისივე სიტყვებით, დემოგრაფიის საგანია ადამიანთა პოპულაციის, მათი საერთო მოძრაობის, მათი ფიზიკური, მოქალაქეობრივი, ინტელექტუალური და მორალური მდგომარეობის მათემატიკური შეცნობა.

ამასთანავე დემოგრაფია, როგორც მეცნიერული ცნობიერების დარგი სამსაუკუნეზე მეტია რაც არსებობს.

1662 წ. იანვარს გამოიცა ინგლისელი ჯ. გრაუნტის (John Graunt) თხზულება, — „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი, მოხსენებულნი დართულ ნუსხაში და გაკეთებულნი მოკვდაობის ბიულეტენთა საფუძველზე...“, რაც საყოველთაოდ აღიარებულია როგორც პირველი და თანაც ფუძემდებლური ნაშრომი დემოგრაფიაში.

მე-17 ს. დასაწყისიდანვე უკვე რეგულარულად, ყოველწიურად, გამოიცემოდა ლონდონში მოკვდაობის სპეციალური ბიულეტენები. ხოლო ყოველი წლის დამდეგს ბიულეტენში იბეჭდებოდა მთელი გასული წლის კრებისთი მონაცემები. მდიდარ ლონდონელ ვაჭარსა და საზოგადოებრივ მოღვაწეს, პოლიტიკური ეკონომიის მამისა და... სტატისტიკის გამომგონებლის გენიალური ვილიამ პეტის მეგობარს ჯონ გრაუნტს ჰქმნარიტად ბედმა გაუღმა, როდესაც აზრად მოუვიდა ლონდონის მოქალაქეთა მოკვდაობის ხსენებული ბიულეტენები გაეხადა მეცნიერული დაკვირვების საგნად.

ჯონ გრაუნტის თხზულებამ გამოსვლისთანავე მიიქცია განათლებული საზოგადოების ყურადღება და ფართო აღიარება ჰპოვა. წიგნის დაბეჭდვის ერთი თვის შემდეგ თვით მეფე ქარლ II წარდგენით მისი ავტორი აირჩიეს ახლადშექმნილ ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. თავისი წიგნის ვრცელ სახელწოდებაში ჯონ გრაუნტი მიუთითებს მოკვდაობის არა მხოლოდ ბიოლოგიურ და გეოგრაფიულ, არამედ თვით სოციალურ-ეკონომ-

მიკურ ფაქტორებს და სჭერეტს გარკვეულ კანონზომიერებას დემოგრაფიულ მონაცემთა დინამიკაში. მან პირველმა შეადგინა მოკვდაობის ტაბულა. მან განაცხადა, რომ მოსახლეობის რაოდენობისა და მისი დანაწილების ცოდნა საჭიროა ეპირობისა და მრეწველობის ხელმძღვანელობისათვის, ქვეყნის გამგებლობისათვის: „მე ვამტკიცებ, რომ ყველა ამ და მსგავსთა მათთა მოვლენების ზუსტი ცოდნა აუცილებელია ქვეყნის კარგი და უშიშარი მმართველობისათვის“.

ჯონ გრაუნტის დროს ჯერ კიდევ არ იყო გაჩენილი ტერმინი „დემოგრაფია“ და არც „სტატისტიკა“. ეს უკანასკნელი პირველად, 1749 წელს, შემოიღო გერმანელმა მეცნიერმა გ. ა ზ ე ნ ე ა ლ მ ა .

დღევანდელ ვითარებაში შესაბამის მეცნიერებათა მიღწევების საფუძველზე დემოგრაფია სწავლობს ხალხთმოსახლეობის რაოდენობრივი და თვისობრივი ცვალებადობის მრავალგვარ მოვლენას. ბუნებრივი და მექანიკური გამრავლების, შობადობის, მოკვდაობის, ასაკობრივი, სქესობრივი, პროფესიული და სხვ. სტრუქტურის, ეროვნული შედგენილობის, მიგრაციის საკითხებს; — ბუნებრივ-ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, გეოგრაფიულ და სხვ. ფაქტორთა (მოვლენათა) გავლენას მოსახლეობის დინამიკის ამა თუ იმ მაჩვენებელზე, მაგალითად, აღწარმოებაზე, განათლებაზე, ასაკობრივ შედგენილობასა, გაადგილებაზე და სხვ... დემოგრაფია ეკონომიკური, სტატისტიკური, სოციოლოგიური მეცნიერებაა.

* * *

ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მოსახლეობის აღწარმოების ტემპი სხვადასხვანაირია. ამასთანავე შეიძლება დიდად განსხვავებული იყოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დაახლოებით ერთნაირ საფეხურზე მდგარი სხვადასხვა ნაციის, რასის, მოდგმის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი, რასაც კონკრეტულ ვითარებაში დიდი პრაქტიკულ-პოლიტიკური და, მაშასადამე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით წინა პლანზეა ადამიანის და თვით საზოგადოების, ნ ა ც ი ის, პ ი რ ვ ე ლ ი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა — ი ყ ო ლ ი ო ს და და ს ტ ო ვ ო ს შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა და ადამიანის მეორე ბუნებრივი მისწრაფება — მაქსიმალურად და ი კ მ ა ყ ო ფ ი ლ ო ს თ ა ვ ი ს ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ი. პირველი მი-

იღწევა შარადიული პოპულაციის, ხოლო მეორე — მეურნეობრივი თაოსნობის მეოხებით.

ამ მისწრაფებათა შორის არსებული წინააღმდეგობრივი ფერ-მენტები იმავდროულად გამოდიან როგორც ერთობლივი მოქმედების ფაქტორები, რამდენადაც სიცოცხლის უწყვეტი განახლება და მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილება ურთიერთშეპირობებულ პროცესებს წარმოადგენენ.

ქორწინების ფიზიოლოგიური დისპოზიცია თვით ბადებს გამრავლებისადმი მისწრაფებას, რაც წლითი-წლობით ნელდება და ბოლოს ქრება... მაგრამ ამ მისწრაფების ძალა დამოკიდებულია არა მხოლოდ წყვილის (ცოლ-ქმრის) გამრავლების ფიზიოლოგიური უნარისაგან; აქ კიდევ როლს თამაშობს მორალური, ეთიკური, ფსიქოლოგიური, კულტურული, რელიგიური და სხვ. ფაქტორები, რომლებიც, საბოლოოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური და საერთოდ მატერიალური პირობებით განისაზღვრება. ეს მოვლენები სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვანაირად მოქმედებენ.

უბრალო მაგალითი. ფერტილური (ნაყოფიერი) ასაკის ქალი (არსებითად ცოლ-ქმარი) ისედაც უაღრესად მობილური თანამედროვე საზოგადოების წიაღში თავიანთი ცხოვრების მოდელს (დონეს და სხვა) ყოველდღიურად აღარებს მათ გარშემო მყოფ და, კიდევ სხვა ოჯახთა ცხოვრებას; — ნაცნობ-მეგობართა ოჯახური სიტუაცია ახალი ცოლქმრისთვის პირველი მისაბამი მაგალითია.

მაინც... პირველდაწყებითი მისწრაფება გამრავლებისადმი ზოგჯერ ისე ძლიერია, რომ მძიმე ეკონომიკური პირობებიც მას ვერ აქარწყლებს; ასე რომ ოჯახის გეგმიანობის, შვილთა რაოდენობის განსაზღვრის ცდები, უმრავლეს შემთხვევაში, არსებითად პირველი ბავშვის გაჩენის შემდეგ იწყება.

შობადობის ტაბულის ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვ. ფაქტორები. ხოლო მოკვდაობა, — ბუნებრივი მოხუცებულობის გამოკლებით — უპირატესად სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და საერთოდ ყოფიერებით პირობებზეა დამოკიდებული.

საერთოდ შობადობის ტემპს განსაზღვრავს: 1. ფერტილური ასაკის ქალთა რაოდენობა, 2. ქორწინების სიხშირე და 3. ერთ ქორწინებაზე (ოჯახზე) ბავშვთაშობის რიცხოვნობა.

ქალთა ფერტილობის ბუნებრივი დონე პირველ რიგში დამოკიდებულია გათხოვილთა ასაკობრივი სტრუქტურისაგან, ხოლო შემდეგ საზოგადოებაში (ოჯახში) ქალის სოციალური და კულტუ-

რული სტატუსისა და საერთოდ მოსახლეობის ყოფიერებისაგან უახლესი დემოგრაფიული გამოკვლევების მიხედვით თანამედროვე ინდუსტრიულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსახლეობის აღწარმოებას, ე. ი. ოჯახში ბავშვთა რაოდენობას უმთავრესად განსაზღვრავს ოჯახის შემოსავალი, რაც, როგორც წესი, საცხოვრებელ მინიმუმსა და საცხოვრებელ მაქსიმუმს შორის მერყეობს. ამ ფარგლებში (მტკიცე საშუალო ნორმის მონახვის ცდა დემოგრაფიის კომპეტენტურობისათვის სახიფათოა!) შემოსავალთა გადიდება — ამცირებს, ხოლო შემოსავალთა შემცირება — ადიდება შობადობის სიხშირეს¹.

დემოგრაფიის ძირითადი ამოცანაა შეისწავლოს მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შედგენილობის დინამიკა, რასაც განსაზღვრავენ შობადობისა და მოკვდაობის პროცესები და ამ პროცესებზე მოქმედი სოციალური და ეკონომიკური პირობები. თანამედროვე დემოგრაფიის ყურადღების ცენტრშია სოციალური ფაქტორების გავლენა მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე. სწორედ ამ თვალსაზრისზე დგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების ხელმძღვანელი, ცნობილი იუგოსლაველი

¹ Теоретические проблемы демографии, 1970; Проблемы демографии (Вопросы теории и практики), 1971; Население и экономика, 1970; Проблемы демографической статистики, 1959; Изучение воспроизводства населения, 1968; Вопросы демографии, 1970; Методы демографических исследований, 1969; А. Боярский и др. Курс демографии, 1967; А. И с у п о в, Национальный состав населения СССР, 1964; В. К о з л о в, Естественное движение населения капиталистических стран, 1959; Л. П р е с с а, Народонаселение и его изучение, 1966; В. П а е в с к и й, Вопросы демографической и медицинской статистики, 1970; А. Г о з у л о в, Переписи населения земного шара, 1970; А. Г о з у л о в, Экономическая статистика, 1953; П. М а с л о в, Статистика в социологии, 1971; Вопросы демографии, 1968; Г. Б а т к и с, Вопросы санитарной и демографической статистики, 1964; Ф. М и л ь с, Статистические методы, 1958; Ю. К о р ч а к - Ч е п у р к о в с к и й, Избранные демографические исследования, 1970; U. N. Demographic Yearbook, 1959—1970; R. Anderson and T. Bancroft, Statistical Theory in Research, N. Y. 1968; A. Mood, Introduction to the Theory of Statistics, N. Y. 1970; L. Tippett, The Methods of Statistics, N. Y. 1969; R. Allen, Statistics for Economists, London, 1969; A. Landry, Traité de Démographie, Paris, 1965; The Belationship between Family Size and Maternal and Child Health, London, 1970; C. Clark, Conditions of Economic Progress, 1967; S. Kuznets, Six Lectures on Economic Growth, 1969; Historisch-demographische Mittelungen, Budapest, 1971; M. Wilson, Population Geography, Melbourne—Sydney, 1970; K. Wittbauer, Bevölkerungszahlen im Wandel, 1971; Population Projections 1970—2010, London, 1971.

დემოგრაფი მილოშ მაცურა², — რომელიც პოპულაციის პროცესების შესწავლის საწყისად მიიჩნევს სპეციფიკურ კოლექტივს, მრავალმხრივ კომპლექსურ სტრუქტურას თავის ბიოლოგიურ, საზოგადოებრივ და ინტელექტუალურ მხარეთა ერთობლიობაში. დემოგრაფიული ფაქტების, როგორც მთავარი ობიექტის, შესწავლასთან ერთად აუცილებელია ყურადღების გამახვილება საკუთარად ადამიანის პიროვნების, როგორც დემოგრაფიული ქცევის სუბიექტზე, ადამიანზე არა როგორც ცალკე, იზოლირებულ, არსებაზე, არამედ როგორც მოსახლეობის ერთობლიობის ელემენტზე.

სტატისტიკა, გ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც სოციალური შემეცნების უძლიერესი იარაღი, დემოგრაფიული სტატისტიკის სახით შეისწავლის მოსახლეობის გამრავლებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულებას; კერძოდ საკითხს, თუ სახელდობრ რა სახით ახდენს ცხოვრების პირობები გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე, რათა ამ გზით ახსნას ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგარი ქვეყნების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის განსხვავებულობის მიზეზები. მაგრამ დემოგრაფიის განვითარების ახალ საფეხურებზე სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ამ მხრივ ძლიერ მოქმედებენ აგრეთვე სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელთა შესწავლას აქამდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

საერთოდ ფერტილობასა და შობადობაზე მოსახლეობის კეთილდღეობის გავლენის საკითხი დიდი ხანია, რაც შესწავლისა და, მაშასადამე, დისკუსიის ობიექტს წარმოადგენს. მკვლევართა ნაწილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა ხელს უწყობს შობადობის ინტენსივობის გაძლიერებას და პირიქით. სხვები ამტკიცებენ, რომ ნივთიერი შეძლებულობა ბავშვთაშობის სიხშირის უკუპროპორციულია; — ღარიბები უფრო მეტ შვილებს აჩენენ და ზრდიან ვინემ მდიდრებიო.

ადამ ს მ ი ტ ი წერდა: „სიღარიბე ყოველთვის შეუძლებელს არ ხდის ქორწინებას... იგი, როგორც ეტყობა, ხელისშემწყობიც არის გამრავლებისა. ნახევრად დამშეული ზემო-შოტლანდიელი დედაკაცი ხშირად 20 ბავშვზე მეტს შობავს, მაშინ როდესაც კარგად ნაკვებ

² М. М а ц у р а , Некоторые соображения по поводу основ демографической теории, 1970.

ნარნარა ქალბატონს ერთის შობვაც კი არ ძალუძს და ჩვეულებრივ იგი 2 თუ 3 ბავშვის შემდეგ გამოფიტულია³...

კარლ მარქსი აცხადებს: „არა მარტო დაბადებისა და სიკვდილის შემთხვევათა რიცხვი, არამედ ოჯახის აბსოლუტური სიდიდეც უკუფარდობაშია ხელფასის დონესთან, მაშასადამე, საარსებო საშუალებათა მასასთან, რომელიც მოიპოვება მუშათა სხვადასხვა კატეგორიის განკარგულებაში“⁴.

კ. მარქსს იქვე მოყავს ინგლისელი გონებამახვილი აბატის გალიანი (Galiani) სიტყვები: „ღმერთმა ისე დააწესა, რომ ადამიანები, რომლებიც უაღრესად სასარგებლო საქმეს ასრულებენ, უხვად იბადებიან“. კ. მარქსი საერთოდ უარყოფს ხალხთა მოსახლეობის გამრავლების უნივერსალური კანონის არსებობას და ამტკიცებს, რომ ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ამ მხრივ სხვადასხვა კანონები მოქმედებენო.

თანამედროვე პოპულაციის პროცესზე დიდ გავლენას ახდენს ნივთიერი კეთილდღეობის ამაღლება და განათლების გართულება და, მაშასადამე, გახანგრძლივება, იმით რომ ამაღლებს მოსახლეობის კულტურულ დონეს, იწვევს ქორწინების გადავადებას; შემდეგ — ქმარს და ცოლსაც უფართოებს რა დასაქმებულობასთან დაკავშირებულ ინტერესთა სფეროს, სულ უფრო დიდი ხნით აშორებს ოჯახს, ამასთანავე ზრდის მშობელთა მორალურ პასუხისმგებლობას და აძლიერებს შვილთა რაოდენობის შიგაოჯახური რეგულაციის (დაგეგმვის) შესაძლებლობას. განათლებულ წრეებში, ცხადია, უფრო იციან და იყენებენ კიდევაც კონტრაცეპტივებს.

მართალია, კონტრაცეპტივებს ძველ დროშიც კი იყენებდნენ, მაგრამ მაშინ ეს საშუალებები საზოგადოების მხოლოდ ზედაფენების მცირე ნაწილში იყო ცნობილი. მისი ფართო გავრცელება და თვით გაუმჯობესებული კონტრაცეპტივული მეთოდების გამოყება მხოლოდ XX ს. დაიწყო. უკანასკნელ ათეულ წელს დიდი გავრცელება ჰპოვა ცოლქმრიდან ერთ-ერთის სრულმა სტერილიზაციამ — მას შემდეგ რაც უკვე გაიჩინეს შვილთა სასურველი რაოდენობა, — მაგალითად, იაპონიაში, ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც

³ ა. ს. მ. ი. , გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გ. გ. ი. ა. ი. შ. ვ. ი. ს. მიერ, 1938, თბ., ტ. I, გვ. 91.

⁴ კ. მარქსი, კაპიტალი, 1954, თბ., ტ. I, გვ. 810.

შობადობის შემცირება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ხასიათს ატარებს⁵.

მრავალი გამოკვლევა მოწმობს რომ წერა-კითხვის, საერთოდ განათლების გავრცელება და ურბანიზაცია უშუალო კავშირშია ქალთა ფერტილობის შემცირებასთან. ამჟამად თითქმის მთელ მსოფლიოში ქალაქის მოსახლეობის ფერტილობა 30% ნაკლებია ვინემ სოფლისა. როგორც ცნობილია, სოფლის ახალგაზრდობა, საერთოდ, უფრო ადრე ებმება მწარმოებლურ შრომაში, ვინემ ქალაქისა, სადაც ამისათვის, გარდა გარკვეული ასაკის მიღწევისა, აუცილებელია სპეციალური ცოდნის შეძენა. ქალაქში საბინაო პირობებიც უფრო ზღუდავს მრავალშვილიანობას⁶.

⁵ Б. С м у л е в и ч , Критика буржуазных теорий и политики народонаселения, 1969.

⁶ Д. В а л е н т е й , Теория и политика народонаселения, 1967.

II

საბანი. მიმართულება. სტატისტიკა

კონკრეტული მასალის ანალიზი დავიწყეთ საქართველოს სსრ მოსახლეობის დინამიკისა და ნაციონალური სტრუქტურის განხილვით.

ფრიად მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც საქართველოს მოსახლეობის ეროვნულმა შედგენილობამ მე-19—20 სს. განიცადა, წარმოგვიდგენს ქვემოთ მოყვანილი ციფრები (იხ. აგრეთვე დამატებაში, ცხრილი 1).

წლები	მთელი მოსახლეობა ათასობით	მ. შ. ქართველები პროცენტობით
1800	675	89,0
1832	840	75,0
1865	1.287	74,0
1886	1.601	71,0
1897	1.929	67,9
1926	2.666	67,1
1939	3.540	61,4
1959	4.044	64,3
1970	4.688	66,8

ჩვენი ნაშრომის მოცულობა გვაიძულებს ამ და ქვემოთ მოტანილ სტატისტიკურ მონაცემთა ურთიერთშედარება და ანალიზი უმთავრესად მკითხველის გულისხმიერებას მივანდოთ. საქართველოს სსრ ქართველებს გარდა ცხოვრობენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები.

ნელები, ოსები, აფხაზები, ბერძნები, ებრაელები, უკრაინელები, ქურთები და სხვ. ამათგან, აღებულ პერიოდში, რესპუბლიკის ეროვნულ შედგენილობაზე არსებითი გავლენა მოახდინა პირველი ორი ეროვნების მოსახლეობის უპირატესად მექანიკურმა მატებამ. ამ პროცესებს მკითხველი საკმაოდ დეტალურად გაეცნობა ჩემს გამოკვლევაში — „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე“⁷.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის თვით ბუნებრივი გამრავლების ტემპებშიაც დიდი განსხვავებაა. აქ ის მაინც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ავტოქტონური მოსახლეობის გამრავლების ინტენსივობა თითქმის ყველაზე უფრო დაბალია. 1959 და 1970 წწ. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქართველთა ხვედრიწონის გადიდება უნდა აიხსნას არაქართველური მოსახლეობის მექანიკური ძვრებით. ასე, მაგალითად, 1959 წ. აღწერით სომხები აქ შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 11%, ხოლო 1970 წ. — 9,7; შესაბამისად, რუსები შეადგენდნენ 10,1 და 8,5%.

უფრო კონკრეტულ ასპექტში და უახლოესი პერიოდის 1897—1970 წ., საყოველთაო აღწერების მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა ასეთი სურათის სახით წარმოგვიდგება (%-ობით):

ცხრილი 1

მოსახლეობის აღწერების წლები	ქართველი	აფხაზი	ოსი	აზერბაიჯანელი	სომხი	რუსი	დანარჩენი
1897	67,9	3,1	3,7	5,4	9,2	5,6	5,1
1926	67,1	2,2	4,3	5,2	11,6	3,6	5,5
1939	61,4	1,6	4,2	5,3	11,7	8,7	7,1
1959	64,3	1,6	3,5	3,8	11,0	10,1	5,7
1970	65,8	1,7	3,2	4,6	9,7	8,5	5,5

ახლო ისტორიული წარსულის ვითარება და თვით თანამედროვე მდგომარეობა ისეთია, რომ საქართველოს დემოგრაფიული

⁷ იხ. პ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. II, 1971, გვ. 337—369.

ფორმირების რიგ სიღრმისეულ პროცესთა ახსნისათვის აუცილებელია საკითხის ამიერკავკასიის მსხვილი ეკონომიკური რაიონის ფარგლებშიც განხილვა.

ამიერკავკასიაში (თანამედროვე საზღვრებში) მოსახლეობის საერთო რაოდენობა ათასობით უდრიდა 1800 წ. — 1 430; 1832 წ. — 1 660; 1865 წ. — 2 700; 1886 წ. — 3 935; 1897 წ. — 4 644; 1926 წ. — 5 793; 1959 წ. — 9 505; ხოლო 1970 წ. — 12 295.

თუ რუსეთთან შეერთებამდე, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობის რიცხოვნობა ხშირი შემოსევებისა, შინაომებისა და სხვ. გამო, თითქმის სულ კლებულობდა, ამ დროიდან იწყება ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების და თვით მოსახლეობის რიცხოვნობის აღმავლობა, რაც განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში და რასაც მოწმობენ ზემოთ მოყვანილი მონაცემები.

ახლა გავეცნოთ ამიერკავკასიის მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის დინამიკას. მოსახლეობის საერთო რიცხვში იყო პროცენტობით:

ცხრილი 2

წლები	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	დანარჩენი
1800	43,0	42,6	6,6	7,8
1832	38,4	37,9	16,3	7,4
1865	35,6	34,9	20,0	9,5
1886	30,7	33,3	22,9	13,1
1897	28,8	32,0	21,6	17,6
1926	31,2	30,3	23,0	15,5
1959	27,3	29,0	25,6	18,1
1970	25,5	33,7	25,6	15,2

ციფრები ნათლად ღაღადებენ, რომ მოცემულ ტერიტორიაზე აღებულ პერიოდში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის მოძრაობა ძლიერ ბიძგებს განიცდიდა, რაც, როგორც ითქვა, უმთავრესად იყო მექანიკური ცვალებადობის შედეგი.

აქ საკმარისია ითქვას, რომ მე-19—20 სს., განსაკუთრებით 1828—1832 წწ. და 1914—1916 წწ. ირან-თურქეთის სამფლობელოებიდან, ხოლო მერმე 1921—1940 წწ. და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რამდენიმე ასეული ათასი სომეხი დაბრუნდა თავის სამშობლოში, საერთოდ საბჭოთა კავშირში.

ახლა საჭიროა ითქვას, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ნაციონალური შედგენილობის დინამიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თვით ავტოქტონური მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპში არსებული ღრმა განსხვავებულობანი, რის შესახებაც გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან ქვემოთ მოყვანილი ციფრები.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა — შობადობა და მოკვდაობა — 1000 კაცზე გაანგარიშებით გვიხატავს მოსახლეობის ბუნებრივი მატების სურათს. არსებული კანონზომიერების დადგენისათვის საკმარისია უკანასკნელი ოცი წლის მონაცემთა ურთიერთშედარება (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

წლები	დაიბადა			მოკვდა			მოსახლეობას მოემატა		
	საქართველოს სსრ	სომხეთის სსრ	აზერბაიჯანის სსრ	საქართველოს სსრ	სომხეთის სსრ	აზერბაიჯანის სსრ	საქართველოს სსრ	სომხეთის სსრ	აზერბაიჯანის სსრ
1950	23,5	32,1	39,2	7,6	8,5	9,6	15,9	23,6	29,6
1960	24,7	40,3	42,6	6,5	6,8	6,7	18,2	33,5	35,9
1966	20,1	27,7	35,2	6,6	5,6	6,7	13,5	22,1	28,5
1969	18,7	28,8	29,3	7,5	5,2	7,0	11,2	17,1	22,3
1970	19,2	22,1	29,2	7,3	5,1	6,7	11,9	17,0	22,5

როგორც ვხედავთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპებში დიდი განსხვავებაა. მაგრამ მოტანილ ციფრებში ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის 1000 სულზე მატება, მაგალითად, საქართველოში 1969 წელს უდრიდა 11,2, ხოლო ოცი წლის წინათ კი შეადგენდა 15,9, ე. ი. მატების ტემპი მნიშვნელოვნად დაეცა. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საკუთრად ქარ-

თველობა აქ შეადგენს 66,8 პროცენტს, ხოლო დანარჩენი მოსახლეობის (33,2%) მატების ტემპი ბევრად უფრო მაღალია. ასე რომ აბორიგენთა ბუნებრივი მატების ტემპი სინამდვილეში საგრძნობლად უფრო ნაკლებია, ვინემ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის შესაბამისი მაჩვენებელი.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი კლებულობს აზერბაიჯანსა და სომხეთშიაც, მაგრამ იგი თავისთავად, დაახლოებით 1,5—2-ჯერ უფრო მაღალია ვინემ საქართველოში და ამ ტემპების სიმტკიცე კიდევ უფრო ნათელი გახდება თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ საკუთრად სომხები სომხეთის სსრ-ის მთელ მოსახლეობაში შეადგენენ 88,6%, ხოლო აზერბაიჯანის სსრ-ში აზერბაიჯანელები—73,8%.

ფერტილური ასაკის ქალთა ადრე გათხოვება და, მაშასადამე, მრავალშვილიანობა, აზერბაიჯანში (ისევე როგორც თურქმენეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში) უშუალო კავშირშია მუსლიმანური რელიგიის გადანაშთებთან, რაც აქ გაბატონებული იყო არც თუ ისე შორეულ წარსულში; სომხეთში — როგორც პროფ. ვ. კოზლოვი წერს, შედეგია, აქ, ამ მხრივ, პატრიარქალური ტრადიციების შენარჩუნებისა და ნაწილობრივ მისწრაფებისა აღდგენილ იქნას ფრიად დიდი დანაკლისი, რაც ამ ხალხმა განიცადა XX ს. დასაწყისში. ამის საილუსტრაციოდ მასვე მოყავს საინტერესო მონაცემები.

16—19 და 20—24 წლის ასაკის ქალთა შორის გათხოვილები შეადგენენ პროცენტობით (ცხრილი 4, იხ. გვ. 21).

სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის მეტნაკლები გამრავლების ტემპის შედეგად იცვლება ამ ერთა რიცხოვნობითი ადგილი სსრ კავშირში. ასე, მაგალითად, 1959 წ. მოსახლეობის აღწერით ბელორუსებს, შეადგენენ რა 7.913.000 სულს, ეჭირათ რიგით მესამე ადგილი, ხოლო უზბეკებს, რომელთა რიცხოვნობა უდრიდა 6.015.000 სულს, — მეოთხე ადგილი. 1970 წ. აღწერით კი მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მესამე ადგილი დაიკავეს უზბეკებმა (9.195.000); ხოლო რაც შეეხება ბელორუსებს, რომლებიც 1959 წელს თითქმის ორი (1,9) მილიონი კაცით აღემატებოდნენ უზბეკებს, — 1970 წელს შეადგენდნენ 9.052.000 სულს, ე. ი. 150.000 სულით ჩამორჩებოდნენ უზბეკებს; მათ უკვე მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს. ანდა კიდევ. ქართველთა რიცხოვნობა სსრ კავშირში 1959 წ. უდრიდა 2.692.000, ხოლო სომეხთა — 2.787.000, ე. ი. მეტი იყო 95 ათასით. 1970 წელს კი სომეხებმა შეადგინეს 3.559.000

ეროვნებათა დასახელება	1926 წ.		1959 წ.	
	16—19 წლისა	20—24 წლისა	16—19 წლისა	20—24 წლისა
რუსი	15,0	68,4	9,3	48,2
უკრაინელი	14,2	76,2	10,1	48,1
ესტონელი	—	—	4,2	36,7
ქართველი	28,7	71,4	10,7	45,6
სომეხი	55,2	88,0	15,8	56,1
აზერბაიჯანელი	59,0	90,6	27,8	68,6
ყაზახი	57,8	96,7	28,7	78,4
უზბეკი	56,4	93,6	31,8	83,7
თურქმენი	63,6	93,9	32,0	89,4
ყირგიზი	86,2	98,5	44,2	87,8
ტაჯიკი	61,5	92,3	36,6	86,5

და, ამგვარად, ქართველებზე (3.245.000) მეტნი გახდნენ უკვე 314 ათასით.

ამასთანავე, 1926 წ. აღწერით, სსრ კავშირში ქართველები შეადგენდნენ 1.821 ათასს, ხოლო სომეხები კი 1.568 ათასს, ე. ი. მაშინ ქართველთა რიცხოვნობა 250 ათასი კაცით მეტი იყო. მერმინდელ წლებში ამ თანაფარდობის შეცვლის მხრივ, როგორც ცნობილია, დიდი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა; სახელდობრ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სომეხთა მასობრივმა რეპატრაციამ და, აგრეთვე, მათი გამრავლების მაღალმა ტემპმა.

ამიერკავკასიის მთავარ ეროვნებათა მოსახლეობა სსრ კავშირში შეადგენდა, ათასობით:

	1926 წ.	1970 წ.
ქართველები	1.821	3.245
აზერბაიჯანელები	1.713	4.380
სომეხები	1.568	3.559

როგორც ვხედავთ, ბუნებრივი (აზერბაიჯანის მაგალითზე) და ბუნებრივი და მექანიკური (სომხეთის მაგალითზე) ზრდის ტემპების დიდი განსხვავებულობის შედეგად სულ რაღაც 44 წლის განმავლობაში რიცხობრივად ქართველებმა პირველიდან უკანასკნელ ადგილზე გადაინაცვლეს და თანაც დიდი განსხვავებით; — 1926 წ. ისინი, მაგალითად, სომხებზე მეტნი იყვნენ 253 ათასით, ახლა კი ნაკლები არიან 314 ათასით, ე. ი. განსხვავებულობა ზრდის ტემპებში 44 წლის მანძილზე იძლევა 567.000 კაცს.

ნათელია, რომ საერთოდ მცირერიცხოვან ხალხთა ეროვნული ორგანიზმისათვის ეს ფრიად დიდ დოზაა.

ამ 1955 წ. ჩატარებულმა გათხოვილი ქალების გამოკითხვამ, თუ რამდენი შვილის გაჩენას ფიქრობენ, — როგორც ცნობილი ამერიკელი დემოგრაფის პ. უელპტონის და მისი კოლეგების დაკვირვებამ უჩვენა — შესაძლებელი გახადა გაეთვალისწინებინათ გათხოვილ ქალთა ფაქტიური ფერტილობა 1955—1960 წწ. ეს გარემოება ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ანკეტური გამოკითხვის გზით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ნაციონალური ოჯახის ერთობლიობის მთელი ნაყოფიერების (შვილიანობის) გასათვალისწინებლად⁸. თანაც ირკვევა, რომ ამ გზით მოპოვებული სავარაუდო ცნობები ათეული წლების მანძილზე სტაბილურია⁹.

საზოგადოებრივი განვითარების ყოველ საფეხურს, სათანადო სოციალური ჯგუფების (კლასების) შესაბამისად, ახასიათებს ოჯახის გარკვეული იდეალი. პიროვნება, როგორც საზოგადოების ელემენტი და დემოგრაფიული ქცევის სუბიექტი, ცხადია, დამოკიდებულია საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან; — ხოლო თვით საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში თავისი ჯგუფის სტატუსისაგან, სადაც ყალიბდება კერძოდ დემოგრაფიული ფაქტების (ქორწინების, შობადობის, გაყრის) ფასეულობათა სისტემა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების გამოვლინება.

ამ დემოგრაფიული პროცესების, კერძოდ ოჯახის იდეალის, ქორწინების, შობადობის და სხვ. მეცნიერული ახსნა შეუძლებელია თანამედროვე სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის უახლეს მიღწევათა საფუძველზე პრობლემის შესწავლის გარეშე.

⁸ Сб. Изучение мнений о величине семьи, 1971.

⁹ Р. Фридман, Л. Кумз, Ожидаемое число детей и характер развития семьи, 1971; Н. Райдер и Ч. Уэстоф, Тенденция изменения ожидаемого числа детей в США: 1955, 1960, 1965 гг., 1971.

რეალურ დემოგრაფიულ ფაქტებს (ქორწინებას, შობადობას, გაყრას) განსაზღვრავს დემოგრაფიული ქცევა, რაც შეპირობებულია, როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი ყოფიერებით, რაშიც ყალიბდება ცოლ-ქმრის ინდივიდუალური ცნობიერება, რომლის სიმყარე შესაბამის უახლეს მოვლენათა შესახებ მათი ინფორმირებულობის (გაცნობილობის) დონეზეა დამოკიდებული.

ყოველ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული სოციალური ჯორმები, როგორც ფერტილობის, ასევე შობათა შორის ინტერვალების, შვილთა რაოდენობის, ოჯახის წევრთა რაოდენობის, ქორწინებაში შესვლის (საპატარძლოსა და საქმროს) ასაკის და სხვა ცვალებადი დემოგრაფიული მოვლენების შესახებ. ეს ნორმები, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ვითარებაში, მეტნაკლები ზომით ყოველთვის მოქმედებენ მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე და, მიუხედავად ამისა, ოფიციალური სტატისტიკა მათ, როგორც მასობრივ მოვლენებს არ შეისწავლის.

ასეთ ვითარებაში, ცნობილი ფრანგი დემოგრაფის ლუი ანრის მტკიცებით, ოფიციალური (სახელმწიფოებრივი) სტატისტიკა, როგორც გინდ სრულქმნილი იგი არ იყოს, საკმარისი არაა დემოგრაფიული ფაქტების საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლისათვის. ის იმასაც კი აცხადებს, რომ ოფიციალური სტატისტიკის მონოპოლია აბრკოლებს დემოგრაფიული კვლევა-ძიების განვითარებას და რომ სამეცნიერო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თვითონვე, მათ მიერვე შედგენილი პროგრამის მიხედვით მოიპოვონ საჭირო მონაცემებიო. ნიშანდობლივია, რომ ეს განცხადება ეკუთვნის ადამიანს, რომელიც თვითონაა თავის ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის ხელმძღვანელი, თუმცა იგი ამასთანავე მეცნიერი დემოგრაფია. უნდა ითქვას რომ ეს წინააღმდეგობა საერთოდაც ახასიათებს თანამედროვე დასავლეთის დემოგრაფიას¹⁰.

იხეზიან რა პროფ. ლ. ანრის ამ განცხადებას, პროფესორები ა. ვოლკოვი და ლ. დარსკი წერენ, რომ „დემოგრაფიულ გამოკვლევათა უფრო ეფექტური ორგანიზაციის საკითხი აქტუალურად მოჩანს საბჭოთა დემოგრაფიისთვისაც“; განსაკუთრებით ამახვილებენ ისინი ყურადღებას უკვე არსებულ დემოგრაფიულ ჟურნალებსა და დაწესებულებათა გვერდით დემოგრაფიული ინსტიტუტის ორგანიზაციის აუცილებლობაზე.

¹⁰ Проблемы современной демографии, 1971.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში, გარდა იმისა რომ არსებობს რიგი დემოგრაფიული ინსტიტუტი და სამეცნიერო ცენტრი, რომლებიც სწავლობენ ოჯახის, ქორწინების, გამრავლებისა და სხვ. საკითხებს, — დემოგრაფიული პოლიტიკა მთელი სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრიობის უაღრესად აქტუალურ პრობლემადაა მიჩნეული და იმ ზომამდეც, რომ, მაგალითად, პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც მას პირველხარისხოვანი ყურადღება ექცევა. ოჯახისა და მოსახლეობის საქმეთა უმაღლესი კომისარიატი და სოციალურ საქმეთა სამინისტრო პრესის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით ვრცელ ინფორმაციას აწოდებენ მოსახლეობას — მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების, მათს შესახებ შესაბამისი დაკვირვებებისა და გამოკვლევათა მიღწევების და სხვ. თაობაზე. საზოგადოებრივი აზრის მრავალგზისი გამოკითხვაც ადასტურებს ამ მხრივ დიდ ყურადღებას მოსახლეობისა, რომელსაც პრობლემა ნაციონალური ინტერესის დონეზე აქვს წარმოდგენილი¹¹.

თანამედროვე ინდუსტრიული რევოლუციის ვითარებაში წარმოქმნილი ახალი და უახლესი დემოგრაფიული მოვლენების შესწავლისათვის, როგორც ამერიკელი პროფ. რონალდ ფრიდმანი ხალხთმოსახლეობის მეორე მსოფლიო კონფერენციაზე (ბელგრადში, 1965 წ.) თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, აუცილებელია ოფიციალურზე ბევრად მეტი ინფორმაცია ჰქონდეს მეცნიერს იმ ფაქტორთა შესახებ, რომლებიც განაპირობებენ შობადობის დაბალ დონეს კულტურულად და ეკონომიკურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში. ამასთანავე, როგორც იგი აღნიშნავს, ეს დემოგრაფიული ფაქტი, სახელდობრ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ფერტილობის დონის დაქვეითება — ახალი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში¹².

უკანასკნელ ხანებში აშშ დაიწყო მსჯელობა ნაციონალური მასშტაბით დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე. საჭიროა თუ არა ხელისუფლებამ დაიწყოს მრავალშვილიანობის არა თუ შენელების პროპაგანდა, არამედ დაბეგვრაც და იმიგრაციის შეზღუდვა. მართალია, 50-იანი წლების „ახალშობილთა ბუშის“ შემდეგ 60-იანი წლებიდან კვლავ დაიწყო ფერტილობის კოეფიციენტის დაცემა, მაგრამ მოსახლეობის გამრავლების ტემპი მაინც მნიშვნელოვანია, თუმცა ფერტილობის დაცემა აღიარებულია როგორც მუდმივი.

¹¹ А. Ж и р а р и Э. З ю к е, Опрос мнений о структуре семьи и предпосылках рождений, 1971; Д. В а с и л ь е в и М. П о п о в, Анкетное исследование мнений женщин об оптимальном числе детей в семье, 1970.

¹² Р. Ф р и д м а н, Современные представления о факторах плодovitости. Сб. Изучение мнений о величине семьи, М., 1971.



ტენდენცია; თანაც დაღვენილია, რომ აქ ქალთა 5% თხოვდება ფერტილიზაციის საშუალებების გამოყენება, ხოლო გათხოვილთა 7% არა ყავს შვილები. აღსანიშნავია, ისიც, რომ იმიგრანტები (საშუალოდ წლიურად 350 ათასი) ძირითადად ახალგაზრდობაა და დიდ გავლენას ახდენენ აშშ მოსახლეობის ზრდის ტემპზე.

ამერიკელი დემოგრაფი ელან სკინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფერტილობის ომის შემდგომი, კერძოდ 50-იანი წლების, ინტენსივობა გამოიწვია არა მხოლოდ შემოსავალთა გადიდებამ და დასაქმებულობის უკეთესმა პირობებმა, არამედ, აგრეთვე, ოჯახის სიდიდის თაობაზე, განსაკუთრებით უფრო განათლებულ და უზრუნველყოფილ ფენებში, საზოგადოებრივი აზრის შეცვლამ. ამ უკანასკნელ ასპექტში შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ერთი პირობის მიხედვით ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა რუზველტის „ახალმა კურსმა“ და კენისის თეორიამ, რომელთაც, ვითომ, შესცვალეს აშშ არა მხოლოდ ეკონომიკა, არამედ ამერიკელთა კოლექტიური ფსიქიკაც, კერძოდ ეალების („კრედიტიც ბოვრების“) თაობაზე.

ყველაზე ზომიერი დემოგრაფიული პროგნოზებით 2000 წლამდე აშშ მოსახლეობა 100 მლნ სულით გაიზრდება. მარტივი გაანგარიშებით ამ მოსახლეობისათვის სულ რაღაც სამიოდე ათეული წლის მანძილზე საჭიროა აშენდეს თითოეულში ერთი მილიონი მცხოვრებისათვის 50 ქალაქი, ნახევარმილიონიანი — 50 ქალაქი, მეოთხედმილიონიანი — 50 ქალაქი და ასათსიანი — 125 ქალაქი; ანუ 250 ათასიულისი ქალაქი ყოველ 25 დღეში!

აშშ მრავალი კერძო და სახელმწიფოებრივი სპეციალური დაწესებულება მუშაობს მოსახლეობის პრობლემაზე. 1970 წ. პრეზიდენტის მითითებით კონგრესმა შექმნა მოსახლეობის ზრდისა და ამერიკის მომავლის კომისია, რომელიც 1971 წ. დასასრულს წარდგენილ მოსაზრებებში აუცილებლად სთვლის სასწრაფოდ შემუშავდეს ნებაყოფლობის საფუძველზე მოსახლეობის რეცხონების სტაბილიზაციის პოლიტიკა. უფრო ადრე გამოცა კანონი ოჯახის გეგმავლობისა და მოსახლეობის პრობლემათა შესწავლის, დემოგრაფიის სპეციალისტების მომზადების თაობაზე ფართო სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გატარების შესახებ. დაიწყო საზოგადოებრივი აზრის დამუშავება იმ მიმართულებით, რათა ე. წ. „კონტროლის რეზოლუციის“¹³ შესაბამისად კონგრესმა ამერიკელი საზოგადოების იდეალად ოფიციალურად გამოაცხადოს ორ ბავშვიანი ოჯახი და ამისათვის საჭირო პროპაგანდაც გააჩაღოს. ამავე მიმართულებით, სხვა მრავალთა შორის, მუშაობს, 1968 წ. შექმნილი კერძო ორგანიზაცია — „მოსახლეობის ნულოვანი მატება“, (Zero Population Growth Inc.) რომელსაც აშშ აქვს 400 განყოფილება და კიდევ ფილიალი კანადაში. ეს ორგანიზაციები ქადაგებენ აბორტის ლეგალიზაციას, სკოლებში დემოგრაფიის კურსის შემოღებასა და საერთოდ მოსახლეობის მატების სტაბილიზაციისათვის.¹⁴

ამავე დროს, 1967 წ. 14—39 წლის ქალთა შორის ჩატარებული შერჩევითი გამოკვლევები უჩვენებენ, რომ 35 წ. და მეტი ხნის ქალებს საუკეთესოდ მიაჩნდათ 3—4 შვილის ყოლა, ხოლო 18—19 წლის ქალებს უფრო 3 და ნაწილობრივ 2 შვილის ყოლა (საშუალოდ 2,7). 1970 წ. მთლიანი გამოკვლევით 26—29 წლის

¹³ ე ლ ა ნ კ რ ე ნ ს ტ ი ნ ი , კონგრესის მიერ 1970 წ. შექმნილი ზემოხსენებული კომისიის წევრია.

¹⁴ О. О с к о л ь к о в а , Население США: проблема стабилизации численности. МЭМО, 1973, № 1.

გათხოვილ ქალთათვის ოპტიმალური საშუალო რიცხვია 2,5 ბავშვი. ეს მონაცემები კი იმას მოწმობენ, რომ შვილთაშობის შემცირების პროპაგანდისტებს არსებულ სიტუაციაში გაუძნელდებათ თავიანთი მიზნების განხორციელება. თუმცა გელაპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა (1972) გამოკითხვამ ცხადყო, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობის ორი მესამედი, ხოლო მ. შ. განათლებულთა სამი მეოთხედი მხარს უჭერს აბორტის შეზღუდვის გაუქმებას (ამჟამად აბორტი ნებადართულია 18 შტატში).

საერთოდ აშშ მოსახლეობის სიმკიდრეზე ბევრად ნაკლებია ვინემ ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობაში და თუ მაინც ძლიერდება მოსახლეობის სტაბილიზაციის ღონისძიებათა გატარების მომხრეთა პოზიციები, ეს თავისთავადაც ბევრი რამის მთქმელი ფენომენია.

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის გამრავლების ტემპის შემცირების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1960-იან წლებში ჩაატარა საფუძვლიანი გამოკვლევა, რამაც ამ საჭმის ინიციატორებისათვის ცხადყო, რომ ფერტილობის დონის ეს დაქვეითება დაკავშირებულია მოდერნიზაციისა და განვითარების სხვადასხვა მიმდინარე მოვლენებთან, როგორიცაა ურბანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, წარმოების ტექნოლოგიის გართულება, შემოსავალთა ზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება, წარმოებაში ქალის მონაწილეობის გაძლიერება, ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა განვითარება, განათლებისა და წიგნიერების მაღალი დონე და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა¹⁵.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სიახლენი შრომის დანაწილების სისტემაში. სოფლის ნათესაური უჯრედების და ოჯახის მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია გადავიდა არაოჯახურ სპეციალიზებულ დაწესებულებათა კომპენტენტიაში. წარმოებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში დიდი ზომით ჩაებნენ ქალები, სადაც მათ ისეთი მდგომარეობა დაიკირეს, რასაც საფუძვლად არ უძევს ოჯახური კავშირები; — თუმცა ისინი აქ მუ-

¹⁵ ფრანგი სტატისტიკოსებისა და დემოგრაფების უახლეს გამოკვლევათა (1971) მიხედვით, ქვეყნებში, სადაც ცხოვრობს ორ ან რამდენიმე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა სარწმუნოების (რელიგიის) ხალხი (ნაცია) მეუღლის შერჩევამ მთილო დიდი დემოგრაფიული, გენეტიკური, სოციოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა, რამდენადაც დასახელებული ფაქტორები ძლიერ გავლენას ახდენენ ოჯახის ფორმირებაზე. ამასთანავე, ქორწინებას სხვადასხვანაირად აფასებენ სხვადასხვა სოციალურ-პროფესიული კატეგორიების ადამიანები. განათლების დონეც თავის გავლენას ახდენს კერძოდ ქორწინებამდელ ჩასახვათა სიხშირეზე, რისი 9% მოდის ქალებზე, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და 17% რომელთაც ასეთი არა აქვთ («Вестник статистики», 1972, № 9, стр. 81).

შაობენ თავისი ოჯახისა და შვილების კეთილდღეობისათვის, მაგრამ მინიმუმზე მეტ შვილებს შეუძლია ხელი შეუშალოს მათ სამსახური საქმიანობაში და რაც, იქნებ, მთავარია, შვილები არაერთად როლს არ თამაშობენ იმ საწარმოში (დაწესებულებაში), რომელშიც დედები მუშაობენ. ოჯახი როგორც წარმოებრივი ერთეული იშლება. წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული ცოლები და ქმრები ჰკარგავენ სტიმულს გაიჩინონ შვილები ოჯახური წარმოებრივი ერთეულის შევსებისათვის, განმტკიცებისათვის, სრულყოფისათვის.

რა თქმა უნდა, ოჯახი მაინც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საზოგადოებაში. ქორწინება საყოველთაო მოვლენად რჩება. უშვილობა იშვიათია თვით ყველაზე დაბალი ფერტილობის დონის პირობებშიც. და ყველაფერი ეს წარმოადგენს ახალი ოჯახური კავშირის დადგინების დასაწყისს — როგორც სოციალისტურ, ასევე კაპიტალისტურ სამყაროში.

ასეთია ის დასკვნები რაც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მის მიერ სპეციალურად ამ მიზნით ჩატარებული გამოკვლევის შედეგად და რაც გადმოცემულია პროფ. რ. ფრიდმანის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ თუ რამდენად მართებულია ისინი,

III

საკითხის ისტორიისათვის

1946 წ. 25 იანვარს აკად. გ. ახვლედიანმა დამირეკა: ხვალ 2 საათზე აკადემიის პრეზიდიუმში მობრძანდით. ქართველი ინტელიგენციის მეთაურებთან შეხვედრას ვაწყობ ერთ ფრიად სერიოზულ საკმეზეო. დამადიქრებელი მოწვევა იყო...

დანიშნულ დროს აკად. გიორგი ახვლედიანის კაბინეტში შეიკრიბნენ: ალექსანდრე აბაშელი, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე წულუკიძე, თედო სახოკია (კრებას თავმჯდომარეობდა), შალვა ღამბაშიძე, ვარლამ თოფურიძე, აკაკი ვასაძე, გიორგი ჩიტაია, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა აფხაიძე, უჩა ჯაფარიძე, აკაკი ფაღავა და ქართული მეცნიერებისა და კულტურის კიდევ რამდენიმე გამოჩენილი მოღვაწე, რომელთა სახელები, სამწუხაროდ მაშინ არ ჩამიწერია.

თათბირის ინიციატორის შესავალი სიტყვის აზრის იყო, რომ ქართველმა ინტელიგენციამ ყოველივე უნდა იღონოს, რათა ხელი შეუწყოს ქართველი ერის გამრავლების ტემპის დაჩქარებას. ეს აუცილებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველთა გამრავლების ტემპი შედარებით ძლიერ დაბალია, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებულ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საქართველომ გაგზავნა თავისი 600.000 შვილი, რომელთა დიდი ნაწილი შინ არ დაბრუნებულა და სხვ.

განსახილველი პრობლემის თაობაზე აზრები გამოთქვეს თ. სახოკიამ, ა. ვასაძემ, ა. აბაშელმა, გ. ქიქოძემ, ა. წულუკიძემ, ამ სტრიქონების ავტორმა. თათბირმა, გ. ქიქოძის წინადადებით მეტხოვა საქართველოს დემოგრაფიის: მოსახლეობის ეროვნული შედგენილობისა და, კერძოდ, ქართველი ხალხის ბუნებრივი გამ-

რავლების (მატების) ტემპის საკითხების შესწავლა კვლავ გამეგრ-
ძელებია¹⁶ და გამეანალიზებია სხვა ხალხთა ანალოგიური მაჩვე-
ნებლების შედარებით ასპექტებშიც.

გერონტი ქიქოძემ თავის გამოსვლაში, სხვათა შორის, გა-
იხსენა 900-იანი წლების დამდეგს გამოქვეყნებული ფილიპე გო-
გიჩაიშვილის სტატიები მოსახლეობის გამრავლებისა, ოჯახისა და
ახალი თაობის (შვილების) აღზრდის შესახებ, სადაც იგი, ფ. გო-
გიჩაიშვილი, ამტკიცებდა, რომ ჩვენი ქვეყნის მაშინდელ
ვითარებაში შვილების სამშობლოსათვის საჭირო იდეალების სა-
ფუძველზე აღზრდა-განათლება შეიძლება საზოგადოებრივ მოღვა-
წეობად ჩაითვალოს.

ქვემოთ მოგვყავს ორიოდე ამონაწერი ფ. გოგიჩაიშვილის ამ
წერილებიდან:

...„ხალხის ზრდას და გამრავლებას, გარდა ეკონომიურისა, დი-
დი ეროვნული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩვენისთანა
პატარა ერისათვის“.

„...ოჯახს ახლავს კიდევ ერთი მხარე, რომელიც დიადი მნიშ-
ვნელობისაა მთელ საზოგადოებისა და ერისათვის. ესაა შვილე-
ბის აღზრდა, — ისეთი სფერო კერძო ოჯახურ ცხოვრებაში, სადა
მეოჯახეს შეუძლია შეგნებულად თვალსაჩინო სარგებლობა მო-
უტანოს თავის ერს და ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ მისაჩნევი
და საღიარებელი გახდეს“¹⁷.

„...დაოჯახიანება აკმაყოფილებს ადამიანის ძლიერ ფიზიო-
ლოგიურ მოთხოვნილებას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტ-
კიცებას, ზნეობის გაფაქიზებას, ბიოლოგიურ და სოციალურ
ცხოვრების გაუმჯობესებას, ამრავლებს ხალხს, — აძლევს საზოგა-
დოებას მუდამ ახალ ელემენტს, რომელიც იჭერს ძველების ად-
გილს, იწყებს მოქმედებას, მუშაობას, ანახლებს ძველ ცხოვრებას,
ჰქმნის კულტურულ წარმატებას და განსაკუთრებით ჩვენისთანა
პატარა ხალხს ჰმატებს ეროვნულ ძალას და მნიშვნელობას. ამი-
ტომ, — ვითარცა ლოლიკური დასკვნა ყველა ზემოთ ნათქვამიდან:
— ყოველი ადამიანი, რომელიც ასრულებს ამ სოციალურ-ორგანი-
ულ ფუნქციას, — ჰკიდებს ხელს ოჯახს, იჩენს ცოლ-შვილს და ილ-

¹⁶ გ. ქიქოძემ აქ დაასახელა ჩემი სადოქტორო დისერტაცია (1940) მიძღვნილი
საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციისა და მოსახლეობის სტატისტიკის
საკითხებისადმი. იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკო-
ნომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 355—748.

¹⁷ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2344.

წვის ოჯახისათვის, ჩვენ მიგვაჩნია ამ მხრით საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო პირად“.

„...ნამდვილად კი ოჯახს ახლავს რამდენიმე მხარე და ამათში განსაკუთრებით ერთი, რომელიც „ფიზ-ოლოგიის“ ფარგალს გაცილებულია და ამასთან დიდად მნიშვნელოვანია მთელ საზოგადოებისა და ერისათვის. ეს ისეთი სფეროა, კერძო ოჯახურ ცხოვრებაში, სადა მეოჯახეს შეუძლია შეგნებულად დიდი სარგებლობა მოუტანოს თავის ერს და აქ, ამ „კერძო ცხოვრების“ ნიადაგზე, საზოგადო მოღვაწედ მისაჩნევი და სალიარებელი გახდეს. ეს გახლავთ შეილება გაზრდა, — თავის ერისთვის შეგნებულ, მშრომელ და სასარგებლო წევრების მომზადება. ჩვენ ეს მხარე ოჯახურ ცხოვრებისა ისე დიდ მნიშვნელოვნად და საკეთილოდ მიგვაჩნია, რომ ერთ წუთსაც არ შევდრკებით, — ის მამა, რომელიც აქ თავის მოვალეობას წესიერად ასრულებს, ჩუმ, მაგრამ სასარგებლო საზოგადო მოუშაკად აღვიაროთ და მისი ღვაწლი შესაფერად დავადგათო...“

...კარგ დედ-მამობის გაწევის და შვილების რიგიანად აღზრდას, რა თქმა უნდა, ყველგან და ყველა ხალხებში დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ჩვენში არის განსაკუთრებული გარემოებანი, რომელნიც კიდევ უფრო უაღრესად და ყურადღების ღირსად ჰქონდა მეოჯახე ადამიანის ამგვარ „კერძო“ მოღვაწეობას. ჩვენი მოზარდი თაობის ნორმალურად განვითარებას ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ სასწავლებელსა და ცხოვრებაში, რომელიც შექმნილია ხელოვნურად, — განსაზღვრულის მოსაზრებით და მიზნით. ოჯახს შეუძლია, რამდენიმედ მაინც, ამ დაბრკოლებათ წინააღმდეგობა გაუწიოს და მოზარდ თაობას შეუსრულოს ის ნაკლებობა, რომელსაც უჩენს მას სკოლა და სახელმწიფო განათლების მიღება. და რამდენადაც ჩვენებური ოჯახი ჩვენს ამგვარ მდგომარეობას შეგნებულად უყურებს და თავის ეროვნულ მოვალეობას არ ივიწყებს, იმდენად იგი ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, იმდენადვე ოჯახის მამა, ამ მოვალეობის აღმსრულებელი, ჩვენი ერისათვის ძვირფასი და პატივსაცემია“. ¹⁸

საქართველოს მოსახლეობის პოპულაციის პრობლემა 1959—1960 წწ. კვლავ ახალი ძალით გამოაცოცხლა გამოჩენილმა მეცნიერმა პროფ. იო ს ე ბ უ ო რ დ ა ნ ი ა მ. მისი ინიციატივით პრობლემის შესწავლის მიზნით შექმნილ საორგანიზაციო კომიტეტში, რომელსაც თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი პროფ. გ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, შევიდნენ: აკადემიკოსები ავლიპი ზ უ რ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, კონსტანტინე ე რ ი ს თ ა ვ ი, გიორგი ჩ ი ტ ა ი ა, პროფესორები აკაკი ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ირაკლი ფ ა ღ ა ვ ა, კონსტანტინე ჩ ა ჩ ა ვ ა, პაატა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი და სხვ.

ამ ინიციატივამ საკმაო შედეგები გამოიღო საკითხის შემდგომი გააქტიურების თვალსაზრისით. 1960 წ. ნოემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მოეწყო პოპულაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი სპეციალური სამეცნიერო სესია, სადაც

¹⁸ გაზ. „ენობის ფურცელი“, 1903, № 2351.



მოსმენილ იქნა ჯანდაცვის მინისტრის პროფ. გ. მარუაშვილის, პროფ. ი. ჟორდანიას, აკად. გ. ახვლედიანის, პროფ. პ. გუგუშვილის, სოციოლოგის ჯ. ბაქრაძის, ნ. ებრაელიძის, ვ. გრძელიძისა და სხვ. მოხსენებები და ინფორმაციები.

პროფ. ი. ჟორდანიას ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ამ საქმეს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას პროფ. ჯემალ ციციშვილი.

ცხადია, ამ ინსტიტუტის პრობლემატიკაში არ შედის საქართველოს დემოგრაფიის საკითხები, როგორც საერთოდ საზოგადოებრივი მეცნიერების კვლევის საგანი. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში, მიუხედავად მრავალწლისი ცდილისა და ყველა პირობის არსებობისა, დღემდე ვერ მოხერხდა არათუ სპეციალური დაწესებულების ორგანიზაცია, როგორც ეს არის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ თუნდაც მხოლოდ დემოგრაფიის განყოფილების შექმნა, მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც სისტემატური კვლევის საგანი გახდებოდა საქართველოს მოსახლეობის დინამიკის, მისი ასაკობრივი, პროფესიული, ნაციონალური და სხვა სტრუქტურის შესწავლა, მეცნიერული ანალიზი და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება, რასაც ესოდენი აუცილებლობით მოითხოვს ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის გეგმიანობის, სახელმწიფოებრივობისა და საერთოდ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები.

ასეთი სპეციალური კვლევა-ძიების შედეგების გარეშე, ცხადია, ჩვენს წინაშე დასმულ რიგ საკითხზე მხოლოდ ნაწილობრივი და ალბათობრივი ხასიათის, ამასთანავე სხვა ქვეყნების ანალოგიების მოშველიებით შემუშავებული მსჯელობა შეგვიძლია წარმოვადგინოთ.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტემპი დღეს მთელი მსოფლიო პუმანიტარული მეცნიერების და განსაკუთრებით დემოგრაფიის, პოპულაციის, სოციოლოგიის, უპირველესი მნიშვნელობის პრობლემაა.

საბჭოთა ეკონომიკურ და სოციოლოგიურ ლიტერატურასა და თვით სახელმძღვანელოებშიც, მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპებში მომხდარ ცვლილებათა შესაბამისად, სოციალის-

ტური საზოგადოების ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ დებუ-
ლებებიც რამოდენიმეჯერ შეიცვალა.

ასე, მაგალითად, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის
ინსტიტუტის გრიფით გამოცემული პოლიტიკური ეკონომიის სა-
ხელმძღვანელოში ვკითხულობთ: „მოსახლეობის მუდმივი და
სწრაფი ზრდა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მაღალი დო-
ნე, მოსახლეობის დაბალი დაავადებულობა და სიკვდილიანობა,
ამასთან მოსახლეობის შრომაუნარიანი ნაწილის სრული და რა-
ციონალური გამოყენება — ამაში მდგომარეობს მოსახლეო-
ბის სოციალისტური კანონი“¹⁹. ამავე სახელმძღვა-
ნელოს მეოთხე გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემაში ნათქ-
ვამია: რომ სოციალისტურ საზოგადოებაში „... მთელ საზოგადოე-
ებრივ წარმოებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა მუშაძალაზე, გა-
ნუწყვეტლივ მატულობს დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი, ამასთან
არ არის უმუშევრობა და რაციონალურად წარმოებს მთელი შრომა-
უნარიანი მოსახლეობის გამოყენება. ეს არის ხალხთმოსახ-
ლეობის სოციალისტური კანონის არსი. შრომა-
უნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება, ხალხის კეთილდღეობის
განუხრელი გაუმჯობესება განაპირობებს სოციალიზმის დროს
სიკვდილიანობისა და დაავადების შემცირებას, მთელი მოსახლეო-
ბის სწრაფ მატებას“²⁰

დაახლოებით ანალოგიურია მოსახლეობის სოციალისტური
კანონის განსაზღვრებანი მონოგრაფიულ გამოკვლევებშიც. მაგა-
ლითად, ცნობილი საბჭოთა დემოგრაფი პროფ. ბ. ც. ურლანო-
ვი წერს: „მოსახლეობის კანონის ძირითადი ნიშანია მთელი შრო-
მაუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმებულობა, მოსახლეო-
ბის რაციონალური გაადგილება, ცხოვრების ხანგრძლივობის შე-
წყვეტელი გადიდება, მოსახლეობის ინტენსიური ზრდა“²¹.

პროფ. ი. გ. რაკოვის დასკვნით ამ კანონის არსია „მო-
სახლეობის მუდმივი და სწრაფი ზრდა, ხალხის მატერიალური კე-
თილდღეობის მაღალი დონე, მოსახლეობის დაავადებისა და სიკ-

¹⁹ პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, 1954, თბ., ქართ. თარგმანი—
ბ. გუგუშვილისა და ი. ბაჭაძის რედაქციით, გვ. 691.

²⁰ პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, 1963, თბ., ქართ. თარგმანი—
ბ. გუგუშვილისა და მ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, გვ. 802.

²¹ Б. Ц. Урланис, Рождаемость и продолжительность жизни в СССР, 1963, стр. 3.

გდილიანობის შემცირება, მისი შრომანაჩიანი ნაწილის სრული და რაციონალური გამოყენება²².

პროფ. ა. ი. ბოიარსკი წერს: „სსრკ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მოქმედებს მოსახლეობის ახალი, სოციალისტური კანონი, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის სისტემატური სწრაფი ზრდით, ხალხის კეთილდღეობის განუზრელი ამაღლებით...“²³

პროფ. ა. ი. პოპოვი აცხადებს: „დედასა და ბავშვზე საბჭოთა მთავრობის ზრუნვა იმას იწვევს, რომ შობადობა სსრკ შეუჩერებლად იზრდება, ამასთანავე ამ ზრდის ტემპები სულ უფრო დიდდება“²⁴. ამ ნაშრომის მეორე გამოცემაშიც ა. პოპოვი არსებითად იმეორებს თავის დებულებას, რომ სოციალისტურ ქვეყნებში „...იზრდება ქორწინება და შობადობა, დიდდება ბუნებრივი მატება“ მოსახლეობისა²⁵.

შედარებით მეტ სიფრთხილესა და დაკვირვებულობას იჩენენ, მაგალითად, ა. დოლსკაია და დ. ვალენტეი. ა. ა. დოლსკაია სპეციალურ მონოგრაფიაში წერს „ხალხთმოსახლეობის სოციალისტური კანონი მოითხოვს შრომანაჩიანი მოსახლეობის სრულ და რაციონალურ დასაქმებულობას საზოგადოებრივი შრომის სფეროში და გამოხატავს ჰარმონიულად განვითარებული მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების აუცილებლობას“²⁶.

დაახლოებით ასეთსავე აზრს ანვითარებს ცნობილი საბჭოთა სტატისტიკოსი პროფ. დ. ვალენტეი: „მოსახლეობის სოციალისტური კანონის მთავარი ნიშნებია... ყოველმხრივ განვითარებული მოსახლეობის გაფართოებული ბუნებრივი მატება“²⁷.

ჩვენ აქ, ცხადია, არ შევჩერდებით ხალხთმოსახლეობის სოციალისტური კანონის შესახებ არსებულ შეხედულებათა უფრო სრულ განხილვაზე და არც იმაზე, თუ როგორ განასხვავებენ ხალხთმოსახლეობის ეკონომიკური კანონისაგან „დემოგრაფიულ კანონზომიერებას“, მაგალითად, პროფ. ი. ი. პისარევი²⁸ და ე. ა.

²² Сборник научных работ, вып. 52, Минск, 1956, стр. 49.

²³ БСЭ, т. 29, 1954, стр. 175; А. Я. Б о я р с к и й, Социалистический закон народонаселения и воспроизводство рабочей силы, 1964. -

²⁴ А. Я. П о п о в, Современное мальтузианство..., 1953, стр. 42—43.

²⁵ 1960 გამოც., გვ. 38.

²⁶ А. А. Д о л ь с к а я, Социалистический закон народонаселения, 1954, стр. 41.

²⁷ Д. И. В а л е н т е й, Проблемы народонаселения, 1961, стр. 115.

²⁸ И. Ю. П и с а р е в, Народонаселение СССР, 1962, стр. 7; е г о ж е, Население и труд в СССР, 1966.

ბოლდირევი²⁹. ვიტყვით მხოლოდ, რომ მალე, არსებითად უკვე 1960 წლიდან დაიწყო სსრ კავშირში, ხოლო სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ბევრად უფრო ადრეც, შობადობის კოეფიციენტის შესამჩნევი დაცემა (...და მხოლოდ 1970 წ. სსრ კავშირში ამ კოეფიციენტმა რამდენადმე აიწია) და, ამგვარად, მოსახლეობის სწრაფი ტემპით მატების შესახებ დებულება უკვე არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, — ეს ტემპი კლებულობდა. ამის გამო, ცხადია, აუცილებელი შეიქნა სათანადო კორექტივის შეტანა ხალხთ-მოსახლეობის კანონის განსაზღვრებაში.

ახლა, ერთერთ უახლეს სახელმძღვანელოში სწერია: „მუშაქლის აღწარმოების პროცესი დაკავშირებულია ხალხთმოსახლეობის კანონის მოქმედებასთან, რისი გამოვლინება დამოკიდებულია წარმოების წესის ხასიათისაგან. ეს კანონი გვიჩვენებს, ერთი მხრივ, თუ როგორ მიმდინარეობს მოსახლეობის აღწარმოების პროცესი, და, მეორე მხრივ, — წარმოების გარკვეული განვითარების დროს თუ როგორაა უზრუნველყოფილი შრომაუნარიან ადამიანთა დასაქმებულობა, მათი კეთილდღეობა“³⁰.

ამგვარად, ახლა უკვე არაა ლაპარაკი მოსახლეობის მუდმივი და სწრაფი ტემპით მატების შესახებ და ეს, ვფიქრობ, კანონზომიერია და გამომდინარეობს საზოგადოებრივი წარმოებისა და მოსახლეობის დასაქმებულობის, საერთოდ ინდუსტრიულ საზოგადოებათა ცივილიზაციის თანამედროვე მდგომარეობიდან, რაც, ამასთანავე, სულ უფრო მეტ ცვალებადობას განიცდის და, მოსალოდნელია, კიდევ ახალ კორექტივებს შეიტანს მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების პროცესში.

საქმე ისაა, რომ, როგორც ვ. ი. ლენინი წერს, „შეუძლებელია მოსახლეობის აბსტრაქტული კანონის აგება გამრავლების და საარსებო საშუალებათა შესაბამისობის ფორმულის მიხედვით, თუ უგულვებელყოფთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიულად განსაკუთრებულ სისტემებს და მათი განვითარების სტადიებს“³¹.

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვ. ი. ლენინი მიუთითებს არა მხოლოდ საერთოდ ამა თუ იმ ფორმაციის

²⁹ В. А. Болдырев, Экономический закон населения при социализме, 1966.

³⁰ Политическая экономия социализма. Учебное пособие, II изд., 1971, стр. 499.

³¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, 1948, თბ., გვ. 556.

დამახასიათებელი კანონის, არამედ მოცემული ფორმაციის განვითარების სხვადასხვა სტადიის შესაბამისი კანონის არსებობის შესაძლებლობას და ის, რომ მისივე სიტყვებით „ადამიანის გამრავლების პირობები უშუალოდ დამოკიდებულია სხვადასხვა სოციალური ორგანიზმის აგებულებაზე“³² და, მაშასადამე, იმ ცვლილებებზე, რასაც ამ ორგანიზმის აგებულება განიცდის თავის განვითარებაში სხვადასხვა სტადიაზე.

ქალთა ფერტილობის დონე თითქმის ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში კარგა ხანია რაც ეცემა და ამ პროცესმა უკანასკნელ 10—15 წლის მანძილზე მტკიცედ გამოხატული ტენდენციის ხასიათი მიიღო.

უახლეს პერიოდში ინდუსტრიულ ქვეყნებში, კერძოდ დას. ევროპაში, ფერტილობის დონის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რ. ფრიდმანს მიაჩნია ჩასახვის საწინააღმდეგო სხვადასხვა საშუალებათა მასობრივი გავრცელება და გამოყენება.

ფერტილობის დონის დაწევა წინათ არასოდეს ყოფილა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საგანი. ეს მოვლენა აქამდე ყველგან, ევროპასა და ამერიკაში, იყო თვით ცოლ-ქმრის, მილიონობით ოჯახის მიერ გატარებული ინდივიდუალური ღონისძიება, როგორც შედეგი უპირატესად ეკონომიკური სიძნელეებისა, მოდერნიზაციისა და სხვ. ხელოვნური აბორტის ლეგალიზაციას მხოლოდ ის აზრი ჰქონდა, რომ ის მომხდარიყო სამედიცინო დაწესებულებებში და ამდენივე მაქსიმალურად ნაკლებად საშიში ყოფილიყო ქალის ჯანმრთელობისათვის და სახელმწიფოს ეს ჩარევაც განმტკიცებული, მორალურად გამართლებული იყო თვით მოსახლეობის ყველაზე პროგრესული ნაწილის მოთხოვნითა და მხარდაჭერით და, ცხადია, არა შობადობის შემცირების მიზნით³³.

მაგრამ ჩვენს დროში ასეთი დემოგრაფიული პოლიტიკის მასობრივი განხორციელება დაიწყო, მაგალითად, ისეთ ხალხმრავალ სა-

³² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 349.

³³ Изучение мнений о величине семьи, 1971, стр. 133.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებითად სწორია პროფ. ე. სადვოკასოვას მოსაზრება, რომ სავსებით აუცილებელია აბორტის შეცვლა ჩასახვის სხვა საწინააღმდეგო საშუალებით და რომ „თავის ცხოვრების პირობებს ქალი მიყავს ოჯახის რიცხოვნობის რეგულირების აუცილებლობამდე. აბორტი მხოლოდ საშუალებაა ამ აუცილებლობის დაკმაყოფილებისათვის, ბარბაროსული საშუალება, რაც უნდა შეიცვალოს ჩასახვის საწინააღმდეგო უფრო კულტურული საშუალებებით“ (Е. Садвокасова, Соц.-гигиенические аспекты регулирования размеров семьи, 1969, стр. 99).

ხელმწიფოებში, როგორც არიან ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი.
1965 წ. ხალხთაშორის მეორე მსოფლიო კონფერენციაზე
(ბულგარეთში) პროფ. ენვერ ადილმა (E. Adil) და პროფ.
ბ. რაინამ (B. Raina) თავიანთ მოხსენებებში გააშუქეს მათს
ქვეყნებში, სახელდობრ პაკისტანისა და ინდოეთის ხელისუფალთა
მიერ მიღებული ოჯახის სიდიდისა და, მათსადამე, ბავშვთაშობის
განსაზღვრის, ოჯახის გეგმიანობის პროგრამები.

IV

უახლესი დემოგრაფიული სიტუაცია

ამ ასპექტში აუცილებელია ჩვენი ეპოქის ზოგიერთ უახლეს მოვლენას დავაკვირდეთ.

მე-20 ს. მეორე ნახევრიდან ახალი ინდუსტრიული რევოლუციით დაიწყო მსოფლიო საზოგადოებრიობის სწრაფი აღმავლობა მატერიალური და სულიერი წარმოების ყველა სფეროში.

ზოგიერთი გამოანგარიშებით შემოსავალი მოსახლეობის 1 სულზე, თვით მოსახლეობის სწრაფი გამრავლების პირობებში, სხვადასხვა ქვეყანაში გაიზარდა 4—14-ჯერ, ხოლო ნაციონალური შემოსავალი გადიდა 5—40-ჯერ.

ამავე დროს, ნივთიერი და კულტურული კეთილდღეობის ესოდენ სწრაფი ზრდა არაა სამუშაო დროის გადიდების შედეგი. პირიქით. კაცწელიწადზე სამუშაო საათების საერთო რაოდენობა სისტემატურად მცირდება, ე. ი. ადამიანის შრომითი დასაქმებულობის პერიოდი შესამჩნევად კლებულობს. მაგალითად, ინდუსტრიული წარმოების სფეროებში საშუალო-დღიური სამუშაო დრო ერთი საუკუნის მანძილზე 12—8 საათიდან 8—6 საათამდე შემცირდა.

ასეთ ვითარებაში ნაციონალური სიმდიდრე, სახელდობრ მისი აღწარმოებადი (მობილური) ნაწილი დიდი სისწრაფით იზრდება, მაშინ როდესაც მისი მოცულობრივად არა აღწარმოებადი ნაწილი (სახმარი მიწა) ნელი ტემპით მატულობს და მისგან მიღებული შემოსავლის ხვედრიწონაც ეცემა.

ამგვარად, მოსახლეობის ერთ სულზე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა გამოწვეული იყო არა ცოცხალი შრომის ხარჯვის გაძლიერებით, არამედ თვით შრომის ხარისხის — შრომის მწარმოებლურობის (კვალიფიკაციის ამაღლების, კვების, ყოფიერებითი პირობების და სხვ.) გაუმჯობესების, ცოდნის მარაგის გადიდების და წარმოების საშუალებათა (განივებული შრომის) გაძლიერებისა და უფრო ეფექტური გამოყენების შედეგად.

ამასთანავე, მიმდინარეობს ღრმა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურული ძვრები თვით მოსახლეობაში, მის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ჯგუფებში. აქ უწინარეს ყურადღებას იპყრობს ის უდიდესი ცვლილება, რაც სოფლის მეურნეობის ხვედრმა წონამ განიცადა, როგორც ნაციონალურ შემოსავალში, ასევე მუშაძალისა და წარმოების სხვა ფაქტორთა მიხედვით ისეთ პირობებში, როდესაც მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა არასოფლისმეურნეობრივ დარგთა ხვედრიწონა სულ იზრდება. — ეს მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის თანამდევია პროცესია.

ღრმა სტრუქტურულ ცვლილებათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე წვრილი საწარმოების, წვრილი მეურნეობრივი ორგანიზაციების ადგილას მსხვილ გაერთიანებათა წარმოშობა, რასაც სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ვითარებაში სიღრმისეული ძვრები მოყვა მუშაძალის გამოყენების სფეროშიაც, დაიწყო მასობრივი გადასვლა ხელის შრომიდან ფართოდ მექანიზებულ და სულ უფრო მაღალკვალიფიციურ შრომაზე.

ცნობილი ფრანგი ეკონომისტები ე.-ჟ. კარრე, პ. დიუბუა და ე. მალენე³⁴ ომისშემდგომ პერიოდში (1946—1969) საფრანგეთის ეკონომიკური ზრდის ფაქტორების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ამ პროცესში წარმოების გაფართოების ექსტენსიური მეთოდები უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ. 1951—1969 წწ. გამომუშავებული კაცსაათების რიცხვი არათუ არ გაზრდილა, — შემცირდა კიდევაც. ამგვარად, ამ ფაქტორს ნაციონალური პროდუქტის საშუალოწლიურ (5%) მატებაში როლი არ უთამაშია. სამაგიეროდ წარმოებაში გამოყენებული ძირითადი კაპიტალის მოცულობა ამ პერიოდში ორჯერ გაიზარდა. მაგრამ საფრანგეთის ეკონომიკურ ზრდაში ბევრად უფრო ძლიერი გავლენა იქონიეს მუშაძალის ხარისხისა და წარმოების მატერიალურ საშუალებათა გაუმჯობესებამ; — ცვლილებებმა დასაქმებული მუშაძალის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურასა (კერძოდ ქალთა ხვედრიწონის შემცირებამ) და მეურნეობის დარგთა შორის მათს განაწილებაში; დასაქმებულთა განათლების დონის ამაღლებამ და ძირითადი კაპიტალის განახლებამ.

თუ არას ვიტყვიტ სხენებულ ავტორთა ამო ცლაზე ზუსტად განსაზღვრონ საფრანგეთის ეკონომიკურ ზრდაში ამ ფაქტორთა როლი, საერთოდ მათ, არსებითად სწორად აუღეს გეზი შესასწავლ ეკონომიკურ პროცესთა ზოგად მხარეს. ზოგიერთი ფრანგი სტატისტიკოსი ეკონომიკური განვითარების ტემპის ამაღლებას ამასთანავე იმიტაც ხსნის, რომ ომის შემდეგ საფრანგეთში გაიზარდა შობადობის ნორმა, რამაც გააძლიერა ეკონომიკური პროგრესით მოსახლეობის დაინტერესებულობა; სხვები იმ აზრისა არიან, რომ ეკონომიკურ ზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა ვიშის რეჟიმის კრახის შემდეგ სახელმწიფოებრივ აპარატში გატარებულმა რეფორმამ; —ანდა კიდევ: კაპიტალურ დაბან-

³⁴ I.-I. Karré, P. Dubois, E. Malinvaud, *La Croissance Française*, Paris, 1972.

დებათა სახელმწიფოებრივი დაფინანსებისა და ეკონომიკის პროგრამირების (ინდიკატიური გეგმიანობის) გატარებამ.

ზემოთ დასახელებული ავტორების დასკვნით, ფრანგულ ეკონომიკურ ზრდაში სხვა მრავალთა შორის ამ ფაქტორებმაც ითამაშეს გარკვეული როლი და რომ საერთოდ ეს ზრდა უნდა აიხსნას ერთი მიმართულებით მისწრაფებულ მრავალ ხელსაყრელ მოვლენათა მოქმედებით და ყველაზე ნაკლებად ექსტენსიური მეთოდების მონაწილეობით. საერთოდ, თანამედროვე ეკონომიკური ზრდის ტემპების ახსნის თვალსაზრისით დაახლოებით ანალოგიურ დასკვნებამდე მიდის ამერიკელი პროფ. ე. დენისონი.³⁵

დიდი ცვლილებები მოხდა საერთოდ წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების სტრუქტურაში. მსოფლიო ვაჭრობის მეოხებით გავრცელებულმა სტანდარტებმა (მასობრივად წარმოებული სერიული საქონლის მიწოდების გაადვილებამ) ძირი გამოუთხარა „ნაციონალური“ წარმოების პროდუქტთა მოხმარებას და მასთანავე ერთად მრავალ ადგილობრივ მორალურ და ეთიკურ ნორმას, რომელთა აორთქლებას საოცრად აჩქარებენ კომუნიკაციის (ინფორმაციის) უახლესი საშუალებანი.

იგივე ბედი იწვნია ნაციონალური წარმოების, ნაციონალურ დაბანდებათა და ნივთთა კოლიზიის მთელმა სისტემამ, იმ დროიდან. რაც ურდულაყრილი ნაციონალური საზღვრები არსებითად მარტოოდენ რუქაზე გავლებული ფერადი ხაზების ეფემერულ ბარიერებად გადაიქცა, რაც უმსხვილეს მეურნეობრივ გაერთიანებათა (კორპორაციათა) საქონლის გავრცელების არეალის ფიქსაციისათვის მარტოოდენ ელექტრონის გამომთვლელ მანქანათაგან აღსანიშნავ ობიექტებსღა წარმოადგენენ.

ინდუსტრიული საზოგადოების ვითარებაში იზრდება და ფართოვდება ნაციათა ურთიერთდამოკიდებულება და ამდენადვე ომისა და მშვიდობის, ე. ი. საერთაშორისო დაძაბულობის პრობლემის მნიშვნელობა, როგორც მთელი ქვეყნის, ისე ინდივიდის ცხოვრებაში.

მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუცია ხდება არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებულ უმსხვილეს მეურნეობრივ გაერთიანებათა არსებობის პირობებში. უძლიერესი სახელმწიფოები ქმნიან გიგანტურ ორგანიზაციებს, რომლებიც ადგენენ მეურნეობრივი მოღვაწეობის ინსტიტუციურ და პოლიტიკურ ჩარჩოებს და ამითვე, ამა თუ იმ ზომით, განსაზღვრავენ დანარჩენი ქვეყნებისა და ხალხების ადგილს თანამედროვე მსოფლიოს საზოგადოებაში.

³⁵ Э. Денисон, Исследование различий в темпах экономического роста, 1971, М.

რივ, ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებასა და საერთოდ მთელ ყოფიერებაში.

მაგრამ ეს ხდება წარმოებისა და მოხმარების, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის, საერთაშორისო ასოციაციების, და, რაც მთავარია, ცნობიერების, საერთოდ საზოგადოებრივად სასარგებლო ცოდნისა და ტექნიკური აღჭურვილობის თანამედროვე დონეზე, რასაც, ერთად აღებულს, არ შეუძლია, ადრე თუ გვიან, არ გამოავლინოს კომპიუტერების მეოხებით მიღებულ ვარაუდებისაგან განსხვავებული ხასიათები და მიდრეკილებანი.

კიდევ ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორია ის, რომ სწრაფი ინდუსტრიული განვითარების რელსებზე პლანეტის სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა დროს შედგა და დროის ეს განსხვავება თითქმის 200 წელს აღწევს, დაწყებული მე-18 ს. ბოლოდან (როდესაც დაიწყო ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისში), ვიდრე მე-20 ს. 60-იან წლებამდე (როდესაც მსოფლიო ინდუსტრიული ქვეყნების რიგში და საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრში მოექცა ისეთი ქვეყანა, როგორიცაა, მაგ., იაპონია, ჩინეთი).

ამგვარად, საქმე გვაქვს ერთი სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა კლასისა და წოდების, ამასთანავე მრავალეროვან სახელმწიფოში კიდევ სხვადასხვა ნაციის, ხოლო მთელ პლანეტაზე სხვადასხვა სახელმწიფოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონესთან.

ამ, და კიდევ სხვა (მაგ. ომი) სტრუქტურულმა და ძირეულმა ცვლილებებმა გამოიწვიეს მოსახლეობის შედგენილობის ასაკობრივი, სქესობრივი, პროფესიული, ნაციონალური, რელიგიური ძვრები. გაჩნდა წარმოებისა და მომსახურების აუარებელი ახალი სახე, რამაც დაქსაქსა რა მოსახლეობა ეკონომიკის ამ დარგებში, მითვე დაშალა მათი ძველი თემობრივი, ოჯახური, ნათესაობრივი, ეთნიკური კავშირები, რაც ამიერიდან მით უფრო ცვალებადი, მობილური და არამყარია, რაც უფრო გაჭიანურებული იქნება ახალი საზოგადოებრივი სტატუსების დადგინების, ხსენებული ინსტიტუტების თაობაზე შეხედულებათა კრისტალიზაციის, მაშასადამე, ნდობისა და დანდობის, ჯგუფთა შორის კონფლიქტებიდან შემწყყნარებლურ, მეგობრულ და ბოლოს, იქნებ, მშობლიურ დამოკიდებულებაზე გადასვლის პერიოდი.

ადამიანის როგორც მშობელის, როგორც მოქალაქის ფორმირებაზე გავლენას ახდენს თვით მისი როგორც ინდივიდის და მისი ხალხის, როგორც საზოგადოების წარსული, ასევე მუდამ ცვალებადი თანამედროვე ყოფიერება. ადამიანი ახალს, მიმდინარეს,

და მით უფრო მომავალს მხოლოდ იმდენად ხედავს, რამდენადაც იცნობს და განიცდის ძველს, წარსულს და, მაშასადამე, თანამედროვეობას.

ეკონომიკური ზრდისა და დემოგრაფიული ტენდენციის ურთიერთკავშირის გამოვლენა ფრიალ რთულია და შეიცავს არა მხოლოდ მოსახლეობის რიცხოზრდის დინამიკის (შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციის), არამედ, ამასთანავე, საკითხებს ცვლილებისა, რასაც განიცდის ადამიანთა ხარისხი, მათი ფასეულობრივი სტატუსი და მათი ყოფაქცევის სოციალური მნიშვნელობის მქონე ნორმები, რაც გავლენას ახდენენ წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროში.

აღრიცხვა-გაანგარიშების მეტი რეალურობის მხრივ ხელმისაწვდომ მონაცემთა მიხედვით 1750 წლიდან ვიდრე 1930-იან წლებამდე მოსახლეობის ზრდის ტემპები შესამჩნევად მაღალი იყო ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (ევროპა, აშშ და სხვ.), სადაც 1750 წ. ცხოვრობდა მსოფლიოს მოსახლეობის 21%, ხოლო 1920 წ. 34%. 1930-იანი წლებიდან კი ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ზრდის ტემპმა გადააჭარბა.

1750—1930 წწ. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ერთ სულზე ნაციონალური შემოსავალი ბევრად აჭარბებდა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს და, ამგვარად, ეკონომიკური ცხოვრების მაღალ დონესა და მოსახლეობის გამრავლების მაღალ ტემპებს შორის „ნორმალური“ კავშირი არსებობდა. მართალია, გამონაკლისები იყო, მაგალითად, საფრანგეთის ან ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის სახით, მაგრამ ხსენებული კანონი, როგორც კანონი, ამ გამონაკლისს ითმენდა, რამდენადაც, საერთოდ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები უფრო მაღალი იყო, ხოლო მოკვდაობა, მართალია, მეტნაკლები ზომით, მაგრამ საერთოდ მთელ პლანეტაზე, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში უფრო მეტად კლებულობდა.

მოსახლეობის ზრდის კოეფიციენტი 1930—1940 წწ., როდესაც ამ მხრივ უკვე ჩამორჩა განვითარებული ქვეყნები, უდრიდა 9,5 პროცენტს, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომელთაც უკვე გაუხსრეს პირველებს, უდრიდა 12,9% და ეს მაჩვენებლები შესაბამისად უდრიდა 1940—1950 წწ. 6,6 და 14,6, ხოლო 1950—1960 წწ., 16,4 და 22,0 პროცენტს.

მოსახლეობის დინამიკის მაჩვენებლები მეტყველებენ, რომ ეკონომიკური ზრდის, ე. ი. მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდის შესაბამისად რიგ პერიოდში, მართალია, კლებულობს მოკ-

ვდაობა, მაგრამ უფრო გრძელი პერიოდის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოკვდაობის მაჩვენებლებზე უფრო მეტ გავლენას ახდენს ცხოვრების პირობების შეცვლა (მაგ., ურბანიზაცია, ჯანდაცვის პირობების გაუმჯობესება და სხვ.), ვინემ მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ცვლილება.

ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, ფინეთის შესახებ. დემოგრაფები ფიქრობდნენ, რომ აქ 39-19 ს. შობადობის მაღალი კოეფიციენტი აიხსნება თავისუფალი მიწების დიდი რაოდენობით, ანდა საერთოდ თავისუფალი მიწებისა და სხვა ანალოგიური რესურსების სიუხვით.

დადგენილია, რომ შობადობის ინტენსივობა, როგორც წესი უფრო მაღალია სოფლის მოსახლეობაში, ვინემ ქალაქისაში და რომ თვით ქალაქში ფიზიკური შრომის ადამიანთა შორის უფრო მაღალია შობადობის კოეფიციენტი, ვინემ გონებრივი შრომით დასაქმებულთა წრეებში; თანაც ის დაბალი კვალიფიკაციის ჯგუფებში უფრო მაღალია, ვინემ უფრო მაღალი კვალიფიკაციის ჯგუფებში. ჩანს შრომა არა მხოლოდ ერთ-ერთი უმთავრესი განმასხვავებელი თვისებაა ადამიანისა, არამედ, ამასთანავე გამოდის, როგორც ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და სულიერ განვითარებასა და თვით პოპულაციაზე.

იმ გარემოებამ, რომ საერთოდ ქალაქური (და, კერძოდ, ინდუსტრიულ საწარმოებში) დასაქმებულობა უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვინემ სოფლური, ხოლო სოფლად გამრავლების ტემპი უფრო მაღალია, ვინემ ქალაქში, წარმოშვა მოსაზრება, რომ შობადობის კოეფიციენტსა და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობის განსხვავებულობათა შორის არსებობს უარყოფითი კორელაცია.

ურბანიზაციის პროცესში მოსახლეობის გამრავლების ტემპის შენელების მაჩვენებელია, მაგალითად, ისეთი ინდუსტრიული ქვეყანა, როგორიცაა აშშ, სადაც 1950-იან წლებში შემუშავებული პროგნოზით 1970 წელს მოსახლეობის რიცხოვნობას უნდა მიეღწია 214 მილიონამდე. ნამდვილად კი 1970 წ., აპრილის აღწერით აქ ირიცხება 205 მლნ. კაცი³⁶. 1960—1970 წწ. მოსახლეობა გაიზარდა 13,6%, მაშინ როდესაც ეს მატება 1950—1960 წწ., შობადობის მაღალი დონის მეოხებით, შეადგენდა 18,5%. ისიც უნდა აღინიშ-

³⁶ 1970 Census of Population. General Social and Economic Characteristics, 1971, Washington.

ნოს, რომ 1970 წლის აღწერით, 1960—1970 წწ. ფერმერული მოსახლეობა შემცირდა კიდევ 5 მილიონით და ამჟამად შეადგენს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 5%; ამასთანავე მთელი ფერმერული მოსახლეობა როდია დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. მაინც, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი აქ თუ არც ისე დაბალია, ეს, საფიქრებელია, აიხსნება სუბუბრანიაზიის — სებერბენიზაციის (გარეუბანთა სწრაფი ზრდის) — მეოხებით. აშშ 1970 წელს, საგარეუბნო ზონებში ცხოვრობდა 75 მლნ სული³⁷.

* * *

როგორც ფიქრობენ, 40—50 ათასი წელიწადია რაც წარმოიქმნა Homo sapiens-ის სახეობა, რაც, ამგვარად, 1600—2000 თაობას ითვლის. აღამიანთა განვითარების აღრინდელ საფეხურებზე იზოლაციამ განაპირობა რასების წარმოშობა. რასების, ხალხთა ურთიერთშერწყმის, მიგრაციის მეოხებით იზრდება შერჩევა, პოპულაცია და თანდათანობით ყალიბდება აღამიანის გენეტიკურ პოტენციალის საოცარი მდგრადობა. დარვინი ფიქრობდა, რომ ბუნებრივი

³⁷ საერთოდ აშშ მოსახლეობის სწრაფი ტემპით მატებაში დიდ როლს თამაშობს მექანიკური მოძრაობა, სახელდობრ იმიგრაცია. ამ მხრივ, შედარებისათვის საინტერესოა, ვიცოდეთ, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა უდრიდა (მილიონებით):

ქ ვ ე ყ ე ბ ი	1800 წ.	1850 წ.	1900 წ.	1920 წ.	1940 წ.	1971 წ.	2000 წ.
ს ს რ კ	45,0	70	125	158	195	244	340
ა შ შ	5,3	23	76	107	133	207	310
კ ა ნ ა დ ა	0,3	2	6	9	12	21	35

მხოლოდ 1861—1914 წწ. აშშ შევიდა 17,5 მლნ იმიგრანტი. აქვე უნდა ითქვას, რომ დაახლოებით 15% იმიგრანტებისა სამუდამოდ საცხოვრებლად ვერ ეწყობა ამერიკაში და ბრუნდება თავის სამშობლოში. აღსანიშნავია, ისიც რომ აშშ მოსახლეობამ შედარებით მცირე დანაკლისი განიცადა მეორე მსოფლიო ომში — 300 000 ნაკლები — მოკლულთა და ჭრილობისგან გარდაცვლილთა სახით.

კანადის (ტერიტორიის სიდიდით სსრ კავშირის შემდეგ მსოფლიოში მეორე ქვეყნის) მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი ტემპის მიუხედავად, საერთოდ მოსახლეობის რიცხოვნობის სწრაფი ზრდა დიდი ზომით იმიგრაციის შედეგია. მხოლოდ 1901—1931 წწ. ამ სახით მას მიემატა 4,3 მლნ კაცი (Demographic Yearbook, 1962—1970).

შერჩევა მიმდინარეობს ადამიანთა საზოგადოებაშიც, ამ თეორიას საკმაოდ მეტი დევრები ყავს დღესაც. თანამედროვე პროგრესული ბიოლოგია აცხადებს, რომ Homo sapiens-ის წარმოქმნით მთავრდება ადამიანის ბიოლოგიური ევოლუცია, რაც, ცხადია, არ ნიშნავს, პოპულაციაში უარყოფას აბსოლუტური შერჩევისა, რაც შეუღარებლად დიდ როლს თამაშობს ცხოველთა სამყაროში, სადაც ახლაც იქმნებიან ახალი სახეები და რასები.

მთელი საქმე ისაა, რომ იმ დროიდან რაც ადამიანსა და ბუნებას შორის ადამიანმა აღმართა მის მიერ გაცემებული შრომის საშუალებები, სულ უფრო მეტი ზომით იგი თვითონ კი არ ეგუება გარემოს, არამედ გარდაქმნის მას, ე. ი. მასში ქმნის მისთვის ასატან პირობებს და მხოლოდ ამდენად, და არა ბუნებრივი შერჩევის მეოხებით, შეადგენს მის ახალაზალ სიღრმეში. Homo sapiens-ის გენეტიკური მოდელის მთელი ერთობლიობა უადრესად მდგრადი და მტკიცეა, და ჩანს ბიოლოგიურად იგი ასეთიც დარჩება კიდევ ათასობით წლების მანძილზე, სანამ არ დადგება დრო, როდესაც ადამიანი ჩაერევა თავის საკუთარ გენეტიკურ ინფორმაციაში. რა თქმა უნდა, მსგავსად ყოველი ცოცხალი არსებისა, ბიოლოგიურ ასპექტში ადამიანიც ემორჩილება მუტაციის გავლენას.

ცხადია, არაა პროგრესული სოციალ-დარვინისტული და ევგენიკური თეორიები, თითქოს საზოგადოების წოდებრივი, კლასობრივი (ე. წ. სტრატობრივი) დაყოფა ბუნებრივი შერჩევის მეოხებით დაკავშირებული იყოს გენეტიკურ მოვლენებთან, რომ თითქოს ფიზიკური და გონებრივი შრომის სხვადასხვა სოციალურ წრეებში შობადობის სიხშირის განსხვავებულობა იწვევდეს კაცობრიობის გონებრივი დონის დაქვეითებას. ნაციის და საერთოდ კაცობრიობის გენეტიკური უნარის აღწარმოების წყაროა არა ცალკეული სოციალური წრეები, არამედ მთელი ხალხის მასები, საიდანაც გამოდის კიდევაც მისი ფიზიკური თუ გონებრივი კულტურის ვარსკვლავები. პოპულაციაში მიმდინარე გენეტიკური პროცესები კი არ იწვევენ სახეთა ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას, არამედ თვით ეს პროცესები განიცდიან სოციალურ ცვლილებებს, — აღმავალი საზოგადოებრივი მატერიალური და სულიერი წარმოების გავლენას. სხვადასხვა რასის ადამიანის ადაპტაციას მოსდევს არა ადამიანის ბუნებას შეცვლა გარემოს შესაბამისად, როგორც ეს ცხოველებში ხდება, არამედ იგი არსებულ გარემოში ქმნას მისი ცხოვრებისთვის აუცილებელ პირობებს. ამას აღასტურებს პლანეტაზე ხალხთომასაზღვრობის საოცარი გამრავლება და თვით კოსმოსურ სივრცეში შედგენის ვითარება. ჩანს რომ ადამიანთა რასების ბიოლოგიური ევოლუცია სოციალური ცვალებადობის კვალობაზე მიდის და ყოველი რასის ადამიანს ახასიათებს ადამიანის ყველა თვისება.

ბიოლოგიური სიცოცხლის კანონთა ორბიტაში მოქცეული ადამიანი მის მიერვე შექმნილი სოციალური გარემოს პირობებში განვითარების უკიდვრად სამყაროში მოძრაობს როგორც მატერიის თვითგანვითარების უმაღლესი ფორმა; — მისი პიროვნება მატერიალური და სულიერი კულტურის მთელი შემოქმედებითი ძალების სინთეზური გამოვლინებაა. — ეს ცხოვრებისა და ადამიანის წარმომავლობის ბუნებრიობის ერთიანობაა და კოლოსალური თვისობრივი ნახტომია ცხოვრების ისტორიაში. ესაა გენეტიკური და სოციალური მოდულების ბუნებრივი ურთიერთმოქმედების პროცესის თავისებური დეკლარაცია.

საქმე ისაა, რომ „არსებულ ნორმალურ ადამიანს პიროვნების სტანდარტიზაციის გარეშე პრაქტიკულად შეუძლია უსასრულო ფიზიკური და სულიერი განვითარება. საზოგადოების მეტად მრავალგვარი პირადობრივი სტრუქტურა



სულიერი უნიკალურობის და სოციალურად ტიპიზებული ყოფაქცევის ერთიანობის ბაზაზე ყოველთვის იქნება კაცობრიობის, როგორც მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმის არსებობის საფუძველი“.³⁸

მეცნიერებისა და ტექნიკის უსწრაფესი განვითარება, ახალი დიდი ინდუსტრიული რევოლუცია დღის წესრიგში აყენებს ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის პრობლემას. უფრო საგრძნობლად სწორედ აქ წამოიჭრა ბიოლოგიური ბარიერის დაძლევის საკითხი, რამდენადაც უწონადობაში ყოფნა იწვევს ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის სერიოზულ დარღვევას.³⁹ ასეთმა ვითარებამ გამოიწვია, ის რომ კოსმოსური კვლევის საერთაშორისო კომიტეტის XV პლენარულ სხდომაზე 1972 წლის მაისს, მადრიდში, მუშაობა დაიწყო გრავიტაციული ბიოლოგიის სპეციალურმა სექციამ.

გვეგნეკოსები ფიქრობენ მუტაციისა და სელექციის მეოხებით შექმნან კოსმონავტი-ადამიანების ბიოლოგიურად შეგუებული ჯიშები. მსგავსი იდეები „არ ახალია, ძველია“ და მოგვაგონებენ ამფიბია-ადამიანების (ოკეანეებში რომ იცხოვრებენ), გენიოს-ადამიანთა (დაბადებით მეცნიერთა) და სხვ. შექმნის საერთოდ ანტიკომანურ უტოპიებს. ნამდვილად მიწის გრავიტაციული ველის ადაპტაციის თვისების დაძლევა ადამიანისათვის შეუძლებელია, ადამიანი თავიდან ბოლომდე მიწისშეილია და უწონადობა უნდა აიტანოს არა საკუთარი გენეტიკური მოდელის შეცვლით, არამედ კოსმოსში მისთვის ასატანი პირობების (ხომალდების, სკაფანდრებისა და სხვ.) შექმნით. ჯერჯერობით მაინც რეალისტური მეცნიერული მჭკრეტელობა ამაზე შორს ვერ მიდის და ადამიანის სულიერი ცხოვრების ბიოლოგიზაციის თეორიები აღრე თუ გვიან ფიასკოს განიცდიან.⁴⁰

ყოველი ადამიანი იბადება, როგორც მემკვიდრე მთელი კულტურისა და ცივილიზაციის, რაც კაცობრიობას შეუქმნია: ამასთანავე ყოველი ახლადშობილი თავისუფალია ყველა შეცდომისგან, რაც მანამდე ჩაუდენია ადამიანსა და მთელ საზოგადოებებს, — მის გენებში არ აისახება კაცობრიობის განვლილი ცხოვრების არც ერთი ყოფიერებისა და ცნობიერების, არც ერთი ცივილიზაციის და მორალის დანალექი;—სწორედ ესაა ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების უდიდესი უპირატესობა, რაც მას ნათელ და მწკანე გზას უხსნის შეასრულოს მისი უწმინდესი მოვალეობა ნაციისა და კაცობრიობის წინაშე;—ადამიანთა ყოველი თაობა წინაპრების „სამუშაოებისა და ღვებების“ მემკვიდრეა და თავისი და მომავალი თაობების სახლებისა და გზების მშენებელი.

³⁸ Н. Д у б и н и н, Социальное и биологическое в современной проблеме человека («Вопросы философии», 1972, № 11, стр. 26).

³⁹ П. К о ж у е в, Эволюция, гравитация, невесомость, М., 1971.

⁴⁰ И. Ф р о л о в, Загадка жизни, научный поиск и философская борьба («Вопросы философии», 1972, № 3).

V

ურბანიზაცია. ქორწინება. ოჯახური გემუანობა

საქართველოში ქალაქად იყო მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის: 19%—1897 წ.; 20%—1921 წ.; 22%—1926 წ.; 30%—1939 წ.; 42%—1959 წ.; 46%—1965 წ. და 48%—1970 წ. ამგვარად, ქალაქის მოსახლეობის ხვედრიწონა სწრაფად იზრდებოდა, რაც ასახავს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებებს. ინტენსიურად იზრდებოდა კერძოდ თბილისის მოსახლეობა, რაც, ათასობით, უდრიდა 1897 წ.—160, 1921 წ.—220, 1926 წ.—294, 1939 წ.—519, 1959 წ.—703, ხოლო 1970 წ.—უკვე 880.

მხოლოდ საბჭოთა პერიოდში თბილისის მოსახლეობა (1971 წ.—920) თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და მისი არსებობის უკანასკნელი ორასიოდე წლის განმავლობაში ამ ათიოდე წლის წინათ ქართველებმა აქ პირველად გადააქარბეს მოსახლეობის საერთო რაოდენობის ნახევარს. ასე, მაგალითად, ქართველების რიცხოვნობა თბილისში უდრიდა 1897 წ.—26,4%; 1922 წ.—35,0%; 1959 წ.—48,4%; ამჟამად (1970) კი შეადგენს 58%. ეს დიდი წარმატებაა და ამასთანავე ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია.

მართალია, ურბანიზაცია ინდუსტრიული და საერთოდ ეკონომიკური ზრდის ყველაზე ეკონომიკური გზაა, მაგრამ განვლილი ცივილიზაციის ისტორია მეტყველებს, რომ მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპით ქალაქი შესამჩნევად ჩამორჩება სოფელს და, მაშასადამე, მოსახლეობის საერთო მასაში რაც უფრო მეტია ქალაქელთა ხვედრიწონა მით უფრო ნელია გამრავლების ტემპი.

ამ დემოგრაფიულ კანონს ადასტურებს მონაცემები კერძოდ საქართველოს სსრ მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა, რაც პროცენტობით უდრიდა:

წლები	საერთოდ საქართველოს სსრ	თბილისში
1940	18,6	8,9
1950	15,9	9,3
1955	17,4	12,3
1960	18,2	12,3
1965	14,2	10,0
1968	12,4	9,3
1969	11,2	8,7
1970	11,8	9,9

მაგრამ ეს პროცესი, არსებითად, ანალოგიურია საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობაში და საერთოდაც ინდუსტრიულ მსოფლიოში. მაშასადამე, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედარებით დაბალი ტემპი მხოლოდ ამით არ აიხსნება.

მაინც არის ახლა ამ ასპექტში კიდევ ერთი გასათვალისწინებელი მომენტი. რეგისტრირებული განქორწინების სიხშირე ინდუსტრიულ ცენტრებში უფრო მეტია, ვინემ სოფლის რაიონებსა და პატარა ქალაქებში. ამ თვალსაზრისით საჭიროა ვიცოდეთ, რომ საქართველოში მოსახლეობის 1000 სულზე მოდიოდა:

წლები	ქორწინება	გ ა ნ ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა	
		საქართველოში	თბილისში
1950	8,9	0,1	0,5
1952	8,4	0,1	0,5
1954	9,0	0,2	0,7
1956	9,6	0,2	0,6
1958	10,5	0,3	1,1
1960	10,6	0,4	1,2
1962	9,4	0,4	1,4
1964	8,8	0,4	1,4
1965	8,7	0,5	—
1968	8,0	1,0	2,3 (67 წ.)
1970	7,8	1,0	—

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ წლებში მოსახლეობის 1000 სულზე საგრძნობლად იკლო რეგისტრირებული ქორწინების რიცხვმა და ძლიერ, სახელდობრ 10-ჯერ იმატა რეგისტრირებული განქორწინების რაოდენობამ. ოჯახური კავშირების, საოჯახო მეურ-

ნეობის ესოდენი შესუსტება არ შეიძლება უარყოფით გავლენას არ ახდენდეს მოსახლეობის გამრავლების ტემპზე, მით უფრო რომ ქალაქებში, კერძოდ თბილისში, განქორწინების სიხშირე რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელზე საშუალოდ 3—4-ჯერ მეტია.

ქართველური მოსახლეობის ბუნებრივი მატების საკითხი ჩვენი საკმაოდ დიდი ხნის დაკვირვების ობიექტსა და, ამდენადვე, საკირკიტო საგანს წარმოადგენს; — იგი უაღრესად სპეციფიკურ-დემოგრაფიულ პირობებში, ურთიერთს ჩახლართული ეთნიკური წარმომავლობის მოვლენათა კოლიზიის, ფრიალ რთული სოციალური ყოფიერების ბურვილებში მოძრაობს და ავტოქტონთა როგორც ნაციონალური ორგანიზმის, ასევე მრავალწახნაგოვანი ტერიტორიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების ბურუსით მოცულ მოვლენათა ახსნით უნდა დამთავრდეს...

მაგრამ, როგორც ჩანს, პრობლემის ბოლომდე გარკვევისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ისტორიულ სინამდვილეში უკვე არსებულ (ჩამოყალიბებულ) მოვლენათა გაშუქება, არამედ აგრეთვე ადამიანთა ცოცხალი, განვითარებადი ინტერესების, მისწრაფებათა, მაშასადამე, მათი აზრების სოციოლოგიური შესწავლა. საქმე ისაა, რომ რაც გამოსასწორებელია თავიდან უნდა ავიცილოთ არა იმიტ, რომ თვალი ავარიდოთ, დავმალეთ, არამედ იმ გზით, რომ მთლიანად გამოვაჩინოთ, შევისწავლოთ და რეალურ ღონისძიებათა დასახვითა და გატარებით შევცვალოთ, გამოვასწოროთ.

ცნობილი მიზეზებისა გამო ბავშვთაშობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის, ოჯახურ წყვილთა იდეალის შესწავლის საქმე მაღალ დონეზეა, მაგალითად, საფრანგეთში. აქ უკანასკნელ წლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებით 1000 წყვილიდან (ცოლქმრიდან) 6 — სულ არ უნდა შვილი; 994 — უნდა და ამათგან 957 — ორი და მეტი, ხოლო 528 წყვილს სურს იყოლიოს სამი და მეტი შვილი. დადგენილია, რომ ცოლქმარი, აცხადებს რა იყოლიოს იდეალური რაოდენობის შვილი, ხშირად ვერ ითვალისწინებს თავის შესაძლებლობას. ამასთანავე რაც უფრო ნაგვიანეგია შეუღლება, მით უფრო უიმედოა იდეალები და რაც უფრო ახალგაზრდა ასაკში ხდება ქორწინება მით უფრო მეტია შანსები ბავშვთაშობის იდეალური რაოდენობის გადამეტებისა. ასეთ პირობებში საშუალო იდეალური რაოდენობის — 2,77 შვილთა მსურველნი ფაქტიურად აღწევენ იყოლიონ 2,38, ე. ი. რამდენადმე ნაკლები.

არსებითად ანალოგიურია მდგომარეობა სხვა ქვეყნებშიც⁴¹.

⁴¹ В. Белова, Величина семьи и общественное мнение, 1971.

გამოკითხული მოსახლეობა ქვეყნების დასახელება	ბავშვთა საშუალო რიცხვი	
	იდეალური	ფაქტიური
საფრანგეთი	2,77	2,38
კანადა	4,31	3,39
აშშ	3,63	2,99
ინგლისი (შერთ. სამეფო)	2,78	2,37
გერმ	2,59	2,23
ნიდერლანდები	3,28	2,71
უნგრეთი	2,27	1,98

იდეალურსა და ფაქტიურს შორის, როგორც ვხედავთ, გადახრა უარყოფითია და აქ წარმოდგენილ ქვეყნებში იგი საკმაოდ მერყეობს.

ჩეხოსლოვაკიაში ჩატარებული საკითხის სოციოლოგიური შესწავლის (ანკეტური გამოკითხვის) შედეგად დადგინდა, რომ: 1 შვილის მშობელთა 56% უნდა მეტი ჰყავდეს, ხოლო 44% არ უნდა მეტი შვილი; ორშვილიანთა მხოლოდ 13% და სამშვილიანთა მართოდ 5% უნდა მეტი შვილი ჰყავდეს. საერთოდ უშვილოთა 83% სურს ჰყავდეს შვილი და, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უშვილოთა ხვედრიწონა მოსახლეობაში საკმაოდ დიდია, რომელთა 17% სულაც არ სურს ჰყავდეს შვილი.

საკმაოდ ზუსტი გამოანგარიშებით ვლინდება, რომ საფრანგეთში ყველა ასაკის წყვილი მთლიანად რომ ახორციელებდეს შვილიერების გეგმას (2,77) მაშინ თაობათა სრული აღწარმოება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, 30 წლის ასაკამდე ვაითხოვილ ქალთა შვილების ფაქტიური რაოდენობა, როგორც წესი, შესამჩნევად მეტია, ვინემ იდეალური, დაგეგმილი. მაშასადამე, როგორც გამოჩენილი ფრანგი დემოგრაფი როლან პრესაა წერს, „ნაციის აღწარმოება მიიღწევა იმათ ხარჯზე, რომელთაც ბავშვთაშობის გეგმიანობაში ფიასკო განიცადეს“ და იგი ობუნჯობს: „ნაციის იმედები გეგმების განუხორციელებლობაშია“⁴².

⁴² საფრანგეთში 1920 წ. კანონით აიკრძალა აბორტი და საერთოდ შობადობის შეზღუდვის ყოველგვარ საშუალებათა გამოყენება. დაიწყო შობადობის გაძლიერების ფართო კამპანია და აღიკვეთა ყოველგვარი ანტინატალისტური პროპაგანდა. მაინც მდგომარეობა უნუგეშო რჩებოდა. 1935 — 1938 წწ. შობადობის საშუალო რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოკვდაობა, მოსახლეობის საერთო რაოდ. 4. პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობა



ფიქრობენ, რომ უკანასკნელი წლების საფრანგეთში ქალთა ფერტილობის მატება, გარკვეული ზომით, შედეგია ბავშვთაშობისადმი, მრავალშვილიანობისადმი საზოგადოების დიდი კეთილგანწყობილებისა. საზოგადოებრივი აზრის, პატრიოტულ გრძნობათა გავლენების როლი, გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში, ე. ი. როდესაც ნაციის ხელისუფლება უფლებამოსილია ხალხთა მოსახლეობის დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს, როგორც ჩანს, მართლაც მომქმედო ფაქტორის დონემდე შეიძლება ამაღლდეს.

მაგრამ პოპულაციონისტები ამტკიცებენ, რომ საფრანგეთში იდეალურზე (დაგეგმილზე) მეტი ბავშვების გაჩენაში როლს თამაშობს აგრეთვე სასტერილო საშუალებათა არასაკმარისი ეფექტურობაც. ეტყობა, არასრულქმნილი კონტრაცეპტივის ხმარება, კატეგორიული წინააღმდეგობის არარსებობისას, აძლიერებს განაყოფიერებისა და, მაშასადამე, ბავშვთაშობის შანსებს.

მეორე მხრივ, აბსოლუტური გარანტიის მომცემი კონტრაცეპტივის მასობრივი წარმოებისა და მოხმარების გავრცელების დემოგრაფიული ეფექტი, ვინ იცის, იქნებ, მოსახლეობის გამრავლების შემცირების ახალი მიზეზი გახდეს. მაინც, მომავალი სინამდვილე, ამ მხრივ, ცხადია, ბევრად უფრო რთული და თანამედროვე მკვრეტელობისათვის ნაკლებად შესაღწევი მოჩანს.

ახლა საკითხავია, რამდენად რეალურია ოჯახის, ე. ი. ბავშვთაშობის დაგეგმვა? დემოგრაფები და სოციოლოგები სულ უფრო მტკიცედ იცავენ იმ აზრს, რომ რაც უფრო მაღალია ცივილიზაციის დონე მით უფრო ადვილად მიიღწევა მორალით გამართლებული იდეალური (სასურველი) რაოდენობის ბავშვთა გაჩენის გეგმის განხორციელება.

ნობელის პრემიის ლაურეატის, კანადის ყოფილი პრემიერმინისტრის ლესტერ პირსონის თავმჯდომარეობით შექმნილი იუნესკოს ექსპერტთა საერთაშორისო კომისიამ მიიღო დებულება: ოჯახის დაგეგმვა მისაღწევი უნდა იყოს ყველასათვის. არასასურველი ბავშვები არ უნდა გაჩნდნენ...

ოჯახის დაგეგმვის მორალური და თვით სოციალური საფუძველი სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვანაირია... მიუხედავად ამისა ჩასახვის საწინააღმდეგო უახლეს საშუალებათა წარმოება

დენობა კლებულობდა. მდგომარეობაში სასარგებლო გარდატეხა მოხდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ისიც აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში (1970) მშ. შობის გათხოვილი ქალთა 35%, გფრ — 40%, ხოლო აშშ — 55%.

და მასობრივმა გამოყენებამ ამ მხრივ ინდუსტრიულ ქვეყნებში როგორც ჩანს, გარდატეხა გამოიწვია. განვითარებად ქვეყნებში გამრავლების შედარებით მაღალი ტემპის მიზეზია, როგორც ფიქრობენ, არა იმდენად ცოლ-ქმრის სურვილი იყოლიონ მრავალი შვილი... ანკეტურმა გამოკითხვებმა ნათელსუფეს, რომ შობადობა შესამჩნევად შემცირდებოდა, რომ ამ ქვეყნებში მშობლებს უფრო კარგად შეეძლოთ ოჯახის დაგეგმვა, ჰქონდეთ საჭირო საშუალებები, რათა ქალებს „შეეძლოთ სოციალური პროგრესის მეოხებით მოპოვებულ უფლებათა სრული გამოყენება“.

ეთნოგრაფიული, სტატისტიკური და დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით მტკიცდება, რომ სხვადასხვა ფორმის ქორწინებათა შორის კონსენსუალური ქორწინება უმრავლეს შემთხვევაში, მაგალითად, რიგ მუსლიმანურ ქვეყანაში, შესაბამება შობადობის მაღალ კოეფიციენტსა და, მაშასადამე, მოსახლეობის გამრავლების შედარებით სწრაფ ტემპებს. ცხადია, დადებითი ფაქტორის როლს თამაშობს სამედიცინო დახმარების გაძლიერება, შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებები და, მაშასადამე, ბავშვთა, განსაკუთრებით 1 წლის ასაკში, სიკვდილიანობის შესამჩნევი შემცირება⁴³.

არსებობს მონაცემები და სპეციალისტთა მოსაზრებანი, რომ განვითარებად (ჩამორჩენილ) ქვეყნებში, მომავლის პერსპექტივების გაურკვევლობის (უიმედობის) ვითარებაში, მოსახლეობა ფიქრობს, რომ მრავალშვილიანი, თუნდაც უსწავლელი მრავალ მუშახელიანი ოჯახი უფრო გამძლე (მომგებიანი) იქნება, მსგავსად ლატარიის მრავალი ბილეთისა და, ამგვარად, ვითომდა, ოჯახის მომავალი ეკონომიკური აღმავლობა, ე. ი. კეთილდღეობა შეპირობებულისა შობადობის მაღალი კოეფიციენტით⁴⁴.

⁴³ Социологические исследования в медицине, Варшава, 1969.

⁴⁴ მსოფლიოში ამჟამად გაბატონებულია მონოგამიური (ერთქორწინებითი, ერთ ცოლქმრული, ერთი წყვილის) ოჯახი. მაინც საკმაოდია გავრცელებული, განსაკუთრებით მუსლიმანურ ქვეყნებში მრავალცოლიანი (პოლიგამიური) ოჯახი. რაც შეეხება პოლიანდრიას (მრავალქმრიანობას), იგი შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ ინდოეთის, ნეპალისა და ჩინური ტიბეტის ზოგიერთ ხალხში. ადრეული ქორწინება საერთოდ გავრცელებულია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც კლიმატური პირობების გამო სქესობრივად ადამიანი უფრო ადრე მწიფდება. ცხადია, აქ დიდ როლს თამაშობს ადრეული ქორწინების ძველი ტრადიცია, რასაც ამაგრებენ ადგილობრივი რელიგიური სისტემები და ქვეყნის აგარარული წყობა. ზსენებული ქვეყნების მოსახლეობის მთავარი მასები დასაქმებულია ისეთ სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში, რომლისთვისაც აუცილებელი არაა სპეციალური განათლება. ადრეული ქორწინების ჩვეულებრივი თანამდევია მრავალშვილიანობა. ამ

შეგნებულად ახორციელებენ ისინი ასეთ მისწრაფებას, თუ ჩვეულებით განმტკიცებულია ასეთი შეხედულება და ეს იწვევს მრავალშვილიანობას? — აქ ჯერ კიდევ ბევრი რამეა ბუნდოვანი და მეცნიერულად გაუშუქებელი.

ამჟამად ინდუსტრიული ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში სახელმწიფო მატერიალურად აქეზებს მრავალშვილიანობას. შეილთა რიცხვის ზრდის შესაბამისად იზრდება ყოველთვიური დახმარების რაოდენობა, რაც 60-იანი წლების პირველი ნახევრის მონაცემებით უდრიდა (ცხრ. 5):

ცხრილი 5

ქვეყნები	ოჯახში შეილთა რიცხვის მიხედვით დახმარების სიდიდე შეადგენს საშუალოთვიური ხელფასის (შემოსავლის) პროცენტს:				
	შეილთა რიცხვი				
	1	2	3	4	5
ავსტრია	6,2	13,3	21,8	31,6	42,7
ბელგია	6,4	15,0	26,8	40,5	55,2
ბულგარეთი	1,4	16,1	31,0	46,0	56,3
ჩეხოსლოვაკია	5,0	12,2	30,9	54,0	71,2
საფრანგეთი	6,4	23,3	42,2	57,9	76,5
უზბეკეთი	—	4,4	21,3	28,4	35,4
გერმ. დემოკრ. რესპუბლ.	4,0	8,0	12,0	16,0	20,0
იტალია	8,7	17,4	26,1	34,8	43,5
რუმინეთი	9,9	19,9	29,8	39,8	49,7
შვეიცარია	1,9	3,8	5,7	7,6	9,5
შვეცია	3,0	6,1	9,1	12,2	15,2
იუგოსლავია	17,3	33,7	47,8	—	—

ქვეყნების უმრავლესობაშია ყოველთვიური დახმარება პირველი შვილის გაჩენისთანავე, რაც სულ უფრო შესამჩნევად იზრდება

ქვეყნებში ტრადიცია ვერ ითმენს როგორც მოწიფულ (ასაკში შესულ) უცხოელ ვაჟს, ასევე გაუთხოვარ და უშვილო ქალს.

საყოველთაო მოვლენაა ქალის უფრო ადრე ასაკში ქორწინება ვინემ ვაჟისა, ამიტომაც ტოლი ასაკის ყმაწვილთა შორის გათხოვილი ქალების პროცენტი ბევრად უფრო მაღალია, ვინემ ცოლიანი ვაჟებისა; ხოლო ხანდაზმულთა შორის ცოლიანი ვაჟების პროცენტი მეტია, ვინემ გათხოვილი ქალებისა, და, — შესაბამისად, ქერივი ქალების რიცხვი დაახლოებით ორჯერ მეტია ვინემ ქერივი ვაჟებისა. ქერივი ვაჟებს საერთოდ უფრო ადვილად შეუძლიათ შეიერთონ მეორე ცოლი, ვინემ ქალებს მეორედ გათხოვება, რაც ტრადიციით ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ინდოეთში ახლაც გაძნელებულია, ხოლო რიგ ქვეყანაში კიდევ აქ როლს თამაშობს ქალების შედარებითი სიმრავლე.

მეორე და შემდგომი შვილების დაბადების შემდეგ. მაინც მეოთხე და მეხუთე შვილისათვის გაწეული დახმარების მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზეა საფრანგეთი. უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრ. რესპუბლიკაში მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოებისა გამო შობადობის სტიმულაციას, როგორც ვხედავთ, დიდი ყურადღება ექცევა.

კერძოდ უნგრეთს, რუმინეთს, ბულგარეთსა და რიგ სხვა ქვეყანაში ზემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენები დახმარება ამაჟამად უფრო გადიდებულია. მაგალითად, უნგრეთში, სადაც ქვეყნის ხელმძღვანელობამ შეძლო დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფოს ნაციონალური ინტერესების დონეზე აემაღლებია, 1967 წ. I იანვრიდან დაკანონდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცკ 1966 წ. ნოემბრის პლენუმის დადგენილება: „მომუშავე ქალებს შესაძლებლობა მიეცეთ დარჩნენ სახლში სანამ ბავშვი 2,5 წლის ასაკს მიაღწევს, იმ უფლებათა შენარჩუნებით, რაც მათი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს, მათთვის ბავშვის მოვლისათვის 600 ფორინტი ყოველთვიური დახმარების მიცემით“. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალს ეძლევა ყოველთვიური დახმარება, დაახლოებით მისი საშუალოთვიური ხელფასის ნახევრის რაოდენობითა და მუშაობის სტაჟის შენახვით.

დაახლოებით ასეთივე დახმარება ეძლევა სოფლის მეურნეობაში მომუშავე ქალებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიებამ დადებითი შედეგები მოიტანა, გაიზარდა შობადობის კოეფიციენტი. სულ მალე კიდევ უფრო გააღიდეგ შედეგათები — დედებს დახმარება გაუზრდელეს ბავშვის 3 წლის ასაკამდე⁴⁵.

1969 წ. იანვრიდან უფრო ინტენსიური შეიქმნა აქამდეც აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა ბულგარეთში, სადაც გადიდდა დედებისათვის მისაცემი დახმარებაცა და შვებულებაც — რაც უფრო მეტად ასტიმულებს მეორე და მესამე ბავშვის გაჩენას. ამიერიდან მესამე ბავშვისათვის მისაცემი დახმარება უკვე საშუალო-

⁴⁵ უნგრელი ეკონომისტის იმრე კორანის (I. Koran) გამოანგარიშებით მომავალი 30 წლის მანძილზე, 1970 წლიდან (10,4 მლნ.) 2000 წლამდე უნგრეთის მოსახლეობა გაიზრდება 1,6 მლნ და 12 მლნ სულს მიაღწევს. ამასთანავე ნივარაუდებია, რომ გაიზრდება საერთოდ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა ზვედრიწონა, ხოლო შემცირდება კერძოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 30%-დან (1966) 15—18%-მდე (Новые книги за рубежом по общественным наукам, 1972, № 12, стр. 5—5).



თვიური ხელფასის 35% აღწევს. ასევე გაიზარდა ერთდროული დახმარებაც⁴⁶.

სსრკ მრავალშვილიანებს ეძლევა ორგვარი დახმარება. ერთდროული და ყოველთვიური. პირველი ეძლევა შვილის დაბადებისას, ხოლო მეორე—შვილის დაბადების მეორე წლიდან მისი 5 წლის ასაკამდე და ა. შ. ყოველი ბავშვისათვის⁴⁷. მრავალშვილიანობისათვის ყოველთვიური დახმარება ეძლევა მხოლოდ მეოთხე შვილის დაბადებიდან.

პროფ. ა. კვამიას გამოანგარიშებით 1962 წელს ამ დახმარებამ შეადგინა საშუალოთვიური ხელფასის 4,6%—მეოთხე შვილისათვის; 7% — მეხუთე შვილისათვის; 8,1% —მეექვსე, 11,6% —მეშვიდე და მერვე შვილისათვის; 14,5% —მეცხრე და მეათე შვილისათვის და 17,4% —მეთერთმეტე და ყველა შემდეგი შვილისათვის.

ამავე დროს სსრ კავშირში, შუა აზიის რესპუბლიკებისა და აზერბაიჯანის გამოკლებით, პირველი სამი ბავშვის შობა შეადგენს საერთოდ შობადობის დაახლოებით 80%. საერთოდ 5-შვილიანი ოჯახი სახელმწიფოსაგან ერთდროული და ყოველთვიური დახმარების პირდაპირი განაცემის სახით ღებულობს 650 მანეთს, 4-შვილიანი ოჯახი—277, ხოლო 3-შვილიანი მხოლოდ 20 მანეთს. ამავე დროს საბავშვო ბაგაში ბავშვის წლიური შენახვა ჯდება 300—400 მანეთი, აქ არ შედის ბავშვის ტანისამოსისა და სხვ. ხარჯები გაწეული მშობელთაგან და არც დანაკლისი ღედის ხელფასისა, როდესაც იგი ბავშვის ავადმყოფობის გამო იძულებულია არ გამოცხადდეს სამუშაოზე და სხვ.

„ამგვარად, ასკენის ა. კვამია, ჩვენს ქვეყანაში მრავალშვილიანობისათვის არსებული დახმარების სისტემა არ ასტიმულებს პირველი, მეორე და მესამე ბავშვის შობას, ე. ი. მათი რიცხვის გადიდებას იმ რაიონებში, სადაც შობადობის დონე დაბალია“⁴⁸.

⁴⁶ Б. У р л а н и с , Демографическая политика и ее влияние на демографическое поведение населения, 1970.

⁴⁷ Социальное обеспечение и страхование в СССР, 1972, стр. 577.

⁴⁸ Изучение воспроизводства населения, 1969, стр. 69—73; კურსივი ჩვენისა — 3. გ.

რა თქმა უნდა, მართებულია შეხედულება: რაც უფრო აუცი-
ლებელია საზოგადოებრივ წარმოებაში ქალის მონაწილეობა მით
უფრო აუცილებელია ბავშვთაშობის რეალური ეკონომიკური და
საერთოდ ყოველმხრივი სტიმულაცია. ამ გარემოების გათვალის-
წინება ყოველი ინდუსტრიული ქვეყნის სახელმწიფოებრივი და
ნაციონალური სიმტკიცისა და ხანგამძლეობის აუცილებელი პირო-
ბაა.

VI

ოჯახი და საზოგადოება

დემოგრაფიული პროცესების შესწავლაში, ცხადია, უაღრესად მნიშვნელოვანია ოჯახური ურთიერთობის პრობლემა. ოჯახის სოციოლოგია თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი ფრიად მიმზიდველი და სადღეისო საგანია.

ოჯახი ადრე თუ გვიან და ამა თუ იმ ზომით განიცდის ყველა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებას, რაც ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში ოჯახისა და ქორწინების თვით თეორიის საკითხებშიც ბევრი რამ დღემდეც სადავო და დაუდგენელია. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი რ. ჰილი (R. Hill) მხოლოდღა იმას ჯერდებოდა რომ დასვას კითხვა: რა დავარქვათ დაქორწინებულ წყვილს, რომელსაც შვილი არასოდეს ყოლია; — წარმოადგენენ თუ არა ისინი ოჯახს?

დემოგრაფიასაც არ გააჩნია ქორწინების ცნების ზუსტი და საერთოდ აღიარებული განმარტება. მაინც, ერთი რამ ცხადია, ქორწინება სოციალური მოვლენაა და ეს მით უფრო ნათელია, რომ ქორწინების თარიღს შეიძლება უსწრებდეს სქესობრივი კავშირის დასაწყისი და თვით ბავშვის ჩასახვის თარიღიც.

თუ რამდენად დიდია ოჯახის პრობლემისადმი ყურადღება, საკმარისია აღინიშნოს. რომ ჯერ კიდევ 1947 წ. პარიზში შეიქმნა საერთაშორისო კავშირი ორგანიზაციებისა, რომლებიც ამ საკითხებს შეისწავლიან. ამ ორგანიზაციას აქვს თავისი პერიოდული ორგანო („La Famille dans le Monde“). ოჯახის პრობლემის შესწავლისათვის მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაცია ორ წელიწადში ერთხელ აწყობს საერთაშორისო სემინარებს; აშშ გამოიცემა „ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრების ჟურნალი“ („Journal of Marriage and the Family“); დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში ყო-

ველწლიურად იბეჭდება ასობით სტატია და ათეულობით წიგნი ამავე საკითხებზე. IV მსოფლიო კონგრესზე (1959) სოციოლოგმა რ. ჰილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა რომ აშშ, 1900 წ. მოყოლებული, ოჯახისა და ქორწინების საკითხზე გამოქვეყნდა 12 000 წიგნი და სტატია და ამჟამად წლიურად 300-ზე მეტი ნაშრომი იბეჭდება.

სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ნათქვამია:

„მოზარდი თაობის აღზრდისათვის საუკეთესო პირობების შექმნის მიზნით უნდა გავუდიდოთ მატერიალური დახმარება ოჯახებს, რომლებსაც ყავთ ბავშვები, გავუფართოვოთ შეღავათები მომუშავე ქალებს — დედებს; შემოვიღოთ დახმარებანი იმ ოჯახების ბავშვებისათვის, რომელთა საშუალო შემოსავალი ყოველ წევრზე არ აღემატება 50 მანეთს თვეში; გავადიდოთ ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის საჭირო ანაზღაურებული დღეების რაოდენობა; დაეწესოს ყველა მომუშავე ქალისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო შევებული ანაზღაურება სრული ხელფასის ოდენობით, მიუხედავად შრომის სტაჟისა“ (ხსენებული დირექტივები, 1971, თბ. გვ. 57).

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება, დედებისათვის სხვადასხვა შეღავათების მიცემა, საბავშვო დაწესებულებათა გაფართოება, საბავშვო საქონელსა და სახელმძღვანელოებზე დაწეული ფასების დადგენა, უფასო სწავლება და სხვ. უაღრესად ჰუმანისტური საბჭოთა პოპულაციონისტური პოლიტიკის ნათელი გამოვლინებაა.

ამავე დროს ზოგიერთს, მაგალითად, ი. ბეილიანსკის შობადობის გადიდების მიზნით შვილიერების, სახელდობრ ერთ შვილზე მეტის მატერიალური სტიმულაცია „თავისებური «საფასურიანი დედობის» (платное материнство) შემოღებად“⁴⁹ მიაჩნია, — რაც, რა თქმა უნდა, მართებული არაა და არც შეესაბამება ჰუმანიზმის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგი ცდილობს არსებული სოციალური წყობილების წინააღმდეგ ინდივიდის გამოსვლისათვის პასუხისმგებლობა დააკისროს ოჯახს, რომელმაც ვითომდა ვერ შეძლო შეესრულებია სოციალიზაციის თავისი ფუნქცია, ვერ აღ-

⁴⁹ Проблемы народонаселения при социализме — «Вопросы экономики», 1972, № 10, стр. 67.

ზარდა ისეთი შვილი, რომელიც ღირსეულად ეპყრობოდეს საზოგადოებაში არსებულ ნორმებსა და ფასეულობათ.

ამერიკელი პროფ. ვ. გუდი წიგნში „მსოფლიო რევოლუცია და ოჯახის ტიპები“, აღნიშნავს უკანასკნელი პერიოდის ოჯახში მომხდარ ცვლილებებს, რაც გამოიხატა წყვილის ასაკობრივი განსხვავებულობის გადიდების, დიდი ოჯახებისა და ფართო ნათესაური კავშირების დაშლის, ბავშვთა რაოდენობის შემცირების, მშობელთა და შვილთა ურთიერთდამოკიდებულების შეცვლისა და სხვ. სახით. ხოლო თვით „მსოფლიო რევოლუციის“ ცნებას იგი განიხილავს როგორც ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესს, რამაც მოიცვა მთელი ცივილიზებული სამყარო და გავლენა მოახდინა ოჯახის ტიპების ევოლუციაზე.

გამოჩენილი სოციოლოგი ტალკოტ პარსონსი (T. Parsons) ოჯახს განიხილავს როგორც საზოგადოების ერთერთ დიფერენციულ ქვესისტემას. პატარა ჯგუფი, „ნუკლეარული ოჯახი“ არადამოუქმდებელი და მარტივი სოციალური სისტემაა და სწორედ ამაშია მისი, როგორც პიროვნების სოციალიზაციისა და სტაბილიზაციის ორგანოს დიდი მნიშვნელობა. პროფ. ტ. პარსონსის თვალსაზრისით მთავარია საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ფუნქციონალური მდგრადობა. მის სოციოლოგიაში ფუნქციონალიზმი იმ საწყისებს ემყარება, რომ საზოგადოება, რა თვალსაზრისითაც ის არ უნდა განვიხილოთ, ყოველთვის წარმოგვიდგება როგორც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულ მთლიანობა. ამ გაგებით „ამერიკული ოჯახი დანარჩენი სოციალური სტრუქტურისადმი წონასწორობისა და ინტეგრაციის მდგომარეობაში იმყოფება“.

ტ. პარსონსი, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. მ. კირილოვა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახის წევრთა დიფერენცირებული როლების ურთიერთმოქმედებას. დედა ექსპრესიულია, მამა — ინსტრუმენტული. მაგრამ გარდა ოჯახური როლებისა, დიდმნიშვნელოვანია კერძოდ მამის პროფესიული როლი, რაც განსაზღვრავს საერთოდ ოჯახის სტატუსს ინსტრუმენტულ ურთიერთობათა სფეროში. ოჯახის, როგორც სისტემის დამოკიდებულება საზოგადოების სხვა სისტემებთან — ესაა წონასწორობის დაცვისათვის საჭირო შემგუებლური პირობების შემუშავება და გარეშე ობიექტებთან (მიზნებთან) სასურველ დამოკიდებულებათა „ინსტრუმენტული“ დამყარება. ექსპრესიული როლის სფეროა ოჯახის შინაური საქმეები — ოჯახის წევრთა შორის ინტეგრაციული დამოკიდებულების დაცვა და მისი რეგულაცია.

პროფ. ტ. პარსონსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული „ოჯახის დაშლის მიზეზია მცირე შემოსავალი, ცუდი საბინაო პირობები და, იქნებ ყველაზე მთავარი იყოს, ოჯახში ურთიერთბატონისცემის დაბალი ხარისხი, რაც მამის მდგომარეობისა და პროფესიიდან გამომდინარეობს“.

მ. ელმერი (M. Elmer), ოჯახის სოციოლოგიის — Sociology of the Family (სახელმძღვანელოს) — ავტორი, ფიქრობს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში როდესაც ოჯახის ეკონომიკური და წარმოებრივი ფუნქციების დიდი ნაწილი სხვა ორგანიზაციებმა მიისაკუთრეს, გაიზარდა კერძოდ ოჯახის ფსიქოლოგიური და ემოციური ფუნქციები. ასეთ ვითარებაში ბიოლოგიურ სიმტკიცესა და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად „საზოგადოების სოციალური მოძალების (დაწოლის) წინააღმდეგობისათვის ბავშვს აუცილებლად სჭირდება ემოციური წონასწორობა და გონებრივი შემგუებლობა (შეწყობილობა). ყველა სახის სამუშაოთა ზრდადი სპეციალიზაცია, მათი მონოტონურობა და მუშაობაში კმაყოფილების გაქრობა მოითხოვს ინდივიდის ემოციური სტრუქტურის განმტკიცებას, რათა მას შეეძლოს აიტანოს დაძაბულობა“.

ბავშვი ადრიდანვე უნდა შეეგუოს თავის გონებრივ, სოციალურ და ემოციურ ცხოვრებას, სოციალურ ცვლილებებთან შეტაკებას. ეს ფუნქცია ეკისრება ოჯახს, ის უნდა ეხმარებოდეს ინდივიდს, რათა მან გაძლოს საზოგადოებაში, რამდენადაც იგი, — ბურჟუაზიული საზოგადოება — ავიწროებს ადამიანს. ოჯახის შინაგან სტრუქტურას, ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთგაგებასა და ურთიერთდახმარებას, მათს ემოციურ და ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს ეკისრება გააძლებინოს ამგვარად შევიწროებულ ადამიანს.

ასე რომ, როგორც საერთოდ ბურჟუაზიული სოციოლოგები, მ. ელმერი ფიქრობს არა თვით საზოგადოების გარდაქმნაზე, არამედ არსებულ ვითარებაში წარმოქმნილი სოციალური მოძალების წინააღმდეგ ოჯახისა და მისი წევრების, კერძოდ ბავშვებთან ანტანუნარიანობის გადიდებაზე ოცნებობს.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ინდუსტრიულ ქვეყნებში, — როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკოს) ახალგაზრდობის განყოფილების თანამშრომელი ტ. ლემარესკიე 1971 წ. სექტემბერს ჟენევაში განათლების საკითხებზე შემდგარი საერთაშორისო კონფერენციისათვის ჩატარებული სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე ასკვნის, — დაახლოებით 80% ყველა ინფორმაციისა, რასაც 12—15 წლის ბავშვები ღებულობენ, ისინი სკოლის

გარეთ იძენენ და ამასთანავე სკოლაში მიღებული ინფორმაციის 80% მეტი არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ასეთ ვითარებაში, რამდენადაც დღევანდელი ოჯახი სიახლეთა ინფორმაციის მიღების მხრივ სკოლაზე უფრო მობილურია, ბუნებრივია, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის როლს ბავშვთა, როგორც მომავალი (ახალი) ოჯახის შემქმნელთა დაცვა-მფარველობასა და აღზრდაშიც.

ესება რა ოჯახის ორგანიზაციის საკითხებს, მ. ელმერი ქორწინებას ახასიათებს როგორც საზოგადოებრივად აღიარებულ წეს-ჩვეულებას, რომლის მიზანია ქალთა და ვაჟთა შეკავშირება ახალი ბიოლოგიური და სოციალური ერთეულის შექმნისათვის. ოჯახი ესაა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთ სახლში ცხოვრობს და საერთო ბიუჯეტი აქვს. სახლი საცხოვრებელი ბინაა, სადაც ზოგიც ელდება (მიმდინარეობს) ოჯახური ურთიერთობა.

ამერიკელი პროფ. კ. კირკპატრიკი (C. Kirkpatrick) თავის წიგნში, „ოჯახი როგორც პროცესი და ინსტიტუტი“⁵⁰, აცხადებს, რომ წინათ ოჯახის ინსტიტუტს იცავდა კანონი, ჩვეულება, სარწმუნოება, სახელმწიფო... ჩვენს დროში ხდება ოჯახური ცხოვრების სეკულარიზაცია და რამდენადაც ძველებური კავშირები შესუსტდა და ოჯახის მთლიანობას არ იცავს გარეშე გავლენა, ცხადია, თავდაცვისათვის სულ უფრო ძლიერდება ოჯახის წევრთა შორის სიყვარულისა და ემოციური ურთიერთგავლენის ძალა.

ამერიკული ოჯახის სტაბილურობაზე უარყოფითად მოქმედებს მოსალოდნელი მორიგი დეპრესიისა და ინფლაციის შიში. „თანამედროვე მსოფლიოში ინდივიდს ემუქრება უხილავი ძალები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მის ბედზე. მუშა გამოყოფილია თავისი შრომის იარაღებისაგან და უკვე აღარ მოიხმარს თავის საკუთარ პროდუქტებს. სიმდიდრე და სიღარიბე შედარებითია. ხალხს ახლა მეტი აქვს, მაგრამ უფრო მეტსაც შიშობს, რათა არ დაკარგოს ის რაც გააჩნია“.

პროფესორები უ. ოგბორნი (W. Ogborn) და მ. ნიმკოფი (M. Nimkoff) წიგნში „ტექნოლოგია და ცვალებადი ოჯახი“⁵¹, იმ დსკვნამდე მიდიან, რომ, ერთი მხრით, ურბანიზაციამ, ტექნიკისა და ტრანსპორტის განვითარებამ, და, მეორე მხრით, ვერტიკალურმა და ჰორიზონტალურმა მობილურობამ შეასუსტა ნათესაური კავშირე-

⁵⁰ The Family as Process and Institution, 1968.

⁵¹ W. Ogborn, M. Nimkoff, Technology and the Changing Family, 1963.

ში, ხოლო ქალაქური ცხოვრების ანონიმურობამ ხელი შეუწყო ქორწინების გარეშე კავშირებს, რამაც დაასუსტა ოჯახი. დაახლოებით ანალოგიურ აზრს აწვდიან რ. უინჩი (R. Winch) თავის წიგნში „თანამედროვე ოჯახი“ (The Modern Family, 1953): „ამერიკულ კულტურაში ინდივიდუალიზმისა და კონკურენციის შეთანაწყობამ შექმნა იზოლაციის გრძნობა“. ქალაქურ ურთიერთობათა უპიროვნობა და ანონიმურობა აძლიერებს იზოლაციის გრძნობას, ნერგავს ფსიქოლოგიურ მერყეობას და, მაშასადამე, მოთხოვნილებას, რომ ადამიანი ეკუთვნოდეს სოციალურ ჯგუფს, ოჯახს.

1963 წ. ჩატარდა „საზოგადოებაში გათხოვილი ქალის მდგომარეობის“ საერთაშორისო გამოკვლევა, რომლის ხელმძღვანელი იყო ცნობილი ფრანგი სოციოლოგი პ.-პ. შომბარ დე ლოვი, რომელმაც შეაჯამა და გაანალიზა ანკეტური გამოკითხვის მონაცემები⁵².

გამოკითხული ქალები ხედავენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს, რამაც თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს ოჯახურ ცხოვრებაშიც, რაც გათავდება იმით, რომ ქალს უკვე არ სთვლიდნენ იქნება „არასრულფასოვან არსებად“, — რომ „იზრდება ვაჟსა (ქმარსა) და ქალს (ცოლს) შორის ურთიერთობატივისცემა“; — რომ „ქალს შეუძლია განაცხადოს: „მე ისეთივე ვარ, როგორც შენ“ და ამას შეუძლია მათს ურთიერთობაში გართულება გამოიწვიოს; — რომ ქალი დაიწყებს „უფრო დამოუკიდებელ ცხოვრებას“, ის „უფრო განვითარდება“; — რომ „დაიჭერს რა საზოგადოებაში უფრო მნიშვნელოვან როლს — ეს შესცვლის ქალის აზრების ხასიათს“ და სხვ.

გ ა ლ თ ა პასუხები: „ქალი უფრო დიდმნიშვნელოვან როლს ითამაშებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვინემ მთელი ოჯახის მომსახურებაა“; — „ქალი შეწყვეტს ბუნებისაგან მინიჭებულ როლის — დედის როლის შესრულებას“; — „შენელება ურთიერთდამოკიდებულების ინტიმურობა“; — „რაც უფრო გაიზრდება ქალის ავტორიტეტი, მით უფრო რეზონული იქნება მისგან თავისი როლის უარყოფა“; — „მთელი ეს ცვლილებები არაფერია: ქალი თავის ადგილზე რჩება“ და სხვ.

კითხვაზე: „რაში გამოიხატება ვაჟისადმი ქალის დამოკიდებულების შეცვლა“ — გამოკითხული ქალების დიდმა უმრავლესობამ (70%) და ვაჟების მეოთხედზე მეტმა უპასუხა — ქალი არა მხოლოდ „ნაკლებად მოკრძალებული (მორიდებული)“ შეიქნა, ის „როგორც წარსულში უკვე აღარაა ძალღივით ერთგული და გამ-

⁵² P.-H. Chombart de Lauwe, Images de la Femme dans la Société, 1964, Paris.

გონე“ და ამასთანავე ის „მეტ პატივისცემას მოითხოვს“; — ქალაქი „არაფერს არ ღებულობს შეუქამათებლად (უსიტყვოდ) და უფრო ენერგიულად იცავს თავს“... ვაჟების (ქმრების) მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს: „ქალი ნაკლებად ქალური შეიქნა“, „ოჯახი მისთვის უფრო ნაკლებს ნიშნავს, ვინემ წინეთ“, „ქალები ნაკლებად ერთგულნი გახდნენ“...

3.-3 შოშბარ დე ლოვის დაკვირვებით: ვაჟი (ქმარი) ქალს აღიქვამს ორგვარ ურთიერთსაწინააღმდეგო ასპექტში — როგორც მეგობარს და როგორც მეტოქეს (მოპირდაპირეს). ასეთ ვითარებაში „გალანტობა, — თუ ის შეიძლება მივიღოთ როგორც ნიშანი აქესთა შორის უფლებათა გათანასწორების პროცესში დაკარგული დარბაისლური (მოწიწებითი) ურთიერთობისა, — აღივსო სექსუალური და სენტიმენტალური შინაარსით“. მაინც, ქალების მიერ გაცემულ პასუხებზე, აღნიშნავს რა შიშს ახალ ოჯახურ ურთიერთობათა განმტკიცებასთან დაკავშირებით (როდესაც მშვენიერი არსება თავის დაკარგულ წინანდელ უპირატესობათა სანაცვლოდ ღებულობს არა-არსებით და მისი ცხოვრების ყველაზე ნაკლებად გამაუმჯობესებელ სამაგიეროს) იგი შეცბუნებული აცხადებს, რომ „ახალი წესების განმტკიცებისაგან ყველაზე უფრო ისევ გრძნობათა სფერო ზარალდება“.

კითხვაზე: „არის თუ არა თანამედროვე ქალი წარსულის ქალთან შედარებით უფრო ბედნიერი?“ — გამოკითხულთა თითქმის 80% უპასუხებს: „ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი მხრით მაინც“ თანამედროვე ქალს უფლება აქვს უფრო ბედნიერად მიაჩნდეს თავი; — ქალის ხვედრი შემსუბუქდა, ის მეტი თავისუფლებით სარგებლობს, საშუალება აქვს თავის მოცალეობას თვითონვე განაგებდეს...

ვაჟთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მუშა-მოსამსახურე ქალი „შეიძლება ცუდ წრეში მოექცეს“, გაეცნოს გაფუჭებული ყოფაქცევის ადამიანებს, იძენდეს „ვულგარულ თვისებებს“; ამასთანავე დამოუკიდებლობით მეტისმეტი გატაცება შეიძლება გახდეს ოჯახურ უთანხმოებათა მიზეზი, რამდენადაც ქალს „ავიწყდება დედის, დიასახლისის მოვალეობა“.

ანკეტის კითხვაზე: „ახდენს თუ არა გავლენას ქალის პროფესიული დასაქმებულობა ქმრისადმი მის დამოკიდებულებაზე?“ — გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ქალის დასაქმებულობა მნიშვნელოვან ცვლილებას, უფრო კი მდგომარეობის გაუარესებას იწვევს ოჯახში.

ასეთია, მოკლედ, ბურჟუაზიული სოციოლოგიის უახლესი სიტყვა საზოგადოებაში ოჯახის ადგილისა და როლის შესახებ.

* * *

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანი დემოგრაფიული ცვლილება გამოიწვია კერძოდ ქალის ემანსიპაციის, ქორწინების და საერთოდ ოჯახის ყოფიერებისა და მორალურ ვითარებაში.

ნაშრომში „დიადი თაოსნობა“ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ჰეშმარიტად ქვა-ქვაზე არ დაგვიტოვებია იმ უხამსი კანონებიდან“, რომლებიც შეეხებოდნენ ოჯახსა და ქორწინებას და უფლება გვაქვს ათასჯერ ვიამაყოთ იმით რაც გაგვიკეთებია ამ სფეროში.

მაგრამ ეს ახალი სოციალისტური ოჯახის აშენების ღონისძიებათა მხოლოდ ერთი მხარე იყო. საქმე ისაა, რომ, „...რაც უფრო სუფთად გავსწმინდეთ ჩვენ ნიადაგი ძველი, ბურჟუაზიული კანონებისა და დაწესებულებების ნაგავისაგან მით უფრო აშკარა გახდება ჩვენთვის, რომ ესაა მხოლოდ ადგილის გასუფთავება შენობის ასაგებად და არა თვით შენობის აგება“⁵³, — და ეს იყო ჰეშმარიტად დიდი სიმართლის გამოცხადება.

ახალმა, რევოლუციურმა კანონმდებლობამ გააუქმა წყვილის შეუღლების სფეროში არსებული ხელოვნური დაბრკოლებები, გაამარტივა ქორწინებისა და გაყრის პროცედურა და სხვ. და ამით შეიქმნა წინაპირობა ახალ ოჯახურ ურთიერთობათა წარმოშობა-ჩამოყალიბებისათვის. თვით ბურჟუაზიული მეცნიერები აღიარებენ, რომ არსად არაა უფრო სრულქმნილი საოჯახო კანონმდებლობა, ვინემ საბჭოთა კავშირშიო.

მაგრამ ამასთანავე წარმოიქმნა წინააღმდეგობრივი, ფრიად რთული ყოფიერებითი და მორალური ვითარება შეხმატკბილებული და ჯანსაღი ოჯახის აშენების გზაზე. საქმე ისაა, რომ ახალი სამართლებრივი ნორმები არ შეესაბამებოდა, უსწრებდა არსებულ ეკონომიკურ, ზნეობრივ, საზოგადოებრივ, ფსიქოლოგიურ ფორმებს, — საფუძვლებს, რომლებზედაც უნდა აშენებულიყო ახალი ოჯახური ურთიერთობა.

ის დიდი დისკუსია, რაც 1920-იან წლებში ატყდა სქესობრივი მორალისა და ოჯახის პრობლემის თაობაზე, ზოგჯერ, მეტად გამართივებულ და გადამლაშებულ ხასიათს ატარებდა. ზოგიერთი იქამ-

⁵³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 501—502.

დღეც მივიდა, რომ ქადაგებდა ამ სფეროში „ზეკოლექტივისტური“ განწყობილების აზრებს, უარყოფდა ადამიანის პირადი ცხოვრებისა და ბედნიერების მორალს, ხოლო სქესობრივ სიყვარულს დრო-მოქმულ ჩვეულებად აცხადებდა, — რომ ვითომ მარქსიზმი უარყოფდა სიყვარულს, როგორც მორალურ გრძნობას. ზოგჯერ ეს „მორალური ნიპილიზმი“ უფრო შორსაც მიდიოდა ხოლმე⁵⁴.

მაგალითად, ე. პრეობრაჟენსკი ამ მხრივ თავისებურ ეთიკურ აგნოსტიციზმსა და რელიატივიზმის იდეას ქადაგებდა, რომ თითქმის ზოგიერთი მარქსისტი „სქესობრივი კომუნიზმისა“ და „უწყსარიგო სქესობრივ კავშირისაკენ“ მოუწოდებდა და სხვ⁵⁵.

აღსანიშნავია, რომ ცნობილი ა. მ. კოლონტაი ამავე ხანებში წერდა, რომ პროლეტარული ადეოლოგია და მორალი სიყვარულის გრძნობის არავითარ ფორმალურ ზღვარს არ სდებენ: „მუშათა კლასობრივი ამოცანებისათვის სავსებით სულერთია — სიყვარული ღებულობს ხანგრძლივი და გაფორმებული კავშირის ფორმას, თუ გამოიხატება გარდამავალი კავშირის სახით“⁵⁶.

ა. კოლონტაის წინააღმდეგ გამოსული პროფ. ა. ზალკინდი არ ემხრობოდა სიყვარულის გრძნობისადმი ყურადღების გამახვილების ტენდენციას, რადგან მას შეუძლია ადამიანთა ფსიქოლოგიაში შეანელოს კოლექტივიზმის საწყისები და ზიანი მოუტანოს შრომითი პათოსის აღმავლობას; ...„აუცილებელია, რათა კოლექტივი უფრო იზიდავდეს თავისკენ, ვინემ საყვარელი არსება... ძლიერ ვშიშობ, რომ „ფრთიანი ეროსის“ კულტის პირობებში ჩვენთან ცუდად შენდებოდეს იქნება თვითმფრინავები“⁵⁷.

ამგვარად, ადამიანი გახიზილებოდა, როგორც მარტოოდენ მუშა, მატერიალურ დოვლათთა მწარმოებელი და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აპარატის ფუნქციონერი არსება, არსებითად, როგორც „სტანდარტული ყოფიერების“ საფუძველზე შემუშავებული „სტანდარტ-ადამიანი“.

ოჯახისა და ქორწინების პრობლემებზე ვულგარულ-მატერიალისტურ შეხედულებათა მქადაგებელნი აცხადებდნენ, რომ „ქალი ესაა სათესი მინდორი განაყოფიერებისათვის, ვაჟი კი მხოლოდ მთესველია“; — რომ „ყოველგვარი ნივთი, მათ შორის ქალიც იც-

⁵⁴ «Вопросы философии», 1968, № 4, стр. 6.

⁵⁵ Е. П р е о б р а ж е н с к и й, О морали и классовых нормах, 1923, стр. 97—98.

⁵⁶ Дорогу крылатому Эросу — «Молодая гвардия», 1923, № 3, стр. 122.

⁵⁷ «Молодая гвардия», 1926, № 6.

ვითება“ და სხვ. სქესობრივი აღვირახსნილობის, სოციალურად ამ საშიში იდეების, სასტიკი კრიტიკით გამოვიდა ე. იაროსლავსკი⁵⁸, რომელიც მაღალი მორალური სიწმინდის ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის იბრძოდა.

შემდგომ წლებში ოჯახისა და სიყვარულის საკითხებში პრობანდისტული ლიტერატურის გეზი თანდათანობით შეიცვალა. თავისუფალი სიყვარულის, ოჯახისა და სიყვარულის მორალური ასპექტები სულ უფრო რეგისტრირებული ქორწინების, ოჯახური მოვალეობის მტკიცე და კანონიერი ნორმების კალაპოტში ყალიბდებოდა. მაინც, შესამჩნევ როლს თამაშობდა „თავისუფლებისა და სიყვარულის“ თაობაზე ადრე ნაქადაგები იდეები.

ა. ლუნაჩარსკი 1925 წ. წერდა: „მომავალში ვაჟები და ქალები შექმნიან სიყვარულის დიდ პოემას. მაგრამ ამას ისინი გააკეთებენ სრული თანასწორობის საწყისებზე... ჩვენ ვამბობთ ყოველგვარი სიტკბოება დასაშვებია, თუ ის მავნე არაა, თუ ვაჟს თავისი აყვავების პერიოდში მოუხდა რამდენიმეჯერ გამოიცვალოს ქალი და ეს ვნებას არ მოუტანს არც მას და არც საზოგადოებას, არავითარი მიზეზი არაა ვიცავდეთ ერთცოლიანობას (მონოგამიას — ბ. გ.). იგივე ითქმის ქალზედაც“⁵⁹.

ა. ლუნაჩარსკის აზრით სქესთა სრული თანასწორობა საერთოდ, თვით კომუნიზმის დროსაც მიუღწეველი იქნება, უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის აღწარმოების ფუნქციაში მათი განსხვავებული ფიზიოლოგიური როლის გამო. ამასთანავე მას მიაჩნდა, რომ საბოლოოდ უფრო ბუნებრივია მშობლური (მშობელის — დედობრივი) გრძნობა, ვინემ მამობრივი (შემქმნელის) მშობლური გრძნობა, რამდენადაც „მაინც ყოველთვის ქალი იქნება ბავშვთა მშობელი... ჩვენს კომუნიტურ საზოგადოებაში, რომ მოვეხმაროთ ქალს, უნდა მოვკლათ სამზარეულო და ჩვენ ამას გავაკეთებთ“, — წერდა იგი⁶⁰.

მაგრამ ახლა საკითხავია, თუ რას გულისხმობს „თავისუფალი სიყვარულის“ ცნება? იგი მოასწავებს შვილთა (ბავშვთა) არა ოჯახურ, არამედ მთლიანად საზოგადოებრივ საწყისებზე აღზრდას? ამ იდეას ანგითარებდა, მაგალითად, კ. კაუცკი, რომელიც წერდა, რომ საქონლური წარმოების არსებობისას ბავშვების აღზრდის სა-

⁵⁸ Е. Ярославский, Какова же наша молодежь?, 1927, стр. 62.

⁵⁹ А. Луначарский, Мораль с марксистской точки зрения, 1925, стр. 43.

⁶⁰ დასახ. თხზ., გვ. 41—44.

უკეთესო ეკონომიკურ პირობას წარმოადგენს კანონიერი ქორწინება, ოჯახი. მაგრამ ეს მდგომარეობა შეიცვლება სოციალიზმის დროს, როდესაც „ბავშვების აღზრდაზე ზრუნვას მამის მაგიერ თავის თავზე აიღებს საზოგადოება. მაშინ ქმრისა და ცოლის კანონიერი ქორწინება ზედმეტი გახდება“⁶¹.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ უფრო შორს მიდის აკად. ს. სტრუმილინი, რომელიც ათიოდე წლის წინ წერდა ბავშვთა აღზრდის სრული „კოლექტივიზაციის“ (განზოგადების) თაობაზე. იგი „წინასწარმეტყველებს“, რომ მომავალში ახლადშობილი „ყოველი საბჭოთა მოქალაქე სამშობიარო სახლიდან გამოსვლისთანავე იგზავნება საბავშვო ბაგაში, აქედან — საბავშვო ბაღში ან საბავშვო სახლში...; — მერმე სკოლა-ინტერნატიში; ხოლო აქედან უკვე გაემართება დამოუკიდებელი ცხოვრების საგზურით“⁶².

ს. სტრუმილინი, როგორც ეტყობა, ყოველსავე ამას ახლო მომავლის საქმედაც მიიჩნევს. ამგვარად, ადრე თუ გვიან ქრება შვილებსა და მშობლებს შორის კავშირი, თვით ნაცნობობაცა და, მაშასადამე, მშობლური გრძნობა... ქრება ოჯახი...

მაგრამ, თუ დედობის და მამობის საოცარი ინსტიქტი გაქრება მაშინ, საკითხავია, ადამიანს, კერძოდ ქალს შვილის გაჩენის სიმძიმეთა ატანის რა სტიმული, რა მისწრაფება ექნება?

ამავე დროს საოცარია, მაინც რომ ა. ლუნაჩარსკი, თვით საბჭოთა წყობილების მშენებლობის გარიჟრაჟისას თამამად სახავდა ნათელი მომავლის მაღალი და ბრწყინვალე ოჯახის კონტურებს.

„ეკონომიკურ პირობათა და სწორი აღზრდის, თვითანალიზისა და თვითდისციპლინის მეოხებით ადამიანი გაიგებს, რომ მამობა და დედობა უბრალო რამ არაა, რომ ესაა შემოქმედების ერთ-ერთი უფაქიზესი სახეობა. ადამიანი გაიგებს რომ საჭიროა კაცობრიობის გაჯანსაღება“ (დასახ. თხზ. გვ. 45).

ყოველსავე ამას, ოჯახისა და ქორწინების შესახებ გამოცემულ კანონებს, ერთი მხრით, და ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გავრცელებულ თუ კრებებზე წარმოთქმულ ურთიერთსაწინააღმდეგო იდეებს, მეორე მხრით, ცხადია, არ შეიძლებოდა მეტნაკლები გავლენა არ მოეხდინათ ახალი საბჭოური ოჯახის დადგინებისა და თვით პოპულაციის პროცესებზე.

⁶¹ К. Каутский, Размножение и развитие в природе и обществе, 1923, стр. 204.

⁶² «Новый мир», 1960, № 7, стр. 208.

საქმე ისაა, რომ საბჭოთა სახელმწიფომ მემკვიდრეობით მიიღო თითქმის მთლიანად ფეოდალურ-პატრიარქალურ ყაიდაზე აშენებული ოჯახის ინსტიტუტი. რუსეთის თვითმპყრობელობის საოჯახო სამართალი ქალს არსებითად ყმურ მდგომარეობაში აყენებდა. იმპერიის კანონთა კრებულის მეათე ტომში ვკითხულობთ, რომ ცოლი ვალდებულია „ემორჩილებოდეს თავის ქმარს, როგორც ოჯახის მეთაურს, უყვარდეს იგი, იყოს ქმრისადმი პატივისცემასა და უსაზღვრო მორჩილებაში, ყოველმხრივ აამებდეს და ერთგულებდეს მას, როგორც ოჯახის პატრონს“.

საბჭოთა კანონმდებლობამ ქორწინების რეგისტრაცია შემოიღო როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ასევე იმ მიზნით, რათა უზრუნველყო ცოლქმრისა და შვილების პირადი და ქონებრივი უფლებისა და ინტერესების დაცვა. მაგრამ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში, როგორც ცნობილია, ცხოვრებაში ბევრი რამ კეთდებოდა „თვითღინებითა და თვითნებობით“. საკავშირო ცაკ XII სესიაზე (1925), სადაც მსჯელობის საგანი იყო საოჯახო კოდექსი, ბევრი რამ ითქვა „სექსუალური ანარქიზმის“ თაობაზე: „ახლა როგორც ვაჟები ისე ქალები ძლიერ თავაშვებულნი არიან. ზოგიერთ ვაჟს ოცი ცოლი ყავს, — ერთთან ერთ კვირას იცხოვრებს, მეორესთან — ორს და ა. შ. და ყველასთან რჩება თითო ბავშვი“...

ა. კოლონტაის თავის ნარკვევში (1927) მოყავს მისი გმირის, კომკავშირელ ჟენიას, სიტყვები: „სქესობრივი ცხოვრება ჩემთვის უბრალო ფიზიკური სიამოვნებაა, ჩემ შეყვარებულებს განწყობილებისამებრ ვიცვლი. ახლა მე ორსული ვარ, მაგრამ არ ვიცი ვინაა ჩემი ბავშვის მამა, და ეს ჩემთვის სულერთია“.

ზოლო ლ. გუმილევსკი გვიყვება ერთი კომკავშირელი ვაჟის განცხადებას: „ჩვენ არ ვსცნობთ არავითარ სიყვარულს, — ყოველივე ეს ბურჟუაზიული ლათაიებია, რაც ხელს უშლის საქმეს“. კიდევ უფრო ამარტივებს ვითარებას სტუდენტი ქალი: „...შენ გჭირდება ვაჟი! — აიყვანე, დაკმაყოფილდი, მაგრამ თვალთმაქცობას (ფოკუსებს) თავი დაანებე. ნივთებს საღად უყურე. კიდევაც ამისთვის ვსწავლობთ ჩვენ ისტორიულ მატერიალიზმს“⁶³.

კლარა ცეტკინს მოყავს მაგალითები, რომ მრავალს თავისი ასეთი საქციელი მიაჩნია „რევოლუციურ“ და „კომუნისტურ“ პოზიციად. მათ შექმნეს თეორია, რომ თითქოს „კომუნისტურ საზოგადოებაში სქესობრივი მისწრაფების და სიყვარულის მოთხოვნილე-

⁶³ Собачий переулоч, 1927, стр. 14.

ბის დაკმაყოფილება ისევე მარტივი და უმნიშვნელო რამეა, როგორც ჭიქა წყლის დაღევა“. შემდეგ კ. ცეტკინი აცხადებს, რომ „ჭიქა წყლის“ თეორია პირდაპირ საბედისწერო შეიქმნა მრავალი ყმაწვილი გოგოსა და ბიჭისათვის და რომ ამ თეორიას, ცხადია, არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან⁶⁴.

თავის დროზე ზოგიერთი საბჭოური სოციოლოგი ფიქრობდა, რომ სქესობრივი აღვირაზნის შემთხვევები უნდა წარმოვიდგინოთ როგორც თავისებური „კომპენსაცია“ — ომისა და რევოლუციის მძიმე წლებში ამ მხრივ დახუთული ნერვიული სისტემისა და როგორც ენერგიის აბორგება.

ასეთ ვითარებაში იმატა გაყრის შემთხვევებმა. „დედაკაცი ახლა ის არაა რაც იყო, რაიმე ოდნავი უსიამოვნება და იმ წუთშივე გაყრას მოითხოვს“ და ა. მურინს გამოკითხვისას, თუ რატომ ეყრება ქმარს ქალი უპასუხებს: „მე ხომ მისი შინამოსამსახურე არა ვარ, მე ის უბრალო რამეზედაც მუდამ მიყვირის, მლანძღავს, ზოგჯერ მირტყამს კიდევაც“⁶⁵.

არსებული სტატისტიკური მონაცემები მეტყველებენ რომ ამ პერიოდში, სახელდობრ, 1924—1927 წწ. გაყრის შემთხვევები, მაგალითად, ბელორუსიის სსრ, დაახლოებით 2,5-ჯერ გაიზარდა (100 ქორწინებაზე გაყრის რაოდენობა უდრიდა 1924 წელს—5,5; 1925 წ.—11,6; 1926 წ.—16,7 და 1927 წ.—18,2). ამასთანავე გაყრის 50%-ზე მეტი მოდიოდა შეუღლების პირველ წელზე.

საერთოდ 1920-იან წლებში ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე გამოქვეყნებული პოპულარულ-პროპაგანდისტული ლიტერატურის აზრი ის იყო, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის ოჯახის კრიზისი უნდა დამთავრდეს ოჯახის დეზინტეგრაციით. ეს იდეა მერმე შეიჭრა მონოგრაფიულ გამოკვლევებშიც. იმ ხანებში ცნობილი საბჭოთა სოციოლოგის პროფ. ს. ვოლფსონის გამოკვლევაში ვკითხულობთ⁶⁶: „სოციალისტურ საზოგადოებაში ოჯახის დეზინტეგრაცია თავის მთლიან დასრულებას მიაღწევს. სოციალიზმს თან მოაქვს ოჯახის გადაშენება“.

პროფ. ს. ვოლფსონი ეკამათება რა კ. კაუცკის, — რომელიც თავის „აგრარულ საკითხში“ წერს, რომ „კერძო საოჯახო მეურნეობის გაქრობა მხოლოდ იმას მოასწავებს რომ ოჯახი ეკონომიკური ერთეულიდან წმინდა ეთიკური ერთეულად გადაიქცევა“, — აცხა-

⁶⁴ К. Цеткин, О Ленине. Воспоминания и встречи, 1925, стр. 15.

⁶⁵ Быт и нравы деревенской молодежи, 1926, стр. 96.

⁶⁶ С. Вольфсон, Социология брака и семьи. Опыт введения в марксистскую генеомиию, 1929, стр. 375, 449.

დებს: ოჯახი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციებისგან დაცლილი „ეთიკური ერთეული ნონსენსია“, რომ ერთ ბინაში ცხოვრება არ იქნება ქორწინების განუყრელი თანამგზავრი, ქორწინებაში მყოფ პირთა ბინის მხრივ განცალკევებულობა ისევე ჩვეულებრივი იქნება, როგორც ერთ ბინაში ცხოვრება და სხვ. (დასახ. თხზ., გვ. 446).

კ. ც ე ტ კ ი ნ ი: „ქალის ოჯახური ცხოვრება — ესაა ყოველდღიური თავის შეწირვა ათასობით უმნიშვნელო წვრილმანისათვის. ძველი უფლება ქმრის ბატონობისა ფარული სახით განაგრძობს არსებობას. მისი მხევალი ობიექტურად შურს იძიებს ამისთვის და ისიც ფარული სახით“⁶⁷.

ასეთ ვითარებაში „ქორწინებისაგან სამზარეულოს გამოყოფის“ დევიზი, ისევე პოპულარული და მნიშვნელოვანი ჩანს, როგორც სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის იდეა იყო თავის წარმოშობის დასაწყისში.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ შეეხო პროფ. ს. ვოლფსონი კაუტცკის შეხედულებას. აქ, ვფიქრობთ, უაზრო არ იქნება მცირეოდენი ექსკურსი. კ. კაუტცკი წერდა: სოციალიზმის პირობებში მსხვილი ინდუსტრიული წარმოება და კოოპერაციულ თუ კომუნალურ საწყისებზე სოფლის მინდვრების გაერთიანება არ გამოიწვევს საკუთარი საცხოვრებელის მოსპობას. მხოლოდ ის მოხდება, რომ სახლი გამოეყოფა მეურნეობრივ, დასამუშავებელ მიდამოს. „თანამედროვე სოციალიზმი ემყარება წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას... და არ გამორიცხავს მოხმარების საშუალებებზე კერძო საკუთრებას... იმ საშუალებათა შორის რომლებიც განამტკიცებენ და ახალისებენ ადამიანის ცხოვრებას ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანია, იქნებ ყველაზე დიდმნიშვნელოვანია, — საკუთარი საცხოვრებელი ბინა... მომავლის ადამიანები უპირატესობას მიანიჭებენ à la ფურიეს სასახლე-ფალანსტერებში, თუ à la ბელამის⁶⁸ ცალკე კოტეჯებში ცხოვრებას, ... თუ ერთმანეთის გვერდით დარჩება ასეთი და ისეთი ფორმაც, ... — ადამიანებისათვის თუ ძვირფასი იქნება, რომ ყოველ ოჯახს ჰქონდეს თავისი საკუთარი სახლი, უქვევლია ამასაც წინ არაფერი არ გადაელობება იმ საწყისებში, რაზედაც ემყარება სოციალისტური

⁶⁷ К. Ц е т к и н, О Ленине, 1925, стр. 24.

⁶⁸ შ. ე ი დ ი, საუბარი კოოპერაციაზე. ფ უ რ ი ე ს წინასწარმეტყველებანი, 1916, ქუთ.; ე. ბ ე ლ ლ ა მ ი, ასი წლის შემდეგ (სოციოლოგიური რომანი), 1896, თბ.

საზოგადოება“... საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა... მოს-
პობს ოჯახის ეკონომიკურ საფუძველს და არა თვით ოჯახს, რამდენ-
ადაც მას აქვს სხვა, უმაღლესი საფუძველი — ინდივიდუალობა“...
„ინდივიდუალიზმი, პიროვნების თავისუფალი გამოვლინებისადმი
მისწრაფება, სოციალისტურ საზოგადოებაში უფრო ძლიერი და
უფრო საყოველთაო გახდება, ვინემ კაპიტალისტურ საზოგადოე-
ბაში, შესაბამისად იმისა, რამდენადაც სულიერი განვითარება, კე-
თილდღეობა და მოცალეობა საერთო კუთვნილება შეიქნება“. სა-
მუშაო დროის შემცირების მეოხებით... უწინარეს ყოვლისა მოი-
გებს ოჯახი.

„პიროვნება, მტრულ და თუნდაც მხოლოდ შემავიწროებელ
სხვათა ნების მხრივ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, არსად ისე
სრულიად არ გამოვლინდება როგორც თავის საკუთარ სახლში, რა-
საც ადამიანი, თავისი მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში,
ხალისით ამშვენებებს და სადაც შეუძლია იცხოვროს თავისუფ-
ლად იმათთან, რომლებიც მას უყვარს, თავის მეგობრებთან, თავის
წიგნებთან, თავის აზრებთან და ოცნებასთან, თავის მეცნიერულ და
მხატვრულ ქმნილებებთან... ინდივიდუალიზმთან ერთად ვითარ-
დება აგრეთვე ინდივიდუალური სქესობრივი სიყვარული, რომე-
ლიც კმაყოფილებას ჰპოულობს მხოლოდ მეორე სქესის ერთ გარ-
კვეთულ ინდივიდთან კავშირსა და ერთად ცხოვრებაში. ასეთ ინდი-
ვიდუალურ სიყვარულზე დაფუძნებულ ქორწინებასაც სიმტკიცისა
და სიმყარის მოსაპოვებლად სჭირდება საკუთარი სახლი“... სოცი-
ალისტური საზოგადოება ქორწინებასა და ოჯახს მთლიანად პირა-
დი ნასიათის მოვლენად გადააქცევს. შვილები ძვირფასი იქნება
მშობლებისათვის, არა როგორც მათი ქონების შემკვიდრეები, არა-
მედ როგორც საყვარელი პიროვნებანი. „საოჯახო მეურნეობის
მოსპობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ოჯახი ეკონომიკური კავში-
რიდან გადაიქცევა წმინდა ეთიკურ კავშირად, რაც ნიშნავს იმ მო-
რალური მოთხოვნის განხორციელებას, რაც ინდივიდუალობის
განვითარებისათვის ჩვენს დროში უკვე მომწიფებულია თანამედ-
როვე მწარმოებლურ ძალთა განვითარების მეოხებით. ამგვარად,
სოციალიზმი კი არ ახშობს ყოველი სრულად განვითარებული პი-
როვნების მოთხოვნილებას ჰქონდეს საკუთარი სახლი, არამედ მას
აძლევს საყოველთაო ხასიათს და, ამასთანავე ჰქმნის საშუალებებს
მისი საყოველთაოდ დაკმაყოფილებისათვის“⁶⁹.

⁶⁹ K K a u t s k y , Die Agrarfrage, 1929; იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი , თბ.
ტ. 3, 1948, გვ. 7—10.

საბოლოოდ, კარლ კაუცკის თავისი ოკრობოკრო მსჯელობით ცხადია, არ შეეძლო განეჭვრიტა, თუ როგორ კონკრეტულ სოციალურ ფორმას მიიღებს მომავლის, კომუნისტური საზოგადოების ოჯახი; — არ შეეძლო განეჭვრიტა მეცნიერების, ტექნიკის, ინდუსტრიის, საერთოდ საზოგადოებრივი მატერიალური და სულიერი წარმოების მთელი პროგრესი, რაც თავის განვითარების ზოგიერთ საფეხურზე რევოლუციის ხასიათს ღებულობს და, მაშასადამე, საფუძვლიანად სცვლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და კერძოდ თვით ოჯახის სტრუქტურას. საუკუნის, თუნდაც ნახევარი საუკუნის წინ ვის შეეძლო წარმოედგინა მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის გაქანება და მის საფუძველზე, მაგალითად, მომსახურების სფეროს, ანდა ბინათმშენებლობისა და მოწყობილობის განვითარების დღევანდელი და უახლოესი პერსპექტივები, ის ნამდვილი გადატრიალება, რაც ამ მოვლენებმა გამოიწვიეს ოჯახურ მეურნეობაში. შორეული მომავლის სოციალური ცხოვრების კონკრეტული სურათების ხატვა, მეტნაკლები ზომით, თუ ყოველთვის უტოპიური არაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წყვილის კავშირი — ოჯახი, რომელიც ჩაისახა და ჩამოყალიბდა მცირე ავტარკიული სოციალური ჯგუფის სახით, დაუსრულებელი ფორმაცვალებადობის გზით წავა, მაგრამ კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხურზე დარჩება, როგორც ადამიანთა მოღვმის მარადიული აღწარმოების სოციალური და ბიოლოგიური აუცილებლობა.

ოჯახის, როგორც ისტორიული, დემოგრაფიული, სოციოლოგიური მოვლენის თანამედროვე პრობლემათა მეცნიერული შესწავლისათვის ჩვენ საქიროდ მიგვაჩნია შემოვიღოთ ოჯახის, როგორც წარმოებრივი ერთეულის და, როგორც ეკონომიკური ერთეულის დიფერენციული ცნებები და, მაშასადამე, ტერმინებიც.

ოჯახი, როგორც წარმოებრივი ერთეული, რომელიც თუნდაც მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებებისათვის ეწევა თავისი ყანის, ბალის დამუშავებას, ინახავს და ამრავლებს შინაურ ცხოველებს, პატრონობს საკუთარ კარმიდამოს, აწარმოებს ხელოსნურ, შინამრეწველურ ნაკეთობებს და სხვ., როგორც ჩანს, ქალაქად თითქმის სავსებით გაქრა, ხოლო სოფლად მრავალი ფორმამაგამოვლილი კვლავაც არსებობს.

ამავე დროს ოჯახი, როგორც მცირე სოციალური ჯგუფის დასაყრდენი (შემაკავშირებელი) ეკონომიკური ერთეული, თუნდაც რამდენადმე მაინც ერთიანი ბიუჯეტით, საერთო ბინით თუ სახლით, საბინაო მოწყობილობით და სხვადასხვა პირადი

საოჯახო საკუთრებით, ცოდნით, გამოცდილებით, ტრადიციით, საესეებით ბუნებრივი და ამდენადვე აუცილებელი ხასიათის ფენომენია. ამგვარად, ოჯახი როგორც წარმოებრივი ერთეული ოდითგანვე იმავდროულად არის ეკონომიკური ერთეული. მაგრამ ოჯახი ვითარცა ეკონომიკური ერთეული, მას შემდეგაც რაც ის ქრება (აორთქლდება) როგორც წარმოებრივი ერთეული, განაგრძობს არსებობას, ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას როგორც მცირე სოციალური ჯგუფი და მსახურებს როგორც საზოგადოებისა და, მაშასადამე, მოსახლეობის აღწარმოების ელემენტარული უჯრედი⁷⁰.

უძველეს დროში, მონოგამიური ოჯახის როგორც მცირე სოციალური ჯგუფის წარმოშობით, მოიხსნა სქესობრივ და ეკონომიკურ ურთიერთობათა შორის წარმოქმნილი (ეგზოგამიური ოჯახის დამახასიათებელი) შეუთავსებლობა. საზოგადოებრივი განვითარების მერმინდელ საფეხურზე ეს — მონოგამიური ოჯახი — იყო სხვადასხვა წარმომავლობის (გვარის) წყვილის სოციალურად ჰარმონიული შეერთების ერთადერთი შესაძლებელი რეალიზაცია, რისი მოხსნა (უარყოფა) ამ სფეროში მარტოოდენ ეკონომიკური ინტერესების მოხსნით შეიძლება⁷¹.

ოჯახის საკითხი, გარკვეული გაგებით, ქალის ემანსიპაციის საკითხიც არის. ქალის, დიასახლისის, დედის ოჯახური შრომა აურაცხელი, გაუზომავი და ღირებულებრივ გამოსახულებაში ძნელად წარმოსადგენი, ხოლო ზოგიერთი მხრივ ყოვლად წარმოუდგენელი ფასეულობაა. ამ ასპექტში ემანსიპაციის საკითხი უნდა გულისხმობდეს ქალის ამ უკიდვანო შრომის, ენერგიის ნამდვილად არარეგულირებადი ხარჯვის მაქსიმალურ შემსუბუქებას და მისი ოჯახის გარეთ სახალისო საზოგადოებრივ შრომაშიც დასაქმებას, მისი თავისუფალი დროის, მოცალეობის გადიდებას და, მაშასადამე, სულიერი კულტურის შემდგომ ამალვებას.

მომსახურების სფეროს ინდუსტრიის (საზოგადოებრივი კვებისა და სხვ.), კეთილმოწყობილი ბინათმშენებლობის, კომუნიკაციების და სხვ. უახლესი მიღწევები და პერსპექტივები უკვე ამ-

⁷⁰ ფრ. ენგელსი: „როცა წარმოების საშუალებანი საზოგადოებრივ საკუთრებაში გადავა ინდივიდუალური ოჯახი აღარ იქნება საზოგადოების მეურნეობრივი (წარმოებრივი — პ. გ.) ერთეული. კერძო ოჯახური მეურნეობა (წარმოება — პ. გ.) შრომის საზოგადოებრივ დარგად გადაიქცევა (ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 102. საერთოდ ქართული თარგმანები, ორიგინალთან აღექვანტურობის მიზნით, ჩვენს მიერ საზოგადოების შემთხვევაში დაზუსტებულია — პ. გ.).

⁷¹ შეად. Дж. Томсон, Первые философы, 1959.

ყამადაც იძლევიან ამ მიმართულებით შესაძლებელ დიდ გაუმჯობესებათა შესახებ წარმოდგენას.

მაინც ქალი, როგორც ქალი ყოველთვის დარჩება არა მხოლოდ როგორც მეუღლე და დედა, არამედ როგორც დიასახლისი, და არა მხოლოდ შვილების, არამედ საერთოდ სახლის დედა — როგორც ოჯახის სითბოს, სიტკბოების, მშვენიერების, მყუდროების, მეუღლის (ქმრის) ყოველდღიური სიმშვიდის, კმაყოფილების, იმედის, ჰუმანურობის და დავანების ღღენიადაგ განახლებადი წყარო. ამ უაღრესად აუცილებელი, უმაღლესი, უდიდესი და მარად ნათელი მოვალეობისაგან, რაც ქალს შრომის სქესობრივი დანაწილების ძალით თვით ბუნებამ და საზოგადოებამ დააყისრა, მისი ემანსიპაცია იმავდროულად ადამიანთა სულით და ხორციით ჯანსაღი მოდგმის აღწარმოების დეგრადაციის მომასწავებელი იქნებოდა.

თანამედროვე ოჯახის დასაყრდენია თანასწორუფლებიანი წყვილის კავშირი, ქორწინება. „ქორწინება რომ ოჯახის საფუძველი არ იყოს, მაშინ ის ისევე არ იქნებოდა კანონმდებლობის საგანი, როგორც, მაგალითად, მეგობრობა“⁷².

ქორწინების სოციალურ ხასიათში ქალი და ვაჟი ვლინდებიან როგორც პიროვნებანი, რომელთა ინდივიდუალურ სქესობრივ სიყვარულს, ცოლქმრულ ანუ მეუღლეობრივ ურთიერთდამოკიდებულებას და მშობლურ გრძნობას, როგორც პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მორალურ ფასეულობას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახის სიმტკიცის თვალსაზრისით.

სიყვარული ქორწინების მორალური სუბსტანციაა; ქორწინება — თავისუფლების მორალური ქმედებაა და ოჯახური ერთობლიობის დასამყარი⁷³.

ახლა აქ ორიოდ სიტყვით მაინც უნდა შევეხოთ განქორწინების პრობლემას.

გაყრის სიხშირე სხვადასხვა დემოგრაფიულ სიტუაციაში მრავალგვარი მიზეზით ამოიხსნება. სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად აქ როლს თამაშობს მეუღლეთა ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა, ბავშვთა რაოდენობა და სხვ. დიდმნიშვნელოვანია ქორწინების სამართლებრივი ნორმებიც. მაგალითად, აშშ სხვადასხვა შტატში ამ მხრივ განსხვავებული კანონებია. ნევადას შტატში ქორწინება და განსაკუთრებით გაყრა ფრიალ მარტი-

⁷² К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, стр. 162.

⁷³ შეად. Г. Гегель, Философия права, Соч., т. VII, стр. 191—

ვად ფორმდება. ამიტომაც ამ მიზნით ნევადაში ბევრი მიდის სხვა შტატებიდან. 1960 წ. მონაცემებით მოსახლეობის 1000 სულზე უდრიდა: ქორწინება — საერთოდ აშშ 8,5, ხოლო კერძოდ ნევადაში—208,1; განქორწინება: აშშ—2,2, ხოლო ნევადაში—27,6.

აღსანიშნავია, რომ ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობაში მე-20 საუკუნეში ქორწინებასთან შეფარდებით განქორწინება სულმატულობს. ასე, მაგალითად, 1000 ქორწინებაზე განქორწინება უდრიდა⁷⁴:

	1910 წ.	1930 წ.	1950 წ.	1960 წ.
აშშ	87,4	173,9	231,7	259,0
შვეიცარიაში	55,8	84,7	114,3	111,9
ინგლისა და უელსში	2,2	11,1	86,1	69,5
ბელგიაში	18,5	34,8	70,8	70,4
იტალიაში	—	42,1	96,1	131,4
საფრანგეთში	46,3	68,6	106,2	82,4
ნორვეგიაში	22,6	46,4	85,4	88,5

სსრკ 1000 ქორწინებაზე 1940 წელს მოდიოდა 200 განქორწინება, 1960 წ. — 100⁷⁵, ხოლო 1967 წ.—308⁷⁶—აქ რეგისტრირებული გაყრის შემდგომ გახშირებას ხელი შეუწყო 1965 წ. 10 დეკემბრის კანონმა იმით, რომ გაამარტივა (გაადვილა) გაყრის გაფორმების პროცედურა.

სსრ კავშირში მოსახლეობის 1000 სულზე უდრიდა⁷⁷:

წლები	ქორწინება	განქორწინება
1940	6,3	1,1
1950	11,6	0,4
1960	12,1	1,3
1966	8,9	2,8
1967	9,0	2,7
1968	8,9	2,7
1969	9,4	2,6
1970	9,7	2,6
1971	10,0	2,6

⁷⁴ W. Good, World Revolution and Family Patterns, 1965, N. Y.

⁷⁵ Г. Свердлов, Закон о разводе и статистика: «Советское государство и право», 1964, № 10, стр. 31.

⁷⁶ Е. Морева, Некоторые вопросы статистического анализа разводов (Вопросы демографии, 1970); «Вестник статистики», 1969, № 2, стр. 92.

⁷⁷ Народное хозяйство СССР 1922—1972. Юбил. стат. ежегодник, 1972, стр. 44.

ცალკე საბჭოთა რესპუბლიკების მიხედვით 1967 წელს მოსახლეობის 1000 სულზე განქორწინება (გაყრა) უდრიდა:

მთლიანად რესპუბლიკაში

დედაქალაქში

1967 წ.

1971 წ.

1967 წ.

რსფსრ	3,7	3,0	მოსკოვში	5,9
უკრაინაში	3,0	2,9	კიევში	5,4
ბელორუსიაში	1,8	2,0	მინსკში	3,4
უზბეკეთში	1,1	1,1	ტაშკენტში	3,8
ყაზახეთში	1,6	1,6	ალმა-ათაში	4,3
საქართველოში	1,0	1,0	თბილისში	2,3
აზერბაიჯანში	1,4	1,3	ბაქოში	3,5
ლიტვაში	1,8	2,2	ვილნიუსში	3,2
მოლდავეთში	2,2	2,1	კიშინიოვში	5,6
ლატვიაში	4,2	4,6	რიგაში	6,3
ყირგიზეთში	1,1	1,3	ფრუნზეში	3,3
ტაჯიკეთში	1,1	1,1	დუშანბეში	3,3
სომხეთში	1,0	0,9	ერევანში	2,2
თურქმენეთში	1,3	1,2	აშხაბადში	3,6
ესტონეთში	3,2	3,1	ტალინში	4,6

საკუთრად საქართველოში 1000 ქორწინებაზე მოდიოდა განქორწინება:

ცხრილი 6

წლები	ქორწინება	განქორწინება	1000 ქორწინებაზე განქორწინება
1950	31 378	427	13,60
1952	30 559	475	15,54
1954	34 119	628	18,41
1956	37 258	670	17,98
1958	42 233	1 183	28,01
1960	44 075	1 470	33,35
1962	40 384	1 910	47,30
1964	38 749	1 932	49,86

გაყრის გავრცელებულ მიზეზთა შორის საბჭოთა სოციოლოგები და იურისტები ასახელებენ „ხასიათით შეუგუებლობას“; იგი მოიცავს როგორც ფიზიკურ, აგრეთვე ფსიქოლოგიურ, სულიერ შეუთანხმებლობას, „მტკიცე სიყვარულის გრძნობის“ უქონლობას და სხვ. ოჯახის დაშლის ხშირი მიზეზია ლოთობა, რაც იწვევს მე-

უღლისა და შვილებისადმი მოვალეობის გრძნობის დაჩლუნგებას და საბოლოოდ გაქარვებას, უხეშობას, ოჯახის ფინანსური ბიუჯეტის დარღვევას, მეუღლეობრივ ორგულობას და სხვ. აქვე მოსახსენებელია ყმაწვილ საპატარძლოსა და საქმროს მიერ ურთიერთის არასაფუძვლიანი, ხანმოკლე ნაცნობობა; გაყრილთა 100 წყვილიდან 43,3% ერთმანეთს იცნობდა არაუმეტეს ნახევარი წლისა (1 თვეზე ნაკლები—7,5%; 1—2 თვე—11,7%; 3—4 თვე—12,5%; 5—6 თვე—11,6%). შემთხვევითი, ნაუცბათევი ქორწინების სიხშირის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ დიდი ქალაქების (მოსკოვის, ლენინგრადის, ვილნიუსის და სხვ.) ქორწინების სასახლიდან დაქორწინებულთა 10%-ზე მეტს ქორწინების მოწმობა არცეი მიაქვს. მაინც ყველაზე ხშირია უშვილო და ერთშვილიან წყვილთა განქორწინება.

სსრ კავშირში 1967 წ. აღრიცხული იყო 646 300 განქორწინება. იმავე 1967 წელს ხელმეორედ იქორწინა 353.700 ვაჟმა და 312.900 ქალმა.

განხილული მასალა მოწმობს, რომ სსრკ ჯერ კიდევ დადგინების პროცესშია მიმდინარე უდიდესი კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობის შესაბამისი ახალი ოჯახური ურთიერთობა. „საბჭოთა ოჯახი იმყოფება მონოგამიის უფრო მაღალ ეტაპზე გარდამავალ სტადიაში“⁷⁸.

სსრკ გაყრის ფაქტორთა შორის, როგორიც არიან ეკონომიკური, ფსიქო-ფიზიოლოგიური, მორალური და სხვ. მოვლენები, ცხადია, მოქმედებს აგრეთვე ურბანიზაცია, მოსახლეობის მობილურობის გაძლიერება, — რაც ნათლად ჩანს ზემოთმოყვანილი მონაცემებიდან, სახელდობრ, საერთოდ რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის შესაბამისი მაჩვენებლებიდან. ცხადია, ოჯახურ ურთიერთობაზე, კერძოდ გაყრაზე კიდევ ახდენს გავლენას ომის შედეგები, განსაკუთრებით იმით რომ მან ფრიად გააძლიერა მოსახლეობის სქესობრივი დისპროპორცია. თუ ომამდე, 1940 წ., სსრკ ქალები 7 მილიონით აღემატებოდნენ, ომის შემდეგ ისინი 20 მილიონით აღემატებოდნენ ვაჟების საერთო რიცხოვნობას. მაგრამ ოჯახურ სიმტკიცეზე უარყოფითად მოქმედებს კერძოდ არათანაბარი სოციალური დატვირთვა, რაც ოჯახსა და საზოგადოებაში ეკისრება ცოლსა და ქმარს. ვაჟის საერთო სამუშაო კვირა შეადგენს საშუალოდ 50 საათს, ქალისა კი — 80 საათს. ქალი უფრო დატვირ-

⁷⁸ Н. Соловьев, Развод как предмет социологического исследования, 1970, стр. 100.

თულია, მეტად ილღება და სხვ. რაც გრძნობათა ბუნებრივი პარ-
მონიის დარღვევისა და კონფლიქტის მიზეზი ხდება⁷⁹.

ოჯახის პრობლემა სქესობრივი, ცოლქმრული, სიყვარულისა
და, მაშასადამე, პოპულაციის განუყრელი ნაწილია. სწორედ ამი-
ტომ შევხებით ჩვენ ახალი ოჯახის ჩამოყალიბების საკითხს⁸⁰.

საბჭოთა წყობილების, სოციალისტურ ურთიერთობათა დად-
გინების პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კანონ-
მდებლობა, მორალური და ყოფიერებითი ვითარება, რომელთა
საფუძველზედაც უნდა დაწყებულიყო ახალი ოჯახის მშენებლობა,
უმთავრესად კაპიტალისტური და ადრინდელი წარმოების წესების
პირობებში ჩამოყალიბებული ოჯახური სისტემების მოსპობასა და
უარყოფის ღონისძიებათა სახით ვლინდებოდა ყოველდღიურ ცხოვ-
რებაში.

მაგრამ როგორი უნდა იყოს ახალი სქესობრივი ურთიერთო-
ბა, ახალი ოჯახის ფორმები და ნორმები?

როგორც ფრ. ენ გ ე ლ ს ი წერს: ეს გადაწყდება მაშინ, რო-
დესაც მოვლენ ახალი „თაობა ვაჟებისა, რომელთაც არასოდეს
თავიანთ ცხოვრებაში არ მოუხდებათ ფულით ან სხვა რაიმე სო-

⁷⁹ А. Харчев, В. Голофаст, Некоторые методические пробле-
мы сравнительных исследований социологии семьи, 1970.

⁸⁰ აღსანიშნავია, რომ პ ლ ა ტ ო ნ ი თავის იდეალურ სახელმწიფოში, სახელ-
დობრ „კანონებში“, რაც პლატონის სოციალური ფილოსოფიის აბსოლუტისტურ
გვირგვინს წარმოადგენს, მრავალმხრივ განსაზღვრავს ქორწინებისა და ოჯახის
ვითარებას.

საზოგადოება ხელს უნდა უწყობდეს მოწიფული, ყმაწვილი გოგოსა და ბიჭის
დაახლოებას, ურთიერთგაცნობას. „ამ დიდმნიშვნელოვანი მიზნისათვის საჭიროა
დაწესდეს ჭაბუკებისა და ასულთა საფერხელო (საგუნდო) თამაშობანი, სადაც მათ
ექნებათ გონივრული და მათი ასაკის შესაფერისი საბაზი ერთმანეთი ნახონ — თვი-
თეულის მოკრძალებული კდემამოსილებით დასაშვებ ფარგლებში გაშიშვლებულ-
ნი... ოცდახუთი წლის ასაკს მიღწეული ვაჟი ნახავს საპატარძლოებს და ესენიც მას
ნახავენ; დეე მან სურვილისამებრ აირჩიოს ქალი და დარწმუნდეს, რომ იგი შესაფე-
რისია შეილთა შობისა და მასთნ ერთად მათი გაზრდისათვის, და მაშინ დეე შეირ-
თოს — არა უგვიანეს ოცდათხუთმეტი წლისა... ყოველი ადამიანის ქორწინება სა-
სარგებლო უნდა იყოს სახელმწიფოსათვის და არა მხოლოდ ძლიერ სასიამოვნო
თვითონ მისთვის... ადამიანი უნდა მიყვეს თავის მარადშემომქმედ ბუნებას; ამიტო-
მაც ის უნდა სტოვებდეს თავის შემდეგ შეილებს და თავისი შეილების შეილებს...“

პლატონს ქორწინება მიაჩნია დიდმნიშვნელოვან ცვლელად საქმროსა და
საპატარძლოს ცხოვრებაში. ის გმობს მზოთეოთ, სიმდიდრით, გატაცებას; ხოლო
ქორწილი უნდა იყოს ზომიერი, — თვითუღმა უნდა დაპატოეს არა უმეტეს ხუთი
ქაცისა, — ოჯახის წევრის ან ნათესავისა თუ მეგობრის სახით. სიმთვრალე შეუფე-
რებელია გონიერ ადამიანთათვის, რომელთაც უნდა წარმოშვან შთამომავლობა და
სხვ. (П л а т о н , Сочинения, т. 3, ч. 2, 1972, стр. 248—253).

ციალური ძალის საშუალებით ქალის ყიდვა, და თაობა ქალებისა, რომელთაც არასოდეს არ მოუხდებათ ვაჟს დანებდნენ სხვა რაიმე მოსაზრებით, გარდა ნამდვილი სიყვარულით ნაკარნახევი მოსაზრებისა, ანდა საყვარელ ადამიანს უარი უთხრან წაყოლაზე რაიმე ეკონომიკური შედეგების შიშით. როცა ეს ადამიანები მოვლენ... მათ თვითონ ეცოდინებათ, როგორ მოიქცნენ და ამის შესაბამისად თვითონვე შეიმუშავებენ თავიანთ საზოგადოებრივ აზრს ცალკე ყოველი მათგანის მოქმედებაზე⁸¹.

ანალოგიურია კ. მარქსის აზრი. „ვაჟსა და ქალს შორის კერძო ურთიერთობაში ჩვენ მხოლოდ იმდენად ჩავერევით, რამდენადაც ისინი დაარღვევენ“ ახალი საზოგადოებრივი წყობილების ნორმებს; ასევე ის დებულებაც რასაც ფ. ენგელსი აყალიბებს „კომუნიზმის პრინციპებში“: „სქესობრივი ურთიერთობა გადაიქცევა კერძო საქმედ, რაც მხოლოდ დაინტერესებულ პირთ შეეხება და რაშიც საზოგადოებას არ შეუძლია ჩაერიოს“⁸². ამავე აზრებს ანვითარებდა ა. ბებელიც: „...თუ როგორ ვკამ, როგორ ვსვამ, როგორ მძინავს და როგორ ვიცვამ — ჩემი პირადი საქმეა, სწორედ ისევე, როგორაც ჩემი ურთიერთობა სხვა სქესის პიროვნებასთან“⁸³.

ცამდე მართალი იყო ფ. ენგელსი, როდესაც აცხადებდა, რომ „სქესობრივი სიყვარული თავისი ბუნებით განსაკუთრებულია“ და რომ „სქესობრივ საფუძველზე დამყარებული ქორწინება თავისი ბუნებით ერთცოლიანობაა“.

ამასთანავე „თუ ზნეობრივია მხოლოდ ის ქორწინება, რომელიც სიყვარულზეა დაფუძნებული, მაშინ ასევე ზნეობრივი რჩება მხოლოდ ის ცოლქმრობა, რომელშიც სიყვარული გრძელდება“⁸⁴.

რა თქმა უნდა, ქალის ემანსიპაციის მარქსისტული გაგება არ გულისხმობს ლიკვიდაციას ოჯახისა, რომელიც თვით საზოგადოებრივი მატერიალური ცხოვრების, მისი იდეალების განვითარების კვალდაკვალ განვითარდება, მაშასადამე, თანდათანობით დაიწმინდება ძველი, დრომოქმული ყოფიერებითი ნორმებისა და ფორმებისაგან და დარჩება პოპულაციის, ადამიანის მიერ ადამიანის წარმოების და, ამგვარად, ხალხთმოსახლეობის აღწარმოების მარადიულ ფაქტორად.

⁸¹ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1933, გვ. 112.

⁸² ვრცლად იხ. Маркс и Энгельс, О семье и браке — «Летопись марксизма», 1927, III.

⁸³ ა. ბებელი, დედაკაცი და სოციალიზმი, 1912, ბათუმი. გვ. 648.

⁸⁴ ფ. ენგელსი, ოჯახის... წარმოშობა, გვ. 111.

VII.

ფერტილობა. გამრავლების პირობები და ტემპები

1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობაში საგრძნობლად დაეცა ფერტილობის დონე და, მაშასადამე, მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპები. 1955—1963 წწ. პერიოდში ქალთა ფერტილობის საერთო კოეფიციენტი შემცირდა: აშშ — 9,4%, კანადაში — 9,9%, ფინეთში — 12,1%, შვედეთს, დანიასა და ჰოლანდიაში — 0,6 — 2,4% ფარგლებში. იგივე მაჩვენებლები უდრიდა: ბულგარეთში — 14,9%; იუგოსლავიაში — 17,6%; ჩეხოსლოვაკიაში — 19,9; პოლონეთში⁸⁵ — 26,9%; რუმინეთში — 33,7%; უნგრეთში — 35,7%⁸⁶.

ქალთა ფერტილობის დონე ამჟამად, როგორც ჩანს, მსოფლიოში ყველაზე დაბალია რუმინეთსა და განსაკუთრებით უნგრეთში. უნგრეთის მთავრობა კარგა ხანია, რაც ატარებს აქტიურ პოპულაციონისტურ პოლიტიკას. აქ დაწესებულია ხუთთვიანი სადეგრეტო შვებულება. შვილიანი ოჯახები, როგორც ითქვა, სარგებლობენ მნიშვნელოვანი შეღავათებით.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცკ მდივანი არბად ულლაი წერს (1971.XI), რომ მთავრობა „განსაკუთრებულ

⁸⁵ პოლონეთმა მეორე მსოფლიო ომში მოსახლეობის დიდი დანაკლისი განიცადა. ამასთანავე ძლიერ დაირღვა აქამდე არსებული სქესობრივი თანაფარდობა და 1970 წელსაც კი 100 ვაჟზე 106 ქალი მოდიოდა. ეს დისპროპორცია უახლესი დემოგრაფიული პროგნოზების თანახმად, ამჟამად მიმდინარე დეფემინიზაციის პირობებში კიდევ დიდხანს გაგრძელდება. 1980 წელს ფემინიზაციის კოეფიციენტი იქნება 103, 1990 წ. — 102, ხოლო 2000 წელს 101 რა, ამგვარად, აღდგება სქესობრივი წონასწორობა. („Вестник статистики“, 1972, № 1, стр. 73).

⁸⁶ К. Дзенье и Э. Быковская, Изменения уровня плодотворности женщин в Польше и 16 странах Европы и Северной Америки. 1969, стр. 82—83; С. Новаковский, Процессы урбанизации в послевоенной Польше. Сб. Социологическая мысль. ПНР, 1968, стр. 106—124.

ყოფილებას აქცევს დედისა და ბავშვის დაცვას. შექმნილია სა-
შობიარო სახლების ქსელი, სადაც სამედიცინო მომსახურება უსა-
ფასურაოა“ და სხვ.

უნგრეთში პოპულაციის არსებული ვითარება (1000 სულზე
შობადობის კოეფიციენტი = 13) თუ გაგრძელდა სულ უფრო შეი-
ვეცება მწარმოებლური ასაკის თაობის აღწარმოება და დემოგრა-
ფიკი ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში
სულ უფრო გაიზრდება ხვედრიწონა ხანდაზმულებისა, რომელთა
შენახვის ხარჯები სულ უფრო მძიმედ დააწევება მწარმოებლური
ასაკის თაობებს და, ამგვარად, ხანდაზმულ და მოხუცებულ თაო-
ბათა რიცხოვნობრივი სიჭარბე, ადრე თუ გვიან, ნაციონალური ორგა-
ნიზმის დამშლელ ფაქტორად იქცევა და დეპოპულაციის საშიშროე-
ბა წარმოიშობაო⁸⁷.

მაინც, პროფ. დიერდ ვუკოვიჩი ვარაუდობს, რომ ეს
არ ნიშნავს მომავალ დემოგრაფიულ კატასტროფას, რამდენადაც
შობადობისა და მოკვდაობის არსებული შეფარდება შეიძლება
დიდხანს არ გაგრძელდეს⁸⁸. და სინამდვილეშიც ეს ასე ხდება.

მოსახლეობის თვით მარტივი აღწარმოებისათვის, ე. ი. არსე-
ბული რიცხოვნობის შენარჩუნებისათვის ყოველ ცოლქმარს უნდა
ჰყავდეს ორზე მეტი შვილი. საქმე ისაა, რომ არა ყველა დაბადე-
ბული აღწევს რომ, თავის მხრივ, მონაწილეობა მიიღოს მოსახლე-
ობის აღწარმოებაში; მათი ნაწილი ადრე იხოცება, ვერ აღწევს
შვილთა შობის ასაკს, ხოლო ნაწილი კიდევ სტერილობისა და სხვ.
მიზეზთა გამო ვერ აჩენს შვილებს.

საერთოდ ერის დეპოპულაციის შესახებ მსჯელობა დიდ სიფრ-
თხილეს მოითხოვს. ერთ დროს ზოგიერთი დემოგრაფი წინასწარ-
მეტყველებდა, მაგალითად, საფრანგეთის დეპოპულაციას, რაც
როგორც დღეს ვხედავთ, არ გამართლდა.

1972 წ. აპრილს მოსკოვში შედგა ოჯახის კვლევის XII საერთაშორისო
სემინარი.

ოჯახის სოციოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ეს სემინარი აგრძელე-
ბდა ტრადიციას, რასაც საწყისი დაედვა 1954 წელს, როდესაც. I. კელნში შედგა
პირველი სემინარი თემაზე: ოჯახი ცვალებად საზოგადოებაში. შემდეგ მას
შოჰყვა სემინარები: II. 1955 წ. საფრანგეთის ქ. სევრში, თემაზე — ოჯახი და
ბავშვის განვითარება; III. 1956 წ. ქ. ჰამერშტაინში (გფრ) — ოჯახი და მისი
სოციალური წრე; IV. 1957 წ. ნიდერლანდებში — ოჯახი და სოციალური მო-
ბილურობა; V. 1958 წ. ქ. მადრიდს — ოჯახი და ახალგაზრდობა; VI. 1961 წ.

⁸⁷ Население и Экономика, 1970, М.

⁸⁸ Д. В у к о в и ч, Некоторые проблемы анализа воспроизводства на-
селения, 1970.

იუგოსლავიაში — ოჯახი და ურბანიზაცია; VII. 1962 წ. ვაშინგტონში — მეუღლის როლიდან გადასვლა მშობლისაში; VIII. 1963 წ. ოსლოში — დაქორწინების გადაწყვეტა; IX. 1963 წ. ტოკიოში — 1. ოჯახი და ნათესაობა; 2. ბავშვთა ყოფაქცევა სხვადასხვა ტიპის ოჯახებში; X. 1968. თეირანში — ოჯახი და სოციალური ცვლილებები და XI. 1970 წ. ლონდონში — ოჯახი და შრომა-ამათგან საბჭოთა სოციოლოგებმა მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ 1963 და 1965 წწ. შემდგარ სემინარებში. რიგით XII მოსკოვის სემინარის თემა, — ქალების მდგომარეობის შეცვლა საზოგადოებაში და ოჯახი, — შერჩეული იყო სოციოლოგთა VII კონგრესის მუშაობის დასასრულს ქ. ვარნაში (ბულგარეთი) საბჭოთა სოციოლოგების წინადადებით.

ამ სემინარების (ორგანიზატორების) თავმჯდომარეები იყვნენ გამოჩენილი სოციოლოგები, დემოგრაფები, ეკონომისტები, თანმიმდევრობით: რ. კიონიგი, ე. ბარჯესი, პ. შომბარ დე ლოვი (1954—7), ლ. როზენმაიერი, გ. ბაუმერტი, ჯ. მოგი, ე. გრანსეტი, ტ. კოიამა, ი. ვეხნამი, რ. რაბოპორტი, ა. ხარჩევი.

უნდა ითქვას, რომ მოსკოვური სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 150 კაცმა — ევროპის, აზიისა და ამერიკის 20 ქვეყნიდან და იგი, ამ მხრივ, აღემატებოდა ყველა წინანდელს. მომავალი შეხვედრა გათვალისწინებულია 1973 წ. პარიზსა და, ცხ.დია, აგრეთვე 1974 წ. ტორონტოში (კანადაში) — სოციოლოგთა VIII მსოფლიო კონგრესზე.

მრავალ ბურჟუაზიულ და განვითარებად ქვეყანაში არსებობს ოჯახის სოციოლოგიის სპეციალური სამეცნიერო ცენტრები, იბეჭდება სათანადო წიგნები, ხოლო ზოგან გამოიქვეყნა სპეციალური პერიოდული ორგანო, რომელთაც არც თუ ისე იშვიათად ანტისოვეტიზმის მქადაგებელნი იყენებენ თავიანთ მისწრაფებათა პროპაგანდისათვის, კერძოდ ე. წ. მესამე მსოფლიოს სოციოლოგიური კადრებისადმი „იდეოლოგიური პატრონაჟის“ იარაღად, რამდენადაც ოჯახის პრობლემა ყოველთვის წარმოადგენს მოსახლეობის ფართო მასების ყურადღების საგანს.

მოსკოვური სემინარის მასალებიდან ჩანს, რომ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებებში, ოჯახი, წინააღმდეგ რიგი თეორეტიკოსის მტკიცებისა, არ წარმოადგენს ნათესავთაგან იზოლირებულ ნუკლეარულ სოციალურ ჯგუფს: დედამამაშვილები. სპეციალისტების მიერ უკანასკნელ წლებში ჩატარებული ოჯახისა და ნათესაობის მრავალი ათეული გამოკვლევა მოწმობს, რომ „თანამედროვე ოჯახი საკმაოდ ინტენსიურ ურთიერთობაშია ნათესაობასთან, ძველ“ ოჯახთან და რომ კავშირები მამების თაობასა და მოწიფულ შვილთა შორის არც თუ ისე სუსტია“, — როგორც აცხადებს ამერიკელი პროფ. რ. პილი (საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სულ უკანასკნელ წლებში, ამავე საერთაშორისო სემინარზე წარმოდგენილ პროფ. ოლივერა ბულიჩის (იუგოსლავია) მონაცემების მიხედვით ამ სფეროში ისახება ახალი მოულოდნელი ტენდენციები. სახელდობრ, მრავლდება „ადრეულ ქორწინებათა რაოდენ ბა და იზრდება შობადობა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, ისახება „ატომური საუკუნის“ ოჯახის ცხოვრებისადმი ნათესაობის გავლენის მოულოდნელი გამოცოცხლება და ახალგაზრდობის მხრივ თავისი ოჯახისადმი მიდრეკილების ახალი ძლიერი ტალღა“.

გასაგებია, ეს ტენდენციები, თუ ისინი საყოველთაო, მტკიცე და რამდენადმე მაინც ხანგრძლივი აღმოჩნდა, შესამჩნევ გავლენას მოახდენს იმ შეხედულებ-

ბებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია აქამდე ცნობილი დემოგრაფიული მონაცემების შესახებ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ მოსკოვურ სემინარზე ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგის გამოსვლაში თავი იჩინა მოძველებულმა, ჯერ კიდევ 1930-იან წლებში წამოყენებულმა ანტისაბჭოთა შეხედულებამ, რომ, თითქოს, „კომუნეზმი ოჯახის მტერია“, რომ, თითქოს, საბჭოთა ქვეყანაში ოჯახური კავშირები ირღვევა და სხვ. ამასთანავე ბურჟუაზიული სოციოლოგები აქაც შეეცადნენ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის „კონვერგენციის“ მტყუებას.

ე. დიმონი (ბელგია), დ. ჩეკი (კანადა), ტ. კოიმა (იაპონია), მ. სასმანი (აშშ) ქალთა პროფესიული დასაქმებულობის ზრდისა და სხვ. შესახებ ზერელედ შესწავლილი და არასრული მასალის საფუძველზე ცდილობდნენ ემტაცებინათ კონვერგენციის სინამდვილე. მარქსისტმა სოციოლოგებმა (ო. ბურიჩა, ჯ. იაკოვამ, ბ. სონენმა) ნათლად უჩვენეს, რომ გარეგნულად ანალოგიურ მოვლენებს კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებებში ახასიათებს პრაქტიკული ხასიათის სოციალური განსხვავებულობანი და ამდენადვე „კონვერგენციის თეორია“ მოკლებულია ყოველგვარ რეალურ საფუძველს და მართლაც ანტისოვეტიზმისა და ანტიკომუნეზმის პროპაგანდის ინტერესებისათვისა გამოგონილი.

სოციალისტურ საზოგადოებაში ოჯახი თავის ეკონომიკურ თუ ყოფიერებით ფუნქციებს ახორციელებს თვისობრივად განსხვავებულ სოციალურ სისტემაში და ამდენადვე ის შინაარსობრივად განსხვავდება ბურჟუაზიულისაგან. სოციალისტური ოჯახისათვის ძირითადია არა კერძო საკუთრების თანამომდევნობითი შენარჩუნების უზრუნველყოფა, არამედ მეუღლეთა თანაცხოვრება და ბავშვების სოციალიზაციის ოპტიმალური პირობები, ე. ი. თვით ქორწინების (წყვილის სქესობრივი კავშირის) ბუნებიდან გამომდინარე სოციალური ფუნქცია.

უკანასკნელ წლებში შობადობა და, მაშასადამე, მოსახლეობის ბუნებრივი მატება შესამჩნევად დაეცა საერთოდ სსრ კავშირში. ასე, მაგალითად, მოსახლეობის 1000 სულზე ეს მატება უდრიდა: 1926 წ.—23,7; 1938 წ.—20,0; 1956 წ.—17,6; 1961 წ.—16,6; 1962 წ.—14,9; 1963 წ.—13,9; 1964 წ.—12—6; 1965 წ.—11,1; 1966 წ.—10,9; 1967 წ.—9,7; 1968 წ.—9,5; 1969 წ.—8,9; ხოლო 1970 წ.—9,2.

ეს პროცესი, სხვა ასპექტში, იმ მხრივ აისახა, რომ შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 1000 ქალზე დაეცა შობადობის რიცხვი, რაც უდრიდა: (ცხრილი 7, იხ. გვ. 83).

ახლა პოპულაციის ამავე პროცესს თუ სსრ კავშირის ცალკე რესპუბლიკების მიხედვით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ბუნებრივი მატება მოსახლეობის 1000 სულზე უდრიდა (ცხრილი 8, იხ. გვ. 83).

წარმოდგენილი დემოგრაფიული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ შესამჩნევად დაეცა მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი, კერ-

ძოდ რსფსრ, სადაც მოსახლეობის 1000 სულზე იგი უდრიდა 1960 წ.—15,8, ხოლო 1970 წ. კი მხოლოდ—5,9. ანალოგიურია საბჭოთა უკრაინისა და ბელორუსიის მოსახლეობის მატების ტემპები.

მაგრამ, ამ მხრივ, ე. ი. მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპის შენელების თვალსაზრისით, ბევრად უფრო სერიოზულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, სახელდობრ ლატვიასა და ესტონეთში.

ცხრილი 7

წლები	1938—39 წწ.	1958—59 წწ.	1960—61 წწ.	1969—70 წწ.
20 წლამდელთა ჯგუფი	32,8	29,2	35,2	30,4
20—24 წწ.	214,4	162,2	164,8	163,9
25—29 წწ.	230,6	164,8	160,7	128,7
30—34 წწ.	183,5	110,1	110,0	88,1
35—39 წწ.	131,7	66,6	60,7	48,5
40—44 წწ.	68,1	24,1	23,5	15,3
45—49 წწ.	19,0	5,0	4,8	2,9
45—49 წწ.	139,5	88,7	90,6	65,7

ამ უკანასკნელში 1940 წ. მოსახლეობის ბუნებრივი მატება უდრიდა მინუს 0,9, ე. ი. შეიმჩნეოდა მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება. თუმცა შემდგომ წლებში, როგორც მოტანილი ციფრები მეტყველებენ, მოსახლეობის ბუნებრივი მატების მრუდი, შედარე-

ცხრილი 8

რესპუბლიკები	1940 წ.	1950 წ.	1960 წ.	1969 წ.	1970 წ.
სსრ კავშირი	13,2	17,0	17,0	8,9	9,2
რსფსრ	12,4	16,8	15,8	5,7	5,9
უკრაინის სსრ	13,0	14,3	13,6	6,1	6,3
ბელორუსიის სსრ	13,7	17,5	17,8	8,5	8,6
უზბეკეთის სსრ	20,4	22,1	33,9	26,8	28,0
ტაჯიკეთის სსრ	16,5	22,2	28,4	28,6	28,3
საქართველოს სსრ	18,6	15,9	18,2	11,2	11,9
აზერბაიჯანის სსრ	14,7	21,6	35,9	22,3	22,5
ლატვიის სსრ	3,6	9,6	6,7	2,9	3,3
სომხეთის სსრ	27,4	23,6	33,3	17,6	17,0
ესტონეთის სსრ	0,9	4,0	6,1	4,2	4,7

ბით, მაღლა მიიწევს. ლატვიაში ბუნებრივმა მატებამ 1969 წ. შეადგინა მხოლოდ 2,9, ხოლო 1970 წ. 3,3 მიაღწია, რაც მცირედენ ჩამორჩება 1940 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი ტემპები შეინარჩუნეს უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენ-

თის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებმა, ამ დემოგრაფიული პროცესის ახსნის ცდა ჩვენ ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ.

ზემოთქმულთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში სსრ კავშირში შობადობის ინტენსივობა ეცემა. ამასთანავე არსებობს დიდი განსხვავებულობანი სხვადასხვა რაიონებს შორის. შუააზიის რესპუბლიკებში შობადობის საერთო კოეფიციენტი თითქმის 2,5-ჯერ უფრო მაღალია ვინემ ბალტიისპირა რესპუბლიკებში. აქ, მაგალითად, ლატვიის სსრ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის შობადობის დონე ყველაზე დაბალია და უმნიშვნელოდ აღემატება მოკვდაობის დონეს. ამის გამო მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა საკმაოდ ვერ უზრუნველყოფს შეესებას შრომითი რესურსებისა, რომლის ბალანსი ფრიალ დაქიმულია და დიდი რაოდენობით იზიდავს მიგრანტებს სხვა რესპუბლიკებიდან.

ლატვიის სსრ მოსახლეობის მატების ტემპის დაცემის მიზნების შესწავლის მიზნით 1966—1967 წწ. სსრკ ცსს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლატვიის განყოფილების და ლატვიის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარდა სპეციალური გამოკვლევა. გამოკითხვის ფურცელი შეიცავდა 50-ზე მეტ კითხვას, რაც გულისხმობდა ცნობათა მოპოვებას, როგორც მთლიანად ოჯახის, სახელდობრ 1959 წელს ქორწინებით შექმნილი ოჯახის (წევრთა შედგენილობა, რიცხვი, საბინაო პირობები, შემოსავალი), ასევე ცალკე მეუღლეთა (ასაკი, დასაქმებულობა, მუშაობის ადგილი, ეროვნება, განათლება და სხვ.) და თვით ოჯახური ცხოვრების ინტიმური მხარეების შესახებ. გამოკითხული იყო მთელი რესპუბლიკის ხსენებული კონტინგენტის (23 ათასი ქალის) 60%-ზე მეტი. ამასთანავე ცალკე ვრცელი გამოკვლევა ჩატარდა ბავშვთა გაჩენის შემზღუდველი მიზეზებისა და მოტივების თაობაზე.

ამ მასალათა შესწავლამ უჩვენა, რომ 1959 წლიდან, ე. ი. ფაქტიური ქორწინების 8 წლის შემდეგ, ქალთა 15% საერთოდ არ ყოლია შეილი, 48%—ყავდა 1 ბავშვი, 32%—2 და მხოლოდ 5% ყავდა სამი და მეტი—მოცემულ ქორწინებაში. იმის მეოხებით რომ გამოკითხვა მოეწყო ანამნესტიკური მეთოდით, ე. ი. ის შეეხო გასული პერიოდის ფაქტებსაც, დადგინდა, რომ წინა თაობის ცოლქმარს, ე. ი. გამოკითხულთა მშობლებს ყავდათ 3—4 შვილი, მაშინ როდესაც თვით გამოკითხულთათვის ტიპიურია 1—2 შვილი. მართალია, ეს მონაცემები შეუდარებადია, რამდენადაც აქ დაპირისპირებულია ცნობები ფერტილობა-დამთავრებულ და -დაუმთავრებელ ქალთა კოჰორტების შესახებ, მაგრამ ისიც შეიძლება ვივარაუ-

დოთ, რომ ამ უკანასკნელთაგან ბოლომდე მოსალოდნელ ბავშვთა რაოდენობა არსებულის დაახლოებით 20% არ გადააჭარბებს.

მონაცემთა ანალიზმა უჩვენა, რომ ფერტილობა მრავალმხრივ დამოკიდებულებაშია ცოლქმრის დასაქმებულობასა და პროფესიის ხასიათისაგან. ინდუსტრიულ წარმოებაში დასაქმებულ ქალებს ნაკლები ყავთ შვილები, ასევე — გონებრივი შრომის ადამიანებს; — სოფლებში კოლმეურნეთა შორის უფრო მეტია მრავალშვილიანები. უმაღლესი განათლების მქონე გათხოვილ ქალზე საშუალოდ მოდის 1,23 ბავშვი, საშუალო განათლებისაზე — 1,29, უფრო დაბალი განათლების მქონეზე — 1,54. ამგვარად, რაც მაღალია განათლების დონე, მით უფრო დაბალია შვილიერება. წრფივი კორელაციის კოეფიციენტი ოჯახის ერთ წევრზე შემოსავალსა (მოხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან მიღებულის ჩათვლით) და ბავშვთა რიცხვს შორის უარყოფითი იყო და შეადგენდა ქალაქად — 0,53, ხოლო სოფლად — 0,44. მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილ ოჯახთა საერთო შემოსავალი მატულობდა, მისი სიდიდე ოჯახის ერთ წევრზე, ბავშვთა გაჩენის შესაბამისად კლებულობდა.

დადგინდა, რომ ინფერტილობა დიდი ზომითაა დამოკიდებული მეუღლეთა ასაკსა, შრომის ხასიათსა, ჯანმრთელობასა და სხვ. ფაქტორებზე; — რომ ქალის გენერაციული ფუნქცია უფრო სრულად ვლინდება 18 — 25 წლის ასაკში; — მეუღლეთა უმრავლესობა შეგნებულად გეგმავს გასაჩენ ბავშვთა რაოდენობას; — ქმრები უფრო არიან მოწადინებული იყოლიონ მეტი შვილი, ვინემ ცოლები, რაც ანალოგიურია სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისათვისაც («Вестник статистики», 1971, № 6). გამოკითხულ ქალთათვის საშუალო სასურველი რიცხვი ბავშვებისა უდრის 1,78, ხოლო საშუალო იდეალური — 2,12. ქალთა 16% შვილიერების შემზღუდველ ფაქტორად ასახელებდა საკუთარ და ქმრის ასაკს, 13% — ბავშვის აღზრდა-პატრონობის სიძნელეს, 12% — ბინის სივიწროეს, 10% — მატერიალურ სიძნელეს, 9% — ჯანმრთელობის სისუსტეს. მესამე ბავშვის გაჩენის კატეგორიულად წინააღმდეგ გამოვიდა ქალთა 61%, ხოლო იმ ქალებმა რომელთაც სურდათ მესამე შვილი — ამის უპირველეს პირობად დაასახელეს საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესება (ქალაქად) და ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება (სოფლად).

სტატისტიკა მეტყველებს, რომ ლატვიაშიც მატულობს განქორწინების სიხშირე, რაც მოსახლეობის 1000 სულზე უდრდა 1940 წ.—1,1; 1960 წ.—2,4; ხოლო 1971 წ.—4,6. განქორწინებათა მიზეზების თაობაზე ჩატარებულმა ანკეტურმა გამოკითხვამ უჩვენა:

განქორწინებულთა ერთმესამედს სრულიად არ ყავდა შვილი, ხოლო საერთოდ შვილთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 0,9; გაყარილთა შორის ცოტაა ისეთები, რომლებიც ერთმანეთს იცნობდნენ მუშაობის ადგილიდან ან სკოლიდან, ანდა ბავშვობიდანვე. მათი ორი მესამედი ერთმანეთს გაეცნო დასვენების ადგილზე ანდა მეგობართა მეშვეობით. გაყრის მოტივთა შორის აღსანიშნავია ალკოჰოლიზმი, ლალატი, უხეშობა, ექვიანობა, „სპეციფიკური უარყოფითი თვისება“. სასამართლო ორგანოებისა და მმაჩის მუშაობა აზრით განქორწინების მიზეზთა შორის მატერიალური, ბიოლოგიური და მედიკური ხასიათის მიზეზები უფრო ნაკლებია, ვინემ ფსიქოლოგიური. გამოკითხვის მონაცემებით მორალური პოზიციებიდან ქალები უფრო მეტ მომთხოვნელობას იჩენენ ოჯახისადმი ვინემ ვაჟები. ქალები უფრო ხშირად გამოდიან გაყრის ინიციატორებად, გაყრისათვის უფრო დამნაშავენი არიან ვაჟები (56%), ამასთან მათ უფრო ხშირად არ სურთ გაყრა.

საერთოდ ლატვიაში ჩატარებულმა გამოკვლევამ დიდი მასალა შექმნა მოსახლეობის ობტიმალური აღწარმოების პროცესების მეცნიერული შესწავლისა და ოჯახური კავშირების განმტკიცების ღონისძიებათა დასახვისათვის⁸⁹.

საერთოდ სსრ კავშირში შობადობის შემცირების მიმდინარე და მომავალი შედეგების თვალსაზრისით საჭიროა ვიცოდეთ, რომ 1959 წ. შრომაუნარიანი ასაკის მოსახლეობა შეადგენდა სსრკ მთელი მოსახლეობის 57,4%, ხოლო 1970 წ. — 54,0% და რომ მოსახლეობის საერთო ნამატში მათი ხვედრიწონა 1939—1970 წწ. უდრიდა 55,3%, ხოლო 1959—1970 წწ. — 32,4%. ამასთანავე 1939 წ. 60 წლისაზე უფროსი ვაჟებისა და 55 წ. უფროსი ქალების ხვედრიწონა სსრკ მთელ მოსახლეობაში შეადგენდა მხოლოდ 8,7%, ხოლო 1970 წ. კი მან მიაღწია 15,1% და შესაბამისად ამისა 16 წლამდეღათა (ე. ი. შრომაუნარიან ასაკს არ მიღწეულთა) ხვედრიწონა 37,7-დან დაეცა 30,9%-მდე, მაშინ როდესაც მკვეთრად (1939—1970 წ. — 3,5-ჯერ) გაიზარდა რიცხვი 16 წელს გადაცილებული ახალგაზრდობისა, რომლებიც სწავლას აგრძელებენ დასწრებულ საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

⁸⁹ П. З в и д р и н ь, Из опыта проведения соц.-демогр. обследований в Латвийской ССР («Вестник статистики», 1973, № 2); Б. М е г а й л и с, Актуальные проблемы народонаселения в Латвийской ССР, 1971.

ყოველივე ეს იმის შესახებ მეტყველებს, რომ მიმდინარე, 1971—1975, ხუთწლედში და საპროგნოზო პერსპექტივაშიც, შემცირდება საზოგადოებრივ წარმოებაში ჩართვადი შრომითი რესურსები. 1960—1965 წწ.-თან შედარებით 1965—1970 წწ. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საშუალოწლიური რიცხოვნობა კი არ გაიზარდა, არამედ შესამჩნევად შემცირდა კიდეც (შესაბამისად: 11,5 მლნ. — 11,4 მლნ.).

როგორც ცნობილია სსრ კავშირში დიდი სამამულო ომის პერიოდში მკვეთრად დაირღვა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. 1939 წლის აღწერით ქალები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 52,1 პროცენტს, ხოლო 1959 წლის აღწერით მათმა რაოდენობამ 55 პროცენტს მიაღწია, რაც აბსოლუტურ ციფრებში უდრიდა 114,8 მლნ სულს, როდესაც მთელი მოსახლეობა 208,8 მილიონს შეადგენდა, ე. ი. ამ დროს აქ 20,8 მილიონი ქალი უპარტნიოროდ იყო დარჩენილი. უნდა ითქვას რომ ესაა უდიდესი ზომით უფროსი ასაკის მოსახლეობა და 1960-იანი წლების შუაში 23 წლისაზე უფრო ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის ყველა ჯგუფში ქალები უკვე ვაჟებზე ნაკლები არიან.

გასაგებია, რომ ომისშემდგომ წლებში ვაჟების დეფიციტს რამდენადმე მაინც ფარავდნენ უფროსი ასაკის ჯგუფთა წარმომადგენლები. რაც უფრო მეტია მოსახლეობაში გაუთხოვარი ქალების ხვედრიწონა, სხვაგვარი თანასწორ პირობებში, მით უფრო ნაკლებია შანსები ქალებისათვის იშოვნონ პარტნიორები. მაგრამ ომისშემდგომ წლებში შესამჩნევი სისწრაფით მიდის ფერტილური ასაკის ფარგლებში საერთოდ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ნორმალიზაცია⁹⁰. იმასაც კი ფიქრობენ, რაკი ვაჟები უფრო მეტი იზადება, ვინემ გოგონები, ამ სახითაც ხორციელდება ე. წ. „ბუნებრივი კომპენსაცია“.

დედის ფუნქციის შესრულება, ბავშვისათვის ძუძუს წოვება და მოვლა-პატრონობა უპირატესად ახალგაზრდა ქალთა ხვედრია. ამიტომაც მათი ხვედრიწონა მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობაში ნაკლებია, ვინემ საშუალო ასაკის, 30—35 წლის, ქალებისა. დემოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც რომ ახალგაზრდა დედების, საერთოდ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის მშობ-

⁹⁰ სსრკ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ქალები შეადგენდნენ, პროცენტობით: 1913 წ. — 50,3; 1940 წ. 1 იანვარს — 52,1; 1959 წ. 15 იანვარს — 55,0; 1966 წ. 1 იანვარს — 54,2; 1970 წ. 15 იანვარს — 53,9; 1971 წ. 1 იანვარს — 53,2 (Женщины в СССР, — «Вестник статистики», 1972, № 1, стр. 80).

ლებიც ახალგაზრდებია. ცხადია, შრომაუნარიან მშობლებს შეუძლიათ ახალგაზრდების ოჯახს მატერიალური დახმარება გაუწიონ, სწორედ მაშინ, როდესაც მათ ეს ყველაზე უფრო სჭირდებათ, თუმცა ასეთ ბებიასა და ბაბუას უფრო შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა პირადი მონაწილეობა მიიღონ შვილიშვილთა აღზრდაში, ვინემ ხანდაზმულ (პენსიონერ) წინაპრებს.

სასურველი რაოდენობის ბავშვთაშობის შემდეგ ცოლ-ქმარი სწყვეტს შვილთა გამრავლებას. ესაა ოჯახის გეგმიანობაში მათი შეგნებული მოქმედების შედეგი, რაც ხორციელდება სისტემატური კონტრაცეპტივისა და ჩასახვის საწინააღმდეგო სხვა და სხვა საშუალებათა გამოყენებით; თუმცა, უკანასკნელ ხანებში ბევრგან — აშშ, ინგლისში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ლატვიაში, — როგორც გამოკვლევის მასალები უჩვენებენ, ბევრია ისეთი წყვილი, რომლებიც ამას აღწევენ *coitus interruptus*-ის გზითაც. გამრავლებას უნარიანი ცოლქმარი, როგორც წესი, შვილებს გარკვეული რაოდენობის მეტს არ იჩენს, იმ მიზნით „რათა შეინარჩუნოს ცხოვრების მიღწეული დონე“. ამასთანავე, როგორც ცნობილია, საფრანგეთის მაგალითმა ცხადყო მთავრობის დემოგრაფიული პოლიტიკის კეთილისმყოფელი გავლენა შვილთა შობის ინტენსივობის გაძლიერების თვალსაზრისით.

როგორც აღინიშნა, სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში, სხვადასხვა ერში სხვადასხვაგვარია მოსახლეობის აღწარმოების გზები. ამიტომაც საკლებით მართებული მოჩანს პროფ. პ. ზვიდრიჩის მოსაზრება, რომ „მოსახლეობის აღწარმოების (შობადობის) დონის მხრივ მკვეთრ რეგიონალურ განსხვავებულობათა არსებობა, ცალკეული რაიონების თავისებურებათა შესაბამისად, მოითხოვს ხალხთმოსახლეობის პოლიტიკისადმი დიფერენციულ მიდგომას, და, მაშასადამე, დიფერენციულ კანონმდებლობასაც. ნათელია, რომ, რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით, რიგი შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიების გატარების გარეშე, უახლოეს წლებში შეუძლებელი იქნება მიღწევა შობადობის ისეთი დონისა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ოპტიმალურ აღწარმოებას“⁹¹. საქმე ისაა, რომ, როგორც ვ. სტენიკო შენიშნავს „დემოგრაფიულ ფაქტორებს ინერციის დიდი ძალა გააჩნიათ და თუ მომენტი გამოშვებული იქნება, მაშინ დემოგრაფიუ-

⁹¹ П. З в и д р и н ь, Динамика населения и демографические факторы в Латвии, 1970. стр. 256.

ლი ვითარების გაჯანსაღებისათვის საჭირო იქნება იმდენი დრო, რაც რამოდენიმე თაობის სიცოცხლეს უდრის⁹².

ეკონომიკურ ფაქტორთა შორის არსებულ სიტუაციაში როგორც ქორწინების, ასევე შვილთაშობის სიხშირის თვალსაზრისით, დიდ როლს თამაშობს ბინით უზრუნველყოფის საკითხი. ბინათმშენებლობაში ჭეშმარიტად უდიდესი წარმატებებია მოპოვებული. მაგრამ აქ განვითარების მაღალი ტემპების დროსაც წინა პლანზე გამოდის, საერთოდ, კულტურისა და, კერძოდ, მოთხოვნილების სოციალური ბუნების თავისებურება:

ოჯახი ოროთახიან ბინაში თავს კმაყოფილად გრძნობდა. მაგრამ... მას მერმე, რაც მახლობლად ახალი სახლი აშენდა, სადაც ანალოგიური ოჯახი ცხოვრებას იწყებს სამ-და ოთხოთახიან ყოველგვარი სათავსოებით კეთილმოწყობილ ბინაში, ოროთახიან ბინაში მცხოვრები ოჯახი ამიერიდან ათასგვარ შევიწროებას და უხერხულობას გრძნობს და განიცდის... მოკლედ, ის უკვე „უბინაო“ ოჯახია.

ლატვიაში ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ დიდი საბინაო ფართობიან ოჯახში მეტია ბავშვები; ამ მხრივ წრფივი კორელაციის კოეფიციენტი დადებითია, როგორც სოფლად ისე ქალაქად. საბინაო პირობები ჩანს, უფრო მეტ გავლენას ახდენს არა პირველ, არამედ მეორე და მესამე ბავშვის გაჩენაზე. ეს განსაკუთრებით ვლინდება უფრო მაღალი განათლების წყვილთა ოჯახში, რომელიც უფრო მწვავედ განიცდის მეორე და მესამე ბავშვის შემატებით მდგომარეობის შესაძლებელ გაუარესებას⁹³.

⁹² В. Стешенко, Воспроизводство населения Украинской ССР, 1966, стр. 23.

⁹³ მოსახლეობის გამრავლების ტემპზე, ერთი მხრით, კონსენსუალური ოჯახისა და, მეორე მხრით, საბინაო პირობების როლის გასათვალისწინებლად საჭიროა ვიცოდეთ, რომ, მაგალითად, თურქეთის მოსახლეობის საშუალო-წლიური მატება უკანასკნელ ხანებში შეადგენს 2,5—2,8 პროცენტს; ამავე დროს მისი საბინაო პირობები დიდად ჩამორჩება ისეთ ინდუსტრიული ქვეყნებისას, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისი, ბელგია, ნორვეგია, გფრ, საფრანგეთი, სადაც 1 საცხოვრებელ ოთახზე საშუალოდ მოდის 0,8—1 კაცი, ხოლო თურქეთში— 2,5 კაცი, რომ არა ვთქვათ იმაზე, რომ აქ ქალაქში ოთახები უფრო პატარებია და ბინების დიდი ნაწილი მოკლებულია ელემენტარულ კეთილმოწყობას: 52% არ აქვს აბაზანა, 45%—წყალსადენი, 32% — სამზარეულო, 26% — ელექტროგანათება, 21% — ტელეფონი. მოსახლეობის 1000 სულზე აქ წლიურად შენდება მხოლოდ 3—3,5 ბინა, მაშინ როდესაც შევეციაში შენდება 10,7, აშშ — 10, საფრანგეთში — 9,2 გფრ — 7,8 და სხვ... ამასთანავე, როგორც ვიცით, ეს ქვეყნები დიდად ჩამორჩებიან მოსახლეობის ბუნებ-



ბინა არა მხოლოდ ძილისა და საერთოდ დასვენების, დახარჯული ენერგიის აღწარმოების ადგილია, არამედ ისაა აგრეთვე გარემო, აუცილებელი ნივთიერი პირობა, რის საფუძველზედაც ყალიბდება ოჯახი, ვითარდება მისი როგორც მცირე სოციალური ჯგუფის მორალური და კულტურული სახე. სწორედ აქედან გამომდინარეობს შეხედულება, რომ საბინაო მშენებლობა უნდა იგეგმებოდეს მომავალი ოჯახის სტრუქტურისა (მის წევრთა რაოდენობისა) და საზოგადოებრივი განვითარების დონის ოპტიმალური შესაბამისობის ვარაუდით⁹⁴.

სსრ კავშირის მოსახლეობის საბინაო პირობების დასახასიათებლად განზოგადებულ სტატისტიკურ მაჩვენებელთა შესწავლას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა დ. ლ. ბრონერიმა. აქ განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს საბინაო პირობების ცალკეულ ელემენტთა, ე. ი. არსებითად სხვადასხვა სახეობის სახმარ ღირებულებათა რაოდენობრივი შეფასების სისტემის შემუშავება. ამ მხრივ ერთერთ მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევენ ბინის კეთილმოწყობისა და ადგილმდებარეობის მიხედვით მიღწეულ დროის ეკონომიას და სხვ.

დ. ბრონერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ოჯახის რწმენა, რომ ახლო მომავალში გაიუმჯობესებს საბინაო პირობებს, არის ფაქტორი რაც ასტიმულებს ბავშვის გაჩენას. ამასთანავე, ამ ოჯახის მახლობლად მცხოვრებ სხვა ოჯახთა საბინაო პირობების გაუმჯობესების ობიექტური პროცესი იწვევს საკუთარი საბინაო პირობების სუბიექტური შეფასების დაწევას, რასაც შეუძლია გარკვეული ზომით გახდეს ბავშვის გაჩენისათვის თავის შეკავების ფაქტორად. არაა გამორიცხული, რომ შვილის ყოლის უფრო არსებით ფაქტორს წარმოადგენდეს არა საბინაო პირობების რეალური გაუმჯობესება,

რთივი გამრავლების თურქულ ტემპებს.

ამერიკის პრეზიდენტის ეკონომიკურ ანგარიშგებაში აღნიშნულია, რომ ფასების ზრდის შენელების, დოლარის დროებითი სტაბილიზაციის, უმუშევრობის გადიდების შეჩერების, საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის შემცირების პირობებში, ამერიკული საზოგადოების სხვადასხვა კლასებისა და ფენების „ურთიერთგაგების“ რ. ნიქსონისეული მოწოდების რეალიზაციის ვითარებაში, 1971 წ. კონიუნქტურის გამოცოცხლება გამოწვეული იყო უმთავრესად საბინაო მშენებლობის ინტენსიფიკაციით და როგორც ფედერალური, ასევე შტატების ხელისუფალთაგან შესყიდვების მოცულობის გადიდებით (Economic Report of the Presidents, Washington, 1972), — ეპიზოდურ ღონისძიებათა სისტემით, რაც აუცილებელი იყო პრეზიდენტის მომავალი არჩევნებისათვის ეფექტის შესაქმნელად, რათა რესპუბლიკელებს დამრწმუნებიათ ამოპარჩეულები, რომ მათ შესწევთ უნარი განაგებდნენ ეკონომიკას.

⁹⁴ Факторы рождаемости, под ред. А. В о л к о в а , 1971.

რამდენადაც ოჯახის ვარაუდი, რომ მისი საბინაო პირობები გაუმჯობესდება ბავშვის დაბადების შემდეგ⁹⁵.

რამდენადაც მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება შესაბამისად იწვევს მოთხოვნილებათა ზრდას, პ. ზვიდრინში ასკვნის, რომ ლატვიაში ცხოვრების დონე გამოდის როგორც შობადობის გლობალური ფაქტორი, რაც, თავისთავად, არაა ახალი აზრი...

როგორც არ უნდა იყოს, ცხადია, რომ აქ სოფელ ქალთა 78% და ქალაქელთა 60% იდეალურად სთვლის ორბავშვიან ოჯახს. აბორტის მიზეზად გამოკითხულ ქალთა თითქმის 30% ასახელებს, რომ: „არ სურს კიდევ იყოლიოს ბავშვი“, 20% — ასახელებს ცუდ საბინაო პირობებს და სხვ. ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ ორშვილიანი ოჯახი არ გულისხმობს ნაციის გაფართოებულ აღწარმოებას.

⁹⁵ Д. Л. Бронер, Об обобщающих статистических показателях для характеристики жилищных условий населения (Проблемы статистики, сб. статей, 1966).

ამას წინათ პოლონეთში ქ. ვროცლავში გაიხსნა „სარძლოსა და საქმროს უნივერსიტეტი“; მსმენელებს—ყმაწვილ ქალებს და ვაჟებს, ახალგაზრდებს, რომლებიც საჭორწინოდ ემზადებიან, აქ უკითხავენ ლექციებს ფსიქოლოგიის, ეთიკის, მედიცინის, სახლსწოობის (საოჯახო მეურნეობის), კულინარიის და სხვ. შესახებ. ეს ღაწესებულება გარკვეული გაგებით შეასრულებს ქორწინების სახლის კარგამდე მისვლისთვის საჭირო ფუნქციებსაც — შეხვედრა, ურთიერთგაცნობა, დაახლოება და სხვ. («Неделя», 1973, № 1, стр. 3). ამიტომაც, ვფიქრობ, ეს ღონისძიება იმსახურებს ყურადღებას და შეიძლება მიზანმიმართულად ღირსი იყოს.

VIII

საქორწინო ასაკი და პოპულაცია

ასაკობრივ სტრუქტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხალხთმოსახლეობის განსაკუთრებით დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის თვალსაზრისით. მაგრამ ასაკზეა დამოკიდებული აღმნიშვნის თითქმის ყველა სოციალური ფუნქცია⁹⁹.

ამასთანავე, რამდენადაც სწორია პროფ. რონალდ ფრიდმანის დასკვნები, რომ მსოფლიო მასშტაბით მოკვდაობა მომავალშიც სულ უფრო შემცირდება, ცხადია, რომ ფერტილობა რჩება (იქნება) როგორც მოსახლეობის გამრავლების ძირითადი ფაქტორი. ფერტილობის, როგორც მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის ფაქტორის როლი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ასაკობრივი სტრუქტურა უფრო მეტადაა დამოკიდებული ფერტილობის, ვინემ მოკვდაობის მაჩვენებლებზე. ეს ფაქტი კვლავ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დიდი დემოგრაფიული და სოციალური მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს.

საერთოდ, მართალია, ვაჟები უფრო მეტი იზადება, ვინემ ქალები¹⁰⁰, მაგრამ ასაკში შესვლის კვალობაზე, მოკვდაობაში განსხვავებულობის შედეგად, მათ შორის არსებითად სწორი თანაფარდობა მყარდება. მაინც ინდუსტრიულ ქვეყნებში ქალები ვაჟებზე რამდენადმე მეტია, ხოლო განვითარებადში — პირიქით. საერთოდ მსოფლიოში ამჟამად ვაჟები შეადგენენ 50,3%, ხოლო ქალები 49,7%. კერძოდ საბჭოთა კავშირში 1959 წ. ვაჟები შეადგენდნენ მოსახლეობის 45%-ს. მეორე მსოფლიო ომის შედეგად მიღებულ ეს დიდი განსხვავება თანდათანობით გამოსწორებისაკენ მიდის და 1971 წ. ვაჟები შეადგენდნენ უკვე 46,1%, ე. ი. ამ დროისათვის ქ-

⁹⁹ Курс демографии, под ред. А. Боярского, 1967; З. Смирновский, Попытка сформулировать общую экономическую модель развития населения, 1970; Д. Вукович, Некоторые проблемы анализа воспроизводства населения, 1970; Теоретические проблемы демографии, 1970; Г. Шубнелъ, Очерки исследования населения, 1971.

¹⁰⁰ იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, 1957, თბ., ტ. VI, გვ. 322—323.

ლები მთელ მოსახლეობაში ვაჟებზე მეტი იყო 18,9 მილიონით. ეს შეფარდება შეეხება მხოლოდ უფროსი ასაკის მოსახლეობას; ახლა 25 წელზე ნაკლები ასაკის მოსახლეობაში ქალებისა და ვაჟების რიცხოვნობა უკვე თითქმის თანაბარია.

მოსახლეობის სქესობრივი შედგენილობა საქართველოში
1926, 1959, 1970 წწ.

მოსახ. აღწერის წლები	ვაჟი		ორივე სქესისა	მოსახლეობის 1000 სულზე მოდიოდა	
	ვაჟი	ქალი		ვაჟი	ქალი
1926	1.347.513	1.318.981	2.666.494	505	495
1959	1.865.345	1.178.700	4.044.045	461	539
1970	2.202.580	2.483.778	4.686.358	470	530

საქართველოში 1926 წელს მოსახლეობის საერთო მასაში (2,7 მლნ) ვაჟები მცირეოდნე სჭარბოდნენ. ვაჟები ქალების საერთო რაოდენობაზე (1319 ათასი) მეტი იყვნენ 28,5 ათასით.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული დაიწდა ეს ბუნებრივი თანაფარდობა, ე. ი. არსებითი წონასწორობა, როდესაც ვაჟების გარდამეტი საერთოდ ფრიალ უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა, ხოლო 15—49 წლის ასაკის მოსახლეობაში ვაჟთა რაოდენობა (621 ათასი) თითქმის აბსოლუტურად შეეფარებოდა ქალთა რაოდენობას (620 ათასი). 1959 წელს კი ქალთა მოსახლეობა 313 ათასით აღემატება ვაჟთა საერთო რაოდენობას, ხოლო 1970 წ. აღწერის მონაცემებითაც 281 ათას ქალს აქ პარტნიორი არ გააჩნდა.

დემოგრაფიულ (მოსახლეობის აღწერების) მასალათა ნაციისა (ენისა) და რასის ნიშნების მიხედვით დიფერენციული მეცნიერული შესწავლა დაიწყო მხოლოდ მე-19 ს. მეორე ნახევრიდან. ხოლო მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების, ე. ი. შობადობის პრობლემამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საქმე ისაა, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი არაჩვეულებრივად გაძლიერდა და ამჟამად საშუალოწლიური (იზადება—120 მლნ., კვდება—55 მლნ) მატება შეადგენს დაახლოებით 65 მილიონს¹⁰¹.

¹⁰¹ Demographic Yearbook, New York, 1960—1968.

შობადობის საკითხს სპეციალურად შეისწავლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონ. და სოც. საბჭოს ~~ხალხთა~~ სახლეობის კომისია, რომლის მიერ 1954 და 1965 წწ. ჩატარებული ხალხთა სახლეობის საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეჭირა შობადობასთან, ქალთა ფერტილობასთან, დაკავშირებულ სოციალურ და ფიზიოლოგიურ პრობლემებს¹⁰².

როგორც ცნობილია, ქალისთვის ჩასახვის დაწყების პერიოდი რასობრივი, კლიმატური, ცხოვრების სოციალურ-კულტურული და სხვ. ფაქტორების შესაბამისად იწყება 12—17 წლის ასაკში. ქალქელ გოგონებს მენსტრუაცია ჩვეულებრივ სოფლებზე 2—3 წლით ადრე ეწყებათ. ფერტილობის პერიოდი ქალებს ჩვეულებრივ უთავდებათ 40—55 წლის ასაკში, ასე რომ მისი საშუალო ხანგრძლივობა უდრის 25—30 წელს. ვაჟების სქესობრივი სიმწიფის საკითხი უფრო ნაკლებადაა შესწავლილი; იგი დაახლოებით 15 წ. ასაკიდან დაწყებული 55—70 წლამდე გრძელდება, ამგვარად, მისი ხანგრძლივობა 40—55 წელს შეადგენს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, განსაკუთრებით ინდუსტრიულ ქვეყნებში, მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობის (კვების, საბინაო პირობების, ჯანდაცვის და სხვ.) გაუმჯობესების შედეგად, განსაკუთრებით ქალაქებში ახალგაზრდობა ფიზიოლოგიურად (სქესობრივად) 2—3 წლით უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე წინათ. ფერტილობაზე ამ პროცესის — აქსელერაციის¹⁰³ — გავლენა ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. საქმე ისაა რომ ქვეყნების უმრავლესობაში მასობრივად ქორწინება, ჩვეულებრივ, სქესობრივი სიმწიფის დადგომის 5 — 10 წლის შემდეგ ხდება. მაგრამ, საბოლოოდ, ბუნებრი-

¹⁰² F. L o r i m e r , Culture and Human Fertility, Paris, UNESCO, 1969.

¹⁰³ აქსელერაციის ტერმინი შემოიღო გერმ. მეცნიერმა ე. კოხმა. შედეგები დიდმნიშვნელოვანია ახალი თაობის როგორც ბიოლოგიურ, ისე სოციალურ ცხოვრებაში. თუ მე-19 საუკუნეში ადამიანი ჯიშდებოდა 22—25 წლამდე, ამჟამად იგი, ქალი 16-17 წლისა, ხოლო ვაჟი 18-19 წლისა უკვე მთავრებს ზრდას; — თანაც ისე, რომ ტანით მშობლებზე უფრო მოზრდილად ხდება. ფიზიკურ განვითარებასთან ერთად მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის მიღწევების, ინფორმაციისა და სწავლის გავრცელების დიდი წარმატებების მეოხებით ახალი ახალგაზრდობა უფრო ადრე და უფრო ფართო ინტელექტუალურ განათლებას ღებულობს, ვინემ მათი უახლესი წინაპრები, ამასთანავე, რამდენადაც მათი, როგორც პიროვნების, როგორც მოქალაქის ფორმირება შეცვლილ ვითარებაში ხდება, ბუნებრივია, რომ ასაკისა და თაობათა საკითხებშიც მათი ეთიკური და ფსიქოლოგიური ნორმებიც განსხვავებულია.

ვია, რომ სიმწიფის დადგომას უნდა უახლოვდებოდეს ქორწინების დრო. მეცნიერებამ დაადგინა: რაც უფრო დაშორებულია ერთმანეთისაგან სქესობრივი სიმწიფის დადგომისა და ქორწინებაში შესვლის დრო მით უფრო მაღალია ინფერტილობის ხვედრიწონა და, გამასაღამე, დაბალია — შობადობის ინტენსივობა¹⁰⁴.

დადგენილია, რომ ჯანსაღ ქალს შეუძლია საშუალოდ შვას 10—12 ბავშვი, ამასთანავე ცნობილია შემთხვევები, რომ ქალს 20 და მეტი ბავშვი ჰყოლოდეს. დასავლეთის ქვეყნებში მე-18—19 სს. 45 წ. ასაკის გათხოვილი ქალი საშუალოდ ათიოდე შვილს შობდა.

ამერიკელი დემოგრაფი პროფ. ფ. ნოტსტეინი¹⁰⁵ წერს, რომ ძველი საზოგადოებები ხშირი სიკვდილიანობის ვითარებაში იძულებული იყვნენ დაემკვიდრებინათ მრავალშვილიანობა. ტრადიცია, რელიგია, მორალური ნორმები, ჩვეულება, ქორწინების კანონები მხარს უჭერდნენ ამას. ხალხთა უმრავლესობაში შვილები, როგორც შთამომავლობის, გვარის გამგრძელებელნი და მოხუცი მშობლების მომავალი მზრუნველები, წარმოადგენენ უმაღლეს სოციალურ ფასეულობას, მამის ვაჟკაცური ძლიერებისა და დედის ქალობრივი ნაყოფიერების გამოცხადებას და, დასასრულ, მთელი ხალხის (ტომის, ერის) ცხოველმყოფელობის დადასტურებას.

ტრადიციით და კანონმდებლობით თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ქალის საქორწინო ასაკი რამდენადმე უფრო ადრე იწყება, ვინემ ვაჟისა; სახელდობრ 12—18 წლიდან. კერძოდ ესპანეთს, საბერძნეთს, ავსტრალიას, ინდოეთს, სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების უმრავლესობაში — 12 წლის ასაკიდან, აშშ შტატების უმრავლესობაში 14—15 წლიდან, აფრიკის ქვეყნების დიდ ნაწილში — 14—16 წლიდან, იტალიაში — 14 წლიდან, საფრანგეთში — 15 წლიდან, გერ — 16 წლიდან, ჩინეთში — 14—15 წლიდან.

ვაჟის საქორწინო ასაკი იწყება: საფრანგეთში — 18 წლიდან, იტალიაში — 16 წ., აშშ — 18—21 წ., დიდბრიტანეთში როგორც ქალის, ისევე ვაჟისა — 16 წლიდან, პოლონეთში, უნგრეთში, ნორვეგიაში, დანიაში, შვეციაში და სხვ. — 18 წლიდან და ა. შ.

ინდოეთში მანუს კანონებით (2—1 სს. ძვ. წ. ა.) ქალის საქორწინო ასაკი 12 წლიდან და უფრო ადრეც იწყებოდა. მე-19 ს. და თვით 1910 წლამდე გათხოვილ ქალთა საშუალო ასაკი აქ 12,3 წ. უდრიდა; ხოლო 1920—1929 წწ. მონაცემებით კი — 13,3 წელს.

¹⁰⁴ Р. Пресса, Народонаселение и его изучение. Демографический анализ, М., 1969.

¹⁰⁵ F. Notestein, Population..., Chicago, 1945.

ბევრს კიდევ 8—10 წლისას ათხოვებდნენ. მოსახლეობის 1951 წლის აღწერით, ინდოეთში 6 მილიონი ქალი 14 წლის ასაკამდე იყო გათხოვილი. 1955 წელს მიღებული კანონი კრძალავს 15 წლის ასაკამდე ქალის ქორწინებას. ამჟამად ინდოეთში 20 წ. ასაკამდე ყველა ქალის 70% უკვე გათხოვილია¹⁰⁶. იაპონიაში 15—19 წლის ასაკში დაქორწინებულნი 1920 წელს შეადგენენ გათხოვილ ქალთა 18%, ხოლო 1955 წელს კი — 2%¹⁰⁷.

ინდოეთის პოპულაციის პრობლემებზე უახლესი ნაშრომის ავტორი, ბომბეის საერთაშორისო დემოგრაფიული ინსტიტუტის დირექტორი შრი აგარვალა (S. N. Agarwala) აცხადებს, რომ მისი მიზანია ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დაეხმაროს, რათა უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს იმ ფაქტორთა კომპლექსის თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს ინდოეთის მოსახლეობის სწრაფი ზრდის მიზეზებს.

შრი აგარვალა აღნიშნავს საერთოდ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის გამრავლების სწრაფ ტემპებს და იმ გარემოებას, რომ ამჟამად (1970) მსოფლიოს მოსახლეობის (3,6 მლრდ) დაახლოებით 63% ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში, რომელთა რიგებს იგი მიაკუთვნებს ჩინეთსაც. იგი გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ ინდოეთის უნივერსიტეტების დიდ ნაწილში ჯერ კიდევ არ არსებობს დემოგრაფიის კათედრები, რომ ინდოეთში მხოლოდ ცხრა სამეცნიერო დაწესებულებაა, რომლებიც ეწევიან სპეციალურად დემოგრაფიულ კვლევა-ძიებას და მხოლოდ ცამეტი ცენტრია, რომლებიც მუშაობენ დემოგრაფიული პოლიტიკის („ოჯახის გეგმიანობის“) საკითხებზე. მართალია, კიდევ საკმაოდ ბევრია ისეთი დაწესებულება (მაგ. შრომითი რესურსების ინსტიტუტი, ცენტრალური სტატისტიკური ინსტიტუტი, გამოყენებითი ეკონომიკურ გამოკვლევათა ნაციონალური საბჭო და სხვ.), სადაც შეისწავლიან მოსახლეობის პრობლემებს, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ხალხთმოსახლეობის ახლანდელი სიტუაცია აუცილებლობით მოითხოვს ბევრად უფრო მეტ ყურადღებას.

ინდოეთში შობადობის მაღალი დონის უშუალო მიზეზად შ. აგარვალას მიაჩნია ქორწინების გავრცელების საყოველთაო ხასიათი, ნაადრევი ქორწინება (1951—1961 წწ. ქალთა 20% გათხოვილი იყო 10—15 წლის ასაკში, ხოლო პირველი ქორწინების სამუ-

¹⁰⁶ Н. В. Орлова, Брак и семья в международном частном праве, М., 1966.

¹⁰⁷ В. И. Козлов, Динамика численности народов, М., 1969.

ალო ასაკი უდრიდა 15,5 წელს), კონტრაკტივების გამოყენების შეზღუდულობა, წიგნიერების დაბალი დონე, ძირითადი მასების ცხოვრების ცუდი პირობები და მოსახლეობის 80%-ს სოფლის მეცხოვრებთა ყოფიერების ტრადიციულობა.

საქმე ისაა, რომ აქ 1000 სულზე მოკვდაობა უდრიდა 1921 წ. — 48,6, ხოლო ამჟამად (1971) შეადგენს — 16. ქვეყნისათვის, რომელსაც აქვს მსოფლიო შემოსავლის 1,5%, უჭირავს პლანეტის ტერიტორიის 2,4% და ყავს მსოფლიოს მოსახლეობის 14% — გარდავლების საკითხი უაღრესად მტკივნეული პრობლემაა. სწორედ ამიტომ არ შეიძლებოდა აქ ოჯახის დაგეგმვის საკითხს სახელმწიფოებრივი ღონისძიების ხასიათი არ მიეღო. ინდოეთის ჯანდაცვის მინისტრის სრიფათი ჩანდრასეჰჰორის მიერ ოჯახის შესახებ შემუშავებული კანონპროექტით იზღუდება გამრავლება: გათვალისწინებულია თვით ეკონომიკური სანქციები და იმ მშობელთა (უპირატესად მამების) სტერილიზაცია კი, რომელთაც უკვე ყავთ სამი შვილი. ხელისუფლება დიდძალ თანხებს ხარჯავს ოჯახის დაგეგმვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ნავარაუდევია, რომ 1975 წლისათვის მოსახლეობის 1000 სულზე შობადობა 25-მდე შემცირდეს, თორემ ბუნებრივი გამრავლების ახლანდელი (60-იანი წლების მიწურულის) ტემპით 2000 წლისათვის ამ ქვეყნის მოსახლეობას შეუძლია 1 მილიარდს გადააჭარბოს.

ასეთ ვითარებაში მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი უზრუნველყოფილია მოკვდაობის შეუწელებელი დაცემითა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის (27 წ.—1921—1931 წწ., და დაახლოებით 50 წ. ამჟამად) გადიდებით. აღსანიშნავია მშობიარობისას დედათა სიკვდილიანობის შემცირება, რაც ამჟამად 1000 ნორმალურ მშობიარობაზე დაახლოებით 10 შეადგენს და რაც 30-ჯერ მეტია განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით¹⁰⁸.

¹⁰⁸ ინდოეთში 1961 წელს 1000 ვაჟზე მოდიოდა 941 ქალი. მოსახლეობის ამ სქესობრივ დისპროპორციას ემთხვევა ემიგრაცია (აქედან მხოლოდ 1951—1961 წწ. სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოს საძებნელად წავიდა 1,5 მილიონზე მეტი ვაჟი) და განსაკუთრებით ქალთა მაღალი სიკვდილიანობა კერძოდ ბავშვობისა და რეპროდუქციულ (ფერტილურ) ასაკში. აქ ქორწინების რეგისტრაცია სავალდებულო არაა და არც მისი სტატისტიკა გააჩნიათ. აღსანიშნავია რომ 1961 წელს 1000 ვაჟზე სოფლის მეურნეობის დარგებში მოდიოდა 819 ქალი, მრეწველობაში — 552 ქალი, მმართველობის სამსახურში — 210, აღმინისტრაციულ სამსახურში — 237. ინდოეთის მოსახლეობის აღწერის სახელმწიფოებრივი სამსახურის ხელმძღვანელმა ა. ჩანდრა სეკჰარმა 1972 წ. 22 ოქტომბერს დელიში განაცხადა, რომ უახლესი მონაცემებით, ინდოეთის მოსახლეობა აღემატება 560 მილიონს და მისი საშუალოწლიური მატება შეადგენს 2,5%-ს.

7. პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობა

შრი აგარვალა დაფიქრებულია, რომ „ოჯახთა გეგმიანობის პროგრამა“ ძნელად ხორციელდება, თუმცა მისი ეფექტი უეჭველია, რამდენადაც შობადობის საერთო კოეფიციენტი შესამჩნევად, მაგრამ არა საკმაოდ დაეცა. საქმე ისაა, ასკვნის იგი: „თუ ცხოვრების ტრადიციის მთავარ ასპექტებში არ ხდება ცვლილებები, ადამიანებს უჭირთ შესცვალონ მათი ოჯახური ნორმები მცირეშვილიანობის სასარგებლოდ“. — მართებული სიტყვებია¹⁰⁹.

ჩვენს დროში, კერძოდ სსრ კავშირში, როგორც ცნობილია, ქორწინების და შვილთა შობის სტიმულაციამ საცხებით გეგმაზომიერი და რეგულარული სახელმწიფოებრივი ღონისძიების ხასიათი მიიღო. საერთოდ უახლეს პერიოდში წამქეზებლური პოპულაციონისტური პოლიტიკა იმაში გამოიხატა, რომ რიგ სახელმწიფოში მინიმუმამდე შეამცირეს საქორწინო სრულსაკოვნობის დონე, უტოლქმროებს შეაწერეს გადასახადები, აკრძალეს აბორტები და კონტრაცეპტივების წარმოება-გამოყენება და წააქეზეს მრავალშვილიანობა.

მეორე, მესამე და ა. შ. შვილების შობის შესაბამისად სულ ზრდადი ფულადი დახმარება, ცხადია, ფრიად მასტიმულებელი ღონისძიებაა. შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ეს დახმარება უფრო საგრძნობია და რეალური. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში 4-შვილიან მშობელს თავის შემოსავალზე ეძლევა წანამატი, რაც საშუალოთიური ხელფასის 50% აღემატება. ახალდაქორწინებულთ ეძლევათ შესაფერისი ბინა და სხვ.¹¹⁰

მრავალ ხალხში უშვილობა, როგორც ქალის ისე ვაჟის ცხოვრებაში უმძიმეს ტრაგედიას წარმოადგენს. ქორწინების პირველსავე წელს დაუორსულებელი პატარძალი დახმარებისათვის ექიმბაშს, მკითხავს, ექიმს მიმართავს... ტყუპის დაბადება განიხილება, როგორც ბედნიერება და ასეთ დედას თვით ოჯახიცა და მეზობლებიც მეტის გულმოდგინებით ეხმარებიან და ეალერსებიან.

სსრ კავშირის რესპუბლიკების უმრავლესობაში ქალის საქორწინო ასაკი იწყება 18 წლიდან, ხოლო აზერბაიჯანს, სომხეთსა და უკრაინაში 1970 წლამდე იწყებოდა 16 წლიდან.

ვაჟების ქორწინების საშუალო ასაკი ჩვეულებრივ ქალებისაზე — 3—5 და მეტი წლით უფრო გვიან იწყება. კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ქორწინების იდეალურ ასაკს სხვა-

¹⁰⁹ S. N. Agarwala, India's Population Problems, Bombay — New Dehli, 1972.

¹¹⁰ А. К в а ш а, О некоторых инструментах демографической политики. — Изучение воспроизводства населения, 1968..

დასხვანაირად განსაზღვრავდნენ. არისტოტელეს იდეალურ სახელმწიფოში ქორწინების დასაწყისი ასაკი დანიშნული იყო ქალისათვის 18, ხოლო ვაჟისათვის 35 წელი. უნდა ვიფიქროთ რომ არისტოტელე როდესაც ამ თხზულებას წერდა საკმაოდ ხანდაზმული უნდა ყოფილიყო! ძველრომაული კანონმდებლობით ქალის საქორწინო ასაკი 12 წლიდან იწყებოდა. მ. ლუთერის აზრით 20 წლის ვაჟს ცოლად უნდა შეერთო 15—18 წლის ქალი.

ქორწინებისა და შობადობის სტიმულაციის პოლიტიკას ატარებდა ჯერ კიდევ იულიუს კეისარი (I ს. ძვ. წ. ა.): სახელმწიფოს ფონდიდან მიწა ეძლეოდა 3 და მეტი შვილის მამას. ასეთი ოჯახი თავისუფლდებოდა პირადი ბეგარებისაგან. ტაციტუსის მოწმობით რომში რიგი ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავებისას უპირატესობა ეძლეოდა იმას, ვისაც მეტი შვილი ჰყავდა. პლატონისათვის ქორწინების მთავარი აზრი მოსახლეობის გამრავლებაა. ის ფიქრობდა, რომ ფულადი ჯარიმები უნდა ეხადა იმათ ვინც თავს აარიდებდა ქორწინებას. ლუდოვიკო XIV ედიქტი (1666 წ.) რამოდენიმე წლით ანთავისუფლებდა გადასახადებისგან იმას ვინც 21 წლის ასაკამდე დაქორწინდებოდა¹¹¹.

ზოროასტრიზმი, ერთ-ერთი უძველესი რელიგიური სისტემა, ამკვიდრებდა ნაყოფიერების კულტს (ჩვენში, ცნობილი ფალოსის კულტი!) და უშვილო ვაჟისთვის მას გამოკეტილი ჰქონდა სამოთხის კარები. კონფუციანიზმის (რელიგიური) თვალსაზრისით ჩინელისათვის ყველაზე დიდი უბედურება, რაც შეიძლება კაცს მოუვიდეს ესაა უმემკვიდროდ დარჩენა. შვილები ალაპის მიერ მინიჭებული უდიდესი ბედნიერებაა და მრავალშვილიანი დედა მუსლიმანურ სამყაროში დიდი პატივისცემით სარგებლობს. ამჟამადაც მუსლიმანური მსოფლიო (480 მლნ. სული) განირჩევა ბუნებრივი გამრავლების მაღალი ტემპით, რაც უშუალო კავშირშია ფერტილური ასაკის ქალთა ადრე გათხოვებასთან და საერთოდ გათხოვილთა მაღალ ხვედრით. ჩინეთთან, რაც 95% აღემატება, მაშინ როდესაც ქრისტიანულ მსოფლიოში (920 მლნ სული) ქალთა 10—15 პროცენტზე მეტი გაუთხოვარი რჩება.

დასასრულ, აქ საჭიროა ისიც ითქვას, რომ მრავალი ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციოლოგიური გამოკვლევა მოწმობს, რომ, როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, ისე ერთსადაიმაცე ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ნაციის ხალხთა პოპულაციის პროცესზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს სხვადასხვა რელიგია. აღსანიშნა-

¹¹¹ Б. Урланис, Демографическая политика в рабовладельческом и феодальном обществах, М., 1970.

ვია, რომ რიგ ქვეყანაში რელიგიას მიღებული აქვს რა ეთნიკური ხასიათი, პოპულაციაზე მისი ხსენებული გავლენა ძალაში რჩება მას მერმეც რაც ამ ხალხის უდიდესმა უმრავლესობამ ხელი აიღო რელიგიაზე და, მაშასადამე, ათეისტი გახდა. ამის მაგალითად შეგვაძლია დავასახელოთ თანამედროვე აზერბაიჯანელები, უზბეკები, თურქმენები და სხვ.

ცივილიზაციის მაღალ, თანამედროვე საფეხურზე, განსაკუთრებით ქალაქებში როდესაც (სადაც) ოჯახი უკვე აღარ წარმოადგენს წარმოებრივ უჯრედს, ცხადია, ნიადაგი გამოეცალა არა თუ მრავალშვილიანობას, არამედ აგრეთვე თვით დიდი (მრავალწევრიანი) ოჯახის ინტერესს, მრავალრიცხოვანი ნათესაობის (მოყვრობის) მტკიცე კავშირებს და რიგი უპირატესობა აღმოაჩნდა მცირე, უფრო მობილურ ოჯახებს, რომელთაც შედარებით ადვილად შეუძლიათ ტერიტორიულად დაუახლოვდნენ სამუშაოს (სამსახურის) ადგილს და, მაშასადამე, გამოიცივალონ და შეიქმნან მახლობელთა წრე. სწორედ ასეთ პირობებში მცირე (ახალი) ოჯახი ხშირად მოკლებულია ბებუისა და პაპის (ბაბუის) მზრუნველობას და ბებია, როგორც „შობადობის მნიშვნელოვანი ფაქტორი“, უკვე აღარ თამაშობს ჩვეულებრივ როლს, რაც სხვა მოვლენებთან ერთად, ამა თუ იმ ზომით, აძნელებს მრავალი შვილის გაჩენისა და აღზრდის საქმეს.

ძვ. საქართველოში დაკანონებული მინიმალური საქორწინო ასაკი 12 წელი იყო. დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ს ბრძანებით 1103 წელს შემდგარ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ შეკრებილ ძეგლისწერაში ვკითხულობთ: „კუთლად ამასაცა განვასაზღვრებთ, რაჟთა ამიერითგან არღარა ეკუთხეოდინ გვირგვინნი ჩჩვილთა ქალ-ყრმათა, არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათთა დიად დაუწინდნენ იგინი ურთიერთას, და რაჟამს ჰასაკად მივიდენ ორნივე, მაშინ იქორწინნენ. და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროხსი ნუშცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა“¹¹².

აღსანიშნავია რომ 1748 წელს, ე რ ე კ ლ ე II ბრძანებით და პატრიარქის ანტონის მეთაურობით, თბილისში მოწვეულმა საეკლესიო კრებამაც დაჰგმო „ქალისა... უასაკოსა, გინა ჩჩვილისა“ ქორწინება და დაადგინა მოიყვანონ „ცოლად ქალწული, ვითარ ათორმეტისა წლისა, გინა ათსამეტისა და ქორწინების ზიარებითა აკუთხოხოს მღდელმან შეერთხორცვა მათი“¹¹³.

¹¹² ი. დ. ლ. ი. ძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 118.

¹¹³ ი. ქ. ვ. ე, გვ. 802.

მხითარ გოშის (სომხური) სამართლითაც (12—13 სს.) ქალი გასათხოვ ასაკში 12 წლის შესრულების შემდეგ შედიოდა. აქაც დაგმოვილია უფრო მცირეწლოვანთა შეერთბორცვა, ხოლო ქმარი „ყოველის საქმით უფროსი და შემძლე უნდა იყოს... ცოლზედა მის-სზე“¹¹⁴.

საერთოდ ნაადრევი ქორწინება, აგრძელებს რა ქალის ფერტილობის პერიოდს, ხელს უწყობს მრავალშვილიანობას, რაც როგორც სოციალური მოვლენა პირობადებულია მწარმოებლურ ძალთა განვითარების დაბალი დონით, ოჯახის როგორც წარმოებრივი ერთეულის გაძლიერების ინტერესებითა და საერთოდ ქვეყნის და, მაშასადამე, საზოგადოების ეკონომიკის აგრარული ხასიათით.

დემოგრაფიული დაკვირვების შედეგები ლაპარაკობენ, რომ მე-20 საუკუნეში მიმდინარეობს (განსაკუთრებით ქალების) ქორწინების საშუალო ასაკის შემცირება, მიუხედავად იმისა, რომ სოციოლოგების მოსაზრებით — სწავლის გახანგრძლივების, წარმოებაში ქალების დასაქმებულობის, ურბანიზაციისა და სხვ. მეოხებით — მოსალოდნელი იყო საწინააღმდეგო მოვლენა.

ომისშემდგომ პერიოდში ქალთა ქორწინების საშუალო ასაკი შემცირდა: შვეციაში — 3,4 წლით, ინგლისსა და უელსში — 3,5 წ., შვეიცარიაში — 2,9 წ., აშშ და ავსტრალიაში — 2,5 წ.; საფრანგეთს, ნიდერლანდებს, პორტუგალიასა და დას. ევროპის რიგ სხვა ქვეყანაში — 0,5—1 წლით¹¹⁵.

მაინც ფაქტია, რომ კულტურისა და განათლების დონის ამაღლებამ, სწავლის გახანგრძლივებამ და სხვ. გამოიწვია ქალის ვათხოვებისა და საერთოდ ქორწინების შედარებითი გადაადგება. დაბალი განათლების წყვილთა ქორწინება უფრო ადრე ეწყობა, ვინემ საშუალო განათლების მქონეთა და უკანასკნელნი უფრო ახალგაზრდანი ქმნიან ოჯახს, ვინემ უმაღლესი განათლების ადამიანები.

უკანასკნელ ხანებში დას. ევროპის რიგ ქვეყანაში საქორწინო ასაკი დგება 16 წლიდან. ამასთანავე დაქორწინებულთა საშუალო ასაკი უფრო ახალგაზრდავდება. ასე, მაგ., ინგლისში ახლადდაქორწინებულთა საშუალო ასაკი 1960 წელს უდრიდა 25,12 წ. (ვაჟთათვის) და 22, 48 წ. (ქალთათვის), ხოლო 1970 წელს, შესაბამი-

¹¹⁴ ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, 1963, ტ. I, გვ. 279; Армянский судебник Мхитара Гоша, Ереван, 1954, стр. 43—56; Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, Тифлис, 1887, стр. 270—279; გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 87—89.

¹¹⁵ Население мира, М., 1965.

სად, 23,90 და 21,79. ამავე დროს 1960 წელთან შედარებით 1970 წელს 18 წლის ასაკამდე დაქორწინებულთა პროცენტი შესამჩნევად გაიზარდა, რაც შედეგია ახალი ახალგაზრდობის უფრო ადრეული ფიზიკური განვითარების, აგრეთვე განათლებისა და ინფორმაციის უფრო გავრცელებისა და, დასასრულ, იმისაც, რომ ახალგაზრდობის ნაწილი მათს მშობლებზე უფრო ადრე აღწევს საზოგადოებრივ და ნივთიერ დამოუკიდებლობას.

საერთოდ ქორწინების საშუალო ასაკმა 1930 წლიდან მოყოლებული მხოლოდ 1950 წლამდე დაიწია: შვეციაში—25,6 წლიდან 23,8 წლამდე, ნორვეგიაში — 25,8-დან 23,5-მდე, დანიაში — 24,9-დან 21,2 წლამდე. ანალოგიურია მდგომარეობა საფრანგეთს, პორტუგალიას, ნიდერლანდებს, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. იმავე ხანებში სსრკ პირიქით მოხდა, რასაც საბჭოთა დემოგრაფები უკავშირებენ სწავლის ვადების გაგრძელებას, ქალთა მისწრაფებას მიიღონ უმაღლესი განათლება და სხვ.

რუსეთის იმპერიაში შემავალ რევოლუციამდე საქართველოშიც ვაჟის საქორწინო სრულასაკოვნობა იწყებოდა 15 წლიდან, ხოლო ქალისა — 13 წლიდან. საბჭოთა რუსეთში 1917 წლის დეკემბერს მიღებული სამოქალაქო ქორწინების დეკრეტს ეს მდგომარეობა არსებითად არ შეუცვლია¹¹⁶.

საბჭოთა საქართველოში საქორწინო სრულწლოვანების დასაწყის ასაკად იმთავითვე დაწესდა: ქალისთვის — 15 წელი, ხოლო ვაჟისთვის — 17 წელი; შემდეგში საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსით დადგინდა, შესაბამისად, 16 და 18 წელი. მერმე ჩვენი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1956 წ. მიღებული დადგენილებით საქორწინო სრულასაკოვნობა, საერთოდ, ორივე სქესისთვის იწყება 18 წლიდან¹¹⁷.

ჩვენი მკითხველი ახლა უკვე იმასაც შეამჩნევს, რომ ზემოთ მოყვანილ ოფიციალურ სტატისტიკაში, სადაც საბჭოთა რესპუბლიკებში 16—19 წლის ასაკში გათხოვილ ქალთა რაოდენობრივი შეფარდებებია წარმოდგენილი, იქ 1959 და მერმინდელი წლების მონაცემებში ქართველი ქალები, როგორც წესი, მხოლოდ 18—19 წლის ასაკისანი აღირიცხებოდნენ.

ამგვარად, ამჟამად მომქმედი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსით“ „სა-

¹¹⁶ А. Харчев, Брак и семья в СССР, М., 1964.

¹¹⁷ ი. ფუტყარაძე, საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრივი განვითარება, თბ., 1969, გვ. 110—114.

ქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი¹¹⁸ და მხოლოდ „გამონაკლის შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეუძლიათ შეამცირონ“ იგი — არა უმეტეს ერთი წლით.

ზემოთ განხილული ფაქტები, მე ვფიქრობ, შესაძლებლობას იძლევა მსჯელობის საგანი გახდეს ჩვენი რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის მეთხუთმეტე მუხლის შინაარსი.

საერთოდ თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი აქსელერაციის მოვლენები, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში განხორციელებული დიდი კულტურულ-ეკონომიკური მიღწევები, ამასთანავე, ის გარემოება, რომ, მაგალითად, უკრაინის სსრ ამჟამად (1970 წლიდან) ქალის საქორწინო ასაკია 17 წ. და თვით ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრკ კანონმდებლობით (დამტკ. 1968 წ.), მართალია, საქორწინო ასაკია 18 წ., მაგრამ დაშვებულია მოკავშირე რესპუბლიკებში მისი 1—2 წლით დაწევა (მუხ. 10)¹¹⁹, მე ვფიქრობ, სრულ საფუძველს გვაძლევს და სავსებითაც დროულია, რომ საქართველოში ქალის საქორწინო (საპატარძლო) ასაკში შესვლის დასაწყისად კანონით დადგინდეს 16 წლის შესრულება.

ამ აუცილებელი ცვლილების ისტორიული, სოციალური და ლოგიკური გამართლება ისაა, რომ სწორედ ამ ასაკიდან იწყება ფიზიოლოგიურად სავსებით მომწიფებული ქალის ყველაზე უფრო ფერტილური წლები; — დროული გათხოვება თავისთავადაც აძლიერებს და აგრძელებს ბავშვთაშობის შესაძლებელ პერიოდს. უკანასკნელ ხანებში ჩატარებული რიგი გამოკვლევის თანახმად ქორწინების პირველსავე წელს დაორსულების შანსი 20 წლამდელი ასაკის ქალებისა უდრის 50%, 25—29 წლის ქალებისა — 25%, ხოლო 40—45 წლის ქალებისა კი მხოლოდ 7 პროცენტს.

შემდეგ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქორწინებას მოსდევს (აუცილებლად უნდა მოსდევდეს!) წყვილის საზოგადოებრივი პრესტიჟის ამაღლება, ნორმალური და რეგულარული სქესობრივი კავშირი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ჯანმრთელობის, სოციალური ჰიგიენის თვალსაზრისით; — ქორწინება საშუალებას იძლევა ცხოვრებაში (ოჯახში) ადამიანმა ისარგებლოს

¹¹⁸ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი, 1971, თბ., გვ. 13, მუხ. 15.

¹¹⁹ Основы законодательства СССР и союзных республик, 1971, М.; Кодекс о браке и семье Украинской ССР, 1970, Киев, стр. 12, ст. 16.

შრომის სქესობრივი დანაწილების უპირატესობებით: — იგი აუცილებელი ნორმალური პირობაა შვილების გაჩენისა და, მაშასადამე, თვით ნორმალური, ნამდვილი ოჯახის შექმნისა.

მაგრამ არის კიდევ ერთი მომენტი. საქართველოში, მაგალითად, ანალოგიურ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში მყოფ აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით, მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების (მატების) ტემპი მნიშვნელოვნად დაბალია. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ გარემოების ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ საქართველოში ქალის დაქორწინების კანონით დადგენილი მინიმალური ასაკია 18 წელი და, მაშასადამე, აკრძალულია და 'შეზღუდულია' რა 16 და 17 წლის ქალთა გათხოვება, მითვე ორი წლით დაზუთულია ამ უაღრესად ფერტილური ასაკის ადამიანთა პოტენცია მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებაში.

ჩვენს სინამდვილეში კანონი მოწოდებულია მოსახლეობის, ნაციის კეთილდღეობისა და ნათელი მომავლის იმედებს განამტკიცებდეს...

IX

მოსახლეობის ბუნებრივი მატების კრიტერიუმში

მოსახლეობის აღწარმოების, ე. ი. ბუნებრივი მატების მთავარი წყაროა შობადობა. შობადობის ინტენსივობას კი საერთოდ განსაზღვრავს ფერტილური ასაკის ქალთა საერთო რაოდენობაში გათხოვილთა ხვედრიწონა; ხოლო ამ უკანასკნელთა შორის ბავშვთაშობის სიხშირე დამოკიდებულია შიგაოჯახური გეგმიანობის, სოციალური პიგიენისა და საერთოდ მთელ რიგ საზოგადოებრივ მოვლენაზე.

ამერიკელ ქალთა ფერტილობის შესახებ პროფ. პ. უელპტონის (Whelpton) გამოკვლევის მეოხებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შობადობის შესწავლაში გავრცელდა ახალი, ე. წ. კოპორტის მეთოდი, როდესაც დაკვირვების ობიექტი ხდება ერთდროულად კონკრეტული ერთობლიობის, ე. ი. ერთსადამიჯვე წელს დაბადებული ანდა ქორწინებაში თანაბარი პერიოდის მანძილზე მყოფი ქალები. ამისთვის მიმართავენ მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემთა, ანდა განვლილ პერიოდში დაბადების რაოდენობისა და ყოველი დაბადების თარიღის შესახებ ქალთა გამოკითხვით მოპოებული მასალის ანალიზს.

ანამნესტიკური რეტროსპექტული გამოკვლევის გზით ანალოგიური სამუშაო სსრკ შეასრულა რ. ი. სიფმანმა¹²¹, რომელმაც თითქმის 44 ათასი ქალის მიერ შევსებული გამოკითხვის ანკეტა შეისწავლა, როგორც კალენდარული პერიოდების, ასევე თაობების მიხედვით.

ცხადია, ფერტილობის შესახებ მონაცემთა ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა დანაწილებას, იმის მიხედვით, რომელ-

¹²¹ Р. И. С и ф м а н , Динамика плодовитости когорт женщин в СССР, 1970.

თაც: 1. ქონდა მშობიარობა და — 2. არ უშვიათ არც ერთი ბავშვი. ინფერტილობა, რა მიზეზითაც იგი არ უნდა იყოს გამოწვეული, უარყოფითი მოვლენაა როგორც მოსახლეობის აღწარმოების, ისე თვით ქალის ცხოვრებისათვის. ინფერტილობის სიხშირეს აძლიერებს დაგვიანებული ქორწინება. 25 წლის ასაკის შემდეგ გათხოვილ ქალთა საშუალო ინფერტილობა უფრო ადრე დაქორწინებულებთან შედარებით დაახლოებით ორ-სამჯერ მეტია.

დემოგრაფები ანსხვავებენ ინფერტილური ქორწინების სამ ტიპს: 1. ფიზიოლოგიურად სტერილურ ქორწინებას, როდესაც წყვილს ცოლქმრობის განმავლობაში, მიუხედავად საკუთარი ნება-სურვილისა, არ შეუძლია იყოლიოს ბავშვი; 2. ინფერტილურ ქორწინებას, როდესაც ცოლქმარი, ამათუ იმ მიზეზით, შეგნებულად არ იჩენს შვილებს და 3. ქორწინებას, როდესაც წყვილს ფიზიოლოგიურად შეუძლია იყოლიოს ბავშვი, მაგრამ გადაწყვეტილი აქვს გარკვეული ვადის გასვლამდე (ბინის მიღებამდე, სწავლის დამთავრებამდე, შემოსავლის—ხელფასის გადიდებამდე და სხვ.) არ გაიჩინოს შვილი. ისეც ხდება, რომ ხორციელდება მოლოდინი, მაგრამ... ამ დროისათვის აბორტებისა და სხვა მიზეზით უკვე მათ არ შეუძლიათ შვილების გაჩენა... საერთოდ ინფერტილობის საკითხები უფრო სოციალური ჰიგიენის პრობლემაა, ვინემ დემოგრაფიისა.

სხვადასხვა ასაკის ქალისათვის ბავშვთაშობის (ორსულობის) სიხშირე სხვადასხვაა და სწორედ ამის გამოა, რომ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა არსებით გავლენას ახდენს შობადობის საერთო კოეფიციენტის დონეზე.

ამასთანავე როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ხალხების დემოგრაფიულმა (პოპულაციურმა) შესწავლამ ცხადყო, რომ ფერტილობის პოტენციური (ფიზიოლოგიური) უნარიანობა სხვადასხვა ხალხისა (რასისა) თითქმის ერთნაირია.

მაგრამ რეალურ სინამდვილეში, რამდენადაც სხვადასხვა ხალხის (ნაციის) ყოფაცხოვრებითი კულტურა — ტრადიცია, ზნე-ჩვეულება და სხვ., — სხვადასხვანაირია, ცხადია, სხვადასხვანაირია ის ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენენ ოჯახის როგორც სოციალური ორგანიზმის ფორმირებაზე და, მაშასადამე, შობადობის ინტენსივობასა და საერთოდ მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების ტემპებზე.

ყოფაცხოვრებითი, მორალური, ეთიკური ფაქტორები ოჯახის, ქორწინების სიმტკიცესა და თვით ფერტილობის დონეზე მოქმედებენ არაპირდაპირი სახით, — შეგნების, ცნობიერების გზით, სუბიექტური მოვლენის სახით, — რის გამოც გავლენის რამდენადმე

ჭესტი გაზომვა და, მაშასადამე, ელიმინაცია არსებითად შე-
უძლებელია.

დასავლეთის ქვეყნებში მოქმედებენ ქორწინების ბიუროები.
ესენი ამჟამად თავიანთ საქმიანობაში (მაჰანკლობაში) იყენებენ
კომპიუტერებს. მაგალითად, ინგლისში მსურველი იხდის 5 გირ.
სტერლინგს და საკუთარი პერსონის შესახებ (გარეგნობის, ხასია-
თის, ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების, ინტერესებისა და
სხვ.) დაწვრილებითი ცნობებით ავსებს ბარათს, რასაც ელექტრო-
ნის გამომთვლელი მანქანა უპირისპირებს ათეულათასობით შესაძ-
ლებელი კანდიდატის შესაბამის მონაცემებს. ასე ეძებენ სწორ-
ფერს. საცოლეს, საქმროს.

ბევრ ხალხში მტკიცედ იყო გავრცელებული შეხედულება
მრავალშვილიანობის და, მაშასადამე, საბოლოოდ, მრავალშვილ-
იანი ოჯახის უპირატესობის შესახებ. შვილების, განსაკუთრებით
ბიჭების (ზოგიერთ ხალხში კიდევ გოგონების) შეძენა დიდ ბედნიე-
რებად ითვლებოდა. ინფერტილობა დაგმოვილი იყო და ასეთ შემთხ-
ვევაში ცოლთან გაყრა, ანდა პოლიგამიური კავშირი, ქმარს არ ეძ-
რახებოდა ხოლმე. მრავალშვილიანობისადმი მისწრაფებას, რო-
გორც ჩანს, ხელს უწყობდა აგრეთვე ბავშვთა დიდი სიკვდილიანო-
ბა... რასაც მრავალთა შორის რამოდენიმე მაინც ხომ გადაურჩე-
ბოდა...

ამასთანავე წყვილის შეხედულება ოჯახისა და შვილიანობის
შესახებ ყალიბდება არა მხოლოდ ფერტილური ასაკის პერიოდ-
ში და წარმოადგენს არა მხოლოდ მოცემული თაობის შეხედულე-
ბათა კომპლექსს, არამედ ხშირად და დიდი ზომით შეიცავს წინა-
თაობათა გამოცდილებისა და ტრადიციების დანაშრევებსაც. რა
თქმა უნდა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეჟიმი, ოჯახისა
და თვით ერის ცხოვრებაში მიმდინარე საზოგადოებრივი და პოლი-
ტიკური ძვრები და მომავლის პერსპექტივების სიტუაცია მნიშვნე-
ლოვან გავლენას ახდენენ მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლე-
ბის ტემპზე.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, „კუმულაციური ფერ-
ტილობა თურქმენი ქალებისა თითქმის 4-ჯერ მეტია, ვინემ ლატვი-
ელი, ესტონელი და ქართველი ქალებისა“ — როგორც ეს საკი-
თხის სპეციალური შესწავლის გზით დაადგინა გ. ბონდარსკაიამ¹²².

¹²² Г. Бондарская, Роль этнического фактора в формировании
территориальных различий рождаемости, 1970.

ამ ასპექტში საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპი მნიშვნელოვნად მეტია, ვინემ თვით ქართველებისა.

მოსახლეობის აღწერის მონაცემთა მიხედვით 20—49 წლის ასაკში მყოფ 1000 ქალზე მოდიოდა 0—9 წლის ასაკის ბავშვი:

	1926 წ.	1959 წ.
საქართველოს სსრ	1483	905
აზერბაიჯანის სსრ	1780	1710
სომხეთის სსრ	1575	1240

როგორც ჩანს, აღებულ პერიოდში, ცალკეულ ნაციათა და ერთა შორის „ფერტილობრივი განსხვავებულობა არამცთუ არ შემცირდა, არამედ რამდენადმე გადიდდა კიდევაც; ამასთანავე მკვეთრად გამოეყო ნაციათა ორი ჯგუფი: ფერტილობის დაბალი დონით ლატვიელები, ესტონელები, ქართველები, უკრაინელები, რუსები და მაღალი დონით — შუა აზიის ერები, ყაზახები, აზერბაიჯანელები“¹²³.

მოსახლეობის გამრავლების ტემპზე შესამჩნევ გავლენას ახდენს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქალთა და ვაჟთა ზვედრიწონა. როგორც წესი, რაც უფრო მეტია 1000 ქალზე ვაჟთა რაოდენობა მით უფრო მაღალია შობადობა და, მაშასადამე, მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპი. სწორედ ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ქვემოთ მოყვანილი მონაცემები (იხ. ცხრილი 9, გვ. 109).

ის რესპუბლიკები, სახელდობრ, უზბეკეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი და თურქმენეთი, სადაც 1000 ქალზე 1939 წელს ათასზე მეტი, ხოლო 1959 და 1970 წლებში ცხრაასზე მეტი ვაჟი მოდის, როგორც წესი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი ტემპებით ხასიათდებიან.

მოსახლეობის 1926 წ. აღწერის მონაცემებით ქალთა შვილიერების მაჩვენებლები ამიერკავკასიაში შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს (ცხრილი 10, იხ. გვ. 110).

¹²³ Сб. Вопросы этнографии, 1970, стр. 170; Сб. Факторы рождаемости, 1971, стр. 59.

ამ ცხრილში (11, გვ. 110) შეილიერების მაჩვენებელთა შემავსებელ მონაცემებს წარმოადგენს იმავე 1926 წ. აღწერის მიხედვით შედგენილი ცნობა იმის შესახებ, თუ 1000 ქალზე რამდენი იყო გათხოვილი 16—19 წლის და 16—49 წლის ასაკში¹²⁴.

ცხრილი 9

რესპუბლიკების დასახელება	ათას ქალზე მოდიოდა ვაჟი		
	1939 წ.	1959 წ.	1970 წ.
სსრ კავშირი	921	819	855
რსფსრ	892	805	838
უკრაინის სსრ	917	797	825
ბელორუსიის	939	800	851
უზბეკეთის	1070	923	948
ყაზახეთის	1081	904	929
საქართველოს	994	858	887
აზერბაიჯანის	1051	905	943
ლიტვის	922	849	884
მოლდავეთის	981	860	872
ლატვიის	887	783	842
ყირგიზეთის	1036	893	915
ტაჯიკეთის	1076	950	968
სომხეთის	1023	915	955
თურქმენეთის	1064	929	970
ესტონეთის	869	782	843

მოყავთ რა ეს მონაცემები გ. ბონდარსკაია და ვ. კოზლოვი აღნიშნავენ, რომ ამიერკავკასიაში „ფერტილობის ყველაზე დაბალი დონით მუდამ გამოირჩეოდნენ ქართველი ქალები. მაშასადამე, ჯერ კიდევ იმ დროსაც მრავალშვილიანობის ტრადიცია ქართველთა შორის დასუსტებული იყო“; — რომ „ყველაზე ადრეული ასაკიდან ყველაზე მაღალი ფერტილობით გამოირჩევიან აზერბაიჯანელი ქალები, რამდენადმე დაბალია ფერტილობა ყველა ასაკის სომხის ქალებისა და ფერტილობის ყველაზე დაბალი დონით განირჩევიან ქართველი ქალები“¹²⁵.

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სომხისა და აზერბაიჯანელი ქალები საქართველოს სოფლებში განირჩევიან უფ-

¹²⁴ Факторы рождаемости, Сб. статей, М., 1971; Проблемы демографической статистики, 1969.

¹²⁵ Г. Бондарская, В. Козлов, Национальный состав населения как фактор дифференциации рождаемости, 1971, стр. 70—71.

რო მაღალი ფერტილობით, ვინემ თვით აზერბაიჯანსა და სომხეთის სოფლებში, რომ არა ვსთქვათ რა იმის თაობაზე, რომ ისინი

ცხრილი 10

რესპუბლიკა	ეროვნება	16—49 წლის ასაკის 1000 ქალზე 0—4 წლის ასაკის ბავშვთა ოცივეი შედგება		
		მთელი მოსახლეობა	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
აზერბაიჯანის სსრ	საშუალოდ	776	535	892
	აზერბაიჯანელი ქალები	876	747	903
	სომეხი ქალები . . .	766	610	871
	რუსი ქალები . . .	388	338	656
სომხეთის სსრ	საშუალოდ	840	615	896
	სომეხი ქალები . . .	838	622	897
	აზერბაიჯანელი ქალები	866	684	881
	რუსი ქალები . . .	713	415	822
საქართველოს სსრ	საშუალოდ	637	404	722
	ქართველი ქალები .	618	392	672
	სომეხი ქალები . . .	687	507	902
	აზერბაიჯანელი ქალები	937	671	952

1000 ქალზე გათხოვილი იყო (ცხრ. 11):

ცხრილი 11

რესპუბლიკების დასახელება	16—19 წლის ასაკში	16—49 წლის ასაკში
	შეკიდრი (აღვილობივი) ეროვნებისა	შეკიდრი (აღვილობივი) ეროვნებისა
აზერბაიჯანის სსრ	468	823
სომხეთის სსრ	474	770
საქართველოს სსრ	236	673

მოცემული ასაკის 1000 ქალიდან გათხოვილი იყო

ეროვნებათა დასახელება	16—19 წლის ასაკის		20—29 წლის ასაკის	
	1959 წელს	1970 წელს	1959 წელს	1970 წელს
საქართველოს სსრ				
ქართველი	96	107	587	693
სომეხი	128	116	660	700
აზერბაიჯანელი	283	172	802	810
აჭარის ასსრ				
ქართველი	118	152	638	717
სომეხი	113	90	646	659

ყველგან და საერთოდ, ასევე ყოველთვის ბევრად უფრო მაღალი ფერტილობით განირჩევიან, ვინემ საერთოდ ქართველი ქალები.

ცხრილი 12 თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საქართველოში ერთნაირ წარმოებრივ (საზოგადოებრივ) ურთიერთობათა პირობებში და თანაბარ კულტურულ-ეკონომიკური ყოფიერების ვითარებაში ამიერკავკასიის სამი მთავარი ადგილობრივი ნაციის ხალხს მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპის განმსაზღვრელი საფეხებით განსხვავებული მაჩვენებლები ახასიათებს.

როგორც 16—19 წლის ასაკის, ასევე 20—29 წლის ასაკის (რაც გარკვეულ გარემოებათა გამო ბევრად უფრო მნიშვნელოვანია) ქალთა გათხოვების რაოდენობრივი მაჩვენებლებით ქართველები თვით საქართველოში შესამჩნევად და დიდად ჩამორჩებიან დასახელებული ორი სხვა ნაციის შესაბამის მაჩვენებლებს.

მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აჭარის ასსრ, სადაც ქართველური მოსახლეობა მთელი მოსახლეობის (310 ათასი) 76 პროცენტზე მეტს შეადგენს, დაკვირვების ობიექტად აღებული ასაკის ქალთა გათხოვების მაჩვენებლები მთელი საქართველოს სსრ შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სახელდობრ, აჭარაში ფერტილური ასაკის ქალთა დროული გათხოვება უფრო ნორმალურია და, მაშასადამე, უფრო ინტენსიურიც, ე. ი. ქართველური მოსახლეობის გამრავლე-

ბის ტემპი აქ არაქართველური მოსახლეობის გამრავლების ტემპზე უფრო მაღალია.

საკითხავია, რით უნდა აიხსნებოდეს ეს გარემოება? — ჩვენ ვფიქრობთ აქ დიდ და, იქნებ, გადამწყვეტ როლს თამაშობს კონსენსუალური ოჯახი, რაც ადგილობრივ პირობებში მუსლიმანობის ტრადიციების გადმონაშთების მეოხებითაა შემონახული. საერთოდაც, მთელ მსოფლიოში, შემჩნეულია კონსენსუალური, კერძოდ მუსლიმანური ოჯახის თავისებური როლი გამრავლების შედარებით მაღალი ტემპის გამოვლინებაში.

როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური პირობების შესწავლის გზით მიღებული მონაცემები მეტყველებენ, რომ ფერტილური ასაკის ქალთა ადრე, ე. ი. დროული ქორწინება, როგორც წესი, იძლევა ბავშვთაშობის მეტ სიხშირეს, მრავალშვილიან ოჯახებს. დადგენილია, რომ ყველაზე ფერტილურია 16—19 წლის ასაკის ქალი.

1000 ქალიდან ნაჩვენები ასაკის გათხოვილ ქალთა რაოდენობა უდრიდა (ცხრილი 13)¹²⁷:

ცხრილი 13

რესპუბლიკების დასახელება	1939 წელს		1959 წელს	
	16—17 წლის	18—19 წლის	16—17 წლის	18—19 წლის
აზერბაიჯანის სსრ .	223	620	96	326
სომხეთის სსრ . . .	342	711	79	253
საქართველოს სსრ .	144	398	47	175

ეს მონაცემები აშკარად მეტყველებენ, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებში 16—19 წლის ასაკის ქალთა გათხოვების სიხშირე ბევრად უფრო დიდია, ვინემ საქართველოში. ეს შეეხება ამ რესპუბლიკების მთელ მოსახლეობას ერთად აღებული. ამასთანავე, როგორც ვიცით, სომხეთსა და აზერბაიჯანში სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ხვედრიწონა (88,6% და 73,8%) შესამჩნევად უფრო მაღალია, ვინემ ქართველთა (66,8%) — საქართველოში.

¹²⁷ Итоги Всесоюзной переписи населения 1959 года, 1963: Азербайджанская ССР, стр. 31; — Армянская ССР, стр. 19; — Грузинская ССР, стр. 27.

ახლა ვნახოთ როგორია ამ რესპუბლიკებში თვით ძირითადი ავტოქტონური მოსახლეობის შიგნით ეს შეფარდება.

1000 ქალიდან 16—19 წლის ასაკში გათხოვილი იყო:

საქართველოს სსრ (ქართველი)	107
სომხეთის სსრ (სომეხი)	166
აზერბაიჯანის სსრ (აზერბაიჯანელი)	272

დაკვირვებული მკითხველი, რომელიც ყურადღებით გაეცნო ზემომოყვანილ მასალებს, უკვე აღვილად შეამჩნევს ერთ ფრიად მნიშვნელოვან ტენდენციას. საქმე ისაა, რომ დაახლოებით თანაბარ ეკონომიკურ პირობებში სხვადასხვა ერებში გამრავლების სხვადასხვანაირი, ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული ტემპი, როგორც ჩანს, შეესაბამება ფერტილური და განსაკუთრებით ყველაზე ფერტილური ასაკის ქალებისათვის სიხშირეს, ე. ი. კონსენსუალური ქორწინების, ასე თუ ისე, დაცულობას (შენარჩუნებას). იქ სადაც ფერტილური ასაკის ქალები ადრე თხოვდებიან ქორწინება ბევრად უფრო ნაყოფიერია და შვილთაშობის სიხშირე ბევრად უფრო მეტია, ვინემ იმ ნაციათა შორის, სადაც ფერტილური და, ვიმეორებთ, განსაკუთრებით ყველაზე ფერტილური (16—19 წწ.) ასაკის ქალების გათხოვების სიხშირე ძალზე შენელებულია.

ამას ნათლად ადასტურებს ამ ნაციათა გამრავლების, ე. ი. სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკაში მოსახლეობის მატების ტემპთა უბრალო შედარება.

1939 წელთან შედარებით, 1970 წელს მოსახლეობა მეტი იყო. პროცენტობით:

საქართველოს სსრ	32,4
აზერბაიჯანის სსრ	59,7
სომხეთის სსრ	94,4

როგორც ვიცით, აღებულ პერიოდში, სომხეთის სსრ მოსახლეობის დინამიკაზე გარდა ბუნებრივი მატებისა დიდი გავლენა მოახდინა მექანიკურმა ძვრებმა (მასობრივმა რეპატრიაციამ!), მაგრამ თუ ამ რესპუბლიკების მხოლოდ ადგილობრივ ავტოქტონურ ეროვნებათა მოსახლეობის აღწარმოების დინამიკას ერთმანეთს შევადარებთ, იგი ჩვენი ზემომოყვანილი დასკვნის კიდევ უფრო ნათელ დადასტურებას წარმოგვიდგენს.

1939 წელთან შედარებით 1970 წელს ძირითადი ავტორთა რიგის მოსახლეობა მეტი იყო პროცენტობით:

საქართველოს სსრ	.	.	.	.	20,4
სომხეთის სსრ	.	.	.	.	40,3
აზერბაიჯანის სსრ	.	.	.	.	51,4

როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტია. მით უფრო, თუ მკითხველები გაიხსენებენ ავტორის თხოვნას, რომ უადგილობის გამო სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი თვითონვე მათთვის უნდა იკისროს.

მოსახლეობის გამრავლების შესახებ ამ დასკვნებს ახლო მომავალში შესაძლებელია რამდენადმე სხვა ხასიათი მიეცეს. 1970 წლის აღწერის მონაცემებით, სულ უკანასკნელ წლებში საქართველოში იმატა 16—19 წლის და 20—24 წლის ასაკის ქალთა გათხოვების სიხშირემ.

1970 წ. აღწერით, 1000 ქალიდან 16—24 წლის ასაკში გათხოვილი იყო:

16—17 წწ. 18—19 წწ. 20—24 წწ.

აზერბაიჯანის სსრ	68	269	589
საქართველოს სსრ	59	236	536
სომხეთის სსრ	72	268	598

ახლა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპზე ამ მოვლენას, თუ მან მტკიცე ტენდენციის ხასიათი მიიღო, თავისი დადებითი გავლენა მალე შეუძლია გამოავლინოს. საქმე ისაა, რომ 16—19 წლის და საერთოდ ახალგაზრდა ასაკში ქალთა გათხოვების სიხშირე უშუალო კავშირშია შობადობის, საერთოდ შვილიერების ზრდასთან.

საერთოდ სსრ კავშირის რესპუბლიკების ასპექტში ამ მოვლენებზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთმოყვანილი ცხრილი, სადაც ასაკობრივად და სქესობრივადც უფრო ვრცელი მაჩვენებლებია წარმოდგენილი კერძოდ საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებაც (იხ. ცხრილი 14, გვ. 115).

* * *

ოჯახში ბავშვთა რაოდენობის თაობაზე 1969—1972 წწ. თბილისის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის III და

შთიშვნილი სქესის და ასაკის 1000 სულზე დაქორწინებული იყო:

დაქორწინების ფასიანება		1959 წ.		1970 წ.	
		ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ასაკი—წწ.					
მსრ დაქორწინებული	16—17	29	5	26	4
	18—19	171	41	186	39
	20—24	501	274	559	289
	25—29	759	800	827	772
	35—39	725	953	839	933
რ ს წ ს რ	16—17	24	4	20	4
	18—19	143	38	159	40
	20—24	479	269	536	297
	25—29	752	802	819	771
	35—39	711	953	834	926
უკრაინის სსრ	16—17	32	4	28	4
	18—19	148	36	187	35
	20—24	474	264	569	284
	25—29	740	813	825	788
	35—39	710	960	780	955
უზბეკეთის სსრ	16—17	40	17	47	8
	18—19	406	88	342	51
	20—24	727	355	714	315
	25—29	882	821	905	806
	35—39	893	956	851	950
საბარბე. სსრ	16—17	47	10	59	11
	18—19	175	35	236	40
	20—24	479	216	536	212
	25—29	738	692	773	655
	35—39	746	936	816	951
აზერბაიჯ. სსრ	16—17	96	13	68	5
	18—19	326	50	269	25
	20—24	637	290	589	176
	25—29	822	767	837	668
	35—39	784	957	867	949
სომხეთის სსრ	16—17	79	9	72	8
	18—19	253	33	238	27
	20—24	580	265	598	212
	25—29	803	801	833	743
	35—39	795	966	840	966

IV კურსის სტუდენტთა რამდენიმე ჯგუფის, 3000-მდე კაცის, ანკეტური გამოკითხვის შედეგები ასეთ სურათს იძლევა:

ოჯახისათვის იდეალურად მიაჩნია გამოკითხულთა:

7,1 პროცენტს	.	.	.	.	.	2 ბავშვი
34,2	"	.	.	.	.	3 "
49,4	"	.	.	.	.	4 "
9,3	"	.	.	.	.	5 და მეტი ბავშვი.

გამოკითხულთაგან მათთვის პირადად ახლა არსებულ პირობებში:

33,2 პროცენტს სულ არ უნდა ბავშვის გაჩენა

28,9	"	სურს 1	ბავშვის გაჩენა
22,9	"	" 2	" "
15,0	"	" 3	" "

მაგრამ, როდესაც „კარგი ბინა და ხელფასი (შემოსავალი)“, ექნებათ, მაშინ გამოკითხულთა:

0,2 პროცენტი აპირებს 1 ბავშვის გაჩენას

12,5	"	" 2	" "
29,8	"	" 3	" "
41,3	"	" 4	" "
16,2	"	" 5 და მეტი ბავშვის გაჩენას.	

მრავალ (სამზე მეტი) შვილიანი ოჯახის საზოგადოებრივი შეფასება ამავე ანკეტური ინტერვიუს მონაცემთა მიხედვით ასეთია. მრავალშვილიანი ოჯახი გამოკითხულთა:

7,4 პროცენტის აზრით — საჭირო (მოდაში) არაა

30,3	"	" — სასურველია
33,5	"	" — კარგია
28,8	"	" — ფრიად კარგია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლებლებმა, უმაღლესმა და საშუალომ, ბევრი რამ უნდა გააკეთონ ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცებისა და საერთოდ პრესტიჟის ამაღლებისათვის. საქმე ისაა, რომ საქართველოს სსრ სოფლის რაიონების საშუალო სკოლების IX, X, XI კლასების 10.000-მდე მოსწავლეთა უდიდეს უმრავლესობას (65%) მიაჩნია, რომ ოჯახის შექმნისათვის ისინი კიდევ დიდ

ხანს მზად არ იქნებიან. რა თქმა უნდა, ამ მოვლენას თავისი ღრმა საფუძველი გააჩნია, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.



როგორც ითქვა, მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი წყარო შობადობაა... ბავშვთაშობის სიხშირე მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო ნაგვიანებია ფერტილური ასაკის ქალთა ქორწინება.

ბავშვთაშობის კოეფიციენტის გაძლიერების შედეგად მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი მოასწავებს მოსახლეობის მთელ მასაში მუშა ასაკის ახალგაზრდობის ხვედრიწონის ზრდას. ახალგაზრდობა ქმნის საერთოდ მუშაძალის ყველაზე აქტიურ ელემენტს, რომელიც ძველ კადრებზე უფრო ადვილად ეგუება ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობათა გაშლას, ახალი დარგის საწარმოთა პროფესიებს და საერთოდ პროფესიულ ორიენტაციას. მოსახლეობაში ამ ასაკის მაღალი ხვედრიწონა ამასთანავე ნიშნავს მოსწავლეთა და საერთოდ კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ მისწრაფებულთა ხვედრიწონის გადიდებას და, მამასადამე, ახალი ცოდნის, ახალ ფასეულობათა და ახალ ადამიანთა პრესტიჟის ამაღლებას.

— ეს იმასაც ნიშნავს, რომ უშუალო მწარმოებელთა ხვედრიწონის გადიდებით, იზრდება ახლადშექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე და, მამასადამე, მიიღწევა ნაციონალური სიმდიდრის დიდი ეკონომია. ყრმათა და ბავშვთა რაც უფრო დიდი ნაწილი მიაღწევს და რაც უფრო დიდხანს იმოქმედებს სამუშაო ასაკში, მით უფრო სწრაფად იქნება ანაზღაურებული ბავშვთა (ახალი თაობის) აღზრდისა და განათლებისათვის გაწეული დანახარჯები და მით უფრო მეტი იქნება ნაციონალური სიმდიდრის დაგროვებაში ამ თაობის წილი, მით უფრო სწრაფი იქნება კულტურულ-ეკონომიკური პროგრესი.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელ ათეულ წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი საერთოდაც დაეცა. ასე, მაგალითად, სსრ კავშირში მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით ბუნებრივი მატება შეადგენდა¹²⁸ (მონაც. იხ. 118 გვ.).

მოყვანილი მონაცემები მეტყველებენ, რომ მოსახლეობას ბუნებრივი მატების ტემპი დაეცა განსაკუთრებით რუსეთის სფსრ,

¹²⁸ ЦСУ СССР. Народное хозяйство СССР 1922—1972. Юбилейный статистический ежегодник, 1972, стр. 42—43.

ბადაც მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით იგი 1950 წელს შეადგენდა 16,8, ხოლო 1971 წ. — 6,4; ასევე დაეცა ეს ტემპი საბჭოთა უკრაინაში, შესაბამისად, 14,3-დან 6,5-მდე; ბელორუსიაში — 17,5-დან 8,9-მდე და ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკებში. მოსახლეობის აღწარმოების შედარებით მაღალი ტემპები შეინარჩუნეს შუააზიისა და ზოგიერთმა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმა, რის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

რესპუბლიკები	1950 წ.	1960 წ.	1971 წ.
სსრ კავშირში	17,0	17,8	9,6
რ ს ფ ს რ	16,8	15,8	6,4
უკრაინის სსრ	14,3	13,6	6,5
ბელორუსიის სსრ	17,5	17,8	8,9
უზბეკეთის სსრ	22,1	33,8	29,1
ყაზახეთის სსრ	25,9	30,6	17,8
საქართველოს სსრ	15,9	18,2	11,6
აზერბაიჯანის სსრ	21,6	35,9	21,2
ლიტვის სსრ	11,6	14,7	9,1
მოლდავეთის სსრ	27,7	22,9	12,5
ლატვიის სსრ	4,6	6,7	3,7
ყირგიზეთის სსრ	23,9	30,8	24,6
ტაჯიკეთის სსრ	22,2	28,4	31,1
სომხეთის სსრ	23,6	33,3	17,7
თურქმენეთის სსრ	28,0	35,9	28,0
ესტონეთის სსრ	4,0	6,1	5,1

მოსახლეობის აღწარმოების, საერთოდ ხალხთმოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის (შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების) ერთობლივ პროცესს უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე წარმოგვიდგენს ქვემოთმოყვანილი ცხრილი — 15 (იხ. გვ. 120 — 121).

ეს ცხრილი ნათლად ასახავს, ერთი მხრით, შობადობისა და, მეორე მხრით, მოკვდაობის არსებულ თანაფარდობას. აღებულ პერიოდში ორსავე დემოგრაფიულ პროცესს ახასიათებს თანდათან დაცემა. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საბოლოოდ მოკვდაობა უფრო მეტად კლებულობს, ვინემ შობადობა, რაც წარმოგვიდგება როგორც ეპოქის ნიშანდობლივი თავისებურება. ამ ცხრილის დეტალური ანალიზისაგან, სამწუხაროდ, უადგილობისა გამო, თავს ვაკავებთ, თუმცა დაკვირვებული ადამიანი თვითონაც მნიშვნელოვან ცნობებს ამოიკითხავს მიმდინარე უაღრესად რთული და დიდმნიშვნელოვანი დემოგრაფიული პროცესების შესახებ, რასაც აქ

წარმოდგენილი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები¹²⁹

მკვლევარისათვის, ცხადია, ქართველური მოსახლეობის გამ-
რავლების ტემპის რიგი საკითხის განხილვა გაადვილებული იქნება,
როდესაც მთლიანად გამოქვეყნდება 1970 წ. 15 იანვარს ჩატარე-
ბული სსრკ მოსახლეობის აღწერის შესაბამისი დეტალური მონა-
ცემები. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ბუნებ-
რივი მოძრაობის მიმდინარე რეგისტრაცია არ იძლევა საკითხის,
სახელდობრ შობადობის ყოველმხრივი შესწავლისათვის საჭირო
სრულ ინფორმაციას, რის გამოც აუცილებელია სპეციალური დე-
მოგრაფიული, სოციოლოგიური, ეთნოგრაფიული გამოკვლევების
ჩატარება¹²⁹.

მოსახლეობის დინამიკაში გარკვეულ წოგჯერ დიდმნიშვნე-
ლოვან) როლს თამაშობს მიგრაცია. მიგრირებულ მოსახლეობას
საბჭოთა დემოგრაფია მიაკუთვნებს იმ პირობით, რომლებიც მუდმივ-
საცხოვრებელ ადგილზე უწყვეტლად ცხოვრობენ ორ წელიწადზე
ნაკლები დროის განმავლობაში¹³⁰. 1970 წ. 15 იანვრის მოსახლეო-
ბის აღწერისას მათ ეწერებოდათ მუდმივი საცხოვრისის წინანდე-

¹²⁹ დემოგრაფიული მონაცემები და გამოკვლევები აუცილებელი პირობაა
ეკონომიკური, საერთოდ სოციალური გეგმიანობის განვითარებისათვის. სწორედ ამ
პრობლემას მიეძღვნა 1969 წ. სექტემბერს ქ. კიევში შემდგარი გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სემინარი. აქ წაკითხული საბჭოთა მეცნიერე-
ბის მოხსენებები, მაგალითად, Т. Ряшкин, Демографические показатели
в общей системе показателей социально-экономического развития, 1969; М.
Ярмолинский, Е. Белоусова, Использование демографичес-
ких данных в планировании социально-экономического развития, 1969; П.
Подъячих, Статистика населения СССР и использование ее данных для
планирования социально-экономического развития и научных исследований,
1969; Д. Бронер, А. Кваша, О подготовке специалистов в области
демографии в СССР, 1969, Киев, და სხვ. მოწმობენ, თუ როდენ დიდი ყურადღე-
ბა ეთმობა სსრ კავშირში დემოგრაფიული კვლევა-ძიების განვითარების საკითხს,
რაც აქ, კარგა ხნით, ჯეროვანი ყურადღების გარეშე იყო მიტოვებული და რამაც
თავისი გავლენა მოახდინა როგორც საზოგადოებათმეცნიერების, კერძოდ გეგმი-
ანობისა და საერთოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოვლენებზე.

¹³⁰ В. Переведенцев, Современная миграция населения в СССР
(Сб. Народонаселение и экономика, 1967, стр. 92—106); Л. Денисова,
Т. Фадеева, Некоторые данные о миграции населения в СССР («Вестник
статистики», 1965, № 7).

ლი ადგილის მისამართი. აღწერამ უჩვენა რომ სსრ კავშირში და-
ნასკნელი ორი წლის მანძილზე (1968—1969) საცხოვრებელი ად-
გილი გამოიცვალა 13,9 მილიონმა კაცმა, მათგან ქალაქად ცხოვ-
რობდა 9,7 მლნ, ხოლო სოფლად 4,2 მლნ; მ. შ. სოფლიდან ქალაქად
გადავიდა 4,4 მლნ, ხოლო ქალაქიდან სოფლად — 1,7 მლნ.

შობადობა, მოკვდაობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება

რესპუბლიკები	1940 წ.			1950 წ.			1960 წ.		
	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება
სსრ კავშირი	31,2	18,0	13,2	26,7	9,7	17,0	24,9	7,1	17,8
რ ს ფ ს რ	33,0	20,6	12,4	26,9	10,1	16,8	23,2	7,4	15,8
უკრაინის სსრ	27,3	14,3	13,0	22,8	8,5	14,3	20,5	6,9	13,6
უზბეკეთის სსრ	33,8	13,2	20,6	30,8	8,7	22,1	39,8	6,0	33,8
საქართველოს სსრ	27,4	8,8	18,6	23,5	7,6	15,9	24,7	6,5	18,2
აზერბაიჯანის სსრ	29,4	14,7	14,7	31,2	9,6	21,6	42,6	6,7	35,9
ლიტვის სსრ	23,0	13,0	10,0	23,6	12,0	11,6	22,5	7,8	14,7
ტაჯიკეთის სსრ	30,6	14,1	16,5	30,4	8,2	22,2	33,5	5,1	28,4
სომხეთის სსრ	41,2	13,8	27,4	32,1	8,5	23,6	40,1	6,8	33,3
ესტონეთის სსრ	16,1	17,0	0,9	18,4	14,4	4,0	16,6	10,5	6,1

მიგრანტები შეადგენდნენ რუსი მოსახლეობის 6,7%, ლიტვე-
ლების — 6,0%; ესტონელების — 5,8%; ბელორუსთა — 5,4%;
ლატვიელთა — 5,1; უკრაინელთა — 5,0%; ყაზახთა — 4,6%; მოლ-
დაველთა — 3,1; ყირგიზთა — 2,5%; ტაჯიკთა — 2,2%; სომეხთა —
1,9; ქართველთა — 1,7; უზბეკთა და თურქმენთა — 1,4% ცალ-
ცალკე; აზერბაიჯანელთა — 1,3%.

ამგვარად, უნდა ითქვას რომ (დაწვრ. იხ. ცხრილი 16) სსრ
კავშირში შემავალ ეროვნებათაგან ქართველები ეკუთვნიან შედ-
არებით ნაკლებად მიგრირებად ერთა კატეგორიას. ცხადია, ეს მო-
ნაცემები იმასაც უჩვენებენ, რომ შინაგანი მიგრაციისათვის ნიშან-
დობლივია სოფლიდან ქალაქისაკენ ლტოლვა, რაც ურბანიზაციის
პროცესის შესაბამისი მოვლენაა.

ცხრილი 17 გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის 1000 კაცზე მიგ-



რაციის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა ფრიად მდგრადია. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ამ მოსახლეობის მესამედზე მეტი არაქართველურია და უმეტესწილად ქართველებზე უფრო მობილური, ცხადი გახდება, რომ ქართველური მოსახლეობა, როგორც ოდითგანვე მიწათმოქმედური და თანაც მრავალწლიან

ცხრილი 15

(მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით)

1965 წ.			1968 წ.			1970 წ.			1971 წ.		
დაბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მ.ტეზა	დაბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მ.ტეზა	დაბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მ.ტეზა	დაბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მ.ტეზა
18,4	7,3	11,1	17,2	7,7	9,5	17,4	8,2	9,2	17,8	8,2	9,6
15,7	7,6	8,1	14,1	8,1	6,0	14,6	8,7	5,9	15,1	8,7	6,4
15,3	7,6	7,7	14,9	8,0	6,9	15,2	8,9	6,3	15,4	8,9	6,5
34,7	5,9	28,8	34,3	5,8	28,5	33,6	5,5	28,1	34,5	5,4	29,1
21,2	7,0	14,2	19,4	7,0	12,4	19,2	7,3	11,9	19,0	7,4	11,6
36,6	6,4	30,2	32,1	6,7	25,4	29,2	6,7	22,5	27,7	6,5	21,2
18,1	7,9	10,2	17,6	8,4	9,2	17,6	8,9	8,7	17,6	8,5	9,1
36,8	6,6	30,2	36,7	6,0	30,7	34,8	6,4	28,4	36,8	5,7	31,1
28,6	5,7	22,9	23,9	5,1	18,8	22,1	5,1	17,0	22,6	4,9	17,7
14,6	10,5	4,1	14,9	10,7	4,2	15,8	11,1	4,7	16,0	10,9	5,1

ნარგავთა კლასიკური ქვეყნის ავტოქტონური მოსახლეობა, შედარებით ნაკლებადაა მიდრეკილი ტერიტორიული გადაადგილებისადმი და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოსწყდება ხოლმე პირველ საცხოვრის ადგილს, და გადაინაცვლებს სამშობლოს შიგნითა, უპირატესად მეზობელ და მახლობელ რაიონში (ურბანიზაცია!) და კიდევ უფრო უკიდურეს შემთხვევაში დასტოვებს საერთოდ სამშობლოს ტერიტორიას და საცხოვრებლად წავა მის საზღვრებს გარეთ.

1970 წ. აღწერის მონაცემებით წინა ორი წლის (1968—1969) განმავლობაში საქართველოში საცხოვრებლად სხვა რესპუბლიკებიდან მოვიდა 21,4 ათასი კაცი, ხოლო აქედან გავიდა 57,8 ათასი; რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასთან შეფარდებაში შეადგენდნენ: სხვა რესპუბლიკებიდან მოსულნი 0,5%, ხოლო სხვა

რესპუბლიკებში წასულნი—1,2%. ამავე ორი წლის მანძილზე პუბლიკის მთელი მიგრირებადი მოსახლეობის (88,1 ათასი) 74,7% იყო შრომაუნარიანი ასაკის (ვაეები 16—59 წ., ხოლო ქალები 16—54 წ.), 21,3% 0—15 წლისა, ხოლო 3,9% — შრომაუნარიან

ცხრილი 16

მიგრირებადი მოსახლეობა ეროვნების მიხედვით 1970 წლის აღწერის მონაცემებით

მოსულნი, წასულნი და მოსახლეობის მექანიკური მატება ქალაქურ დასახლებებში

ეროვნებათა დასახელება	აღწერის აღვილას ორ წელიწადზე ნაკლებ მცხოვრები მთელი მოსახლეობა ათასობით	პროცენტებით მოცემული ეროვნების მთელ მოსახლეობასთან				
		აღწერის აღვილას ორ წელიწადზე ნაკლებ მცხოვრები მთელი მოსახლეობა	მათ შორის მოსულნი			
			ქალაქად		სოფლად	
			ქალა- ქიდან	სოფ- ლიდან	სოფ- ლიდან	ქალა- ქიდან
სსრკ მთელი მოსახ- ლეობა	13885,2	5,7	2,2	1,8	0,7	1,0
მათ შორის						
რუსები	8690,1	6,7	2,9	1,9	0,9	1,0
უკრაინელები	1992,9	5,0	1,7	1,8	0,6	0,9
ბელორუსები	457,4	5,4	1,6	2,2	0,6	1,0
უზბეკები	127,5	1,4	0,3	0,5	0,2	0,4
ყაზახები	236,5	4,6	0,9	1,4	0,5	1,8
ქართველები	53,8	1,7	0,4	0,7	0,1	0,5
აზერბაიჯანელები	55,8	1,3	0,4	0,6	0,1	0,2
ლიტველები	155,4	6,0	1,6	2,0	0,6	1,8
მოლდაველები	78,6	3,1	0,4	1,5	0,3	0,9
ლათვიელები	68,0	5,1	1,2	1,4	0,9	1,6
ყირგიზები	35,0	2,5	0,4	1,1	0,2	0,7
ტაჯიკები	43,9	2,7	0,5	0,7	0,3	0,7
სომხები	64,9	1,9	0,7	0,7	0,2	0,3
თურქმენები	21,2	1,4	0,5	0,6	0,1	0,2
ესტონელები	54,1	5,8	1,4	1,6	1,2	1,6
ბაშკირები	50,2	4,7	0,9	1,9	0,6	1,0
ოსები	13,3	3,1	1,0	1,2	0,3	0,6
აფხაზები	1,4	1,8	0,5	0,8	0,2	0,3
გერმანელები	29,3	2,1	1,8	0,2	0,1	0,0

ასაკს გადაცილებული¹³¹. საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის მექანიკურმა ზრდამ შეადგინა 26 935¹³². წარმოდგენილი მონაცემები მასაც მიაწიწნებენ, რომ ზღებულ წლებში საქართველოს მოსახლეობას მექანიკური მატება არ განუცდია. პირიქით, ეს მოძრაობა უზ-

¹³¹ «Вестник статистики», 1973, № 2, стр. 86.

¹³² ი ქ ე ე , გვ. 87, 93.

ვენებს, რომ რესპუბლიკის ფარგლებიდან უფრო მეტი გავიდა, ვიდრე შემოვიდა და როგორც მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის დინამიკა უჩვენებს გავიდა უფრო არაქართველური მოსახლეობა.

ცხრილი 17

მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა სსრ კავშირში 1971 წელს
(მიმდინარე სტატისტიკის მონაცემებით)
მოსულნი, წასულნი და მოსახლეობის მექანიკური მატება
ქალაქურ დასახლებებში

რესპუბლიკების დასახელება	აბსოლუტური მონაცემები ათასობით			მოსახლეობის 1000 კაცზე			წასულთა რიცხვი 1000 მოსულ კაცზე
	მოსულთა რიცხვი	წასულთა რიცხვი	მექანიკური წილი	მოვიდა	წაიდა	მექანიკური წილი	
რსფსრ	6129	5011	1118	73,4	60,0	13,4	818
უკრაინის სსრ	1836	1437	399	68,9	53,9	15,0	782
ბელორუსიის სსრ	329	233	96	79,6	56,5	23,1	710
საქართველოს სსრ	60	42	18	26,0	18,3	7,7	703
აზერბაიჯანის სსრ	92	83	9	34,6	31,4	3,2	907
ლიტვის სსრ	117	80	37	70,5	48,2	22,3	684
ტაჯიკეთის სსრ	67	56	11	59,2	49,6	9,6	838
სომხეთის სსრ	45	22	23	28,7	13,9	14,8	483
ესტონეთის სსრ	65	53	12	70,8	57,8	13,0	817

* * *

როგორც დავინახეთ, განვლილი 50 წლის მანძილზე, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, საერთოდ სოციალისტური სახალხო მეურნეობის დიდი წარმატებებისა და, მაშასადამე, სწრაფი კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობის მეოხებით, მკვეთრად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის ხვედრიწილი, რამაც რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 20-დან 48 პროცენტს მიაღწია.

დიდი სისწრაფით მატულობდა კერძოდ ჩვენი დედაქალაქის თბილისის მოსახლეობა, რაც უდრიდა, ათასობით: 1922 წელს — 234; 1939 წ.—519, 1959 წ.—703; 1970 წ.—880; 1971 წ.—920.



ამგვარად, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში იგი დაახლოებით ოთხჯერ გაიზარდა და სულ მალე—1 მილიონს გადააჭარბებს.

ამასთანავე, რაც აგრეთვე განსაკუთრებით აღსანიშნავია, თბილისში დიდი სისწრაფით იზრდება ავტოქტონური, ქართველური მოსახლეობა, რაც შეადგენდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის

26,4 პროცენტს	1897 წელს
35,0 "	1926 "
44,0 "	1939 "
48,4 "	1959 "
57,5 "	1970 "

და დაახლოებით 58,3% 1972 "

(იხ. აგრეთვე დამატებაში ცხრილები VI და VII).

ამგვარად, თბილისში, განვლილი თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, სულ ახლახან გადააჭარბა ქართველთა რაოდენობამ მოსახლეობის საერთო რიცხვის ნახევარს და შექმნა აბორიგენი მოსახლეობის საბოლოო უმრავლესობა, რამაც დიდი ზომით გამოასწორა, ამ მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მემკვიდრეობით მიღებული ისტორიული უკუღმართობის შედეგები და კიდევ უფრო განამტკიცა ქალაქის ეროვნული კოლორიტი. ეს, ცხადია, დიდი წარმატებაა და, ამასთანავე, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების ბრწყინვალე მაგალითია.

დაახლოებით ანალოგიურია უკანასკნელ წლებში ეროვნული შედგენილობის დინამიკის ტენდენცია საერთოდ რესპუბლიკაში, სადაც ქართველური მოსახლეობის ხვედრიწონა შეადგენდა:

1939 წელს მთელი მოსახლეობის . . .	61,4 პროცენტს
1959 " " " . . .	64,3 "
1970 " " " . . .	66,8 "

დასასრულ, საჭიროა ისიც ითქვას, რომ საბჭოთა წყობილების მანძილზე, ე. ი. უკანასკნელი 50 წლის (1921—1971) პერიოდში საერთოდ საქართველოს მოსახლეობის მატების ტემპი წინა 50 წლის (1870—1920) პერიოდთან შედარებით 45 პროცენტით უფრო დიდია, რაც საერთოდ სოციალისტური საზოგადოების კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობის დამახასიათებელ დემოგრაფიულ პროცესს წარმოადგენს.

X

მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზისათვის

სკკპ XXIV ყრილობის მასალებში ეკონომიკის მართვის სისტემის სრულყოფის პრობლემასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „სულ უფრო ხშირად ვაწყდებით იმას, რომ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ამოცანათა განხორციელებას ხუთი წელი კი არა, არამედ გაცილებით მეტი დრო სჭირდება. ამასთან დაკავშირებით ისმება სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გრძელვადიანი დაგეგმვის საკითხი. ასეთ დაგეგმვას საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის მოსახლეობის, სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზები. ასეთი მიდგომით, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიანი გეგმებისა და ხუთწლიანი და წლიური გეგმების მუდმივ დაკავშირებას, უფრო ეფექტიანად შეიძლება გადაიჭრას ჩვენი განვითარების ძირეული პრობლემები“¹³⁴.

ჩვენი ცდა, გაგვეშუქებია საქართველოს სსრ მოსახლეობის დინამიკის ზოგიერთი ძირითადი პრობლემა, იმთავითვე გულისხმობდა მოსახლეობის ზრდის ანუ აღწარმოების პროგნოზის საკითხთა განხილვასაც.

საერთოდ ხალხთმოსახლეობის გამრავლების ტემპმა ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერის წარმოდგენით ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მათ ჰგონიათ: კაცობრიობისთვის ატომური ბომბების აფეთქებაზე და საერთოდ ატომურ ომზე უფრო საშიშია მოსახლეობის „აფეთქებისმაგვარი“ ზრდა.

ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (World Academy of Art and Science — აშშ) გრიფით გამოცემულ წიგნში — „ხალხთმოსახლეობის კრიზისი და მსოფლიო რესურსების

¹³⁴ სკკპ XXIV ყრილობის მასალები, 1971, თბ., გვ.85—86.

გამოყენება“ — მოთავსებული ერთი სტატიის ავტორი ბერტრანდ რასელი პირდაპირ აცხადებს, რომ თანამედროვე მსოფლიო ორი საშიშროების წინაშეა. ატომურ ომს შეუძლია ბოლო მოუღოს ცივილიზაციას; ანდა, ნაკლებად ცნობილი მეორე საშიშროება, — მოსახლეობის სწრაფი ზრდა, მიგვიყვანს იმდენად დიდ ჭარბმოსახლეობამდე, რომ საყოველთაო სიღატაკის საშიშროებას შეუძლია გამოიწვიოს ატომური ომი. ამიტომაც ეს ცნობილი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი მოუწოდებს: დროა შეიარაღებაზე გასაწევი ხარჯების ნაწილი მაინც მოხმარდეს მოსახლეობის ზრდის ტემპების შენელებას, სიღატაკის ლიკვიდაციასა და ხალხთა პარმონიული ოჯახის დაფუძნებას¹³⁵.

ამჟამად დიდი კვლევაძიება მიმდინარეობს და არავითარ ექვსაც არ იწვევს ეკონომიკის ცალკე დარგებს, კერძოდ მრეწველობას, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას, კავშირგაბმულობას, ვაჭრობასა და სხვ. შორის ოპტიმალური ურთიერთშეფარდების დამყარების აუცილებლობა; მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში არსებითად უყუარადლებოდაა მიტოვებული ისეთი ფრიალ მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა მოსახლეობასა და ეკონომიკას შორის ოპტიმალური პროპორციების პრობლემა, რაც, მართალია, ამასთანავე უადრესად რთული და მრავალშენაკადებიანი მოვლენაა.

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში არსებული საზოგადოებრივი სისტემის შესაბამისი მოსახლეობის ოპტიმალური რიცხოვნობის განსაზღვრის პრობლემას რიგი გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილმა ფრანგმა დემოგრაფმა და სოციოლოგმა ალფრედ სოვიმ (A. Souvy)¹³⁶, რომელიც ზოგიერთს ამ პრობლემის შესწავლის პიონერადც მიაჩნია. საზოგადოებრივი პირობებისათვის ხალხთმოსახლეობის ოპტიმალური რიცხოვნობისა და შესაფერისი პოპულაციონისტური პოლიტიკის საკითხს ჯერ კიდევ პლატონი ეხებოდა¹³⁷.

დიოდორე სიცოლიელი აღწერს, თუ რაოდენ „მცირე“ შრომასა და ხარჯს იწვევს „ბავშვების აღზრდა ეგვიპტეში, სადაც ბუნებრივი პირობები ისეთია, რომ „ბავშვების უმრავლესობა ფეხშიშველა და ტანშიშველა დაიარება“, თანაც მათი გამოკვება ფრიად ადვილია. „უმთავრესად ამით აიხსნება ეგვიპტის მოსახლეობის ასეთი მრავალრიცხოვნობა, რის გამოც შესაძლებელი ხდება მრავ-

¹³⁵ Вопросы демографии, 1970, М., стр. 20—23.

¹³⁶ А. С о в и, Отношение между демографией и социальными науками («Вопросы философии», 1956, № 6).

¹³⁷ П л а т о н, Сочинения, т. 3, ч. 2, стр. 248—253.

ვალ გრანდიოზულ ნაგებობათა აღმართვა“. — მოყავს რა ეს ამო-
ნაწერი კ. მარქსი იქვე შენიშნავს: „სინამდვილეში ძველი ეგვიპ-
ტის გრანდიოზულ ნაგებობათა მიზეზი იმდენად მოსახლეობის
სიმრავლე არ იყო, რამდენადაც ის გარემოება, რომ შესაძლებელი
იყო აღნიშნული მოსახლეობის დიდი ნაწილის გამოყენება ამ საქ-
მეში“¹³⁸.

მოსახლეობის აღწარმოების მოწესრიგებას მიმართავდნენ ძვე-
ლი ებოქების სახელმწიფოებიც. ცნობილია, რომ „ძველ სახელმ-
წიფოებში, საბერძნეთსა და რომში, იძულებითი ემიგრაცია, რაც
კოლონიების პერიოდული დაარსების ფორმას ღებულობდა, საზო-
გადოებრივი წყობილების აუცილებელ რგოლს წარმოადგენდა. ამ
სახელმწიფოთა მთელი სისტემა ემყარებოდა მოსახლეობის რი-
ცხოვნობის გარკვეულ შეზღუდვას, რომლის ფარგლების გადამე-
ტება არ შეიძლებოდა ისე, რომ მას საფრთხე არ შეექმნა თვით ან-
ტიკური ცივილიზაციის არსებობის პირობებისათვის“¹³⁹.

გამოჩენილი სოციალისტ-უტოპისტი შ. ფურიე თავის ნაშ-
რომში „ახალი ინდუსტრიული და საზოგადოებრივი ქვეყანა“ —
Le Nouveau Monde Industriel et Societaire — რაც 1828 წ. გა-
მოვიდა აცხადებს, რომ 150 წლის შემდეგ, ე. ი. იმ დროს, როდესაც
მის მიერ ნაწინასწარმეტყველვეი ჰარმონიული საზოგადოებრივი
ცხოვრება (ასოციაციები) სინამდვილე იქნება, დედამიწაზე მოსახ-
ლეობის რაოდენობა მიაღწევს 3 მილიარდს. მაგრამ დედამიწას
შეუძლია გამოკვებოს 5 მილიარდი „მდიდარი და ბედნიერი“ ადამი-
ანიც, როდესაც ისეთი ტემპერატურა დადგება, რომელიც არ-
ქტიკას გაანთავისუფლებს ყინულისაგან. მაინც, ის ფიქრობს რომ
„საყოველთაო მშვიდობისა და საყოველთაო სიუხვის... ახალ საზო-
გადოებრივ წყობილებაში“ ადვილად შეიძლება გაჩნდეს ჰარბი მო-
სახლეობა, რისთვისაც აუცილებელი იქნება „დედამიწაზე ჰარბი
მოსახლეობის დროულად თავიდან აცილების ეფექტური საშუალე-
ბის შექმნა, რათა მცხოვრებთა რიცხოვნობა საშუალებათა და მო-
თხოვნილებათა ზუსტად თანაშემოთმის“, დაახლოებით 5 მილი-
არდს, არ აჭარბებდეს¹⁴⁰. ამასთანავე მას მიაჩნდა რომ ჰარმონიულ
საზოგადოებაში ბავშვები უფრო ადრე ჩაებმებიან მწარმოებლურ
შრომაში და სწორედ ამის მეოხებით, სქესობრივად, უფრო გვიან
მომწიფდებიან¹⁴¹.

¹³⁸ კ. მარქსი, კაპიტალი, I, გვ. 646.

¹³⁹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, стр. 567.

¹⁴⁰ III. Фурье, Избр. соч., т. II, 1939, стр. 318.

¹⁴¹ იქვე, გვ. 48, 320.

მაგრამ მომავალ საზოგადოებაში შესაძლებელი გადამეტმოსა-
სახლეობის საკითხი ნამდვილად მეცნიერულ საწყისებზე ^{გადაწყვეტის}
მხოლოდ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა.

კ. კაუცკი აღრე, იზიარებდა რა მალტუსის თეორიას, ქადაგებ-
და მოსახლეობის მატების ხელოვნური გზით შეზღუდვის აუცილებ-
ლობას, რადგან სხვა რიგად საკვების გამოლევაა მოსალოდნე-
ლიო¹⁴².

ფ. ენგელსი, რომელმაც იმთავითვე ამხილა კ. კაუცკის მცდარი
პოზიცია, საპასუხო წერილში (1.II.1881) მას სწერდა: აბსტრაქტუ-
ლი შესაძლებლობა კაცობრიობის ისეთი რიცხოვნობივი ზრდისა,
რომელიც გამოიწვევს აუცილებლობას ბოლო მოეღოს ასეთ ზრდას,
რასაკვირველია, არსებობს. მაგრამ თუ კომუნისტური საზოგადოე-
ბა ოდესმე იძულებული იქნება მოაწესრიგოს ადამიანთა წარმოება,
ისევე როგორც იმ დროისათვის უკვე მოაწესრიგებს ნივთთა წარ-
მოებას, მაშინ სახელდობრ მას და მხოლოდ მას შეეძლება გაუჭირ-
ვებლად შეასრულოს ეს... ყოველ შემთხვევაში ადამიანები კომუ-
ნისტურ საზოგადოებაში თვითონვე გადაწყვეტენ, საჭირო იქნება
თუ არა ამისთვის რაიმე ზომის მიღება, როდის და რა და სახელ-
დობრ როგორი. მე არ მიმაჩნია, რომ ვიყო მოწოდებული, რათა
რაიმე წინადადებას ან შესაბამის რჩევას ვიძლეოდეო¹⁴³.

კ. მარქსი გვასწავლის, რომ ყოველ საზოგადოებრივ წყობი-
ლებას შეესაბამება ხალხთმოსახლეობის გარკვეული კანონი.
ამასთანავე რამდენადაც მოსახლეობის რიცხოვნობის ფარგლებს
განსაზღვრავს წარმოების პირობების ფორმები, რომლის შესაბამი-
სად იცვლება, იკვეცება ან ფართოვდება იგი, გასაგებია, რომ გა-
დამეტმოსახლეობა პირველყოფილი საზოგადოებისათვის სხვანაი-
რია, ვინემ ანტიკური მსოფლიოსათვის, ხოლო ამათთვის სხვა სა-
ხისაა, ვინემ პატრიარქალურ-ფეოდალური ყოფიერების ორბიტში
მოძრავი ხალხებისათვის. ამისავე შესაბამისად იცვლება მოსახლე-
ობის ზრდის აბსოლუტური ნორმა და, მაშასადამე, გადამეტმოსა-
ხლეობისა და ხალხთმოსახლეობის ნორმაც.

მოსახლეობის რიცხოვნობის გრძელვადიანი პროგნოზი, რაც
დრო გადის მით უფრო აუცილებელ და რთულ ხასიათს ღებულობს
და არა მხოლოდ საკითხის თეორიულ ასპექტებში, არამედ წმინდა

¹⁴² К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 35, стр. 124; — Соч., т. I, стр. 362—363.

¹⁴³ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 35, стр. 124; — Соч., т. I, стр. 566—567.

პრაქტიკული თვალსაზრისითაც. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ხალხთმოსახლეობის კანონების მრავალმა ძველმა, ახალმა და უახლესმა თეორიამ ფიასკო განიცადა. მთელ მსოფლიოში დემოგრაფიული სიტუაცია უაღრესად ცვალებადი გახდა და ამდენადვე გაძნელდა მიმდინარე პროცესებში მართალი ტენდენციების დადგენა.

მრავალი ცნობილი დემოგრაფი ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი უშუალო კავშირშია მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდასთან. მაგრამ უკანასკნელ ხანებშირიგი განვითარებადი ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლამ ნათელყო, რომ მოკვდაობა შეიძლება ფრიად შესამჩნევად შემცირდეს ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების გარეშე, მართოდენ ჯანდაცვის თუნდაც გარედან შემოტანილი ერთგვარი გაუმჯობესების შედეგად¹⁴⁴. მაგალითად, ცეილონში მალარიის გამავრცელებელთა წინააღმდეგ შედარებით იაფი საშუალებით (დღტ) ბრძოლის შედეგად სწრაფად შემცირდა სიკვდილიანობა.

წინათ მოსახლეობის ზრდა უწინარეს სიკვდილიანობაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ მოკვდაობის გარკვეულ დონემდე შემცირების შემდეგ, ამჟამად ხალხთმოსახლეობის ზრდას უწინარეს განსაზღვრავს შობადობის დინამიკა. ამასთანავე, როგორც ირკვევა, ეკონომიკურ ზრდასთან შობადობის დამოკიდებულება ბევრად უფრო რთულია, ვინემ მოკვდაობისა.

პრინსტონის უნივერსიტეტის პროფ. ა. კოულის (A. I. Coale) „დემოგრაფიული რევოლუციის თეორიით“ ეკონომიკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე შობადობა იწყებს შემცირებას, რამდენადაც ოჯახში ბევრი ბავშვი ბევრ ხარჯსა და ზრუნვას მოითხოვს და ამავე დროს მყარდება ოჯახის სიდიდის უფრო რაციონალური ნორმები. მაინც მან ვერ გასცა პასუხი კითხვაზე: რაა შობადობის შემცირების მთავარი მიზეზი: მოკვდაობის (უმთავრესად ბავშვთა მოკვდაობის) შემცირება, ცხოვრების დონის ზრდა, ურბანიზაცია (რაც ისევ ეკონომიკურ ზრდასთანაა დაკავშირებული), მოსახლეობის პროფესიული სტრუქტურის შეცვლა, ქალის მდგომარეობის შეცვლა თუ კიდევ სხვა რამ.

მოვლენის სოციალური ბუნების გაშუქებას აძნელებს ის გარემოება, რომ, ძლიერ ხშირად, ქვეყნები, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე დაახლოებით ერთნაირია, ფრი-

¹⁴⁴ P. A н д о р к а, Демографические факторы в математических моделях экономического роста. Население и экономика, 1970, стр. 99.

ად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქალთა ფერტილობის თვალსაზრისით. დღემდე ახსნილი არაა მაგალითად, თუ რამ განაპირობებს „შობადობის მკვეთრი ზრდა“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ში და ამიტომაც ფრანგი დემოგრაფი ა. ლანდრი (A. Landry) იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამჟამად დემოგრაფიული ცვლილებები არ ემორჩილებიან რაიმე ერთიან დემოგრაფიულ კანონს. ხოლო ამერიკელი პროფესორი უ. როსტოუ (W. W. Rostow) იმ აზრისაა, რომ ცხოვრების გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ ამერიკელი ცოლქმარი ბავშვების ყოლას უფრო აფასებს, ვინემ შესაძლებლობას ქონდეს დიდი ბინა, ან უფრო თანამედროვე ავტომობილი.

ასეთი თეორიები საკმაოდ ბევრია.

ანდა ავიდეთ სხვა მაგალითი. ჰოლანდიის მოსახლეობის ცხოვრების დონე ბევრად უფრო მაღალია ვინემ თურქეთის მოსახლეობისა. ამასთანავე მოსახლეობის სიმჭიდროვე ჰოლანდიაში თითქმის ათჯერ უფრო მაღალია, ვინემ თურქეთში. ჩანს, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონეს ამჟამად უმრავლეს შემთხვევაში განსაზღვრავს არა ცხოვრებათა ერთ სულზე სახმარი მიწის ჰექტარების რაოდენობა, არამედ კომპლექსი ტექნიკური საშუალებებისა, რითაც ხდება ამ მიწების დამუშავება.

აღრე ფიქრობდნენ, რომ სტატისტიკა, კერძოდ დემოგრაფიული სტატისტიკა მოწოდებულია წარმოადგინოს ფაქტები, ციფრობრივი მონაცემები მასობრივ სოციალურ მოვლენათა შესახებ და არა მოსაზრებანი, აზრები და მისწრაფებანი (მიზნები, ინტერესები). ამ შეხედულებამ სრული გაუფასურება იწვინა. ფაქტები, მასობრივი სოციალური მოვლენების შესახებ, ციფრობრივი მონაცემები საქმე-როა სწორედ იმისთვის, რათა ადამიანებმა შეიმუშაონ აზრები, მართებული შეხედულებანი უკეთესი მომავალი ცხოვრების აშენების გზებისა და ხერხებისათვის და როდესაც ასეთი აზრები და მისწრაფებანი ვრცელდებიან და ადამიანთა მასების კუთვნილება ხდება, ისინი უკვე საზოგადოებრივი მოვლენის, ობიექტური ფაქტორების როლს თამაშობენ.

ხალხთა მოსახლეობის სოციალისტური კანონის ერთერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია შრომაუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმებულობა და, მაშასადამე, შრომითი რესურსების გეგმაზომიერი გამოყენება სახალხომეურნეობრივი და კულტურული მშენებლობის დარგებში. ეს ნიშანთვისება საბჭოთა ეკონომისტების, დემოგრაფების, სტატისტიკოსების, სოციოლოგების უმრავლესობისათვის დღემდე თითქმის უდავოა. სამაგიეროდ, როგორც ზემოთაც ითქვა, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა თეზისმა

საკუთრად მოსახლეობის აღწარმოების (ბუნებრივი მატების) ხასიათის შესახებ. ცნობილი საბჭოთა დემოგრაფი დ. ვალენტეი წერდა, რომ ხალხთმოსახლეობის სოციალისტური კანონის ერთერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია „ყოველმხრივ განვითარებული მოსახლეობის გაფართოებული ბუნებრივი მატება“¹⁴⁵, ხოლო მ. სონინის აზრით „ხალხთმოსახლეობის სოციალისტური კანონის არსებითი ნიშანი მდგომარეობს მოსახლეობის აღწარმოების პროცესის კაპიტალიზმთან შედარებით პროგრესულ ცვლილებაში... ამასთანავე აღწარმოების პროგრესულობის მთავარ მაჩვენებლად გამოდის მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების ხასიათი და ხარისხი“¹⁴⁶, ე. ი. სოციალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპი, კაპიტალისტურთან შედარებით, უფრო მაღალი იქნება. შედარებით უფრო დაკვირვებულ მოსაზრებას ადგას პროფ. ბ. სმულევიჩი, რომელიც აცხადებს, რომ სოციალიზმის ხალხთმოსახლეობის კანონი — ესაა შრომითი რესურსების სრული და რაციონალური გამოყენება და მოსახლეობის რაციონალური აღწარმოება“¹⁴⁷ (კურსივი ჩვენია — პ. გ.).

პროფ. ბ. ურლანისმა 1972 წ. წამოაყენა სოციალიზმის ხალხთმოსახლეობის კანონის ახალი ვარიანტი: ქრება შეფარდებითი გადამეტმოსახლეობა, დგინდება ზრდადი სიცოცხლის ხანგრძლივობა და მოსახლეობის ზრდის ერთგვარი ოპტიმალური ტემპის უზრუნველმყოფი შობადობის დონე, — სოციალისტური საზოგადოების და პირობების ამოცანების შესაბამისად¹⁴⁸.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დემოგრაფი გარკვევით ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან ხალხთმოსახლეობის კანონსა და სოციალისტური საზოგადოების დასაქმებულობის კანონს. მართალია, ისინი ურთიერთკავშირში არიან, მაგრამ მეცნიერული ანალიზის ინტერესები მოითხოვს მათი, როგორც სხვადასხვა ეკონომიკური კანონის დიფერენციულ განხილვას.

ო. ლარმინი საერთოდ იმ აზრისაკენ იხრება, რომ დღევანდელ პირობებში უფრო მომგებიანი იქნება თუ ვილაპარაკებთ სო-

¹⁴⁵ Д. В а л е н т е й , Проблемы народонаселения, 1961, стр. 115.

¹⁴⁶ М. С о н и н , Актуальные проблемы исследования рабочей силы в СССР, 1965, 16—17, 22—24.

¹⁴⁷ К вопросу о законе народонаселения (Сб. Народонаселение и экономика, 1967, стр. 26).

¹⁴⁸ Б. У р л а н и с , К вопросу о характере закона народонаселения социалистического общества (Сб. Проблемы экономики и практики, 1972, стр. 246).



ციალიზმის არა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ხალხთმოსახლეობის კანონზე, არამედ, მის წინასწარ სამუშაო პიპოთეზებზე¹⁴⁹. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის კანონი უნდა განვიხილოთ დემოგრაფიული აღწარმოების როგორც მტკიცე და საზოგადოებრივი განვითარების დიდი და მთელი პერიოდის მანძილზე მომქმედი მოვლენა და არა ისეთი რამ, რაც შესაძლებელია ათეულწლობით იცვლებოდეს.

კ. მარქსი გარკვევით მიუთითებს რომ ხალხთმოსახლეობის კანონი უნდა შეესაბამებოდეს წარმოების საშუალებათა და წარმოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ პერიოდებს; წარმოების ყოველი წინამსრბოლი მომენტი იმავე დროს არის შედეგიც, რამდენადაც „წარმოება თავის საკუთარ პირობებს აღწარმოებს“¹⁵⁰. მოსახლეობა, როგორც საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალა იმავდროულად არის წარმოების შემადგენელი ნაწილი და მისი პროდუქტიც, მაშასადამე, ამა თუ იმ სოციალური კოლექტივის სახით იგი წარმოგვიდგენს წარმოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოების სტრუქტურას.

1972 წ. გამოქვეყნებულ ა. პერკოვსკის სტატიაში კომუნისტური ფორმაციის ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ ნათლად იჩინა თავი იმ გარემოებამ, რომ ამ პრობლემაზე მეცნიერული მსჯელობა დიდ დაკვირვებას მოითხოვს. ეს საკმაოდ კვალიფიციური ავტორი საკმაოდ დაბნეულობას ამჟღავნებს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა თხზულებებიდან მოტანილი ნათელი ციტატების კომენტარებშიც. საბოლოოდ ის იმ დასკვნამდე მიდის, რომ „მოსახლეობის როგორც მწარმოებლური ძალის აღწარმოების მთავარი პირობაა მოცემული ისტორიული საზოგადოების ინდივიდუალური და კოლექტივების აუცილებელი და გამუდმებული შემოქმედებითი და ინტელექტუალური აღმავლობა; ხოლო მოსახლეობის, როგორც წარმოებრივ ურთიერთობათა აღწარმოების მთავარი პირობაა აღწარმოება ისეთი სოციალური სტრუქტურისა, რაც მუშაძალის საჭირო ხარისხის ადექვატური იქნება“¹⁵¹.

იმავე ავტორის სხვა სიტყვებით კომუნისტური ფორმაციის ხალხთმოსახლეობის კანონი „როგორც სოციალური მოძრაობის

¹⁴⁹ О. Л а р м и н , Об общих и специфических законах народонаселения («Вести. Московского ун-та», Экономика, 1971, № 5).

¹⁵⁰ К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с , Соч., т. 46, ч. II, стр. 237. См. также т. 46, ч. I, стр. 476. 507.

¹⁵¹ А. П е р к о в с к и й . О законе народонаселения коммунистической формации (Демографические тетради, вып. 6—7, стр. 122).

სპეციფიკურ ფორმათა ასახვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოების მთავარ მწარმოებლურ ძალაზე, ადამიანზე მოთხოვნის კანონი, რაც იწვევს კიდევაც მის შესაბამის რიცხოვრივ პროპორციებს¹⁵².

მე ვფიქრობ ამ სტატიის შინაარსი საკმაო საფუძველს იძლევა ითქვას, რომ მარტოოდენ ციტატებზე დამყარებულ და თანაც სქემატური ხასიათის მსჯელობას კომუნისტური საზოგადოების ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ დიდი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

სწორედ ამიტომაც, რომ ეკონომიკური მეცნიერება, დემოგრაფია, სოციოლოგია, სტატისტიკა ესოდენ გულმოდგინებით სწავლობენ დღეს საზოგადოებრივ აზრს, — წარმოიშვენ და მოქმედებენ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები. საქმე ისაა, რომ სოციალური მოვლენები, როგორც პროცესები აღიქმებიან ადამიანთა წარმოდგენაში, ფსიქიკაში და მოქმედებენ მათი ნებისა და მისწრაფების, სურვილებისა და გადაწყვეტილებათა, ვარაუდებისა და მისწრაფებათა სახითაც. მართალია, საპაერო, საზღვაო, თუ სახმელეთო ტრანსპორტზე მომხდარი უბედური შემთხვევა, ანდა ინფექციურ დაავადებათა გავრცელება სრულებით არაა დამოკიდებული დაზარალებულთა ნება-სურვილზე, მაგრამ როდესაც ჩვენი დაკვირვების საგანი ხდება, მაგალითად, ისეთი დემოგრაფიული მოვლენა, როგორიცაა შობადობა, პრობლემის ზერელე შესწავლაც კი ნათელყოფს, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანთა შეხედულებებთან, აზრებთან, მისწრაფებებთან, ნება-სურვილებთან. წადილი, რომ აუცილებლად იყოლიოს ვაჟი (ძე, მემკვიდრე), გვარის გამგრძელებელი — მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოჯახის გამრავლებაში უხსოვარი დროიდან მოყოლებული. ცხადია, რომ ეს სურვილი ნაპარნახევია ცხოვრების მატერიალური ინტერესებით და ისიც ნათელია, რომ ძნელი იყო და ახლაც არაა ადვილი შვილების გაჩენა-გაზრდის მსურველი ყოველი ცოლქმრისთვის შვილთა სასურველი რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა.

ცნობილი საბჭოთა დემოგრაფი ბ. ი. სმულევიჩი წერს, რომ „სსრ კავშირში მრავალშვილიანობისათვის არსებული დახმარების სისტემა არ ახდენს მასტიმულებელ გავლენას იმ რესპუბლიკებში, სადაც შობადობა დაბალია და, ჩანს, საჭიროა წაქეზების სხვანაირი სისტემა... დაბალი შობადო-

¹⁵² А. Перковский, О законе народонаселения коммунистической формации (Демографические тетради, вып. 6—7, стр. 122).

ბის რაიონებისათვის აუცილებელია განსაკუთრებული წამქეზებელი ღონისძიებანი, რაც უნდა ემყარებოდეს შობადობის დაშვების მიზეზთა ღრმა შესწავლას¹⁵³.

სსრ კავშირში მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვიჩვენებენ, ეცემა და უახლოვდება მარტივ აღწარმოებას¹⁵⁴. გეგმიანი სახალხო-მეურნეობრივი სისტემის განვითარების, განსაკუთრებით გრძელვადიანი გეგმიანობის თვალსაზრისით აუცილებელია მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური ტიპის თეორიის შემუშავება.

პროფ. ა. სოვის გამოანგარიშებით თანამედროვე დას. ევროპის ქვეყნებისათვის ოპტიმალურ ნორმას შეადგენს მოსახლეობის ყოველწლიური მატება 0,5 — 1,0%, რაც სტაბილურობის პირობებში შეესაბამება მოსახლეობის აღწარმოების 1,1 — 1,2 ნეტო-კოეფიციენტს¹⁵⁵.

სოციალისტური ქვეყნებიდან შედარებით კარგად არის ეს საკითხი შესწავლილი უნგრეთში, სადაც 1959—1960 წწ. მონაცემებით მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტის ოპტიმალური სიდიდე უახლოვდებოდა 1,0—1,1; ეს შეესაბამება 10 წელზე არანაკლებ დროის მანძილზე ქორწინებაში მყოფი ფერტილური ასაკის ყოველ ქალზე საშუალოდ 2,5 — 2,8 შვილს¹⁵⁷.

სსრ კავშირში მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური ტიპი პროფ. ა. კვამას და სხვ. ვარაუდით „ცოტათი გაფართოებული“, ანდა მარტივ აღწარმოებასთან მიახლოებული, ე. ი. 1,0—1,2 ნეტო-კოეფიციენტის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს. ამასთანავე ნავარაუდევია შრომითი რესურსების გაფართოებული აღწარმოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ხარჯზე და „არა უზომოდ დიდი“ დემოგრაფიული ინვესტიციები. სიცოცხლის 70 წლის საშუალო ხანგრძლივობის პირობებში აღწარმოების ასეთი რეჟიმი გულისხმობს საშუალოდ ორნახევარზე მეტ შვილს ერთ გათხოვილ ქალზე¹⁵⁸. საერთოდ მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია ერთ გათხოვილ ქალზე საშუალოდ 2,5 — 2,6 შვილი (იხ. დამატებანი, ცხრილი XIII).

¹⁵³ Вопросы демографии, 1970, стр. 32.

¹⁵⁴ «Вестник статистики», 1969, № 2, стр. 83.

¹⁵⁵ «Вопросы философии», 1956, № 6, стр. 92.

¹⁵⁷ Р. Андорка и К. Мильтенви, Экономические причины последствия низкой рождаемости (Рождаемость и ее факторы, 1968).

¹⁵⁸ Вопросы демографии, 1970, стр. 40—41; М. Бедный, Демографические процессы..., 1972, стр. 103.

ამჟამად, როდესაც სსრ კავშირის მოსახლეობას მცირე ბუნებრივი მატება (1965 წ.—1,1%, ხოლო 1970 წ.—0,92%) ახასიათებს, საბჭოთა დემოგრაფი პროფ. მ. ბედნი აცხადებს: „შეიძლება სრული საფუძვლიანობით ვამტკიცოთ, რომ შობადობის ამაღლებისათვის თუ არ იქნება მიღებული აქტიური ზომები, მაშინ უახლოეს წლებში ზოგიერთ ოლქში, სადაც მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა უკვე არახელსაყრელია, შეიძლება მოკვდაობის შობადობაზე გადაჭარბების რეგისტრაცია მოხდეს. როგორც ვხედავთ, რსტსრ შექმნილი დემოგრაფიული სიტუაცია ცალკე ოლქებსა და ეკონომიკურ რაიონებში მოითხოვს სერიოზულ ზომებს, სახელდობრ: ქმედითი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას“. ე. ი. სახელმწიფო ეკონომიკურად და მორალურად უნდა აქეზებდეს მრავალშვილიანობას განსაკუთრებით იმ ოლქებში, რომლებიც „დეპოპულაციის მიჯნაზე დგანან“, ამ მოვლენისადმი უყურადღებობა „უპასუხისმგებლობა იქნებოდა ხალხის მომავლის წინაშე“¹⁵⁹.

ხუთიოდე წლათ უფრო ადრე დ. ვალენტეი საჭიროდ მიიჩნევდა დასმულიყო საკითხი „რიგ საბჭოთა რესპუბლიკაში დედებისათვის სათანადო დახმარება მიეცათ მეორე და მესამე შვილის გაჩენისას, ნაცვლად იმისა, რომ ვაქეზებდეთ მეცხრე და მეთექვსმეტე ბავშვების დაბადებას. აუცილებელია დიფერენციული დემოგრაფიული კანონმდებლობის შემოღება, რამდენადაც ის, რაც უპრიანია, დაუშვავთ უკრაინასა და ბალტიისპირეთში, სავსებით უადგილოა შუა აზიასა ან აზერბაიჯანში“¹⁶⁰.

მაგრამ საკითხი უნდა ეხებოდეს არა საერთოდ რაიონობრივად დიფერენციულ კანონმდებლობას, არამედ სახელდობრ ისეთი პოპულაციონისტური ღონისძიების გატარებას, როდესაც შვილების გაჩენა და აღზრდა არა თუ არ გააუარესებს მშობლების ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ, რამდენადმე მაინც, კიდევ უფრო განამტკიცებს მათი ცხოვრების ღონეს; ე. ი. შვილების შენახვა-პატრონობის, ოჯახის გაზრდილ საბინაო და სხვ. მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი ზარჩები მთლიანად უნდა იფარებოდეს. შვილების აღზრდა, — აღზრდისა და აუცილებელი მზრუნველობის მთელი პერიოდის მანძილზე, — მშობლებს, უპირატესად დედას, უნდა ეთვლებოდეს როგორც საზოგადოებრივი წარმოების

¹⁵⁹ М. Б е д н ы й, Демографические процессы..., 1972, стр. 105.

¹⁶⁰ Д. В а л е н т е й, Теория и политика народонаселения, 1967, стр.

სარბიელზე გაწეული სამსახური (შრომა), როგორც სახელმწიფო-
ებრივი, ნაციონალური ღირსებისა და პრესტიჟის მოღვაწეობა.
მაგრამ ყოველივე ამის ცხოვრებაში გატარება, ცხადია, გულისხ-
მობს საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების შესაბამის განვი-
თარებას.

საგულისხმიერო საკითხს სვამს საბჭოთა დემოგრაფი ა. კვაშა:
„...ხომ არ იქნება უფრო სარფიანი, რომ მრავალშვილიან დედებს,
რომელთაც სამი და მეტი შვილი ჰყავთ, მიეცეთ დახმარება მათი
საშუალო ხელფასის რაოდენობით, იმისთვის რომ ისინი თავიანთ
ბავშვებს სახლში ზრდიდნენ და არ აძლევდნენ საბავშვო დაწესე-
ბულებებში“¹⁶¹. ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან ვ. პისკუნოვი და
ვ. სტაშენკო: რადგან ამას არ შეეგუება თვით ქალთა ყოველმხ-
რივი და ჰარმონიული განვითარების ინტერესები, რამდენადაც სა-
ზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობა ქალთა „ცხოვრების გა-
ნუყრელ შინაარსად გადაიქცა“, ამიტომ, აცხადებენ ეს ავტორები,
არაა მიზანშეწონილი ღონისძიება „რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს
ამ წონასწორობის დარღვევა“. ამიტომ უნდა გამოიძებნოს და შე-
იქმნას ისეთი პირობა, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწი-
ლეობა ნეგატიურად არ მოქმედებდეს ქალის გენერაციულ ფუნქ-
ციებზე“¹⁶².

შვილიერების საკითხისათვის დიდმნიშვნელოვანია ქალთა და-
ნაწილება ფერტილობისა და ინფერტილობის მიხედვით. უკანასკნელთ მიეკუთვნებიან ქალები, რომელთაც
მიაღწიეს ასაკს, რომლის მერმე უკვე მოსალოდნელი არაა მათ-
გან საერთოდ შვილის გაჩენა. ინფერტილობა უარყოფითი (არანორ-
მალური) მოვლენაა, როგორც ქალის სრულფასოვანი ცხოვრების,
ასევე მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისითაც. ქალთა ინ-
ფერტილობის მაჩვენებელზე დიდ გავლენას ახდენს გათხოვების
ასაკი. რაც უფრო გვიან ქორწინდება სრულასაკოვანი ქალი მით
უფრო მეტია ინფერტილობის შანსები. ინფერტილურ ქალთა რი-
ცხვი იზრდება განსაკუთრებით 24 წელს გადაცილების შემდეგ გა-
თხოვილთა შორის. ხოლო 25—29 წლის ასაკში გათხოვილ ქალთა-
გან ინფერტილურთა რიცხვი დაახლოებით ორჯერ მეტია, ვინემ
20—24 წლის ასაკში დაქორწინებულთა შორის.

¹⁶¹ А. К в а ш а, О некоторых инструментах демографической полити-
ки (Сб. Изучение воспроизводства населения, 1968, стр. 74).

¹⁶² В. П и с к у н о в, В. С т а ш е н к о, К теоретическому обоснова-
нию демографической политики развитого социалистического общества (Де-
мографические тетради, вып. 6—7, стр. 117).

დედობის ფუნქციების ინტენსიური შესრულება: ბავშვის გაჩენა, ძუძუს წოვება, პატარების მოვლა და სხვა, რაც განსაკუთრებულ და სათუთ ყურადღებას მოითხოვს, უპირატესად ახალგაზრდა ქალების ხვედრია, რის გამოც ისინი, შედარებით ნაკლებად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში, ვინემ მაღალ ასაკოვანი (30—50 წლის) ქალები.

მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდა დედების მშობლებიც ახალგაზრდები არიან და, მაშასადამე, მეტი მატერიალური დახმარება შეუძლიათ გაუწიონ მათს ფესვებზე ამოსულ ახალ ოჯახს; — თუმცა, მეორე მხრივ, მოხუცი (პენსიაზე გასული) ბებია და ბაბუა, შეიძლება ბევრად მეტ უშუალო მონაწილეობას ღებულობდეს შვილიშვილთა მოვლა-პატრონობაში¹⁶³.

მოსახლეობის გამრავლების ტემპების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, რაც არსებით გავლენას ახდენს შობადობის საერთო კოეფიციენტზე. მოსახლეობის სხვადასხვა (სოციალური, ეთნიკური) ჯგუფის შობადობის მაჩვენებელთა შედარებისას სწორი სურათის მიღების მიზნით აუცილებელია მისი სქესობრივ-ასაკობრივი განსხვავებულობის გამორიცხვა. ამისთვის საჭიროა მთელი მოსახლეობიდან გამოიყოს ფერტილური ასაკის ქალები და ვივარაუდოთ, არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნიკურ და სხვ. პირობათა გათვალისწინებით, თუ რამდენ ბავშვს შობდა ერთი ქალი მთელ თავის სიცოცხლეში, — ფერტილური უნარიანობის ასაკის მანძილზე.

ამ მეთოდით გ. ბონდარსკაიამ გამოიანგარიშა სსრ კავშირის სხვადასხვა ეროვნების ქალთა ჯამობრივი ფერტილობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „თურქმენთა ჯამობრივი ფერტილობა თითქმის ოთხჯერ აღემატება ლატვიელ, ესტონელ, ქართველ ქალთა ჯამობრივ ფერტილობას“¹⁶⁴. საერთოდ კი ფერტილურობის მიხედვით სსრ კავშირის ერებს ის ყოფს ორ მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფად: დაბალი ფერტილობის: ლატვიელები, ესტონელები, ქართველები, უკრაინელები, რუსები და მაღალი ფერტილობისა: უზბეკები, ყირგიზები, ტაჯიკები, ყაზახები, აზერბაიჯანელები¹⁶⁵, რომელთაც, როგორც დავინახეთ, მიეკუთვნებიან აგრეთვე სომხები.

¹⁶³ Р. С и ф м а н , Динамика плодovitости когорты женщин в СССР, 1970.

¹⁶⁴ Г. А. Б о н д а р с к а я , Роль этнического фактора, 1970, стр. 161—163.

¹⁶⁵ ი ქ ვ ე , გვ. 170.

როგორც დღევანდელ მსოფლიოში, ასევე და განსაკუთრებით შორეულ წარსულში ბევრ ხალხში გაბატონებული იყო მრავალშვილიანობის სარგებლიანობის რწმენა, რომლის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა დიდი სიკვდილიანობა, ხოლო განმტკიცებას — რელიგიური დოგმები და ეთიკური სისტემები. შვილის, განსაკუთრებით ვაჟის შეძენა დიდ ბედნიერებად და ღვთის წყალობად ითვლებოდა.

ეს გარემოება, ვფიქრობ, ნათელყოფს, რომ მრავალშვილიანობის გადავარდნა არ აიხსნება მარტოოდენ ოჯახის გეგმიანობის იდეის გავრცელებით, ე. ი. სტიქიურიდან შეგნებულ შვილიერობაზე გადასვლით. საქმე ისაა, რომ თავის დროზე მრავალშვილიანობა, როგორც დავინახეთ, შეგნებული მისწრაფების შედეგიც იყო. მერმე დასავლეთის ქვეყნებსა და სსრკ რიგ ხალხში მცირე ოჯახზე, მხოლოდ 2—3 შვილის გაჩენაზე გადასვლა კავშირშია მოსახლეობაში გაბატონებული ეთიკური სისტემის შეცვლასთან. თანამედროვე ოჯახი თავის შემოსავალთა და დროის რეგლამენტირებული ბიუჯეტით, მრავალგვარი სულიერი და ნივთიერი მოთხოვნილებით, მთელი ცხოვრების მანამდე უხსოვარი სოციალური მობილურობით, იძულებულია ზუსტად განსაზღვროს: თავის მოთხოვნილებათაგან სახელდობრ რომელი და რა ზომით დაიკმაყოფილოს. აქ სარბიელზე გამოდიან ფასეულობათა ახლადჩამოყალიბებული გრადაციები და ფრიად რთულია წარმოჩენა ფაქტორებისა, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ მოვლენათა თანამომდევრობით პროცესებში. დიდი დავაა გაჩაღებული კეთილდღეობის დონესა და ფერტილურობის ინტენსივობას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. მრავალ შემთხვევაში ექვს არ იწვევს, რომ დღეს კეთილდღეობის დონის ამალღება მრავალშვილიანობის შემცირებას იწვევს და მაინც როგორც პროფ. ლ. დარსკი წერს: „აბსოლუტურად გაურკვეველია საკითხი, თუ რა ზომითაა ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ფერტილურობის (მოსახლეობის ბუნებრივი მატების — პ. გ.) შემცირება ამ წლებში მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამალღების შედეგი“¹⁶⁶.

ოჯახი, როგორც წარმოებრივი უჯრედი, უფრო გვიან ირღვევა სოფელში, შესაბამისად იმისა, რაც უფრო ვითარდება სოფლისმეურნეობრივი ტექნიკა და წარმოიშობა მსხვილი წარმოება და, მა-

¹⁶⁶ Л. Д а р с к и й, Изучение плодовитости браков (Вопросы демографии, 1970, стр. 212—213).

შასადამე, როგორც ქალის (დედის), ისე ვაჟის (მამის) საქმიანობა სცილდება ოჯახის ფარგლებს. სოფლისმეურნეობრივი წარმოების ინდუსტრიულთან დაახლოებისა და ურბანიზაციის მეოხებით სოფლად სულ ახალი დემოგრაფიული სიტუაცია შეიქმნა. მრავალი შვილის გაჩენა და აღზრდა, მათთვის სასკოლო განათლების უზრუნველყოფის რეალიზაცია ოჯახისათვის ეკონომიკურად სულ უფრო მეტ სიძნელეებს აწყდებდა.

ამას, ბუნებრივია, უნდა მოყოლოდა ფერტილობის მოწესრიგების ახალი ვითარება, რასაც, თავის მხრივ, ქალთა საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმაც კარნახობდა და მით უფრო მეტი ძალით, რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა ქალს საოჯახო მეურნეობისათვის, რაც უფრო მეტად იჩენდა თავს საერთოდ დამზოგველობის საჭიროება და თვით ქალის საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობის როლი ოჯახის ყოფიერების შესაბამის ეკონომიკურ დონეზე მოწყობისათვის.

მაგრამ საზოგადოებრივ წარმოებაში ქალის მონაწილეობა იმთავითვე ნაკარნახევი იყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, და იქნებ, არა ნაკლები ზომით, მორალური მოტივებითაც. ქალის ემანსიპაციას, მის ცნობიერებაში გახარებას იდეისა, რომ მას დიდი, მრავალშვილიანი ოჯახი მეტისმეტად მძიმე ტვირთად აწევბა, არ შეიძლებოდა ადრე თუ გვიან არ გამოეწვია ოჯახში შვილთა რაოდენობის შემცირება, რასაც ახალი ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების მიღების ვადების გახანგრძლივება, კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებისა და თავისუფალი დროს გადიდების აუცილებლობაც კარნახობდა. მით უფრო რომ კონტრაცეპტივების გამოყენების გავრცელება და შედარებით ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახთა მისწრაფება, რათა თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა გამოათანაბრონ მცირერიცხოვანი ოჯახის ორგანიზაციით, სულ უფრო მეტი ზომით უწყობს ხელს ოჯახის გეგმიან რეგულაციას, რაც, საბოლოოდ, დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახების აორთქლებით თავდება.

ფერტილობის ზომას, ოჯახში შვილთა რაოდენობის ნორმას, როგორც ვხედავთ, სოციალურ-ეკონომიკური პირობები განსაზღვრავენ, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ, უპირატესად მაინც, ადამიანთა წარმოდგენაში შემუშავებული ცნობიერებითი, ეთიკური, მორალური მოტივებით.

გამოჩენილი საბჭოთა სტატისტიკოსი აკად. მ. პტუხა ჯერ კიდევ 1932 წ. წერდა, რომ უკრაინელი ქალები „შობადობის ფაქტს

სულ უფრო და უფრო განიხილავენ როგორც ჩვენი სურვილისაგან დამოკიდებულ მოვლენას¹⁶⁷.

უკვე აღნიშნული იყო ურბანიზაციის დიდი გავლენა მოსახლეობის აღწარმოებაზე. სსრ კავშირში ქალაქის, ქალაქური ტიპის დასახლებების ერთიანი კრიტერიუმი არაა მიღებული. რსფსრ კანონით 1957 წლიდან ქალაქად ითვლება დასახლებული პუნქტი, სადაც 12 ათასზე მეტი სული ცხოვრობს, ამასთანავე ნაგულისხმევია, რომ მათ შორის 85% უნდა იყვნენ მუშები, მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები. უკრაინის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და მოლდავეთის რესპუბლიკებში დასახლებული პუნქტი რომ ქალაქად ჩაითვალოს, იქ არანაკლებ 10 ათასი სულისა უნდა ცხოვრობდეს; სომხეთის, ყაზახეთის, ესტონეთისა და ლატვიის რესპუბლიკებში — 8 ათასი, ბელორუსიაში არა ნაკლებ — 6 ათასისა, ხოლო აზერბაიჯანში, თურქმენეთსა და საქართველოში — 5 ათასი სულისა.

ურბანიზაციის, ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარება სულ უფრო აახლოებს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ყოფიერებას, მაგრამ მაინც, პროფ. ბ. ურლანისი წერს: „მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში გადასვლა უმრავლეს შემთხვევაში ნიშნავდა მცირეშვილიან ოჯახზე გადასვლას, ხოლო ქალაქის მოსახლეობის ხვედრიწონის გადიდება იწვევდა ქვეყანაში შობადობის საერთო დონის შემცირებას“¹⁶⁸.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 90 წლის წინათ ა. ბებელი წერდა: „ინტელიგენტ და ენერგიულ ქალებს, — გამოჩაყლისებზე არ ვლაპარაკობთ, — არავითარი მისწრაფება არა აქვთ „ნებითა ღვთისათა“ გააჩინონ მრავალი შვილი და თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები გაატარონ ფეხმძიმობასა და მეძუძურობაში. ეს სურვილი, არ გაიჩინონ ბევრი ბავშვი, რაც დღესაც ემჩნევა ქალთა უმრავლესობას, შეიძლება მომავალში, მიუხედავად ყოველგვარი ზრუნვისა, რასაც ორსული ქალებისა და დედებისადმი გამოიჩენს სოციალისტური საზოგადოება, უფრო გაძლიერდეს, ვინემ შესუსტდეს, და ჩვენის აზრით, ფრიად სავარაუდოა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის გამრავლება უფრო ნელი იქნეს, ვიდრე ბურჟუაზიულშია“¹⁶⁹.

¹⁶⁷ М. П т у х а , Очерки по статистике населения, 1960, стр. 446.

¹⁶⁸ Б. У р л а н и с , Динамика и факторы рождаемости в СССР (Сб. Вопросы народонаселения и демографической статистики, 1966, стр. 55).

¹⁶⁹ ა. ბ ე ბ ე ლ ი , ღვთაობა და სოციალიზმი, გვ. 690.

როგორც ითქვა, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით ღიდმნიშვნელოვანია ბავშვთა სიკვდილიანობის სტატისტიკა (ცხრილი 18).

ეს ცხრილი თავისთავად მარტივია და კომენტარებს არ საჭიროებს. ის ნათლად უჩვენებს, რომ დღეს მთელ მსოფლიოში სწრაფად მცირდება 1 წლის ასაკამდე ბავშვთა სიკვდილიანობა და, მაშასადამე, მოსახლეობის ბუნებრივი დინამიკის ძირითადი ფაქტორი ხდება შობადობის ინტენსივობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ უფრო კლებულობს.

ცხრილი 18

1000 დაბადებული ბავშვიდან 1 წლის ასაკამდე მოკვდა

ქვეყნების დასახელება	1950 წ.	1960 წ.	1970 წ.	1971 წ.
სსრკ	81	35	25	23
ბულგარეთი	94	45	27	25
უნგრეთი	86	48	36	35
პოლონეთი	111	55	35	30
რუმინეთი	117	75	49	42
ჩეხოსლოვაკია	78	24	22	22
ნიდერლანდები	25	18	13	12
ფინეთი	44	21	13	12
იაპონია	60	31	13	12
ავსტრალია	25	20	18	17
ინგლისი	31	23	18	18
საფრანგეთი	52	27	18	17
აშშ	29	26	20	19
გერ	56	34	24	23
ბელგია	53	31	21	20
ავსტრია	66	38	26	26
იტალია	64	44	29	28

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას განსაზღვრავს როგორც დაბერებისა და მოკვდაობის ბიოლოგიური კანონები, აგრეთვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა. მოკვდაობის შემცირებისა და, მაშასადამე, მოსახლეობის ხანდაზმულობის გადიდების მხრივ, როგორც ცნობილია, უდიდესი წარმატებებია მიღწეული. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სსრ კავ-

შირში უდრიდა: 1896—1897 წწ.—32 წელს, 1926—1927 წწ.—44 წელს, 1955—1956 წწ.—67, 1958—1959 წწ.—69, ხოლო 1968—1971 წწ.—70 წელს. ფიქრობენ, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კიდევ უფრო გადიდება.

ცხრილი 19

სსრ კავშირში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გარკვეულ ასაკს მიღწეულ პირთათვის¹⁷⁰

ა ს ა კ ი	წ ლ ე ბ ი					
	1896— 1897	1926— 1927	1938— 1939	1958— 1959	1970— 1961	1968—1969
0	32	44	47	69	70	70
5	50	57	59	68	68	67
10	49	54	56	63	63	63
20	41	45	47	54	54	53
30	34	38	39	45	45	44
40	27	30	31	36	36	35
50	20	23	24	27	27	27
60	14	16	17	19	19	19
70	10	10	11	13	13	12
80	7	6	7	8	7	7

ეხება რა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და, მაშასადამე, მოკვდაობის პროგნოზის საკითხს ცნობილი საბჭოთა სტატისტიკოსი ვ. სტაროვსკი წერს: „მოკვდაობა სსრ კავშირში აუცილებლად შემდგომშიაც დაიწევს. მაგრამ რამდენად? ამ საკითხზე სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ უწინარეს ყოვლისა ჯანმრთელობის დაცვისა და მედიკური მეცნიერების მუშაეები...“¹⁷¹. ამასთანავე ცხადია, რომ ეს პრობლემა საერთოდ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურების ასპექტში უნდა იქნას განხილული.

მოსახლეობის აღწარმოების პროგნოზისათვის საჭიროა აგრეთვე გათვალისწინება ისეთი ძნელად განსაჯვრები მოვლენისა, რო-

¹⁷⁰ В. Старовский, Методика исследования элементов роста народонаселения («Вестник статистики», 1969, № 7).

¹⁷¹ «Вестник статистики», 1964, № 11, стр. 13.

გორიცაა, მაგალითად, ომი, რასაც შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს საერთოდ დემოგრაფიულ პროცესებზე, როგორც ბუნებრივი მატების შემცირების, ისე მოსახლეობის ნაწილის ფიზიკური განადგურებისა თუ მიგრაციის სახით.

პროგნოზის თვალსაზრისით, თანამედროვე პირობებში, მომავალი მოკვდაობის დინამიკის გათვალისწინება ბევრად უფრო ადვილია, ვინემ შობადობისა. მოკვდაობის კოეფიციენტი საშუალებას იძლევა უფრო მიახლოებით იქნას გამოანგარიშებული მოკვდაობა, როგორც შედარებით მყარი დემოგრაფიული პროცესი. შობადობის პროგნოზისათვის საჭიროა რიგი ჰიპოთეზის წამოყენება, რათა მისი მომავალი ცვლილებები რამდენადმე მიახლოებით იქნას გათვალისწინებული.

მოსახლეობის პერსპექტიული გამოანგარიშების მეთოდისა და ტექნიკის საკითხები საკმაოდ საფუძვლიანადაა გაშუქებული თანამედროვე დემოგრაფების უახლოეს ნაშრომებში. მაინც აქ ყველაზე მთავარია შობადობისა და მოკვდაობის მომავალი დინამიკის დასაბუთებული ჰიპოთეზის შემუშავება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალისტთა გამოანგარიშებით, „საშუალო ვარიანტის“ მიხედვით სსრ კავშირის მოსახლეობა 1960—1980 წწ. გაიზრდება 30% და 1980 წელს შეადგენს 278 მლნ. ერთი საბჭოთა დემოგრაფის, პ. პოდიაჩინის, ვარაუდით ამ დროისათვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობა მიაღწევს 275—280 მლნ¹⁷². მაგრამ ამ პროგნოზების შემუშავების შემდეგ გასულმა დრომ ისინი მნიშვნელოვანწილად გააუფასურა და რამდენადმე გაამართლა მხოლოდ მათი მინიმალური ვარიანტები. მ. ბედნის უახლესი გამოანგარიშებით სსრკ მოსახლეობა 2000 წლისთვის შეადგენს 294—308 მლნ¹⁷³.

*

* *

მეცნიერული პროგნოზი საერთოდ ემყარება შესასწავლი მოვლენის წარსულის, თანამედროვეობისა და მომავლის შესახებ სრულ, ყოველმხრივ და აუთენტური ინფორმაციის ანალიზს. სამართლიანად წერს კიბერნეტიკის ფუძემდებელი ნ. ვინერი: იმისთვის რომ ვიმსჯელოთ მომავალზე, ჩვენ უნდა გვქონდეს სრული წარმოდგენა წარსულზე. მაგრამ თუ არიან ქვეყნები, სადაც წარსულის

¹⁷² П. П о д ь я ч и х , О расчете перспективной численности населения (Сб. Вопросы народонаселения..., стр. 249).

¹⁷³ М. Б е д н ы й , Назв. соч., стр. 251—252.

ეს შეცნობილობა ნამდვილად ძალზე შეკვეცილია, ეს ფრიალ-
დია ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის და ჩვენთა შვილთა შვი-
ლებისათვის.

მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზი საშუალებას უნდა
იძლეოდეს უწინარეს გავლენა მოვახდინოთ თანამედროვეობაზე,
განვითარების არსებულ ტენდენციებზე, რათა ყოველივე ისე წა-
რიმართოს, რომ გათვალისწინებული მომავლის აშენებისათვის შე-
მუშავებული ღონისძიებანი და პროცესები სწორედ ან დაახლოე-
ბით ისე წარიმართოს, როგორც ეს შეესაბამება კონსტრუირებუ-
ლი მომავლის კონტურებს. საქმე ისაა, რომ ჩვენს დროში, მაგა-
ლითად, შობადობისა და მოკვდაობის მოვლენები უკვე არაა ისე-
თი სოციალური პროცესები, რომელთა რაოდენობრივი რეგუ-
ლირება შეუძლებელი იყოს.

მეცნიერულ-ტექნიკური, ინდუსტრიული რევოლუციის ვითა-
რებაში, რაც უფრო იზრდება ბუნების ძალებზე ადამიანის ბატო-
ნობა, რაც უფრო მეტ სიმაღლესა და სიღრმეს შეაღწია მეცნიერე-
ბამ უკიდევანო სამყაროს მიუთხრობელ და მიუწვდომელ უსასრუ-
ლობაში, რაც უფრო ფართოვდება კომუნიკაციები და, მაშასადამე,
ათასგვარი ინფორმაციის მიღებისა და გააზრების შესაძლებლობა
ადამიანი მით უფრო მოწადინებულია განჰვირთოს 10, 20, 30 და
მეტი წლის შემდგომი საზოგადოებრივი ცხოვრების შესაძლებელი
სოციალურ-ეკონომიკური პირობები, იმ მიზნით, რათა უზრუნველ-
ყოს თავისთვის და თავის ახლო თუ შორეულ ნაშიერთათვის უკე-
თესი მომავალი, რაც შეიძლება სვებედნიერი ცხოვრება. სწორედ
ამ ინტერესთა ასპექტში ყურადღების ცენტრში მოექცა მოსახლე-
ობის დიდი სისწრაფით ზრდის პრობლემა, მიზეზები, რომელთაც
გამოიწვიეს შობადობის ზრდა და მოკვდაობის შემცირება პლანე-
ტის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობაში, მით უფრო რომ თა-
ნამედროვე ვითარებაში დემოგრაფიული პროცესების თვალსაზრი-
სითაც რომელიმე ქვეყნის დამოუკიდებლად განხილვა ნონსენსია.

აშშ და საერთოდ დასავლეთის მსოფლიოში უკანასკნელ ათე-
ულ წლებში ფართოდ ვრცელდება ფუტუროლოგიური გამოკვლე-
ვები. მიისწრაფიან რა წარმოადგინონ საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის ხვალისდელი დღე, ფუტუროლოგები პოპულარობით სარგებლო-
ბენ გარკვეულ წრეებში. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, საერ-
თაშორისო მდგომარეობისა და სხვა საკითხთა გაშუქებასთან ერთად
ისინი აკეთებენ გაანგარიშებებს ახლო თუ შორეულ მომავალში
ხალხთმოსახლეობის სავარაუდებელი რიცხოვნობისა და სხვა დე-
მოგრაფიული პროცესების (ურბანიზაციის, მოსახლეობის სქესობ-

რიე-საკობრივი და პროფესიული სტრუქტურის, ჯანდაცვისა და სხვ.) თაობაზე. მათი შეხედულებით „მეცნიერება მომავალზე“ სხვა არაფერია თუ არა „მეცნიერება ალბათობათა შესახებ“, და, ამგვარად, ცდილობენ შეიმუშაონ კაცობრიობის მომავალი ცხოვრების სხვადასხვა შესაძლებელი ვარიანტები. ამ გაგებით პროგნოზის მთავარი ამოცანაა შესძლოს ინვენტარიზაცია მთელი იმ ფაქტებისა, მოვლენათა და პროცესთა, რომელთაც კავშირი აქვთ მომავლის განვითარების, წინასწარმეტყველების, მომავლის შეცნობის შესაძლებლობასთან, რომელთა მიხედვით სდგება ალბათობის ვარიანტები, რომელთაც მოსალოდნელია წავაწყდეთ მომავალში¹⁷⁴.

მოსახლეობის აღწარმოების ტემპი პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში ფრიად ნელი იყო¹⁷⁵. პალეოლითის პერიოდის (ძვ. წ. ა. 60—10 ათას წლებში) მოსახლეობის საშუალოწლიური ბუნებრივი მატება, ფიქრობენ 0,01—0,02% არ აღემატებოდა. სიცოცხლის ხანგრძლივობა ძლიერ მოკლე იყო. ველური ბუნების წიაღში, ადამიანთა ცხოვრების პრიმიტიულ პირობებში ძლიერ დიდი იყო მოკვდაობა და არც შობადობა შეიძლებოდა ყოფილიყო მაღალი. ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა რეპროდუქციულ პერიოდში იხოცებოდა და ნაშიერთა აღზრდა მხოლოდ უმცირესობის წილზედრი იყო.

დაახლოებითი გამოანგარიშებით ახ. წ. ა.-მდე 7000 წლის წინათ დედამიწის მოსახლეობა არ აღემატებოდა 10 მლნ, რომლის გაორმაგებას 2500 წელიწადი მოუწია. შემდგომი გაორმაგება მოსახლეობისა მოხდა 2000 წლის მანძილზე, მერმე—1500 წლისა და ბოლოს კიდევ — 1000 წლის განმავლობაში (შეად. დ ა მ ა ტ ე ბ ა, — XIV). ამგვარად, ახ. წ. ა. დასაწყისისათვის, ე. ი. 7000 წლის განმავლობაში ხალხთმოსახლეობა 10 მილიონიდან გაიზარდა 160 მილიონამდე, ისე რომ ბუნებრივი მატების ტემპი სულ უფრო მატულობდა¹⁷⁶.

ახ. წ. ა. პირველი ათასი წლის განმავლობაში მოსახლეობა კიდევ გაორმაგდა და დაახლოებით 300 მლნ მიაღწია; ამის შემდეგ რვა საუკუნეში იგი სამჯერ გაიზარდა და 1800 წელს 900 მლნ შეადგინა. მერმე მხოლოდ ერთი საუკუნე (მე-19 ს.) შეიქმნა საკმარისი მოსახლეობის თითქმის გაორმაგებისათვის: მე-20 ს. დამდეგს დედა-

¹⁷⁴ М. Б е д н ы й, Демографические процессы и прогнозы здоровья населения, 1972, стр. 19—20.

¹⁷⁵ Э. Р о с с е т, Процесс старения населения, 1968, стр. 112, 121.

¹⁷⁶ О. Р ю л е, Хлеб для шести миллиардов, 1965, стр. 53.

მიწაზე 1620 მლნ მცხოვრები ითვლებოდა. ხოლო ამ მეოცე საუკუნის მარტოოდენ 65 წლის მანძილზე, ე. ი. 1965 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა კვლავ გაორმაგდა და 3.285 მლნ მიაღწია¹⁷⁷. ვარაუდობენ, რომ მომდევნო ახალ გაორმაგებას უკვე 35 წელიწადი ეყოფა, ე. ი. 2000 წლისათვის მოსახლეობის რიცხოვნობამ 7 მილიარდს უნდა მიაღწიოს. გასულ 1972 წელს, მხოლოდ ერთ წელიწადს, მსოფლიოს მოსახლეობამ 74 მლნ მოიმატა. ამგვარად, მოსახლეობის მატების ტემპი, როგორც ბურჟუაზიული დემოგრაფები ლაპარაკობენ, უკვე „დემოგრაფიული აფეთქების“ ხასიათს ღებულობს.

ბურჟუაზიული ფუტოროლოგები, პროგნოზისტები მრავალ შეუსაბამობათა გარდა ხშირად ფრიად პესიმისტურ დასკვნებამდეც მიდიან. მაგალითად, ავტორები (აშშ) წიგნისა „ზრდის საზღვრები“ (1972) ასე მსჯელობენ: მოსავლიანობისა და საერთოდ სახმარი მიწების გამოყენებითობის თანამედროვე ვითარებაში მოსახლეობის ერთი სულის ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია საშუალოდ 0,5 ჰექტარი და კიდევ 0,1 ჰ. — საცხოვრებელი შენობების, კომუნიკაციების საშუალებათა, მრეწველობისა და სხვ. საჭიროებისათვის. მსოფლიოს მიწის ფართობი, ანტარქტიკის გამოკლებით, შეადგენს 13,5 მლრდ ჰ.; მ. შ. სახნავად ვარგისი მიწების ფონდი აღწევს 3,2 მლრდ. ჰ., რომლის ნახევარი, თანაც საუკეთესო ნაწილი, უკვე მუშავდება (ათვისებუ-ლია). ასე რომ პლანეტის მოსახლეობის ზრდის დღევანდელი ტემპების შენარჩუნებისას უკვე 2000 წლისთვის (როდესაც იგი 6—7 მლრდ სულს მიაღწევს) საკმარისი აღარ იქნება დასამუშავებელი მიწა. ანალოგიურია სასმელი წყლის, ენერგეტიკული რესურსებისა და სხვ. მარაგთა მაჩვენებლები... დამაფიქრებელია ბუნებრივი გარემოს გაქუჩყიანების ზრდადი მასშტაბები... და ა. შ. ამგვარად, მომავალი კატასტროფიდან კაცობრიობის ხსნის ერთადერთი გზაა — არსებული მდგომარეობის რაციონალური სტაბილიზაცია.

მაგრამ ამ გაანგარიშებებში, როგორც იტყვიან, უშველებელი მაგრამია... საქმე ისაა, რომ ყოველი ასეთი პროგნოზისათვის ამოსავალი საწყისი თანამედროვე ვითარებაა, რაც ფრიად მობილური და, მაშასადამე, ცვალებადია. ცივილიზაციის პროგრესის მეოხებით

¹⁷⁷ მსოფლიოში მოსახლეობის ზრდადი ტემპით მატების გარკვეულმა ტენდენციამ მეცნიერთა გარკვეულ წრეში წარმოშვა შეხედულება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ისე მიდის, რომ კაცობრიობას საყოველთაო შიმშილის საშიშროება ემუქრებაო (Т. К о с т р о, География голода, 1954).

როგორც ადვილად შეიცვლება ამგვარ გამოანგარიშებათა საწყისები, ისევე ადვილად აორთქლდება — უნდა ვიმედოვნებდეთ! — გათზე დამყარებული მინორულ განწყობილებათა მომგვრელი ვარაუდები.

გეო-ს სპეციალისტების მიერ 1963 წელს მიღებული ვარაუდით 2000 წ. დედამიწის მოსახლეობას უნდა შეედგინა 6130 მლნ. 1968 წელს ამ ცნობაში, ახალი დემოგრაფიული სიტუაციის უფრო დეტალური შესწავლის საფუძველზე, მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანეს.

საქმე ისაა, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მე-19 საუკუნეში საშუალოწლიურად იზრდებოდა 0,5%-ით. მე-20 ს. პირველ ნახევარში — 0,8%-ით; — მეორე ნახევრის პირველ ათეულ წელს ამ ზრდამ უკვე 1,8 პროცენტს მიაღწია, ხოლო ამ საუკუნის მომდევნო ათეულ წლებში ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდა 2 პროცენტს შეიძლება გაუტოლდეს და, ამგვარად, 2000 წლისათვის დედამიწაზე მცხოვრებთა რიცხოვნობამ 7 მილიარდი შეადგინოს¹⁷⁸.



პ რ ო გ ნ ო ზ ი შედგება ორი ბერძნ. სიტყვისაგან — $\pi\rho\omicron\varsigma$ და $\nu\omicron\varsigma\alpha\varsigma$ წინასწარ ცოდნას, წინასწარმეტყველებას და გულისხმობს განვითარების პროცესთა ტენდენციის, მიმართულების შეცნობას, დადგენას, — მისი წარსული და თანამედროვე მდგომარეობის ამსახველ აუთენტურ მონაცემთა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე. კერძოდ დემოგრაფიული პროგნოზი მიზნად ისახავს დემოგრაფიულ პროცესთა, სახელდობრ შობადობის, მოკვ-

¹⁷⁸ World Population Prospects. 1965—1985 as Assessed in 1968, 1969.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ელვინ ჰანსენი (A.Hansen) ბურჟუაზიულ მეცნიერთა იმ მცირე რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ბ. სელიგმენის წარმოდგენით, როგორღაც გადააყირავეს კლასიკური პრობლემა: „იმ დროს, როდესაც დ. რიკარდო და ტ. მალტუსი დამფრთხალნი იყვნენ არსებულ რესურსებთან შედარებით მოსახლეობის შესაძლო გამსწრები ზრდით, ე. ჰანსენს მიაჩნდა, რომ განვითარებული ეკონომიკის შექმნისათვის აუცილებელია მოსახლეობის უფრო სწრაფი ზრდა“ (Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, 1968, стр. 454). მეორე ამერიკელი მეცნიერია ს. კუზნეცი (S. Kuznets), თუმცა ორპოვნულად, მაგრამ მაინც აცხადებს რომ შესაძლებელია მოსახლეობის ზრდის დადებითმა შედეგებმა გადასწონონ უარყოფითი ეფექტით. (С. Кузнец, Демографические аспекты современного роста (Сб. ст. Население и экономика, 1970)).

დაობის და მიგრაციის დინამიკის ექსტრაპოლაციის და მათთან
ლანსის შეფასების გზით დაადგინოს მოსახლეობის მოძრაობა მო-
მავალი 10, 20, 30 და მეტი წლის მანძილზე. პროგნოზი, როგორც
წესი, წინ უსწრებს მეცნიერულად უფრო დასაბუთებულ, დაკონკ-
რეტებულ და დეტალურად შემუშავებულ მომავლის გეგმას¹⁷⁹.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების საფეხურებზე
პროგნოზირება და გეგმიანობა საბოლოოდ გამოეყო უშუალო წარ-
მოებრივ პროცესს და გადაიქცა მეცნიერებად, რომელიც წინ უს-
წრებს წარმოებრივ პროცესს, როგორც მეცნიერულად შესწავლი-
ლი და დასაბუთებული სოციალისტური მართვის (ხელმძღვანელო-
ბის) აუცილებელი პირობა. პროგნოზირებას, ამასთანავე, როგორც
გეგმიანობას, აქვს დიდი მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური,
იდეოლოგიური მნიშვნელობა და წარმოადგენს მშრომელთა მასე-
ბის სოციალისტური ცნობიერებისა და თაოსნობის უმნიშვნელო-
ვანეს გამოვლინებას. მეცნიერული პროგნოზირება, ცხადია, გუ-
ლისხმობს მასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაციის,
დოკუმენტაციის მიღების, დაგროვების, შემუშავებისა და ანალიზის
თანამედროვე მოწესრიგებულ სისტემას.

რამდენადაც მოსახლეობის მიერ საზოგადოებრივად შეცნო-
ბილი ისტორიული პერსპექტივა წარმოადგენს მომავალი ცხოვრე-
ბის აშენების პროგრამას, იგი ამავე დროს, ცხადია, არის არა მხო-
ლოდ თეორიული, არამედ აგრეთვე მსოფლმხედველობრივი პრობ-
ლემა.

მწარმოებლურ ძალთა კომპლექსური პროგნოზირება, ეკონო-
მიკისა და მეცნიერების პროგნოზირება საბოლოო ანგარიშით შე-
იძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი მთლიანი პროცესი, რომ-
ლის დიფერენცირებული შესწავლა შესაძლებელია და აუცილე-
ბელიც, მაგრამ ყოველივე, ცხადია, უნდა ემყარებოდეს შეცნობი-
ლი ეკონომიკური (საზოგადოებრივი) კანონების შეგნებულ გამო-
ყენებას¹⁸⁰.

დემოგრაფიული სტატისტიკა ადოლფ კეტლეს დროიდან
მოყოლებული შეისწავლის საშუალო ადამიანს¹⁸¹, ანუ აბსტრაქტულ
ადამიანს. ყოველი ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე ერთდო-

¹⁷⁹ П. Г у г у ш в и л и , Теоретические аспекты планирования и прогно-
зирования, 1972.

¹⁸⁰ А. Б а у э р , и др., Философия и прогностика, 1971; Моделирование
социальных процессов (Сб. статей, 1970); Социология и идеология, 1969.

¹⁸¹ „საშუალო ადამიანი“, როგორც ტერმინი და ცნება შემოღებულია ადოლფ
კეტლეს (A. Quetelet, 1796—1874) მიერ: „ადამიანი, რომელიც მე აქ მხედ-



ულად იმყოფება მრავალგვარ მდგომარეობაში, რომელთაგან დემოგრაფია აღრიცხავს და შეისწავლის მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მომენტებს, როგორც მოსახლეობის თუ მორალური სტატისტიკის მასობრივ მოვლენებს, რომელთა დასაწყისი და დასასრული სხვადასხვა ინდივიდის ცხოვრებაში სხვადასხვა დროს დგება. ამასთანავე ამა თუ იმ მდგომარეობის საშუალო ხანგრძლივობა ადამიანთა მოცემული ერთობლიობისათვის ერთია. მაგალითად, მოცემულ ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იანგარიშება პიროვნებათა გარდაცვალების ასაკის ერთობლიობის მიხედვით, ხოლო ცალკე ინდივიდთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ისაზღვრება ცალკეული მოვლენებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ჯანმრთელობაზე, ახანგრძლივებენ ან ამცირებენ მის სიცოცხლეს.

ცნობილი საბჭოთა სტატისტიკოსი, დემოგრაფი აკად. მ. პ. ტუხაჩოვი წერს: „მხოლოდ ცალკე ინდივიდთა დემოგრაფიული ბიოგრაფიების შესასწავლი ერთობლიობის საშუალო ადამიანის დემოგრაფიულ ბიოგრაფიად შეერთებით შეიძლება სტატისტიკურად დადგენილი დემოგრაფიული ცხოვრების მთელი მრავალსახეობის კონკრეტულ მასობრივ მოვლენათა მთლიანი და ამომწურავი შესწავლა“¹⁸².

საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, გარდა იმისა რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა საერთოდ მცირე იყო, ხანდაზმულ ადამიანებს, რომელთა ძალ-ღონე — შრომაუნარიანობა — საკმარისი არ იყო პრიმიტიული მონადირისათვის, ბუნების მკაცრ პირობებთან ბრძოლაში, მალე იშორებდნენ თავიდან. ხანდაზმულთა, მცოვანთა სიცოცხლე საჭირო და სასარგებლო შეიქნა მას მერმე, რაც შესაძლებელი გახდა მათ მონაწილეობა მიეღოთ ახალი ადამიანის წარმოებაში, სახელდობრ ბავშვების ფიზიკურ და სულიერ აღზრდაში, ოჯახის, კერის (ცეცხლის) ცვა-ფარვაში და სხვ., რა დროიდანაც მათი ცხოვრებისეული გამოცდილების საზოგადოებრივ წარმოებაში გამოყენება-გაზიარება უკვე სულ უფრო დიდ როლს თამაშობს მწარმოებლურ ძალთა და საერთოდ ცივილიზაციისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში¹⁸³

ველონაში მყავს არის სხეულში სიმძიმის ცენტრის რაღაც ანალოგიური. ის საშუალოა, რომლის გარშემო განლაგებულია ცვალებადი საზოგადოებრივი ელემენტები. ეს ადამიანი, თუ გნებავთ, ფიქციური არსებაა, რომლისთვისაც ყველაფერი მიმდინარეობს საზოგადოებისთვის მიღებული საშუალო შედეგების შესაზამისად, — წარდა იგი 1831 წ. ბელგიის აკადემიის ორგანოში გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში.

¹⁸² М. П т у х а, Общая схема статистического изучения демографических явлений и процессов (Демографические тетради, вып. 6—7, 1972, стр. 26.).

¹⁸³ Э. Р о с с е т, Процесс старения населения, М. 1968,

კაცობრიობის ისტორია გვიდასტურებს, რომ მისი განვითარება ესაა მწარმოებლურ ძალთა, საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების განვითარების პროცესი, ეს პროცესი, შრომის, ტექნიკის ევოლუცია იმავდროულად არის ანთროპოლოგიური და დემოგრაფიული განვითარების პროცესიც.

კ. მარქსი წერს: „ინდივიდუუმები, რომლებიც აწარმოებენ საზოგადოებაში, — და მაშასადამე, ინდივიდუალთა საზოგადოებრივად განსაზღვრული წარმოება, — ასეთია, ბუნებრივად, ამოსავალი პუნქტი“¹⁸⁴. იგი იქვე, ქვემოთ, კიდევ განმარტავს, რომ მოსახლეობა, როგორც მდიდარი ერთობლიობა, მრავალრიცხოვანი განსაზღვრებითა და ურთიერთობებით, პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით, „არის მთელი საზოგადოებრივი წარმოების პროცესის საფუძველი და სუბიექტი“¹⁸⁵.

შეიძლება ითქვას, რომ „ინდივიდუალთა საზოგადოებრივად განსაზღვრული წარმოება“ — ესაა სწორედ მოსახლეობის აღწარმოება.

ამასთანავე უდავოა, რომ როგორც დემოგრაფიული პროცესების შესწავლის, ასევე სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისათვის მხოლოდ ისტორიული მიდგომა იძლევა მოვლენათა სოციალური ბუნების ახსნისა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავების რეალურ შესაძლებლობას. საქმე ისაა, რომ „ადამიანის არსობა არ არის ცალკე ინდივიდის დამახასიათებელი აბსტრაქტი. თავის სინამდვილეში ის არის ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა“¹⁸⁶.

მოსახლეობის აღწარმოება, როგორც წარმოშობისა და გაქრობის უწყვეტი ბუნებრივი პროცესი, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა კანონზომიერებით ხასიათდება. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა ადამიანის ბიოლოგიური ბუნების, პოპულაციის პროცესია და წარმოგვიდგება როგორც შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება და განქორწინება; — ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს ბიოლოგიური ფაქტები მოსახლეობის აღწარმოების სოციალური პროცესების ხასიათს ატარებენ¹⁸⁷.

¹⁸⁴ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 12, стр. 709.

¹⁸⁵ იქვე, გვ. 726.

¹⁸⁶ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, стр. 3.

¹⁸⁷ საინტერესოა ითქვას, რომ ცივილიზაციის განვითარებისა და აღმავლობის შესაბამისად არა მხოლოდ მცირდება მოკვდაობა და იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, არამედ უმჯობესდება რა საერთოდ ცხოვრების პირობები (კოფი-



ოჯახში ბავშვთა რაოდენობის შესაძლო ნორმათა დადგენისათვის სწავლობენ წყვილის რეპროდუქციულ ქცევას (განწყობას). დემოგრაფიული (რეპროდუქციული) განწყობის გამოვლენისათვის საჭიროა ვიცოდეთ ადამიანთა (მეუღლეთა) აზრი. მხოლოდ მათ შეუძლიათ ოჯახის ფორმირების (დაგეგმვის) შესახებ აუცილებელ ცნობათა მოცემა. დემოგრაფიული განწყობა არსებითად წარმოადგენს პიროვნებისა და საზოგადოების რთული ურთიერთმოქმედების სოციალურად დეტერმინირებულ მასობრივ პროცესს.

საზოგადოების იდეალური არსი და აზრია თავისი ყველა წევრი გათქვიფოს ერთიან ნორმებში, თუმცა საყოველთაოობა მიიღწევა მხოლოდ იმ ფორმალურ ნორმებში, რომლებიც კანონის სახითა ფიქსირებული და სავალდებულოა საზოგადოების ყველა წევრისათვის. ამასთანავე რეპროდუქციული განწყობის შესწავლის გზით დადგენილი არაფორმალური ხასიათის ნორმები არ არიან არც სავალდებულო, არც საყოველთაო და მარტოდენ მორალურ ფენომენს წარმოადგენენ, ასე რომ საზოგადოების მიერ შეიღობის რეგულაცია, საბოლოოდ, თვით ცოლქმრის რეპროდუქციულ განწყობაზეა დამოკიდებული; მაგრამ დემოგრაფიულ განწყობაში საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთმოქმედების შედეგი, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, სახელდობრ პიროვნების დემოგრაფიული ქცევის საზოგადოებრივი შეფასებით, როგორც მოქმედი ფაქტორის მეოხებით, მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის თამაშობს სტიმულატორის როლს.

ერება), უმჯობესდება მოსახლეობის ფიზიკური ვითარება. ფაქტორი მონაცემები მტყუვლებენ, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში განვლილი ერთი საუკუნის მანძილზე გაიზარდა მოწიფული ადამიანის საშუალო სიმაღლე, — გაიზარდა, ათიოდე სანტიმეტრით. ასე, მაგალითად, შვედიაში სამხედრო სამსახურში გასაწვევთა სიმაღლე 1870-დან 1900 წლამდე გადიოდა 167,8-დან 170,3 სანტიმეტრამდე, ხოლო მე-20 ს. სამი ათეული წლის მანძილზე მისი ზრდა კიდევ უფრო ინტენსიური იყო და მიაღწია 173,6 სანტიმეტრს. ამ პროცესს, აქსელერაციას, შეესაბამება აგრეთვე ქალის რეპროდუქციული პერიოდის გაზრდა, თუმცა ამას არ მოყვლია ფერტილობის გადიდება, რაც შედეგია შობადობის, ე. ი. ოჯახის სიდიდის გეგმური შეზღუდვისა და, ამგვარად, ახალ, თანადროულობის ადექვატურ ნორმაზე მოწესრიგების წარმატებული ცდებისა, რაზედაც უკვე გვექონდა საუბარი.

ცხადია ადამიანის სიმაღლის ზრდის ეს ტენდენცია არაა უსაზღვრო. ბიოლოგები ვარაუდობენ, რომ მაქსიმალური ზომის მიღწევის შემდეგ მოხდება მისი სტაბილიზაცია. საბჭოთა ანთროპოლოგის პროფ. ვ. ბუნაეის სიტყვებით, რომ ესთქვათ ადამიანის სხეულის „კონსტრუქტია“ მიწის მიზიდულობის (სიმძიმის) წინააღმდეგობის თანაშემწილია და მისი საშუალო სიმაღლე 175 სანტიმეტრს უდრის. ამ ბიოლოგიური ბარიერის გადალახვა ან შეუძლებელია, ანდა შესაძლებელია უარყოფითი ხასიათისა იყოს.



ფერტილობის ინტენსივობის შესწავლას არა მხოლოდ ის არ-
თულებს, რომ აქ სოციალური ნორმების დადგენა შეიძლება მხო-
ლოდ ცალკე ინდივიდთა რეპროდუქციული განწყობის უაღრესად
რთული პროცესის შესწავლის მეოხებით. საქმე ისაა, რომ საზოგა-
დოება შედგება სხვადასხვა სოციალური ჯგუფისაგან და პრაქტი-
კულად ყოველ ჯგუფს ამ მხრივაც თავისი სოციალური ნორმები
ახასიათებს.

ამასთანავე, მაღალინდუსტრიულ საზოგადოებაში, რაც უფრო
საყოველთაო ხასიათს მიიღებს ოჯახის, შვილთაშობის რეალური
გეგმიანობა მით უფრო ადვილი გახდება მოსახლეობის აღწარმოე-
ბა — ბავშვთა გაჩენა და აღზრდა, — განთავისუფლდეს (გამოვი-
დეს) საზოგადოებრივი წარმოების სფეროში დახარჯული შრომის
მატერიალური საზღაურის სისტემის ჩარჩოებიდან. ამის აუცილებ-
ლობა და შესაძლებლობა, როგორც ჩანს, სულ უფრო ახლოვდე-
ბა.

ამჟამად მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების აქტიუ-
რი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ძლიერ დიდ ხარჯებს
მოითხოვს და თანაც თვით ეს პრობლემა ჯეროვნად არაა შესწავ-
ლილი. შვილიერებისათვის ოჯახებისთვის გაწეული დახმარების
მხრივ, როგორც ჩანს, საპატიო ადგილზეა საფრანგეთი. აქ საოჯახო
დახმარების ხარჯები 1968 წ. შეადგენდა ქვეყნის ნაციონალური
შემოსავლის 4,12%. იგივე მაჩვენებელი უდრიდა: ბელგიაში —
3,01%, ავსტრიაში — 2,8%, ჩეხოსლოვაკიაში — 2,57%¹⁸⁸.

დემოგრაფია უკანასკნელ წლებში სულ უფრო დიდმნიშვნე-
ლოვან როლს თამაშობს მსოფლიოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
სისტემაში. ხუთიოდე წელიწადია რაც სსრ კავშირში დემოგრაფიის,
ხალხთამოსახლეობის საკითხებზე გაჩაღდა ფართო მუშაობა. მრავ-
ლად იბეჭდება სტატიები, წიგნები¹⁸⁹; — იმართება თათბირები,

¹⁸⁸ Демографические тетради, вып. 6—7, 1972, стр. 95.

¹⁸⁹ ლ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დემოგრაფიული სტატისტიკის ზოგიერთი სა-
კითხი (გეონ. და სამართლ. ინსტ. შრომები, ტ. XV, 1969, გვ. 239—230); მ ი ს ი-
გ ე, ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა („საქართველოს ეკონომისტი“,
1928 წ., № 11—12; შ. ბ ე რ ა ძ ე, სტატისტიკის ზოგიერთი საკითხი და საქართვე-
ლოს სსრ მოსახლეობის დინამიკა („საქ. სახ. მეურნეობა“, 1968, № 3); შ. კ ა კ ე-
რ ი ა, თბილისის მოსახლეობა 1803—1959, ავტორგეფრატ, 1961; ა. ხ ა ჩ ი ძ ე,
საქართველოს მოსახლეობის ზრდისა და სტრუქტურის მაჩვენებლები და 1970 წლის
აღწერის ამოცანები, 1969; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის
ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. მონოგრაფიები, ტ. I, 1949, გვ. 355—
748; მ ი ს ი გ ე, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800—1959),

კონფერენციები; — იქმნება სამეცნიერო ცენტრები, კათედრები, საბჭოები, კომისიები, რომლებიც მიზნად ისახავენ დემოგრაფიულ

იხ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XII-XIII, 1963; მ ი ს ი გ ე, სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. II, 1971, გვ. 337—369; მ ი ს ი გ ე, საქართველოს სსრ მოსახლეობა 50 წლის მანძილზე (1921—1971), იხ. „მაცნე“, 1972, № 3, გვ. 115—137; В. Д ж а о ш в и л и, Население Грузии, 1968; Его же, География населения Грузии, автореферат, 1966; Г. П и р ц х л а в а, Динамика и некоторые особенности рождаемости в Грузии (ВНКПНЗ, 1966); его же, Уровень, структура и факторы рождаемости в Грузии. Экономика, I, Тб., 1969, стр. 404—415. Вопросы народонаселения и демографической статистики. Под ред. П. П о д њ я ч и х и др., 1966; Население и народное благосостояние. Сб. статей. Под общ. ред. Д. Б р о н е р а, 1968; Социально-демографические очерки, Ереван, 1968; Социология в СССР. В 2-х томах. Ред.-сост. Г. О с и п о в. 1965—1966; Б. У р л а н и с, История одного поколения (Соц.-демогр. очерк), 1968; Вопросы демографии. Ред. коллегия: П. Б а г р и й (отв. ред.) и др., 1968; Вопросы марксистско-ленинской теории народонаселения. Всесоюзный симпозиум. 1969; Материалы Второго междуведомственного совещания по географии населения. Вып. I—III, 1968. Научные проблемы географии населения. Материалы ко II Междувед. совещанию по географии населения, 1967; Всесоюзная научная конференция по проблемам народонаселения Закавказья. Отв. ред. М. А д о н ц и Л. Д а в т я н, 1968; Образ жизни и старение человека. Материалы симпозиума. Отв. ред. Н. В и т е, 1966; Вопросы геронтологии и гериатрии. Под ред. Л. П е р е л њ м а н а, 1965; Современные проблемы геронтологии и гериатрии, Материалы I Закавк. науч. конференции, 1965; Г. С л е с а р е в, Методология исследования проблем народонаселения СССР, 1965; Выборочное наблюдение в статистике СССР. Сб. статей. Под ред. А. Б о я р с к о г о и др., 1966; Ф. И е й т с, Выборочный метод в переписях и обследованиях. Пер. с англ. Е. А р о н а. Под ред. (и с предисл.) А. В о л к о в а, 1965; Уч. зап. по статистике. 10. Проблемы демографической статистики, 1966; Модели краткосрочного и среднесрочного прогнозирования численности и возрастно-половой структуры населения крупных и средних городов, 1968; Проблемы изменения социальной структуры советского общества. Отв. ред. Ц. С т е п а н я н и В. С е м е н о в, 1968; Процессы изменения социальной структуры в советском обществе. Вып. 2. Отв. ред. М. Р у т к е в и ч, 1967; Советская интеллигенция (История формирования и роста 1917—1965 гг.), Ред. колл.: М. К и м (глав. ред.) и др., 1968; В. Б о б ы л е в, Город и деревня на пути к коммунизму, 1967; Вопросы географии населения. Сб. статей. Ред. колл.: О. К о н с т а н т и н о в и др., 1966; География населения и населенных пунктов СССР, 1967; Материалы I Междуведомственного совещания по географии населения. Вып. 7, 1965; Научные прогнозы развития и формирования советских городов на базе социального и научно-технического прогресса. Вып. I, 1968; Д. Б у л ы г и н, Семья и быт в период коммунистического строительства. 1966; Н. К и с л я к о в, Проблемы семьи и брака в работах советских этнографов (По материалам Средней Азии и Казахстана). —

პრობლემების შესწავლას. კარგა ხანია რაც ასეთი ორგანიზაციები მუშაობენ სსრკ მეცნიერბათა აკადემიის პრეზიდიუმთან, უმაღ-

«Сов. этнография», 1967, № 5; Л. Л а б з и н , Быт, брак и семья при социализме и коммунизме, 1965; С. Л а п т е н о к , Мораль и семья, 1967; М. М а р к о в а , Н. Л е н с к а я , Советская семья и право, 1965; А. Н е м к о в , Имущественные правоотношения в семье, 1966; А. Н и к о л ь с к а я , Советская семья и воспитание детей, 1965; Р. Н о й б е р т , Новая книга о супружестве. Проблема брака в настоящем и будущем. Пер. с 15-го нем. изд. Ред. и вступит. статья В. К о л б а н о в с к о г о , 1967; А. П е р ш и ц , Ранние формы брака в освещении советской этнографической науки, — «Вопр. истории», 1967, № 2; А. П и м е н о в а , Семья и перспективы развития общественного труда женщин при социализме. — «Науч. докл. высш. школы. Философ. науки», 1966, № 3; И. Т р у т н е в , Н. Х о д а к о в , О семье и браке, 1966; Н. У с т и н о в и ч , Социализм и семья. — «Вопр. философии», 1967, № 7; В. Ч е к а л и н , Любовь и семья, 1966; Изучение воспроизводства населения. Сб. статей. Научн. ред. А. В о л к о в а , 1968; М. Б е д н ы й , Продолжительность жизни, 1967; В. Г о в о р о в , Долголетие человека, 1966; И. Д а в ы д о в с к и й , Геронтология, 1966; Г. П и ц х е л а у р и , К характеристике долгожителей Грузии. — «Сов. здравоохранение», 1966, № 5; Э. Р о с с е т , Процесс старения населения, 1968; Войны и здоровье человечества. Сб., 1965; Д. В а л е н т е й , В. Я г о д к и н , Воспроизводство рабочей силы при социализме, 1967; Воспроизводство рабочей силы и использование трудовых ресурсов в народном хозяйстве СССР, 1967; В. К о с т а к о в , П. Л и т в я к о в , Баланс труда (Содержание и методика разработки), 1965; Некоторые вопросы функционирования и воспроизводства рабочей силы в сельском хозяйстве. Сб., 1968; В. М а ш е н к о в , Использование трудовых ресурсов сельской местности, 1965; А. А б р а м о в а , Охрана труда женщины, 1967; Реальные доходы и жизненный уровень трудящихся, 1966; Ж. Б о ж е-Г р а н ь е , Ж. Ш а б о , Очерки по географии городов. Пер. с франц. К. Т. Топуридзе и С. Н. Тагера, 1967; География городов. Сб. статей под ред. Г а р о л ь д а , М. М а й е р а , И. К л а й д а , Ф. К о н а . Сокр. перевод с англ. В. Г о х м а н а , 1965; География населения мира. Сб. статей. 1966; Я. Г у з е в а т ы й , Перспективы развития мирового населения (до 2000 г.), 1966; О. Р ю л е , Хлеб для шести миллиардов (Человечество на пороге третьего тысячелетия: проблемы, прогнозы, перспективы). Пер. с нем., 1965; Т. Р я б у ш к и н , Международная статистика, 1965; Социология сегодня. Проблемы и перспективы. Сб. статей. Сокр. пер. с англ. Общая ред. и предисл. проф. Г. О с и п о в а , 1965; Б. У р л а н и с , Демографическая политика и рождаемость в социалистических странах, 1968; Теоретические проблемы демографии. Сб., под ред. А. В о л к о в а , 1970; Проблемы демографии. Сб., под ред. Д. Б р о н е р а и И. В е н е ц к о г о , 1971; Население и экономика, Сб., под ред. А. В о л к о в а и А. К в а ш и н , 1970; Изучение мнений о величине семьи. под ред. А. В о л к о в а и Л. Д а р с к о г о , 1971; Демографические тетради, вып. 6—7, 1972; М. Б е д н ы й , Демографические

ლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, სსრკ ცსს საკვლევადიებო ინსტიტუტში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვ. 1968 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილებასთან შექმნილი „ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების“ სამეცნიერო საბჭო მიზნად ისახავს გააერთიანოს სპეციალისტთა ფართო წრის (ეკონომისტების, დემოგრაფების, სტატისტიკოსების, ეთნოგრაფების, გეოგრაფების, იურისტების, ფსიქოლოგების, მედიკოსებისა და სხვ.) ღონისძიებანი ხალხთმოსახლეობის აქტუალური საკითხების შესწავლისათვის.

სკკპ ცკ დადგენილებაში, „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ (1967), მოცემულია გარკვეული მითითება, რომ დემოგრაფიის სფეროში კვლევადიების წარმოება მიჩნეულ იქნას, როგორც დიდმნიშვნელოვანი მიმართულება მეცნიერებაში, რომელიც საზოგადოების განვითარების მეცნიერული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა¹⁹⁰.

დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების როლსა და მნიშვნელობას აძლიერებს უკანასკნელ ორ ათეულ წელს მთელ მსოფლიოში დემოგრაფიული სიტუაციის არსებითი ხასიათის ცვლილებები და კერძოდ თვით სსრ კავშირის უახლესი დემოგრაფიული მდგომარეობის განსაკუთრებული ხასიათი.

процессы и прогнозы здоровья населения, 1972; Проблемы социальной геронтологии («Вопросы философии», 1973, № 3); Ю. Бжилянский, Политико-экономические проблемы народонаселения при социализме («Вопросы экономики», 1972, № 10; — 1973, № 3); М. Птуха, Очерки по статистике населения, 1960; его же, История первой таблицы брачности («Вестник статистики», XXI, 1925); М. Бедный, Продолжительность жизни, 1967; Кингсли Девис, Социология демографического поведения (В сб. Социология сегодня, 1965); Проблемы демографической статистики, 1966; Марксистско-ленинская теория народонаселения, под ред. Д. Валентея, 1971; В. Белова, Л. Дарский, Статистика мнений в изучении рождаемости, 1972; Изучение мнений о величине семьи, 1971; Сб. ст. Модели демографических связей, под ред. А. Боярского, 1972; В. Паевский, Вопросы демографической и медицинской статистики, 1970; Б. Урланис, Проблемы экономической демографии (В сб. Проблемы демографии), 1971; Демографические прогнозы, под ред. А. Волкова, 1973.

¹⁹⁰ КПСС в резолюциях и решениях съездов, конференции и пленумов ЦК. т. 9, 1972, стр. 349.

იმ პრობლემათაგან, რომლებიც საერთოდ დემოგრაფიის წინაშე დგანან შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, ხალხთმოსახლეობის მარქსისტულ-ლენინური თეორია და ხალხთმოსახლეობის რეაქციულ ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა; მოსახლეობის სტრუქტურის და გამრავლების ტემპის კავშირი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფაქტორებთან; სსრკ მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და დემოგრაფიული პოლიტიკის (სახელდობრ შობადობის სტიმულაციისა და ფერტილობის ფაქტორთა) ანალიზის; მოსახლეობის ზრდის რეგულაციის; მოსახლეობის მიგრაციისა და გადაადგილების; შრომითი რესურსების გეგმიანობისა და რაციონალური გამოყენების საკითხები; დაახლოებით იგივე პრობლემებია შესასწავლი მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და საერთოდ დედამიწის მოსახლეობის სტატისტიკის თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, შობადობის შემცირებამ, რამაც უკანასკნელ ხანებში საერთოდ სსრ კავშირში მკაფიოდ გამოხატული ხასიათი მიიღო, გამოიწვია ბავშვთა და მოზარდთა აბსოლუტური და შეფარდებითი შემცირება და ხანდაზმული, მხცოვანი ასაკის ადამიანთა ხვედრიწონის გადიდება, ე. ი. საქმე გვაქვს დემოგრაფიულ პროცესთან, რასაც ეწოდება „მოსახლეობის დაბერება“, რაც, თავის მხრივ, ჩვენს წინაშე აყენებს მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას.

სიცოცხლის გახანგრძლივება იწვევს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხანდაზმულთა ხვედრიწონის ზრდას. ამჟამად აშშ 65 წლის ასაკს გადაცილებულთა რიცხოვნობა სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვინემ მთლიანად მოსახლეობა. ამასთანავე ამ ასაკის ადამიანთა უმრავლესობამ, რომელიც ახალგაზრდობისას გადაურჩა მრავალ ავადმყოფობას, ახლა, მოხუცებულობის ჟამს უნდა იწვნოს დიაბეტის, დამბლის, არტრიტის, კიბოს, გულისა და მუცლის შიგნეულობათა დაავადების, სიბრმავისა და სხვ. სიავენი. აშშ ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურებაზე მოდის ჯანდაცვის მთელი ხარჯების თითქმის მესამედი. ფიქრობენ, რომ სიცოცხლის გახანგრძლივებას, მოხუცებულობის დაავადებათა მნიშვნელოვანი შენელების გარეშე, შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს სოციალურ პროგრესზე.

ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგი ვარაუდობს, რომ დავსავლეთის ქვეყნებში მოხუცებულები ქმნიან „თავისებურ სოციალურ ინსტიტუტს“. წინათ, როდესაც დიდი ოჯახი ნორმალური მოვლენა იყო, მოხუცები წარმოადგენდნენ მის განუყრელ ნაწილს. დღევანდელ მობილურ საზოგადოებაში მოხუცებს სულ უფრო

განმარტოებული ცხოვრება უხდებათ და თავს იყრიან „პენსიონერთა კოლონიებში“ (როგორიცაა, მაგალითად, ქ. სენტ-პიტერსბერგი — ფლორიდაში), ანდა მსცოვანთა სახლებში (პანსიონატებში).

სიცოცხლის გაგრძელებისა და ჯანღონის გაძლიერების გზების ძიებას დიდი ისტორია აქვს. აქილევსი თავისი მხნეობისა და შემგარტებლობის გაძლიერებისათვის დათვის ბელების ძვლის ტვინს მიირთმევდა. ახ. წ. ა.-მდე 8 ს. ადრე ინდოელი ექიმი ს უ ს რ უ ტ ა თავის პაციენტებს ურჩევდა ეჭამათ ვეფხის კვერცხები; შუა საუკუნეთა არაბები უბირატესობას აძლევდნენ ღომის ძვლის ტვინს და ა. შ. ამ მიმართულებით თანამედროვე მედიცინაც მრავალ საშუალებას მიმართავს.

მართალია, სსრკ მსოფლიოს ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპის მხრივ, მაგრამ „არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფაც, რომ უკანასკნელ წლებში შობადობის დონე აშშ და ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყანაში რამდენადმე აღემატებოდა მის დონეს სსრ კავშირში. ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის აღწარმოების ჩამოყალიბებული ტენდენცია მოითხოვს შემუშავდეს ღონისძიებათა კომპლექსი მოქნილი და ეფექტური სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა, რაც წააქეზებს შობადობის ოპტიმალურ გაძლიერებას“ („გოზ. ეკონომიკი“, 1970, № 3, გვ. 155).

სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულმა დისკუსიამ უჩვენა, რომ დემოგრაფიულ გამოკვლევებს ხალხთმოსახლეობის კარდინალური საკითხების შესწავლის მეოხებით შეუძლია უდიდესი და აუცილებელი დახმარება გაუწიოს საგეგმო კომისიას და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს უმნიშვნელოვანეს სახალხო მეურნეობრივი და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. ამ ასპექტში, გარდა საკუთრად დემოგრაფიული მოვლენებისა, წინა პლანზე გამოდის აუცილებლობა ისეთი საკითხების შესწავლისა, როგორიცაა: შრომითი რესურსების რიცხოვნობის და სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით მუშაძალის საჭიროების პერსპექტიული გაანგარიშების მეთოდოლოგია; ქალთა დასაქმებულობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები და შედეგები; დასაქმებული მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკური დონის ამაღლება და მუშაძალის გადამზადებისა და გამოყენების ორგანიზაცია ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით; დასაქმებულობის ეკონომიკურ განვითარებასა და ტერიტორიულ სტრუქტურას შორის ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი და სხვ.

დისკუსიის შედეგად მიიღეს (1969) გადაწყვეტილება, რომ დემოგრაფიული მეცნიერების წინაშე მდგარი გადაუდებელი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა არსებული სამეცნიერო დაწესებულებების ბაზაზე შეუძლებელია და, მაშასადამე, აუცილებელია დემოგრაფიის ინსტიტუტის შექმნა.

საბჭოთა დემოგრაფი მ. ბედნი წერს: „ჩერ კიდევ არც ერთ მეცნიერულ პრობლემას არ მიუპყრია სპეციალისტთა და ფართო საზოგადოებრიობის ესოდენ დაძაბული ყურადღება, როგორც ხალხთმოსახლეობის პრობლემას, რომელიც უკანასკნელ ხანებში გადაიქცა თანამედროვე მსოფლიოს ერთერთ უაღრესად საჭირო-როტო პრობლემად. ამჟამად ძნელია მოინახოს რაიმე გამოკვლევა საზოგადოებრივ პრობლემატიკაზე, სადაც ამა თუ იმ თვალსაზრისით მსჯელობის საგანი არ იყოს ქორწინების¹⁹¹, შობადობისა და მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპების საკითხები.

შობადობა, ოჯახის გეგმიანობა, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა გადაიქცა მსჯელობის საგნად გაზეთებში, ჟურნალებში, სხვადასხვა სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე და სექციაზე, მეცნიერულ და მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურაში“¹⁹².

* * *

ხალხთმოსახლეობის პრობლემებისადმი დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინტერესი, უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია დემოგრაფიულ პროგნოზებთან (იხ. აქვე, გვ. 168, 173).

¹⁹¹ თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების მთავრობები დიდძალ თანხებს ხარჯავენ რა მეცნიერებაზე, მოითხოვენ, რომ იგი სწავლობდეს პოლიტიკის სფეროში შემავალ მოვლენებს, პრობლემებს. მაგრამ იყო დრო, როდესაც მეცნიერს ზშირად ეკრძალებოდა ისეთი საკითხების კვლევა-ძიება, რაც ხელისუფლების მოღვაწეობის (პოლიტიკის) სფეროში შედიოდა. შევიცარიელმა პასტორმა მიუჩემ საერთოდ პირველმა მოკიდა ხელი ქორწინების სტატისტიკის შესაწავლას და შეადგინა ქორწინების ტაბულა, რაც გამოქვეყნდა 1764 წელს. ქ. ბერნის ეკონომიკურმა საზოგადოებამ მის ნაშრომს პრემია მიანიჭა, ხოლო მთავრობამ 1766 წელს დაადგინა: 1. გამოეცხადოს გაკიცხვა ეკონომიკურ საზოგადოებას იმის გამო, რომ თავისი პრემიისათვის შეარჩია თემა, რომელიც შეეხება მთავრობის მოღვაწეობის სფეროში შემავალ საგნებს; 2. პასუხისგებაში იქნას მიცემული პასტორი მიუჩე, ოფიციალურ მონაცემთა გამოქვეყნებისათვის; 3. დაწესდეს მთავრობის კონტროლი ეკონომიკური საზოგადოებისა და მის განყოფილებათა კრებებზე (М. П т у х а, История первой таблицы брачности; «Вестник статистики», XXI, 1925, стр. 41).

¹⁹² М. Б е д н ы й, Демографические процессы..., 1972, стр. 23.

პროგნოზის თვალსაზრისით მოსახლეობის აღწარმოება ნაწილობრივ ყოველთვის განისაზღვრება მისი წარსულით. მოსახლეობის არსებული სტრუქტურა წინაპართა აღწარმოების შედეგია. მაინც, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი, როგორც ბიოსოციალური პროცესი, მრავალი, სხვადასხვა ძალით მომქმედს, ფაქტორის გავლენას განიცდის. დემოგრაფიული პროგნოზის აუთენტურობა დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზისაგან, თუმცა დემოგრაფიული პროგნოზები ბევრად უფრო ადვილია და ბევრად უფრო გრძელვადიანიც შეიძლება იყოს, ვინემ სოციალურ-ეკონომიკური.

ცნობილია მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმზე მომქმედ ფაქტორთა „ზუსტი გაანგარიშების“ საფუძველზე შედგენილი ადრინდელი დემოგრაფიული პროგნოზები. მე-17 ს. ბოლოს ინგლისელმა სტატისტიკოსმა გრეგორი კინგმა გაიანგარიშა ინგლისის მოსახლეობის გამრავლება 2300 წლამდე. იგი ვარაუდობდა, რომ მის დროს არსებული მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი უცვლელი დარჩებოდა და ასეთ პირობებში ინგლისის მოსახლეობა ამჟამად 8 მლნ უნდა ყოფილიყო; — ნამდვილად კი 50 მლნ აღემატება და ეს, როგორც ამერიკელი მეცნიერი კ. დეი (C. Day, 1964) შენიშნავს, შედეგია მერმინდელი სზოგადოებრივი პროგრესის, „ეკონომიკური რევოლუციის“ და მოკვდაობის შემცირებისა.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ფრანგმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა ანტუან კონდორსემ (1743—1794) თავის წიგნში, „ადამიანის გონების პროგრესის ისტორიული სურათის ესკიზი“, წამოაყენა თეორია, რომ ცივილიზაციის განვითარების შესაბამისად ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თანდათანობით გაიზრდება და, მაშასადამე, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი აიწევსო.

მომავალი დემოგრაფიული მდგომარეობა სტატისტიკურად უწინარეს ყოვლისა შეიცავს მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის რიცხვობრივ მონაცემებს. ბიოლოგიური პროგნოზისათვის მთავარია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის (შობადობისა და მოკვდაობის) გაანგარიშება: 1. დღეს ცოცხალთაგან რამდენი მიაღწევს მინიმუმულ ასაკამდე, ანდა, ვსთქვათ, 2000 წლამდე და 2. დღეიდან რამდენი დაიბადება და მიაღწევს გარკვეულ დრომდე.

პირველი ცნობის მოპოვება შედარებით ადვილია. ის მოკვდაობის ტაბულით იანგარიშება და საკმაო სიზუსტითაც. მეორე კი მრავალ წანამძღვართა რთულ გაანგარიშებებს მოითხოვს. აქ უწინარეს

გასათვალისწინებელია ფერტილობის რეჟიმში შესაძლებელი ცვლილებანი. საერთოდ ხელსაყრელი პიპოთეზის შერჩევა და თეორიული დასაბუთება წინასწარ ფრთხილ და დაკვირვებულ კვლევადიებას მოითხოვს და, მაინც, პროგნოზისტი, თუ გნებავთ, წინასწარმეტყველის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული, რათა მას თამამად შეეძლოს განჭვრიტოს მომავალი დემოგრაფიული სიტუაცია.

მაინც, პროგნოზი სარისკო საქმეა. დემოგრაფიული პროგნოზების აპოსტერიორული შემოწმება ცხადყოფს, რომ პროგნოზისა და ფაქტიური მდგომარეობის მონაცემთა შორის ყველაზე დიდ განსხვავებას იძლევიან ყველაზე ახალგაზრდა ასაკის ჯგუფები. ალფრედ სოვიმ გააკონტროლა ერთა ლიგის დემოგრაფიების მიერ მეორე მსოფლიო ომამდე გაკეთებული ევროპის ქვეყნების მოსახლეობის პროგნოზები — 1950 წლისათვის. პროგნოზებისა და ფაქტიური მდგომარეობის მონაცემთა შედარებამ ცხადყო, რომ ყველაზე უფროსი ასაკის ჯგუფები ყველაზე ნაკლებ, ხოლო ბავშვთა და ახალგაზრდობის ასაკთა ჯგუფები ყველაზე მეტ დაცილებებს იძლევიან.

დემოგრაფიული პროგნოზისათვის მოსახლეობის მოძრაობის არსებული ტენდენციების მომავალში მექანიკური გადატანა გაუმართლებელია. უნდა ვიხელმძღვანელოთ არა რიცხვთა ლოგიკით, არამედ ნივთთა ლოგიკით. პუნქტუალურ და მათემატიკურად ზუსტ პერსპექტივულ გაანგარიშებათა ღირსება, გერჰარდ მაკენროთის (G. Mackenroth) სიტყვებით, არაფრით არ აღემატება მარტივი სააღბათო შეფასებისას. მთავარია არა რთულ გაანგარიშებათა სიზუსტე, არამედ სწორ წანამძღვართა შერჩევა, მართებული მეთოდის შემუშავება, რისთვისაც აუცილებელია მართებული მოსახლეობის თეორია, რომელიც შესაძლებელს ხდის მოსახლეობის აღწარმოებისა და ცხოვრების ცვალებად პირობათა ურთიერთკავშირის განსჭვრეტას.

ინგლისელმა მეცნიერმა ენიდ ჩარლზმა შეადგინა დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ასი წლის (1935—2035) პერიოდის პროგნოზი, სადაც მიაწვდნა ინგლისის მოსახლეობის რიცხოვნობის მომავალი მკვეთრი შემცირება, თუ ფერტილობის არახელსაყრელი მაჩვენებლები არ შეიცვლებოდა: 1931 წელს არსებული ფერტილობის დონე თუ უცვლელი დარჩებოდა, მაშინ 2035 წლისთვის ინგლისის მოსახლეობა შემცირდებოდა 19,9 მილიონამდე, ხოლო თუ ფერტილობის ხსენებული დონის შემდგომი შემცირება გაგრძელდებოდა — 4,4 მილიონ სულამდე.

ინგლისელი დემოგრაფი იუჯინ გრებენიკი (E. Grebenik) ამტკიცებს, რომ ე. ჩარლზის გამოკვლევამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ინგლისურ საზოგადოებაში და ფრიალ გააქტიურა ინტერესი დემოგრაფიული პრობლემებისადმი.

როგორც ცნობილი უნგრელი დემოგრაფი ედვარდ როსსეტი (E. Rosset) წერს (1968), მომავლის სურათები უეჭველ გავლენას ახდენენ ჩვენს გადაწყვეტილებებსა, განწყობასა და მიზანდასახულობაზე. საქმე ისაა, რომ აზრი მომავალზე — ჩვენი ცხოვრების ერთერთი ყველაზე სერიოზული ანარეკლია. ჩვენ უმთავრესად მაინც ჩვენს წარმოდგენაში შემუშავებულ მომავალს ვაშენებთ.

ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ პროფ. ალფრედ სოვის აზრით 1939 წელს საფრანგეთის მიერ დემოგრაფიული დებარესიის პერიოდიდან გამოსვლა შედეგია დემოგრაფიული პროგნოზებისა, „გამაფრთხილებელი პროგნოზებისა“, რამაც უჩვენა, თუ რა შეიძლება მოყოლოდა ასე თუ ისე სანგრძლივ არახელსაყრელ დემოგრაფიულ სიტუაციას და, ამგვარად, იმპულსი მისცა შეცვლილიყო არსებული ტენდენცია, რაც მთავრობისა და საზოგადოების აქტიური პოპულაციონისტური პოლიტიკის და განწყობის მეოხებით იქნა მიღწეული.

დღეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს სოციალური გეგმიანობა, მართვა და ორგანიზაცია — დემოგრაფიული პროგნოზირება ისევე აუცილებელია, როგორც დაწვრილებითი სტატისტიკური ინფორმაცია საერთოდ ეკონომიკურ და ბუნებრივ მწარმოებლურ ძალთა რესურსების შესახებ.

საქმე ისაა, რომ არა მხოლოდ შრომითი რესურსების, საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების, არამედ სოციალურ მოთხოვნილებათა მასშტაბების გათვალისწინება შეუძლებელია მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის, ბუნებრივი მატების ტემპების, განათლების, გაადგილების, მიგრაციის და სხვ. არსებული და პერსპექტიული ვითარების შესახებ აუთენტური სტატისტიკური ინფორმაციის გარეშე.

არსებული საზოგადოებრივი, კერძოდ პოპულაციონისტური ვითარების შეფასებისათვის წარსულის ცოდნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზოგჯერ კი უფრო ღირსეულია, წარმოდგენა გვქონდეს მომავალზე და, მაშასადამე, ვიხედებოდეთ წინ, ვინემ უკან.

აზლა, ჩვეულებრივ, მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშების, დემოგრაფიული პროგნოზების რამდენსამე, ზოგჯერ კიდევ მრავალ ვარიანტს ადგენენ — მინიმალურიდან მაქსიმალურამდე; — ოპტიმისტურიდან პესიმისტურამდე. პროფ. ე. როსსეტი, მათი

დანიშნულებისა და შემუშავების მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ან-სხვავებს: 1. რეალისტურ პროგნოზს, რაც საჭიროა ეკონომიკური გეგმიანობისათვის; 2. გამაფრთხილებელ პროგნოზს, რისი მიზანია არახელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაციის ლიკვიდაცია და 3. ანალიტიკურ პროგნოზს, რაც მიზნად ისახავს ამა თუ იმ დემოგრაფიული ფაქტორის შეცვლას. გამაფრთხილებელი პროგნოზი შეიძლება იყოს ანალიტიკური პროგნოზის ერთერთი ვარიანტი. ანალიტიკურ პროგნოზს სავსებით დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც ის სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის გავლენას, მაგალითად, ხალხთმოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სტაბილიზაციის პროცესზე.

პროგნოზების მრავალი ვარიანტის შემუშავება ამჟამად, ეგმ (კომპიუტერების) მეოხებით გაადვილებულია.

დემოგრაფიას, როგორც საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ვითარებასა და ტერიტორიაზე მოსახლეობის რიცხოვნობის ბუნებრივი და მექანიკური ცვლილებების, სქესობრივი, ასაკობრივი, განათლების, პროფესიული და სხვ. სტრუქტურის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შემსწავლელ მეცნიერებას, უკანასკნელ ხანებში, ზოგჯერ დემოგრაფიასაც უწოდებენ.

დემოგეტრია ანალოგია ეკონომეტრიისა, რაც მეცნიერებაში შემოღებულია 1926 წლიდან, ნორვეგიელი ეკონომისტის რ. ფიშერის მიერ. თვით ეკონომეტრია გაცემებულია ბიომეტრიის მიხედვით, რაც მე-20 ს. დასაწყისიდან გავრცელდა ბიოლოგიაში, — რაოდენობრივ მონაცემთა სტატისტიკური შესწავლის აუცილებლობით.

ეკონომეტრია, ო. ლანგეს განმარტებით, სტატისტიკური მეთოდის დახმარებით იკვლევს ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე კონკრეტულ რაოდენობრივ კანონზომიერებებს; — იგი ურთიერთთან აკავშირებს ეკონომიკურ თეორიასა და ეკონომიკურ სტატისტიკას და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების საშუალებით მიზნად ისახავს ეკონომიკური თეორიის მიერ დადგენილ ზოგად სქემატურ კანონზომიერებათ მისცეს კონკრეტული რაოდენობრივი გამოსახულება¹⁹³.

რამდენადაც დემოგეტრია ეკონომეტრიის ანალოგიურია, ბუნებრივია, რომ ის დემოგრაფიული მოვლენების მეოხებით შეისწავლის დემოგრაფიულ მოვლენათა რაოდენობრივ კანონზომიერებებს, — სპეციალური სტატისტიკურ-მათემატიკური აპარატის გამოყენებით. როგორც ჩანს, პირველი დემოგრაფიული მოვლენის ემბრიონი იყო გამოჩენილი შვეიცარიელი მათემატიკოსის ლ. ეილერის მიერ შემუშავებული მყარი მოსახლეობის მოდელი (1760). მოსახლეობის სტაბილურმა მოდელმა საბოლოო სახე (1900-იან წლებში) მიიღო ამერიკელი დემოგრაფის ა. ლოტკას (A. Lotka) ნაშრომებში. დემოგრაფიული მოვლენების შემუშავების მხრივ უახლეს, 1950—1960-იანი წლების, ლიტე-

¹⁹³ О. Ланге, Введение в эконометрику, 1964, стр. 17—18.

რატურაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შვედი მეცნიერის ჰ. ჰიენიუსის (H. Hyrenius) ხელმძღვანელობით გამოქვეყნებულ ნაშრომებს.

* * *

1972 წ. სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა 1974 წელი გამოაცხადა, როგორც საერთაშორისო დემოგრაფიული წელიწადი.

მან მოწოდებით მიმართა ყველა სახელმწიფოს, რათა დაიწყონ მზადება მსოფლიო კონფერენციისათვის, რომელიც ნავარაუდევია შედგეს 1974 წელს, და მიეძღვნება რიგი ქვეყნის, მსოფლიოს მთელი რაიონების წინაშე მდგარ დემოგრაფიულ პრობლემებს.

უტრნალისტების წინაშე გამოსულმა კ. ვალდჰაიმმა აღნიშნა, რომ მრავალ ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებაზე ბევრად უფრო მაღალი ტემპით მრავლდება მოსახლეობა, რის გამოც ამ ქვეყნებში მძიმეა საბინაო პირობები, არასაკმარისია სკოლები, იზრდება უმუშევრობა და დანაშაულობანი.

გეო-ს გენერალურმა მდივანმა რწმენა გამოთქვა, რომ საერთაშორისო დემოგრაფიული წელიწადის ჩატარებაში ქვეყნების აქტიური მონაწილეობა ხელს შეუწყობს ხსენებულ პრობლემათა გადაჭრის საქმეს.

ცხადია, ეს საერთაშორისო ხასიათის ღონისძიება სათანადო გამოხმაურებას ჰპოვებს სსრ კავშირსა და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში, რომლისთვისაც, როგორც დავინახეთ, აუცილებელია გულისხმიერად მიხედოს ამ უაღრესად დიდ ნაციონალურ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

* * *

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებრივობის წინაშე მდგარი დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტა, ცხადია, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო ჰუმანური მეთოდებით შესაძლებელია სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემისათვის.

დაგატეხანი

ფურცელი 1

საქართველოს სსრ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (ათასობით)

ეროვნებათა დასახელება	1 9 5 9 წ.		1 9 7 0 წ.			
	სულ აბსოლუტ.	% ჯამთან	სულ აბსოლუტ.	% ჯამთან	მეტემა აბსოლუტ.	% ჯამთან
სულ მოსახლეობა	4 044,0	100,0	4 686,4	100,0	642,3	100,0
მათ შორის:						
ქართველები	2 600,6	64,3	3 130,8	66,8	530,2	82,6
ოსები	141,2	3,5	150,2	3,2	9,0	1,4
აფხაზები	62,9	1,6	79,4	1,7	16,5	2,6
სომხები	442,9	11,0	452,3	9,7	9,4	1,5
რუსები	407,9	10,1	396,7	8,5	—11,2	—
აზერბაიჯანელები	153,6	3,8	217,8	4,6	54,2	8,4
ბერძნები	73,0	1,8	89,2	1,9	16,2	2,5
ებრაელები	51,6	1,3	55,4	1,2	3,8	0,6
უკრაინელები	52,2	1,3	49,6	1,0	— 2,6	—
ქურთები	16,2	0,4	20,7	0,4	4,5	0,7
ბელორუსები	5,1	0,1	6,1	0,1	1,0	0,2
თათრები	5,4	0,1	5,9	0,1	0,5	0,1
ასირიელები	5,0	0,1	5,6	0,1	0,6	0,1
დაღესტნის ხალხ.	5,1	0,1	4,6	0,1	— 0,5	—
სხვა ეროვნების	21,3	0,5	22,0	0,5	0,7	0,1

საქართველოს მისაღების ერაყული შედეგანობა
1939 წლის აგვისტო

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

ერაყენობის დასახელება	სულ საქართველოს სსპ		მ ა მ მ ა რ ა ს					
			აფხაზეთის ასსპ		აჭაბის ასსპ		სამხრეთი თურქეთის ათ	
	ამსოლ.	% %	ამსოლ.	% %	ამსოლ.	% %	ამსოლ.	% %
1. ქართული	2 173 922	61,4	91 967	29,5	127 542	63,7	27 525	25,9
2. აფხაზი	57805	1,6	56 197	18,0	1 029	0,5	6	—
3. ოსი	147 677	4,2	—	—	—	—	72 266	68,1
4. აზერბაიჯანელი	188 058	5,3	—	—	—	—	89	0,1
5. სომეხი	415 013	11,7	49 705	15,9	14 085	7,1	1 537	1,5
6. რუსი	308 684	8,7	60 201	19,3	30 535	15,3	2 111	2,0
7. დანართები	248 864	7,1	53 815	17,3	26 915	13,4	2 574	2,4
ჯამი	3 540 023	100,0	311 885	100,0	200 106	100,0	103 108	100,0

საქართველოს სსრ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1926, 1959, 1970 წწ.
აღწერების მონაცემებით

ასაკობრივი ჯგუფები	ორივე სქესის მოსახლეობა აბსოლუტური მონაცემები			პროცენტებით ჯამთან		
	1926 წ.	1959 წ.	1970 წ.	1926 წ.	1959 წ.	1970 წ.
სულ მოსახლეობა	2666494	4044045	4686358	100.0	100.0	100.0
0—4 წლის	395352	460081	432003	14.8	11.4	9.2
5—9 "	325484	408738	513132	12.2	10.1	10.9
10—14 "	311296	315840	485100	11.7	7.8	10.4
15—19 "	29716	335835	400863	9.7	8.3	8.6
20—24 "	231299	399578	299151	8.7	9.9	6.4
25—29 "	206670	366327	277443	7.8	9.1	5.9
30—34 "	175891	363597	402362	6.6	9.0	8.6
35—39 "	154873	221177	341919	5.8	5.5	7.3
40—44 "	126802	188087	364513	4.8	4.6	7.8
45—49 "	86705	197619	225359	3.3	4.9	4.8
50—54 "	90991	171554	165597	3.4	4.2	3.5
55—59 "	68476	171620	212545	2.6	4.2	4.5
60—69 "	120100	235794	318294	4.7	5.8	6.8
70—79 "	61965	146096	156674	2.3	3.6	3.3
80—89 "	29929	47010	64816	1.1	1.2	1.4
90—99 "	10177	12830	12318	0.4	0.3	0.3
100 და მეტი	4301	2080	1844	0.2	0.05	0.04
ასაკი არაა ნაჩვენები	1467	182	11925	0.06	0.005	0.2
შრომუნარიანი მოსახლეობა (16—59 ვაჟ. და 16—54 ქალ.)...	1340375	2268737	2466222	50.3	56.1	52.6

დამატება IV

აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა
(1970 წლის 15 იანვრის აღწერით)

ეროვნებათა დასახელება	მოსახლეობის რიცხოვნობა ათასობით	პროცენტები ჯამთან
მთელი მოსახლეობა	487	100.0
აფხაზი	77	15.9
ქართველი	200	41.0
რუსი	93	19.1
სომეხი	75	15.4
ბერძენი	13	2.7
უკრაინელი	12	2.5
ებრაელი	4	0.9
სხვა ეროვნების	13	2.5

აჭარის ასსრ მოსახლეობის ეროვნული შემადგენილობა
(1970 წლის 15 იანვრის აღწერით)

ეროვნებათა დასახელება	მოსახლეობის რიცხოვნობა ათასობით	პროცენტობით ჯამთან
სულ მოსახლეობა	310	100.0
ქართველი	237	76.5
რუსი	36	11.5
სომეხი	16	5.0
უკრაინელი	7.2	2.3
ბერძენი	6.9	2.2
ებრაელი	1.5	0.5
აფხაზი	1.4	0.4
სხვა ეროვნების	4.0	1.6

დამატება VI

თბილისის მოსახლეობა 1959 და 1970 წწ.
(ათასობით)

ეროვნებათა დასახელება	1 9 5 9 წ.		1 9 7 0 წ.	
	სულ აბსოლუტ.	% ჯამთან	სულ აბსოლუტ.	% ჯამთან
სულ მოსახლეობა	694,7	100,0	889,0	100,0
ქართველები	336,3	48,4	511,4	57,5
ოსები	15,6	2,3	21,8	2,5
სომეხები	149,2	21,3	150,2	16,9
რუსები	125,7	18,1	124,3	14,0
აზერბაიჯანელები	9,6	1,4	10,8	1,2
ბერძნები	7,0	1,0	10,7	1,2
ებრაელები	17,3	2,5	19,6	2,2
უკრაინელები	10,9	1,6	10,6	1,2
ქურთები	12,9	1,9	18,4	2,1
ასირიელები	2,6	0,4	2,8	0,3
სხვა ეროვნების	7.6	1,1	8,4	0.9

თბილისის მოსახლეობა

წლები	ს უ ლ	ქართველი		სომეხი	რუსი	დანარჩენი
		აბსოლუტ.	%			
1803 ¹	20 000	7 000	30,5	10 000	2 000	1 000
1834	25 682	—	—	—	—	—
1847	29 833	—	—	—	—	—
1858	52 921	—	—	—	—	—
1864	66 899	14 878	22,2	28 488	19 116	3 991
1865	71 051	14 787	20,8	31 914	12 142	12 208
1876	104 024	22 223	21,4	37 610	30 823	13 368
1896	160 645	41 692	25,9	60 098	29 180	29 745
1897	159 590	42 200	26,4	47 133	44 823	25 434
1902 ²	190 021	40 641	21,4	63 779	55 000	30 601
1910 ²	305 207	54 120	17,7	124 901	79 000	47 186
1914 ²	343 950	69 563	20,2	129 589	91 000	53 798
1917 ²	246 910	62 377	25,3	83 177	85 000	16 356
1922 ²	233 958	80 884	34,6	85 309	49 000	18 765
1926	294 004	112 206	38,2	100 148	45 937	35 713
1930	320 977	136 379	42,5	102 920	47 642	34 036
1939	519 220	228 394	44,0	137 331	93 337	60 158
1959	694 664	336 257	48,4	149 258	125 674	183 475
1970	889 020	510 788	57,5	150 205	124 316	103 711
1980 ³	1115 000	—	—	—	—	—
1990 ³	1300 000	—	—	—	—	—
2000 ³	1500 000	—	—	—	—	—

¹ 1803 წ. იანვარს ჩატარებული თბილისის აღწერის (Опись г. Тифлиса с показанием числа жителей, строений и укреплений, от января 1803 года) მიხედვით ქალაქის ოთხსავე ნაწილში, სახელდობრ, მუხრანის, წაყისის, მთისა და ავლაბრისაში იყო სულ 3000 სახლი, აგრეთვე ეკლესიები: 15—ქართული, 24—სომხური, 1—ბერძნული, 1—კათოლიკური და 1 მეჩეთი. ამ აღწერის მიხედვით ქალაქში ცხოვრობდა დაახლოებით 20 000 სული. (АСКАК, II, 1046). მართალია, აღწერის სიაში, როგორც წესი, ნაჩვენებია ეროვნება (საისტორიო მოამბე, 1925, წ. II, გვ. 27—104), მაგრამ ეს მონაცემები, ცნობილი მიზეზებისა გამო (იხ. ქვემოთ), მხოლოდ დაახლოებით ასახავს არსებულ სინამდვილეს. მოსახლეობის საერთო მასაში ძირითად ეროვნებათა, ქართველთა და სომეხთა, ხვედრიწონის შესახებ ერთგვარ ტრადიციულ წარმოდგენას იძლევა კერძოდ ქართული და სომხური ეკლესიების რაოდენობრივი თანაფარდობაც (იხ. ზემოთ); თუმცა ეკლესია და მისი მრევლიც, ცხადია, შეიძლება იყოს დიდიცა და პატარაც.

² აღრიცხულია ჯარის ნაწილების ჩაუთვლელად. აქ მომატებულია ამ წლებში თბილისში გააღვილებული ჯარი — დაახლოებით 12—13 ათასი კაცის რაოდენობით.

³ აქ ვაძლევიტ პროგნოზის მაქსიმალურ ვარიანტს. მინიმალური შეიძლება ვივარაუდოთ (მლნ): 1980 წ. — 1,1; 1990 წ. — 1,2; 2000 წ. — 1,2.

თბილისის მოსახლეობაში მე-19 ს. დამდგმაც დიდი იყო სომეხთა ზეგავლენა, მაგრამ ქალაქის ნაციონალური კოლორიტი მთლიანად ქართული არაა. ამასთანავე სომეხთა რიცხოვნობას აღიღებდა ისიც, რომ რეფორმამდე პერიოდში სოფლებიდან გაქცეული და ქალაქად, თბილისში, სომეხი ხელოსნებისა და ვაჭრების შეგირდებად თუ შინამოსამსახურეებად დამდგარი ყმა-გლეხები, ჩვეულებრივ, სომეხად აღირიცხებოდნენ, რათა მათს ბატონებს ვერ მოენახათ ისინი. სომეხები, როგორც წესი, ყმებად არ ითვლებოდნენ და, ამგვარად, თბილისში თავისუფალნი იყვნენ ფეოდალის იურისდიქციისაგან¹. აღსანიშნავია ისიც, რომ აღრე, და თვით მე-19 ს. პირველ ნახევარში, თბილისელი სომეხების სალაპარაკო ენა ქართული იყო.

მაგრამ მე-19 ს. შუადან რუსი მოსახლეობის ზეგავლენის გადიდება, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად თვით სომეხების მნიშვნელოვნად „გარუსებას“ და, ასეთ ვითარებაში, ქართველთა რაოდენობის შედარებითმა სიმცირემ ქალაქს შესამჩნევი ზომით დაუკარგა ქართული ელფერი და იგი იმპერიის განაპირა ქვეყნის ქალაქის ტიპისა შეიქნა.

მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა სინამდვილეში, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი გატარების შედეგად თბილისში, საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქში, ქართველობამ კვლავ შეადგინა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა და ქალაქი საბოლოოდ განმტკიცდა, როგორც ქართული ეროვნული კულტურისა და ცივილიზაციის მარადი ცენტრალური კერა.

დამატება VIII

მოსახლეობის რიცხოვნობა 1913, 1939, 1959 და 1970 წწ.

რესპუბლიკა	1913	1939	1959	1970	1913 წელთან შედარებით პროცენტობით		
					1939 წ.	1959 წ.	1970 წ.
საქართველოს სსრ	2 600 400	3 540 023	4 044 045	4 686 358	136,1	155,5	180,2
აზერბაიჯანის სსრ	2 339 200	3 205 150	3 697 717	5 117 081	137,0	158,1	218,7
სომხეთის სსრ	1 000 100	1 282 338	1 763 048	2 491 873	128,1	176,1	248,9

¹ П. Г у г у ш в и л и, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., т. I, 1957, стр. 90; ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, 1962, ტ. V, გვ. 217—221.

ქორწინებისა და განქორწინების რიცხოვნობა

ქვეყნების დასახელება	ქორწინება მოსახლეობის 1000 სულზე			განქორწინება მოსახლეობის 1000 სულზე		
	1950 წ.	1960 წ.	1971 წ.	1950 წ.	1960 წ.	1971 წ.
ბულგარეთი	10,7	8,8	8,2	0,8	0,9	1,1
უნგრეთი	11,4	8,9	9,1	1,2	1,7	2,3
გერმ. დემოკრატ.						
რესპუბლიკა	11,7	9,7	7,7	2,7	1,4	1,8
პოლონეთი	10,8	8,2	8,9	0,4	0,5	1,1
რუმინეთი	11,7	10,7	7,3	1,5	2,0	0,5
ჩეხოსლოვაკია	10,8	7,8	9,0	1,1	1,1	2,0
იუგოსლავია	11,4	9,1	8,9	1,1	1,2	1,0 ¹
ავსტრალია	9,3	8,3	6,4	1,5	1,1	1,4 ²
ინგლისი	8,1	7,5	8,5 ¹	0,6	0,5	1,1 ¹
ბელგია	8,3	7,1	7,8	0,6	0,5	0,7 ²
კანადა	9,1	7,3	8,8 ¹	0,4	0,4	0,6 ²
აშშ	11,1	8,5	10,6	2,6	2,2	3,5 ¹
გერმ. ფედ. რესპ.	10,8	9,4	7,0	1,6	0,8	1,3 ¹
საფრანგეთი	7,9	7,0	7,9	0,9	0,7	0,7
შვეიცარია	7,9	7,8	7,0	0,9	0,9	0,9 ²
შვედია	7,7	6,7	4,9	1,1	1,2	1,5 ²
იაპონია	8,6	9,3	10,5	1,0	0,7	1,0

დამატება X
მოსახლეობის 1970 წ. აღწერით 1000 დედაზე მოდიოდა ბავშვი

ოჯახში, სადაც დედას აქვს განათლება	ს ს რ კავშირში	საქართველოს ს ს რ	აზერბაიჯანის ს ს რ	სომხეთის ს ს რ
უმალღესი, დაუმთავრებელი უმალღესი და საშუალო სპეციალური	1550	1820	2229	2211
ზოგადი საშუალო	1651	2005	2605	2563
არასრული საშუალო	1989	2357	3484	3146
დაწყებითი და დაბალი . .	2182	2402	3626	3272

1 1970 წ.

2 1969 წ.

3 1968 წ.

აღსანიშნავია, რომ 1959 წელთან შედარებით აზერბაიჯანსა და სომხეთში, ოსევე როგორც შუაზიის რესპუბლიკებსა და ყაზახეთში 1970 წ. აღწერის მონაცემებით შემცირდა დიდი ოჯახების ზრდა და ოჯახის საშუალო ზომის გადი-
ლება, მაშინ როდესაც სსრ კავშირის დანაჩენ რესპუბლიკებში მიმდინარეობს
საწინააღმდეგო პროცესი.

სსრ კავშირში 1000 დედაზე საშუალოდ მოდიოდა 1958 შვილი, ხოლო ერო-
ვნებათა მიხედვით ყავდათ: რუსებს — 1703, უკრაინელებს — 1720, აზერ-
ბაიჯანელებს — 3725, ყირგიზებს — 3631, სომხებს — 2667, ინგუშებს — 4190,
ჩაჩნებს — 3870, ლეკებს — 3686, ლიტველებს — 1860, ქართველ დედებს —
2119 შვილი.

1970 წ. აღწერით 5 და მეტშვილიანი ოჯახი საერთოდ საბჭოთა კავშირში
შეადგენდა ოჯახთა საერთო რაოდენობის (58.690.275) 4,1%; კერძოდ აზერბაიჯა-
ნის სსრ (217.139) — 22,7%, სომხეთის სსრ (61.441) — 12,9%, ხოლო
საქართველოს სსრ (1.515) — 3,8%.

დამატება XI

ოჯახთა დაჯგუფება მათთან მცხოვრები შვილების რიცხვის მიხედვით
(მოსახლეობის 1970 წ. აღწერით)

რესპუბლიკები	ოჯახთა რიცხვი ათასობით	მათ შორის ოჯახები					
		უშვი- ლო	1 შვი- ლიანი	2 შვი- ლიანი	3 შვი- ლიანი	4 შვი- ლიანი	5 და მეტი შვილიანი
სსრ კავშირი (აბს.)	58.690	12.429	20.783	15.491	5.311	2.235	2.442
% %	100,0	21,7	35,5	26,5	9,0	3,8	4,1
რსფსრ (აბს.)	32.617	6.994	12.419	8.805	2.709	957	734
% %	100,0	21,4	38,2	27,0	8,3	2,9	2,2
უკრაინის სსრ (აბს.)	12.259	3.019	4.634	3.396	873	221	115
% %	100,0	24,6	37,9	27,7	7,1	1,8	0,9
ბელორუს. სსრ (აბს.)	2.222	491	711	644	253	82	41
% %	100,0	22,0	32,3	28,9	11,4	3,6	1,8
უზბეკეთის სსრ (აბს.)	2.137	255	422	389	283	259	526
% %	100,0	11,9	19,5	18,3	13,5	12,1	24,7
საქართველ. სსრ (აბს.)	1.074	192	288	314	170	68	42
% %	100,0	17,9	26,8	29,4	15,8	6,3	3,8
აზერბაიჯან. სსრ (აბს.)	957	123	187	176	135	119	217
% %	100,0	12,8	19,6	18,4	14,1	12,4	22,7
ლიტვის სსრ (აბს.)	802	204	274	212	74	24	15
% %	100,0	25,5	34,3	26,4	9,1	2,9	1,8
სომხეთის სსრ (აბს.)	476	47	81	110	105	72	61
% %	100,0	9,8	17,0	23,0	22,1	15,2	12,9
ესტონეთის სსრ (აბს.)	358	97	146	89	18	4	2
% %	100,0	27,2	40,9	25,0	5,1	1,2	0,6

ოჯახთა დანაწილება შვილთა რიცხოვნობისა და დედის ასაკის მიხედვით
(შვილიან და უშვილო მეუღლეთა წყვილის ანდა მარტოხელა დედის ოჯახი—
ნათესავებიანთ)
მოსახლეობის 1970 წ. აღწერით

რესპუბლიკა	ოჯახთა რიცხვი (აბსოლუტ.)	მ. შ. ოჯახები (პროცენტობით), სადაც დედის ასაკია							
		20 წლამდე	20—24 წწ.	25—29 წწ.	30—34 წწ.	35—39 წწ.	40—44 წწ.	45—49 წწ.	50 და მეტე წწ.
სსრ კავშირი	54003224	0,9	6,3	10,0	17,2	13,9	16,2	10,6	24,9
მ. შ. ოჯახი-უშვილო	10987634	2,2	7,2	3,9	4,5	4,0	8,9	11,1	58,2
1 შვილიანი	19390451	1,0	10,2	12,6	15,4	9,8	14,5	10,9	25,6
2 შვილიანი	14473833	0,1	3,4	12,1	25,8	20,2	19,6	9,5	9,3
3 და მეტი შვი- ლიანი	9151306	0,0	1,3	8,4	22,7	24,8	23,3	11,4	8,1
საქართველოს სსრ	938869	1,0	5,5	10,0	17,0	15,3	16,3	10,1	24,8
მ. შ. ოჯახი-უშვილო	153358	2,9	6,1	4,6	5,2	4,2	7,8	9,2	60,0
1 შვილიანი	258817	1,6	8,3	8,7	10,4	8,8	15,2	12,6	34,4
2 შვილიანი	280392	0,4	5,9	14,1	23,0	18,1	17,6	9,1	11,8
3 და მეტი შვი- ლიანი	246302	0,1	1,7	10,1	24,2	25,8	21,1	9,1	7,9
აზერბაიჯანის სსრ	868588	2,0	7,5	10,6	20,5	16,9	14,6	8,5	19,4
მ. შ. ოჯახი-უშვილო	98876	8,0	11,1	5,5	6,8	4,7	6,6	6,8	50,5
1 შვილიანი	172602	4,1	13,0	9,3	11,6	8,2	11,2	9,4	33,2
2 შვილიანი	161106	1,3	11,9	13,2	20,0	13,6	14,3	9,1	16,6
3 და მეტი შვი- ლიანი	436004	0,1	3,0	11,3	27,2	24,3	17,8	8,3	8,0
სომხეთის სსრ	413241	1,7	8,0	11,1	20,8	16,9	17,4	8,7	15,4
მ. შ. ოჯახი-უშვილო	36026	7,8	13,3	6,5	6,3	4,1	5,6	6,0	50,4
1 შვილიანი	71480	4,0	15,8	9,7	11,8	7,8	11,9	9,1	29,9
2 შვილიანი	96251	0,9	12,4	16,6	21,8	13,0	14,4	8,6	12,3
3 და მეტი შვი- ლიანი	209484	0,1	2,5	9,9	25,9	24,0	22,8	9,1	5,7

* * *

სსრკ და მოკავშირე რესპუბ. (დამატ. XIII) მოსახლეობის საერთაუ-
ლო მოძრაობა 1975—2000 წწ. შედგენილია მოსახლეობის ბუნებრივი აღწარ-
მოების გასაანგარიშებლად მიღებული მეთოდის საფუძველზე. ბუნებრივი
მატების გაანგარიშების ძირითად ამოსავალ საწყისად აღებულია 1970—1972 წწ.,
ხოლო მიგრაციისათვის—1968—1969 წწ. მონაცემები, რა თქმა უნდა, ამ ეტაპ-

უღებში მნიშვნელოვანი ცვლილება შეუძლია შეიტანოს ჩვენი გაანგარიშებისას გაუთვალისწინებელ მოვლენებს... კერძოდ საქართველოს მოსახლეობის მატებას, მაქსიმალური რიცხოვნობა ნაგულისხმევია იმ შემთხვევისათვის, თუ შესაძლებელი იქნება რეალურად აქტიური პოპულაციონისტური პოლიტიკის გატარება.

დამატება XIII

მოსახლეობის რიცხოვნობა (მილიონობით)

რესპუბლიკები	1959 წ.	1970 წ.	1972 წ.	1975 წ.	1980 წ.	1985 წ.	1990 წ.	2000 წ.
სსრ კავშირი	208,8	241,7	247,5	255,0	270,0	283,0	293,0	305,0
რსფსრ	117,5	130,1	132,2	134,0	139,5	145,0	149,0	158,0
უზბეკეთი	8,1	11,8	12,8	13,7	15,9	18,5	22,0	25,0
საქართველო	4,0	4,7	4,8	5,0	5,3—5,5	5,7—5,9	6,2—6,8	6,5—7,5
აზერბაიჯანი	3,7	5,1	5,4	5,7	6,5	7,4	8,5	10,5
ტაჯიკეთი	2,0	2,9	3,2	3,4	4,0	4,7	5,5	7,0
სომხეთი	1,8	2,5	2,7	2,8	3,2	3,6	4,0	4,8
ესტონეთი	1,2	1,4	1,4	1,5	1,6	1,6	1,7	1,8

დამატება XIV

პლანეტის მოსახლეობა

მილიონობით

15 ათასი წლის წინათ	3—4
9 " " "	5—10
7 " " "	30—50
ახ. წ. ა-ს დამდეგს	250
1000 წლისათვის	280—300
1500 "	400—500
1750 "	600—900
1800 "	750—1100
1850 "	1150—1400
1900 "	1570—1750
1930 "	2015
1950 "	2509
1965 "	3285
1971 "	3706
2000 წლისათვის ვარაუდობენ	6000—7000

აღებული პირველი 6 ათასი წლის მანძილზე პლანეტის მოსახლეობა გაიზარდა 2,5-ჯერ; შემდგომ 2 ათასი წლის განმავლობაში — 4,5-ჯერ; მერმინდელი 6 ათასი წლის სიგრძეზე — 8-ჯერ. ახ. წ. ა პირველი ათასი წლის მანძილზე მოსახლეობა გაიზარდა 30—40%, XI—XV საუკუნეებში — 154%, 1500—1750

წლებში — 165%, ხოლო მომდევნო 250 წლის განმავლობაში, ე. ი. 1750—2000 წწ. ის დაახლოებით 8-ჯერ გაიზარდება.

16 საუკუნეში პლანეტის მოსახლეობის საშუალოწლიურ მატებას ანგარიშობენ 0,1% (უფრო ადრე კიდევ ბევრად ნაკლებს!), შემდეგ 1750—1850 წწ. ეს მატება შეადგენდა 0,5%, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მერმინდელ პერიოდში იგი 1,5% აღემატებოდა. თუ ახ. წ. ა. პირველ ათასწლეულში მოსახლეობა გაიზარდა 35%, შემდგომი 950 წლის მანძილზე კი — 9-ჯერ (და 2509 მლნ მიაღწია), ხოლო კიდევ 50 წლის შემდეგ, ე. ი. 2000 წლისათვის ვარაუდობენ, რომ იგი 6—7 მილიარდს მიაღწევს. მხოლოდ 1971 წელს დედამიწის მოსახლეობა დაახლოებით 74 მილიონი სულით გაიზარდა.


მოსახლეობის მატების სწორედ ასეთი ტემპით იყო ნასაზრდოები ნეომატუსიანელთა თეორია, რომ მალე პლანეტაზე ადამიანისათვის „მხოლოდ ფეხზე დასადგომი ადგილები“ დარჩებაო. ახლა უკვე ყველასათვის ნათელია, რომ მოსახლეობის საერთოდ დიდი სისწრაფით მატების შესახებ თეორიებმა, საბოლოოდ ფიასკო განიცადეს.

* * *

ქვემოთ წამოდგენილ ასაკობრივ პირამიდაში (გვ. 175) მარცხნივ დალაგებულია მოცემული ასაკის ვაჟთა რიცხოვნობის პირობით შესაბამისი სიგრძის ჰორიზონტალური სწორკუთხედები, ხოლო მარჯვნივ — ქალთა. სწორკუთხედთა სიმაღლე მიანიშნებს ასაკობრივი ინტერვალის სიდიდეს, ხოლო ფართი — ასაკობრივ ჯგუფთა რიცხოვნობისა და მოსახლეობაში მისი ზვედრიწონის პროპორციულია.

ამრიგად, წარმოდგენილი პირამიდა ასახავს მოსახლეობის ასაკობრივ და სქესობრივ სტრუქტურაში ომის შედეგებს, ქორწინებაში მყოფთა ასაკობრივ შედგენილობას (სწორკუთხედთა დაშტრიხული ნაწილი), შობადობის ტალღებს, ე. ი. მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპებს.

ՆԱԺԱԿԱՅԱԾՈՒՆ ՆԵՐ ՁՄԱՆԱԶԱՊԱՅԻՆ ՆԻՄԱՆՈՒԹՅՈՒՆ-ՆԱՆԱԿՈՒԹՅՈՒՆ ԵՐԿՐԱԾՈՒԹՅԱՆ
 ԲՅԱԶԱՐՈՒՄ ԲՅԱԾԻ (1970 ԲԸՈՆ 15 ՈՒՆՅԱՐԻՆ ՁԵՑՈՒՄԱԿԱՊԱՅԻՆ)



ВОПРОСЫ ВОСПРОИЗВОДСТВА НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

(Резюме)

По дошедшим до нас сведениям, в первой половине VII в. «описали страну Картли» (Грузию)¹; в летописи говорится о составлении поземельного кадастра, что по понятиям того времени обозначало не земельную опись, а списки облагаемого (податного) населения². Более подробные сведения имеются о переписи Грузии в середине XIII в. С XVII века перепись населения проводилась раз в 7 лет. Страна была разделена на переписные районы. Перепись производилась государством в военных и фискальных целях.

XIX век ознаменовался коренными изменениями в политико-административной, культурной и экономической жизни страны. С момента присоединения Грузии к России царское правительство начинает «военно-статистическое», «статистико-экономическое», «финансово-экономическое» изучение страны, осуществлявшееся главным образом в виде т. н. «камеральных описаний»; они в Закавказье выполняли приблизительно ту же роль, какую в России играли «ревизии».

Инициатор третьего камерального описания (1830—1832) Грузии и Закавказья, известный русский экономист, министр финансов Канкрин первый дал характеристику Закавказья, как колонии Российской империи, определив, тем самым, его место и значение в экономических и политических отношениях с метрополией³.

Кавказская администрация вплоть до 60-х годов XIX в. статистику понимала как совокупность «всяких полезных сведений», как вспомогательный материал «для политической географии».

